



N46 (545) 18/XI-24/XI-2010

ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საბანკო

ტომი №38 თამაზ ჭილაძე

უბიძლიათ უბიძიოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

ლარი ქიანელი



იდეალური პარტნიორების პრობლემა


„სიყვარული ყრუც
ყოფილა და ბრმაც“ ...

თამაზ

მოკვდომებული გოგონები

ანუ როცა ოჯახის წევრი
მბრად გადაგვიქვია

რა საიდუმლო გათქვა წმინდა
იონა კრონოზაძის
უნიკალურმა ფოტომ



„რუსეთის
უკანასკნელი
გვირგვინოსანი
სამართველოვი
მარტინოვი“

„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი შურნალი სამართველოვი!



გალაკტიონ
ტაბიძის
უსწოები მუზა



ზღვისპირა კურორტი
საფრთხის მოლოდინი

„სოხები აფხაზეთში
მილიონებზედ იძვნიან“ ...



ვის „დამოქმად“ ცდილობდა
გინა ცინაძე

„ქალბისკან განადვას
აღარ მიდგოდა“

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

franco fontana

italy



ოქროსა და ვერცხლის სამაგალიტის დიდი არჩევანი
franco fontana -ში

ფასდასაღება ვერცხლზე

20%



რუსთაველის 26
 ☎ 18-10-47



ვახინის 7
 ☎ 30-65-56



ჭავჭავაძის 21
 ☎ 18-10-46

მსოფლიო - უნივერსალური!

ტერაფლუ®

ავადმყოფობის დრო არ არის!

გერაფლუს
სხვადასხვა
ფორმა ბრივისა
და გასიების
ყველა
სიმპტომის
სამკურნალოდ



პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის
მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30;
98 27 50

**ბრივისა და
გასიების დროს**



გვაპატიჟებათ ყველაზე მხიარული
საღელესადაალო ცენტრი



„ენჯი-ბენჯი“

გადაიხადე დაბადების დღე ჩვენთან
და მოაწყვეთ დაუვინყარი ზეიმი თქვენ
საყვარელ გმირებთან და მეგობრებთან ერთად.

აგრეთვე დისკოთეკა და ჯარაოკე
თინეიჯერებისათვის

მის: მბავრის მარცხანა სანავირო
ბაღ.: 47 95 67
მობ: 893 90 77 33, 899 10 43 44

როდანი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან
აგაცილებთ წონაში მატებასას

- ეპიდემიოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ⊗ ხელს უშლის ნახშირწყობის სნიობაში ბადასვდას
- ⊗ ხელს უწყობს სნიობის ბოლომდე დაწვას
- ⊗ აქვიითება მადან ენეხიის მომახების ფონზე
- ⊗ წოხამდე დაწყავს სიბსანის ჰოხომონი დაწბინი და ჰოდასბიხინი
- ⊗ მოხანოხილან ბამონავს ზადებაში სითხე და შდაებაი
- ⊗ ანახიბავს საჭმის მომნადებად სისბამას

როდანი




მოგვაკითხეთ მისამართში:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ „ნოფარმის“ და
„ვი პი სის“ სააფთიაპო ქსელს,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 897 117867;
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniitd@mail.ge

მიღების წინ გავცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების
შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ვებმს

სტუდია „სანო“ და ბობი ხარაბაძე წარმოგიღებთ
აპაპი წერეთლის საიუბილეო აუდიოფიბნს

„სკანკი 170“


ქრობს, სოფის და სუბკონსტრუქცია



მხოლოდ „ბიბლუსის“
წიბნის მალაზიათა ქსელში
სპეციალურ ფასად

29 ლარი!






გუნდობა ურარტუში

მასსოვს ადრე, ჩემს ღრმა ბავშვობაში — 7 ნოემბერს (ბოლშევიკების რევოლუციის იუბილეზე) სულ სამი არხი რომ იყო ტელევიზორში, ჩართავდი — „ლენინი პეტერბურგში“, გადართავდი — „ლენინი რაზლივში“, კიდევ გადართავდი — „ლენინი პოლონეთში“...

დღეს „მიშა ახალქალაქში“ უნდა დამეწერა მხოლოდ, მაგრამ აგერ, სამსაათიან კურიერში ქუთაისიდან პირდაპირი ჩართვა უჩვენეს და... ვაი-მე!!!

7

სახე



სარიალიდან დაწყებული მემოზრობა და იდეალური პარტნიორები

„ჩვენი გმირები ცუდები არიან?! სალომე და სანდრო — ფერი ფერსაო... — რომ იტყვიან, ზუსტად ისე არიან...“

16



ცხოვრება

რძალ-დედამთილიანი



„მართლა ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შვილის „გადარჩენის“ მიზნით ჯადოს კეთებაზეც არ ამბობენ უარს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ადამიანი ჩემი ოჯახის წევრი გახლდათ...“

26



- **მინიატიურები** 5
 - გუნდობა ურარტუში
- **ჭკალი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **ოქაუნიკაბული ზონა** 10
- **იუბილარი** 12
 - „ლეგენდარული „მზიურელების“ ულევო მოგონებები, ვარსკვლავი და „ოქროს რაში“
- **ეკანს მიღვა** 16
- **ავალა** 19
 - ნიკა ქავთარაძე — დირექტორის რანგში
- **ტანდემი** 21
 - სერიალიდან დაწყებული მემოზრობა
- **შემოქმედი** 23
- **რატრო** 25
 - „და მე არ მინდა, სხვა ნეტარება“
- **თემა** 26
 - რძალ-დედამთილიანი ანუ როცა ოჯახის წევრი მტრად გადაგეკიდება
- **შეჩარებული ნაფი** 29
- **ეპიზრანტი** 30
 - „დინამოს“ სტადიონიდან „სანტიაგო ბერნაბეუმდე“
- **გზა ტაქრისაქანე** 31
 - ბავშვობაში დაწყებული სულიერი ღვანლი და ნმინდა ნინოს ტაძარში გატარებული 17 წელი
- **ბედის ბორბალი** 34
 - პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან
- **დიზაინერი** 37
- **ანტიდეპრესანტი** 38
- **ავტო** 38

მზებნილები

„ყოფილი მქალთანე არ არსებობს...“




„არ გიფიქრია, რომ „ლოვეს“ მობილურის ნომერი გაგეუქმებინა? ბოლოს და ბოლოს, ამით ხომ პრობლემებს და ნერვიულობას აიცილებდი თავიდან. თვითმკვლელობაზე არც იფიქრო“.

76

■ ისტორიული ლაბირინთები	40
რუსეთის უკანასკნელი გვირგვინოსნები საქართველოში გარდაიცვალენ?	
■ დაუვიწყარი მამჩი	43
ტაშკენტი, 1964 წლის 18 ნოემბერი...	
■ ბაქარი	46
წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატები	
■ ეს საყვაროა	48
■ საკითხავი ქალბატონის	50
■ ჯანმრთელობა	52
გულმძარვა: მიზეზები და მკურნალობა	
■ პერსონა	54
ნოდარ ნათაძის გმირობა და რუსული აგენტურა	
■ სულის სიგბიყვა	57
ფერეიდნელი ახალგაზრდების გულისტკივილი	
■ თინეიჯერული პონტები	59
ბედისწერა ანუ „ქერის ორმოში“ ჩავარდნილი მოზარდის ცხოვრება	
■ წვეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ პროზა	64
თამაზ ჭილაძე. კაქტუსის ბალი (ნაწყვეტი)	
■ ფანტასტიკური დებულებები	66
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალბულთან (გაგრძელება)	
■ რომანი	70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)	
■ მინირომანი	74
ქმრიანი ქალის სიყვარული	
■ გზავნილები	76
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოგილი-ზაყნა	82
■ მოზაიკა	88
■ სხანის მიღვა	90
■ ერუდიტი	92
„არ მინდა, ცუდი ბიჭი გამოვიდე“	
■ განსართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანოვრდი	97
■ საფირმო კროსოვრდი	98

საყვარო




რუსეთის უკანასკნელი გვირგვინოსნები საქართველოში გარდაიცვალენ?

1924 წლის აპრილში მიტროპოლიტი ნაზარი და რამდენიმე სხვა სასულიერო პირი ამნისტიით გაათავისუფლეს, მაგრამ მეუფეს რეზიდენციაში დაბრუნების ნება არ მისცეს.

36

აღაშიანი



ნოდარ ნათაძის გმირობა და რუსული აგენტურა

„მე ქართველი ვარ და ჩემთვის საქართველოს ღალატია დაუშვებელი და უპატიებელი...“

54

ბიბლუსი



ინტერვიუ მიცვალბულთან

— საკუთარი პროექტი თუ დაასრულეთ? — განწყვეტინა უეცრად ლაფაურმა.

არეშიძისთვის ეს კითხვა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გაოცება ველარაფრით დამალა:

— ესე იგი, თქვენთვის ესეც ცნობილია? — დიახ.

62

ტაიპ-აუტი



„არ მინდა, ცუდი ბიჭი გამოვიდე“

„ფანტასტიკაც მიყვარს, რომანები — ნაკლებად. პოეზიაც მიყვარს, მე რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული. ესენინის, პუშკინის, მაიაკოვსკის შემოქმედებას კარგად ვიცნობ.“

88

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილმევილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

გუნდაობა ურარტუში



შსავლის ნაცვლად

ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ დღეს პრეზიდენტის ჯვავახურ ვოიაჟზე ვისაუბრებ და ისიც ახლავე უნდა აღვნიშნო, რომ ძალიანაც მომეწონა ყველაფერი, რაც იქ გავკეთდა — საავტომობილო გზასაც ვგულისხმობ და დაგვეგილ რკინიგზასაც, რომლითაც, როგორც იმან — უდიადესმა აღნიშნა, ახალქალაქელები ლონდონში 3 დღე-ღამეში ჩავლენ...


ეს ყველაფერი, როგორც გითხარით, მომეწონა და ამაზე ხოთხითი არ მიმანია სწორად, მაგრამ პრეზიდენტი და პირველი ქალბატონი რომ აბულის ციხეზე გუნდაობდნენ, ნახეთ?! არა, არა, არც ეგ არის ჩემი საქმე — რა უფლება მაქვს მათ ოჯახურ საქმეებში ჩავეწირო, უნდათ — იგუნდაონ და უნდათ — დაჭყრობანა ითამაშონ, მაგრამ გაიგონეთ, რა უთხრა ქალბატონ პირველ ქალბატონს ბატონმა „პირველმა ბატონმა“? რა და — აქ არისო (თუ აქ იყო) ურარტუ ურარტუს სამეფო!

ურარტუ არა, „ბოდიშამითხოვია“ და, „ტიგრან დიდის იმპერია“... ჰმ, ურარტუ...

აი, ვზივარ ახლა და ვფიქრობ, „პოლიტკორექტულობა“ და „პოლიტბალანსი“ როგორ დავიცვა ანუ — აქეთ რომ მიშას ისა, იქით ოპოზიციას ესა...

მაგრამ არ გამოდის და რა ვენა? არა, იმიტომ კი არა, რომ ოპოზიციისკენ არაფერი ხდება, არამედ იმიტომ, რომ რაც იქ ხდება, იმაზე უკვე აღარც მეცინება — ერთ დროს „მოკონსერვატორო“ ძიძიგური და ხალხისპარტიელი დავითაშვილი რომ გაიყარნენ, ხომ გახსოვთ?

ახლა, კუკავა როა, მაგათი ძმაკაცი, იმასაც მოუნდა რამის თავმჯდომარეობა და ახალი პარტია „უქ-ნია“, ჰოდა, ეს გაყრილი ძიძიგურ-დავითაშვილიც ისევ იქ გერთიანდნენ; თანაც, სახელიც „ორიგინალური“ მოუგონებია ახალ უფროსს — „თავისუფალი საქართველო“...



აი, რა ვენა ახლა? კი, მოვიგონებდი რამეს — ამათ გასაშაყირებელ-დასაკინს როგორ ვერ იპოვის კაცი ანდა იქით — ქართველი ხალხის დუხჭირი ყოფით გულდათუთქული „ქრისტიან-დემოკრატიებისკენ“ გავიხედავდი, მაგრამ არ მინდა, აღარ მინდა, არ გამოდის იუმორი, შარჟი, მწარე სატირაც კი არ გამოდის... მეშინია, ვინმე არ დამწამოს, რატომ გძულს ოპოზიცია, ეგენიც ხომ ქართველები არიან?! მერე რა, რომ ქვეყანა ამით შეატოვებს?! მერე რა, რომ ზოგიერთი ისევ „ნაციონალების“ ძუძუს წოვსო (ბოლოს ნახავენ, რას... ნუ, როგორც არის)! მერე რა, რომ თითო „ენვერი“ თითქმის ყველა პარტიაში არისო?!

ამიტომ, ვისთვისაც ეს ყველაფერი — „მერე რა“, კეთილად და მწარედ იმან იხუმროს მაგათზე, მე მხოლოდ „შავგვრემანი სიტყვები“ მახსენდება... ჰმ, ამ ბოლო დროს ლიბორორისტები შემოიყარდა, ამის დედა ვატირე და ეს არის საქმე?!

ჰოდა, ვისაც შეუძლია, ოპოზიციასზე ილადაოს, დამითია ას-პარეზი, მე კიდევ აგერ არ მყავს — „მიშა ახალქალაქეში“, „მიშა ქუთაისში“, „მიშა აბაშისწყლის ხეობაში“, „მიშა ჰაერში“, „მიშა წყალზე“, „მიშა წყალქვეშ“, „მიშა მინისქვეშეთში“?!

მახსოვს ადრე, ჩემს ღრმა ბავშვობაში — 7 ნოემბერს (ბოლშე-

ვიკების რევოლუციის იუბილეზე) სულ სამი არხი რომ იყო ტელევიზორში, ჩართავდი — „ლენინი პეტერბურგში“, გადართავდი — „ლენინი რაზლიგში“, კიდევ გადართავდი — „ლენინი პოლონეთში“...

დღეს „მიშა ახალქალაქეში“ უნდა დაემწერა მხოლოდ, მაგრამ აგერ, სამსაათიან „კურიერში“ ქუთაისიდან პირდაპირი ჩართვა უჩვენეს და... ვაი-მე!!! მაგრამ რა არის, იცით? იქნებ, მე მაქვს რაიმე პრობლემა?! ამაზე უნდა ვიფიქრო სერიოზულად... აბა, იმდენი პატივსაცემი ადამიანი რომ იჯდა და ტაშისცემით მაჯები ამოიყარეს, ყველა ცდება, კაცო?! კარგი, ახალქალაქეში ღერი ქართული არ იცის არავინ და იფიქრეს, — რამე ჭკვიანურს ამბობს ალბათო და დასცხეს ტაში, მაგრამ ქუთაისში?!

არ ვიცო, დაიბეჭდება თუ არა სადმე ან ტელევიზიების არქივებიდანაც მოაშთობენ თუ არა, მაგრამ ძუყნურელი ერთაობ ბრეგვაძისა არ იყოს, „აქედან ვერ ნაშლი“ — რუკასთან მდგარმა ხელჯოხიანმა პრეზიდენტმა, „იმერეთის გეოგრაფიის“ გაკვეთილი ასე დაიწყო: „დღეს ქუთაისის ისეთი ლამაზი შენობა გავხსენით, რომ მე პირი მაქვს დაღებულნი...“(!!!)

ახლა ვინ გამახსენდა, იცით? მარკ ტვენი! როდესაც ტომ სოიერი გამოცდაზე უდიდეს და უსაშინლეს უცოდინარობას ავლენს, ავტორი, ხედავს რა, რომ მის გმირს ამ სიტუაციიდან „გამოძრომის“ შანსი არა აქვს, ეცოდება იგი და ასეთ გამოსავალს პოულობს — წერს: „სჯობს ამ სცენას მოწყალეების ფარდა ჩამოვაფაროთ“... გენიოსი იყო მარკ ტვენი...



P.S. მიშა სათაფლიასაც ეწვია და სულ მალე, 10 მილიონი ტურისტის ჩამოსვლაც იწინასწარმეტყველა, მათ შორის — ძუყნურში, სადაც ალბათ, ერთაობ ბრეგვაძის სახლ-მუზეუმი გაიხსნება.

იმერეთში დედაც ახლდა — ისტორიკოსია ის ქალბატონი და ეტყობა, წინააღმდეგ გული გაუსკდა, ახალქალაქის მოედანზე თავისი შვილის გამოსვლას რომ უსმინა — პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აქ ქართველები და სომხები ერთად ებრძოდნენ შემოჭრილ მტერს და საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდნენო. გასაგებია, პოლიტიკურად გაუმართლებელია იმის თქმა, რომ ზუსტად მაგ დროს და მაგ ადგილას, საქართველო-სომხეთის ომი მიმდინარეობდა და იქ შეკრებილთა უმეტესობის პაპები ქართველ ჯარისკაცებს ხოცავდნენ, მაგრამ ხომ შეიძლება, საერთოდ არაფერი თქვა?

მით უმეტეს, სათქმელის მეტი რა არის: დატვირთავს ჯვავახელი გლეხი კარტოფილს ახალქალაქე-ლონდონის მატარებელში და სამ დღეში მანჩესტერის „დეზერტირების ბაზარში“ იქნება...

პროვოკატორი



„მეღვედვი რომ არ შეჩერებულყო, თბილისსაც ავიღებდით“...

„რუსეთი დსთ-ის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენისთვის იბრძვის და ცდილობს, იქ აშშ-მა ფეხი ვერ მოიკიდოს, — თქვა რუსეთის ხელისუფლების ერთ-ერთმა იდეოლოგმა, ფილოსოფოს-ტრადიციონალისტმა ალექსანდრ დუგინმა ამ დღეებში მიცემული ინტერვიუს დროს. — ბრძოლა მიმდინარეობს ბელორუსზე, უკრაინასა და საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად. თუ ამ ქვეყნებში პროამერიკული ხელისუფლება იქნება, რუსეთი ყოველთვის შეეცდება შიდა პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას, ისეთი ნიადაგის შექმნას, რომ ხელისუფლება დაემშოს ან საქმე სამხედრო შეჭრამდე მივიდეს, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში მოხდა. საქართველოს ორი რეგიონი ჩამოვარდნილი და მეღვედვი რომ არ შეჩერებულყო, კიდევ უფრო შორს წავიდოდით — თბილისსაც ავიღებდით. ქართველები ძალიან შემფოთებულნი არიან იმის გამო, რომ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ. ისინი ძალას აღიარებენ. მათ თურქების, ირანელებისა და რუსების ბატონობა გამოცადეს და ჩვენ ყველაზე უარესი არ ვყოფილვართ. ისინი გვაფურთხებდნენ, ნაგავს გვაყრიდნენ, მაგრამ ძალას ყოველთვის აღიარებდნენ“, — დასძინა დუგინმა, რომელიც აცხადებს, რომ რუსეთი გლობალურ გარდაქმნებს ელოდება: „თუ აშშ დასუსტდება, ჩვენ კიდევ ერთხელ განვახორციელებთ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ოკუპაციას, ამა თუ იმ ფორმით, მსუბუქად ან — ხისტად. თუმცა ჯერჯერობით ასეთი პერსპექტივა არ ჩანს“...

ელტონ ჯონი გაზეთის რედაქტორად დანიშნას



ელტონ ჯონი 1-ელ დეკემბერს, ერთი დღით გაზეთის — The Independent მთავარი რედაქტორის პოსტს დაიკავებს. მომღერლის რედაქტორობით გაზეთის სპეციალური ნომერი გამოვა, რომელიც შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს მიეძღვნება. გამოცემის გაყიდვიდან შემოსული თანხა შიდსით დაავადებულთა ელტონ ჯონის ფონდში გადაირიცხება. მომღერალი ამ პროექტში საკუთარი მეგობარი პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების ჩაბმასაც გეგმავს. „ინდეპენდენტის“ რედაქტორის სავარძელში 2006 წლის მაისში ცნობილი მომღერალი და ჯგუფ U2-ს სოლისტი, ბონოც იჯდა. მაშინ მან აფრიკაში შიდსის გავრცელებაზე გაამახვილა საზოგადოების ყურადღება. გაზეთი 70-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა, რამაც 2005 წლის რეკორდი მოხსნა. ბონოს შემდეგ, 2006 წლის 21 სექტემბერს რედაქტორის ამპლუა დიზაინერმა ჯორჯო არმანიმაც მოირგო.

უსინათლო გოგონა პონისტან ერთად „სწავლობს“

ამერიკელი სტუდენტი მონა რამუნი ჯერ კიდევ ახალშობილი იყო, როდესაც დაბრმავდა. სარწმუნოების გამო მას, სხვა უსინათლო ადამიანების მსგავსად, მეგზურად ძაღლის აყვანა არ შეუძლო — მუსლიმანებს ძალი უწმინდურ ცხოველად მიაჩნიათ. ჰოდა, ის ყველგან, უნივერსიტეტშიც კი პონისტან (მეტსახელად — კალი) ერთად დადის. მონას ლექტორები ხუმრობენ, — კალი პირველი ცხენია, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში „სწავლობს“.

72 წლის ქალი შვილის გაჩენას აპირებს



რუმინელი მწერალი და უნივერსიტეტის პროფესორი ადრიანა ილესკუ, რომელსაც 5 წლის ქალიშვილი (ელისი) ჰყავს, მეორე შვილის გაჩენასაც აპირებს. ილესკუმ პირველად, 6 წლის ასაკში იმშობიარა და მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი დედა გახდა. „ეცდილობ, სარკვეში არ ჩავიხედო: საკუთარი ანარეკლი არ მომწონს, მაგრამ სასიცოცხლო ძალების დიდი მარაგი მაქვს. არ ვსვამ, თამბაქოს არ ვწნევი და თუ იმდენ ხანს ვიცოცხლებ, რამდენიც ჩემმა მშობლებმა, მაშინ იმ დროს მოვკვდები, როდესაც ელისი 20 წლის იქნება“, — ამბობს ილესკუ. რუმინელი ქალბატონი პირველად, 20 წლის ასაკში დაფეხმძიმდა, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ექიმებმა მას აბორტის გაკეთება ურჩიეს. მომდევნო წლებში მას შვილის გაჩენის საშუალება აღარ ჰქონია, რადგან კარიერით იყო დაკავებული. 6 წლის ასაკში კი ხელოვნური განაყოფიერების გზით დაფეხმძიმდა.



დონალდ ტრამპი შესაძლოა, ამერიკის პრეზიდენტი გახდეს

ამერიკელმა მილიარდერმა დონალდ ტრამპმა გახსნა საკუთარი ვებგვერდი სახელწოდებით — „უნდა იყაროს თუ არა ტრამპმა კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში“. საიტზე ორი ძირითადი კითხვაა დასმული: ღირს თუ არა, დონალდ ტრამპმა კენჭი იყაროს საპრეზიდენტო არჩევნებში? და — დაუჭერთ თუ არა მხარს? ვებგვერდზე უკვე 300-მა ადამიანმა გამოხატა საკუთარი პოზიცია და მათგან 80%-მა გადაწყვეტილება ტრამპის სასარგებლოდ გააკეთა. ნოემბრის შუალედური არჩევნების დროს, დამოუკიდებელი მედიაკომპანიის — „ნიუსმაქსის“ მიერ ჩატარებული საერთო ნაციონალური გამოკითხვის მიხედვით, ამომრჩეველთა 48-50% მზადაა, ხმა ტრამპს მისცეს: რესპუბლიკური პარტიიდან ოფიციალურად დარეგისტრირებულ კანდიდატთა შორის, მილიარდერს 50%-იანი რეიტინგი აქვს. ბოლო დროს ტრამპმა არაერთხელ გააკრიტიკა ობამას ადმინისტრაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

საფრანგეთის მთავრობა გადადგა

საფრანგეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მთავრობის გადადგომის ბრძანებულებას. ფრანგული სააგენტოების ცნობით, მთავრობის გადადგომის ინიციატივა პრემიერ-მინისტრს, ფრანსუა ფიონს ეკუთვნის. ფიონი საფრანგეთის პრემიერად 2007 წლიდან მუშაობდა. როგორც ცნობილია, საფრანგეთის მთავრობის ნამოქმედარს შორის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი — საპენსიო რეფორმა აღმოჩნდა, რასაც ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალი ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ



ქვეყანა

უპრესადენბოდ გაზრდილი ბიუჯეტი თუ უპრესადენბოდ აფერა?..

„ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების ღირსებას ლახავს“, — ეს განცხადება „ქრისტიან-დემოკრატებმა“ პარლამენტში ფინანსთა მინისტრის, კახა ბაიანდურაშვილის მიერ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენისას გააკეთეს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, მომავალი წლის ბიუჯეტი წლებანდელთან შედარებით, 100 მლნ ლარით იზრდება. პრიორიტეტული დარგები — განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურაა. ამ სფეროების დაფინანსება ძირითადად შიდა რესურსებით გაიზრდება. კერძოდ, განათლების სისტემის დაფინანსება 16 მლნ ლარით, ხოლო ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის — 5 მლნ ლარით მატულობს.

სათუნა გახტურია

მინისტრის განცხადებით, განათლების სისტემის დაფინანსებაში გათვალისწინებული კვალიფიციური პედაგოგებისთვის ხელფასების მომატება, ინგლისურ ენისა და კომპიუტერის შესწავლის, ატესტაციის, პირველკლასელთა კომპიუტერებით უზრუნველყოფის ხარჯები; ჯანდაცვის პრიორიტეტებს შორის — საპნისიო უზრუნველყოფა, სადაზღვევო სამედიცინო მომსახურება და საზოგადოებრივი ჯანდაცვა; მინისტრის თქმით, მნიშვნელოვნად იზრდება სოფლის მეურნეობის დაფინანსება, რაც უპრეცედენტო იქნება — წლებანდელი 14-დან — 53 მლნ ლარამდე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას — დაფინანსება ძირითადად, საგზაო და ტურისტული პროექტების განსახორციელებლად იქნება გამოყოფილი.

საპარლამენტო ოპოზიცია, კერძოდ — „ქრისტიან-დემოკრატები“ ამბობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარი მოქალაქეების მოტყუებას ცდილობენ: სინამდვილეში ბიუჯეტის დაფინანსება სულაც არ იზრდება; უმრავლესობა საჯაროდ ლაპარაკობს ქაშაღების შემოჭრაზე, სინამდვილეში კი მოსახლეობის ხარჯზე საკუთარ ხელფასებს ზრდის...

მაინც რა არის ახალი ბიუჯეტის პროექტში ისეთი, რაც საქართველოს მოქალაქეების ღირსებას ლახავს და კონკრეტულად, რომელი სფეროსთვის გათვალისწინებული თანხები ინვესტს საპარლამენტო ოპოზიციის პროტესტს — ამის შესახებ ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“

პია და სამომხმარებლო კალათაც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბიუჯეტის 12%-ით გაზრდა არაფერი ხეირია. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუჯეტის პროექტში თანხები ერთობ არაადეკვატურად არის განაწილებული. განათლებისა და ჯანდაცვისათვის გამოყოფილი თანხები ბევრ კითხვას აჩენს.

— რას გულისხმობთ?

— განსაკუთრებულ ეჭვს აჩენს ჯანდაცვის ბიუჯეტში განერილი თანხები, რომელთა ხარჯვის მექანიზმები საერთოდ არ არის ცნობილი: არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, კონკრეტულად თუ რაში უნდა დაიხარჯოს ეს ფული. რაც შეეხება განათლებას, საკმარისი დიდი თანხა — 30 მილიონი გამოიყო იმისთვის, რომ ყველა პირველკლასელს დაეურიგოთ „ნეთუქი“. ეს ძალიან კარგია და ამის სან-

წვერი, ვიცე-სპიკერი **ლევან ვიფს-პაძე** გვესაუბრება.

— ბატონო ლევან, რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ბიუჯეტი სინამდვილეში, არ იზრდება?

— თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში ინფლაციის მაღალი ტემ-

<p>საძინებლოები</p>  <p>1360 ლარიდან</p>	<p>მზაგიდა - სკამები</p> 
ფასდაკლება 10-50%-მდე	
<p>გასასულელი დივან-სანოლი</p>  <p>490 ლარი</p>	<p>გასასულელი დივან-სანოლი</p>  <p>420 ლარი</p>
<p>პლ. მარაგაშის გამზ.14 ☎ 38 88 11 შაბა-ფშაველას გამზ.25 ☎ 37 11 11</p>	
	



ინალმდეგო არაფერი გვექნებოდა, სხვა მოსწავლეებს (მეორე კლასიდან დაწყებული — მეთორმეტემდე) წიგნების პრობლემა რომ ჰქონდეთ მოგვარებული. ეს დაახლოებით იგივეა, სახლ-კარი არ მქონდეს და მთელი ჩემი დანაზოგით ბოლო მოდელის ავტომობილს ვყიდულობდე. მოდი, ჯერ ყველა მოსწავლეს სწავლისთვის აუცილებელი პირობა შევუქმნათ და თანამედროვე ტექნოლოგიებზე მერე ვიფიქროთ.

— **ბოლო დროს გახშირდა შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი, დაბალი ხელფასის გამო, საკუთარ პროფესიას თავს ანებებს და მანდატური ხდება. არადა, ხელისუფლების წარმომადგენლები გამუდმებით აღნიშნავენ, რომ პედაგოგობა — ყველაზე საპატიო პროფესიაა. ბიუჯეტის ახალი პროექტი მათი ხელფასის გაზრდას თუ ითვალისწინებს?**

— ახალი პროექტის მიხედვით, მასწავლებლებისთვის ხელფასის გაზრდა გათვალისწინებულია, მაგრამ ძალზე უცნაური ფორმით: ხელფასს მოუმატებენ მხოლოდ იმ მასწავლებლებს, რომლებმაც ინგლისური და კომპიუტერი იციან. არა მგონია, ინგლისური ძალიან სჭირდებოდეს იმ პედაგოგს, რომელიც ბავშვებს ქართულს, ისტორიას, მათემატიკას ან გეოგრაფიას ასწავლის. არც კომპიუტერის ცოდნა მიმაჩნია სავალდებულოდ, იმიტომ, რომ დღევანდელ სკოლებში ნამდვილად არ არის თანამედროვე ტექნოლოგიები. ხელისუფლება ერთხელ უკვე შეპირდა პედაგოგებს, რომ ხელფასს მოუმატებდა მას, ვინც სასერტიფიკაციო გამოცდას ჩააბარებდა. გამოდის, რომ ხელისუფლებამ მასწავლებლები მოატყუა.

— **რამდენად შეესაბამება სომართლეს გაფრცვლელი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამას აღარ დააფინანსებს?**

— ამ პროგრამას მომავალი წლიდან ცალკე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი დააფინანსებს. მაგრამ ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ინგლისური ენის შესწავლის პროგრამისთვის 10 მილიონი ლარია განსაზღვრული. ინგლისურის სწავლა კარგია, მაგრამ აჯობებდა, ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვეგვარებინა. ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია — საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთს სახელმწიფო ენაზე ვერ ველაპარაკებთ! მართებული იქნებოდა, ინგლისური ენის პედაგოგების ნაცვლად, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ქართული ენის პედაგოგების ინტერვენცია მოგვეხდინა. ამ რეგიონებში ადგილობრივმა მოსახლეობამ ქართული არ იცის და ინგლისური უნდა ვასწავლოთ?!

რა გამოდის? მარნეულში მცხოვრებ, საქართველოს მოქალაქეს ინგლისურად უნდა ველაპარაკოთ?..

— **ამ პრობლემას გულისხმობდით, როდესაც თქვით, — ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების უფლებებს ლახავსო?**

— გარკვეულწილად, ისიც უფლებებს შელახავა, რომ ადამიანებმა სახელმწიფო ენა არ იციან, მაგრამ „ქრისტიანდემოკრატიებმა“ ამ შემთხვევაში, სხვა რამ ვიგულისხმეთ — ძალოვანი სისტემის ვეტერანებისთვის არათანაბარი პენსიის დანიშვნა გავაპროტესტეთ. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მხოლოდ 2004 წლიდან პენსიაში გასულ ომის ვეტერანებს უნდა გავუზარდოთ პენსია. როდესაც ვიკითხვით, — დანარჩენებმა რა დააშავსეთო? გვიპასუხეს, — ისინი „სუკის“ აგენტები და კორუპციონერები არიანო. 30-წლიანი სტაჟის მქონე პოლკოვნიკებისა და ვიცე-პოლკოვნიკების დანაშაული თურმე ის ყოფილა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ!.. ეს ადამიანები მეხუთე წელია, ისედაც დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და დამსახურებულ პენსიას ვერ იღებენ, ახლა კი საჯაროდ შეურაცხვეს კიდევ. ისე, ხელისუფლება მხოლოდ ომის ვეტერანებს არ ექცევა უსამართლოდ, დიდად არც სხვა პენსიონერებზე ზრუნავს. შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგების მსგავსად, პენსიონერებიც „გააცურეს“. საერთოდ, ბიუჯეტის პარამეტრებით, რომელშიც მომდევნო წლების ბიუჯეტი სავარაუდოდ არის განსაზღვრული, 2015 წლამდე პენსიის 100 დოლარამდე გაზრდა ნამდვილად არ იგეგმება. იმის მერე რა იქნება, ნამდვილად არ ვიცი. მე თუ მკითხავთ, უსამართლო გადაწყვეტილებაა ისიც, რომ რეგიონების მოსახლეობას თბილისელებზე დაბალი პენსია ექნებათ.

— **ფინანსთა მინისტრი განსაკუთრებული ენთუზიაზმით, სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე საუბრობდა, ამ მიმართულებით მაინც თუ არის რაიმე საიმედო?**

— აბა, რა გითხრათ?! ხელისუფლებამ მხოლოდ 5 წლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მსოფლიოში თურმე არსებობს მარცვლეულის ისეთი ჯიშები, რომლებიც სამჯერ უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ქართული მარცვლეულის ჯიშები. იტყუებინან, როდესაც ამბობენ, — სოფლის მეურნეობის სფეროების დაფინანსება უპრეცედენტოდ იზრდებაო. 2009 წელს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 75 მლნ ლარი იყო, 2011 წელს კი 69 მლნ იქნება. უფრო მეტსაც გეტყვით — 2012 წლისთვის ამ სფეროსთვის მხოლოდ 20 მილიონია გათვალისწინებული. ეს „უპრეცედენტო“ 40-მილიონიანი პროგრამა, რომელიც უცხოური, მეტად პროდუქტიული სათესლე მასალის შემოტანაზეა ორიენტირებული, ერთჯერადი აქციაა და მეტი არაფერი. როდესაც სოფლის მეურნეობაში ქვეყნის მოსახლეობის 53%-

ია დასაქმებული, ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 30 ან 40%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, რეალურად კი ჩვენს ქვეყანაში ეს დარგი ერთიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8%-ს შეადგენს. ამიტომ არის ქართული სოფელი ლატაკი. სახელმწიფო არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გლეხს მიწის დამუშავების სტიმული მისცეს. „ვარდების რევოლუციამდე“ გაცილებით მეტი მიწა იხვნებოდა, ვიდრე ახლა. სოფელში გლეხი ოჯახის გამოკვებასაც კი ვეღარ ახერხებს და ქალაქში დამკვიდრებას ცდილობს. ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

— **გასაგებია, რომ საკმაოდ ბევრი პრეტენზია გაქვთ, მაგრამ თქვენმა ფრაქციამ ამ ხარვეზების გამოსასწორებლად რაიმე ინიციატივა თუ მოამზადა?**

— დიას, ბატონო, ინიციატივაც გამოვიჩინეთ და ამის შესახებ ჯანდაცვისა და ფინანსთა მინისტრებსაც ვესაუბრეთ. შეგვირდნენ კიდევ, რომ ჩვენს ინიციატივებს განიხილავდნენ...

— **მაინც რა ინიციატივები შესთავაზეთ?**

— შევთავაზეთ, რომ პენსიებისა და უმწეოთა პროგრამების დაფინანსება გაეზარდათ, ამის სანაცვლოდ კი შემცირებინათ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების დაფინანსება, რომელიც ბიუჯეტის დღევანდელი პროექტის მიხედვით, 100 მილიონს შეადგენს. ამ პროექტის მიხედვით, არაადეკვატურად არის გაზრდილი იუსტიციის სამინისტროსა და სპეცსამსახურების დაფინანსება. ერთი კურიოზული ამბავი უნდა გითხრათ: ახალი ბიუჯეტი ორ სამინისტროს — „ჯანდაცვას“ და „სოფლის მეურნეობას“ ერთდროულად უფინანსებს ფრინველის გრიპის პანდემიისთვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტს. შარშან ეს პროექტი 4 მილიონით დააფინანსეს, წელს კი 2 მილიონი აქვთ ამისთვის გამიზნული. განსაკუთრებულად გავაპროტესტეთ ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება 16 მილიონით იზრდება.

— **„თავდაცვის“ ბიუჯეტი რამდენად გაიზარდა?**

— საერთოდ არ გაზარდილა.

— **რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ ქვეყანა რუსული აგრესიის საფრთხის წინაშე დგას, შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრდის ბიუჯეტს და არა — „თავდაცვას“?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება სოციალური ბუნების ჩასახმობად წინასწარ ემზადება. ხალხი უკვე ისეა გალატაკებული და დამეშუილი, რომ შესაძლოა, მალე ოპოზიციის მონაღების გარეშე გამოვიდეს ქუჩაში. შინაგან საქმეთა სამინისტროში საშუალო დონის პოლიციელებს 50 ლარით უზრდის ხელფასებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბუნტის ჩასახმობად, პოლიციელებს გამოიყენებენ.

„კვირის პალიტრის“ კოლექცია „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შუღვერები და ისტორიები
წიგნი XIII

რემბრანტი

რემბრანტი - 22 ნოემბრამდე

მხოლოდ „ქვირის პალიტრის“ მუთხვერისთვის სპეციალური ფასი 15 ლაში!



„კვირის პალიტრის“ სელომონერთა საყურადღებოდ! წიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ



„სომხური პატრიოტიზმი“ აფხაზეთში და ზღვისპირა კურორტი კიდევ ერთი საფრთხის მოლოდინში

„ისეთივე აბორიგენები ვართ, როგორც ეს გააფხაზებული ტომები“

ალბათ ყველას ახსოვს, 1990-იან წლებში აფხაზეთის ომის დროს სისასტიკით გამორჩეული „ბაგრაშიანის ბატალიონი“, რომელზეც დევნილები და აფხაზეთის მეომრები ლამის ლეგენდებს ჰყვებოდნენ... მაშინ ადგილობრივ სომხებს მიაჩნდათ, რომ აფხაზეთის „გათავისუფლებაში“ თავადაც უნდა შეეტანათ წვლილი, რათა შემდეგ, როცა მშვიდობა დაისადგურებდა, ადგილობრივების წინაშე პირნათელი ყოფილიყვნენ... მაგრამ აფხაზები „სომხურ პატრიოტიზმს“ სხვაგვარად ხსნიან: მათი თქმით, სომხები წინდახედულად მოიქცნენ — მომავალ აფხაზეთში „ადგილები მოიკავეს“ და ახლა „ბიზნესკონტროლი“ მათ ხელშია.

ლალი პაპასკირი

ღერ გამიკონიანი, გაგრელი სომეხი:

— ჩვენ და აფხაზები იდენტურად ვგაერთიანებული არასდროს ვყოფილვართ. ომი იყო და ვიბრძოდით, ჩვენს სახლ-კარს ვიცავდით... სომეხი ვარ, მაგრამ აფხაზეთში დავიბადე და გავიზარდე. გვესროდნენ და ჩვენც ვესროდით. ომს წესები არა აქვს, ამიტომაც, ცოტა ჩვენც მოგვივიდა ზემეტი და ცოტა იმათაც, თორემ ქართველებთან გასაყოფი რა გვექონდა?! ერთი სიტყვით, როცა აფხაზებს უჭირდათ, ჩვენ გვერდში დავუდევით, ახლა კი მტრებივით გვიყურებენ. აფხაზური პასპორტის აღება მომთხოვეს, მაგრამ უარი ვუთხარი. მართალია, აფხაზეთის მოქალაქე ვარ, მაგრამ ოჯახი მყავს სარჩენი, ხელი ხომ უნდა გავანძრიო?! ამ პასპორტით რუსეთში ვერ გადავალ-მეთქი, — ამიტომაც, რუსული პასპორტის აღება ვარჩიე. ცოტა ხანში მოვიდნენ და სურსათის მალაზია დამიწვეს, — ჩვენს ხარჯზე ცხოვრება გვეყოფათო...

— **თავად აფხაზებიც ხომ იღებენ რუსულ პასპორტებს.**

— დიას, მაგრამ ერთმანეთზეც კი ღიზიანდებიან — ასიმილაცია ხდება! დალოცვილო, ამხელა რუსეთის შეეკარნი და ასიმილაცია მოხდება, აბა, არ იქნება?!

— **აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს ასიმილაცია არ გემუქრებათ?**

— არა, ჩვენ ძლიერი გენი გვაქვს... ცნობისათვის — ისტორიული წყაროების თანახმად, პირველი სომხური დასახლებები აფხაზეთში XIX საუკუნეში გაჩნდა. ამ პერიოდში მეფის რუსეთი აფხაზებს ავიწროებდა, რის გამოც, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზებმა სამშობლოს მასობრივი დატოვება დაიწყეს და თურქეთში გადასახლდნენ. ეს პერიოდი აფხაზეთის ისტორიაში მუჰაჯირობის სახელით არის შესული... მათ ნაცვლად კი მეფის რუსეთმა აფხაზეთში რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ერების ჩამოსახლება დაიწყო, მათ შორის იყვნენ სომხებიც. XX საუკუნის შუა პერიოდში აფხაზეთში კიდევ ერთი სომხური ნაკადი ჩამოსახლეს. ისტორიული მო-

ნაცემებით, 1926 წლის აღწერით, აქ სულ 25 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1959 წელს მათმა რიცხვმა 64 ათასს გადააჭარბა, 1989 წელს კი უკვე 76 ათასი ვიყავით. ჩვენზე მეტნი იყვნენ ქართველები, რომლებიც 239 ათასს აღწევდნენ, შემდეგ მოდიოდნენ აფხაზები — 93 ათასი.

— **ბოლო მონაცემები თუ იცით?**

— 2009 წლის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის 30%-ზე მეტს შევადგენთ და ეს მათი თქმით, ბალანსს არღვევს... აფხაზეთი ჩემი სამშობლოა, ჩვენმა ხალხმა მის განვითარებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა, უკან არასდროს დაგვიხევია. ჩვენმა ხალხმა იომა და ახლა აფხაზები გვედავებიან, ჩვენს მიწაზე ცხოვრობთო.

— **რას ითხოვენ თქვენგან?**

— გვთხოვენ, აქ ცხოვრების საფასურად, სომხეთის ხელისუფლებას მივმართოთ პოლიტიკური მოთხოვნით, — აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.

— **ანა, სოხუმელი სომეხი:**

— აფხაზებსა და სომხებს შორის არც აქამდე იყო სიამტკიბილობა, მაგრამ ბოლო დროს, აფხაზები ჩვენ მიმართ რადიკალურად შეიცვალნენ — აგრესიულები გახდნენ, აქ ცხოვრებას გვაყვედრიან... ბიზნესის დიდი ნაწილი სომხების ხელშია, მათ კი რუსი ჩინოვნიკები ჰყავთ ნილში. ამის გამო, სომხური ბიზნესის უსაფრთხოება რუსების ინტერესებშია და აფხაზებიც ამკარად მათ შევიწროებებს ვერ ბედავდნენ, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა, იმიტომ, რომ რუსები დარწმუნდნენ, — ისეთ დაუცველ და კრიმინალურ რეგიონშიც კი, როგორც აფხაზეთია, სომხებს ბიზნესის კეთებაში ბადალი არ ჰყავთ, ჩვენი ხალხი ნებისმიერ სიტუაციაში ახერხებს ბიზნესის წამოწყებას, განვითარებასა და შენარჩუნებას. ამიტომაც აქვთ ყველა ზღვისპირა ქალაქში საოჯახო და მალადი დონის სასტუმროები, რესტორნები, კაფე-ბარები, ტურისტული სააგენტოები (მაგალითად, „კრეატივ-ტური“, რომლის ფილიალები სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში, ახალ ათონსა და ბიჭვინთაშია). ერთი სიტყვით, მსხვილ ბიზნესს ისინი აკონტროლებენ, ოღონდ — რუსების დახ-

მარებით. ეს ყველაფერი რუსებმა იცინა და ახლა ცდილობენ, ჩვენსა და აფხაზებს შორის წყალი ამღვრიონ: რუსეთის სპეცსამსახურები აფხაზებს ჩვენ წინააღმდეგ აქეზებენ, — მათ აქ ცხოვრება აწყობილი ბიზნესის გამო უნდათ; პოლიტიკური ვითარება რომც შეიცვალოს და აფხაზეთზე კონტროლი ისევ ქართველებმა აიღონ ხელში, სომხური ბიზნესი არსებობას მაინც განაგრძობს... აფხაზები ყოველწლიურად ცდილობენ, რომ აქაურმა სომხებმა სომხეთის ხელისუფლებას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით მივმართოთ. იცინა, რომ ამით რეგიონში არსებული პრობლემები არ მოგვარდება, მაგრამ ჩვენ მიმართ ზიზღი აქვთ და კონფლიქტისკენ გვიბიძგებენ...

— **აფხაზები აგრესიას რა ფორმით გამოხატავენ?**

— ყველანაირად. ბოლო დროს უკვე უბრალო ადამიანებს შორის ურთიერთობასაც დაეტყო მათი განწყობილება... ასეთი სურათი იქმნება — რუსი ჩაგრავს აფხაზს, მაგრამ ვინაიდან აფხაზს რუსისგან თავის დაცვა არ შეუძლია, ის ამ აგრესიას სომხის მიმართ იჩენს, თან ამით, რუსეთის გულსაც იგებს, როგორც დამჯერი შვილი — მშობლისას, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ რუსეთისთვის გერად დარჩებიან... ბოლო დროს აფხაზეთში შექმნილი ვითარება 1990-იან წლების წინა პერიოდს, აფხაზებსა და ქართველებს შორის დაძაბულობას ზრდას მაგონებს. შეიძლება ვცდები, მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურები დიდი მონდომებით მუშაობენ მსგავსი შედეგის მისაღწევად. ჩვენი წინაპრები აქ საუკუნის წინ ჩაასახლეს და აფხაზეთში მომდარ ყველა კარგ და ცუდ საქმეში მონაწილეობდნენ... სომხები არიან გუდაუთაში, გულრიფშში, ოჩამჩირესა და სოხუმში, თუმცა ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი გაგრაში ცხოვრობენ. ამიტომაც იქ დაძაბულობა დღითი დღე მატულობს.

— **კი, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნეთ, სომხებს ბიზნესში რუსი ჩინოვნიკები ჰყავთ...**

— დიას, ასეა, მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურები ამ ბიზნესმონილებებს უკან დახევას აიძულებენ... არადა, იქ მცხოვრები სომხები ის ხალხია, ვისი წინაპრებიც ვერ კიდევ მეფის რუსეთის დროს თურქეთიდან გადმოვიდნენ. სწორედ ამ დროისთვის იწყებოდა რეგიონში ადილელების, ყაბარდო-ბალყარებისა და სხვა ჩრდილოკავკასიელი ტომების ჩამოსახლება, რომლებიც შემდეგ, აფხაზებად ჩაენერნენ. ობიექტურად თუ შევფასებთ, ჩემი წინაპარიც ისეთივე აბორიგენია,



როგორც აფხაზი, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მათმა წინაპარმა ეროვნებად „აფხაზი“ აირჩია, ჩემი წინაპარი კი სომხად დარჩა.

— აფხაზების თქმით, 1990-იან წლებშიც და შემდგომშიც, ამ რეგიონში ბევრი სომეხი ჩავიდა და იქ დასახლდა, რის გამოც მათ დემოგრაფიული პრობლემებიც შეექმნათ...

— შესაძლოა, მართლაც ასეა, მაგრამ რა არის ამში ცუდი?! იქაურობას ძირითადად, სომეხური ბიზნესი აცოცხლებს... სომეხების გარდა, აფხაზეთში ბევრი ჩეჩენი და რუსიც ჩასახლდა. დემოგრაფიული პრობლემა მართლაც დგას, მაგრამ ამის მიზეზი ჩვენ კი არაა, არამედ რუსეთია, რომელიც თვით აფხაზეთშიც ხელოვნურად ამწვავებს ვითარებას, — უამრავმა აფხაზმა დატოვა სახლ-კარი და ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად უცხოეთში წავიდა... არის შემთხვევები, როცა რუსეთში წასული აფხაზი იქაურ რუსზე ყიდის თავის სახლ-კარს. მას საკუთარ ქვეყანაში თავის დამკვიდრება უჭირს, რუსს კი ეს პრობლემა არა აქვს. აფხაზეთში ჩამოსული რუსი დამსვენებელი ცდილობს, აქ ფეხი მოიკიდოს და მას ბიზნესის წამოწყებაში ხელს არავინ უშლის, აფხაზს კი ყველანაირად ავიწროებენ. ასეთ შემთხვევებს მასობრივი სახე არა აქვს, მაგრამ მინც ხდება, რაც დემოგრაფიულ სურათს სერიოზულად ცვლის.

ოზარ ციცირაა, სოხუმელი აფხაზი:

— 1990-იან წლებში სომეხებს ჩვენზე მეტი და ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ და იმიტომაც იომეს აფხაზეთში: მათ იცოდნენ, რომ რუსეთი პოზიციას არ დათმობდა... დღეს უკვე ვერავის დააჯერებენ იმაში, რომ სომეხები აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ... რაც შეეხება იმ წლებში სომეხებიდან ჩამოსულებს, რომლებიც „ბაგრაშინის ბატალიონის“ წევრები იყვნენ, მათთვის ისიც ცნობილი იყო, რომ აფხაზეთში ძალზე შეძლებული ხალხი ცხოვრობდა და კარგადაც იხიერეს.

რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ვინც აქ დარჩა, მშვენიერი სახლები აქვთ, ვინც წავიდა, ხელცარიელი არ წასულა...

ვინც ამ ომს შეენერა?

— ისინი აფხაზეთის დამოუკიდებლობას კი არა, თავიანთ საქმეს შეენიერნენ, მაგრამ აფხაზი ხალხი მათ მინც გმირებად მიიჩნევს... ჩვენ მათთვის დახმარება არ გვითხოვია, საკუთარი ინიციატივით ჩაებნენ ამ ომში და ვიცი, რომ აფხაზ მეომრებსა და მშვიდობიან მოქალაქეებსაც ისეთივე სისასტიკით უსწორდებოდნენ, როგორც ქართველებს. უბრალოდ, ომის შემდგომი გაურკვევლობისა და დაძაბულობის პერიოდ აფხაზეთში იმაზე მეტხანს გაგრძელდა, ვიდრე მოველოდით, იმაზე მეტად გაგვიჭირდა, ვიდრე წარმოგვედგინა. ჩვენმა ხალხმა ბევრ რამეზე დახუჭა თვალი და მტყუან-მართალს აღარ გამოვევიდეთ.

— ახლა, ამდენი წლის შემდეგ, რატომ გახდა თქვენთვის მიუღებელი სომეხების იქ ყოფნა?

— ოდესმე ხომ უნდა გამოფხიზლდეთ! ბოლო დროს აფხაზები იმდენად წამგებიან ვითარებაში აღმოვჩნდით, ჩვენივე ქვეყანაში თავს ზედმეტად ვგრძობთ. მხოლოდ მომსახურე პერსონალის ფუნქცია გვაქვს. ყველა აბორიგენობას იჩემებს. სომეხებმა, — ჩვენ ძირძველი მოსახლეები ვართო, კაზაკებმა და ადიღელებმა კი — ქართველებს განდევნაში დაგვხმარეთ და ჩვენთან ვალში ხართო...

— ბოლო დროს რუსულ პრესაში ხშირად წერენ, — აფხაზ ერს ვერ დაიპყრობ, უნდა იყიდოს... რამდენად ახლოს დგას ეს გამოთქმა რეალობასთან?

— ცუდია, თუ ასე იწერება, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რუსეთი ისე გვიყურებს, როგორც მსუყე ლუკმას, რომლის გადაყლაპვასაც ერთბაშად კი არა, თანდათან ცდილობს... დიახ, აფხაზეთში ხალხს ძალიან უჭირს და ხშირ შემთხვევაში, მისთვის არახელსაყრელ შემთავაზებებზეც კი ვერ ამბობს უარს ანუ ადამიანები მზად არიან, ნებისმიერი სამუშაო შესარულონ... ეს შეკითხვა 1990-იანი წლების აფხაზეთის ომამდე რომ დაესვა ვინმეს, სხვანაირი პასუხს გავცემდი (მაშინ სხვა იმედი და განწყობილება გვქონდა), მაგრამ ომის შემდგომი წლები იმდენად მძიმე იყო, რომ ბევრი რამის მიმართ, მათ შორის საკუთარი ხალხის მიმართ, აზრი შემეცვალა: ჩვენ არ ვყოფილვართ მზად დამოუკიდებლობისთვის, არც მატერიალურად და არც მორალურად. ამ დღემდე ყოფნის მიზეზი კი მხოლოდ აფხაზეთის ხელისუფლების არასწორი ქმედებები არ არის.

— ბოლო დროს სომეხების მიმართ უმარყოფილება გაზარდა. რა არის ამის მიზეზი?

— ის, რომ სადაც უნდა მოხვდნენ, ყველგან თავს იმკვიდრებენ და საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ... აფხაზეთი მათთვის ბიზნესშემოსავლის წყაროდ იქცა, სადაც შეიძლება, ყველაფერი იყიდოს და გაყიდოს, ნარკოტიკიც კი... უამრავი ლატაკი სომეხი აფხაზეთში მილიონერად იქცა და აქედან სომეხების სახელმწიფო ბიუჯეტში საჭიოდ დიდი თანხა შეაქვს. მათი რიცხვი ჩვენს ქვეყანაში ყოველდღი-

ურად მატულობს, თუმცა სომეხების ხელისუფლება აფხაზეთისთვის პოლიტიკურ მხარდაჭერას თავს არიდებს, რომ საქართველო არ გააღიზიანოს. თანამშრომლობა და კეთილი დამოკიდებულება ორმხრივი უნდა იყოს. აფხაზეთში ყველანაირ ბიზნესს ისინი აკონტროლებენ და პრივილეგიებით სარგებლობენ, იმიტომ, რომ რისკავენ და აფხაზეთში ინვესტიციის ჩასადებად ჩამოდიან. დღეს უამრავი შეღავათი აქვთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მათი ხელისუფლება აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მათ აქაურობის დატოვება მოუწევთ...

ლედი ინალიაზა, გაგრელი აფხაზი:

— უამრავი სომეხი მეგობარი მყავს და ვერ ვიტყვი, რომ ისინი ბოლო დროს შევიწროებული არიან, პირიქით — 1990-იანი წლებიდან დღემდე, უპირატესობით სარგებლობენ. უამრავ მათგანს ორმაგი მოქალაქეობა აქვს და სომეხთა და რუსეთში უპრობლემოდ დადიან. გაგრაში არის ძალიან დიდი სასტუმრო — „არმენია“, სადაც სომეხებიც მუშაობენ და აფხაზებიც... არ ვიცი, რაში გამოიხატება მათ მიმართ აგრესია, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს კიდევ ერთი ომისგან! მე პირადად, იმ წლებში ისეთი მწარე გამოცდილება მივიღე, მზად ვარ, რაც მათადაც, ისიც კი დავთმო, ოღონდ ომი არ იყოს...



ლეგენდარული „მზიურების“ უღვი მოგონებები, პარსკვლავი და „ოქროს რაში“



„აჩვენეთ ეს გოგონები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება“, — აღფრთოვანებით წარმოთქვა მათი სიმღერებით მოხიბლულმა ერთმა პიროვნებამ, თუმცა „მზიურებს“ დღეს აღარც ახსოვთ, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები — გერმანელ საზოგადო მოღვაწეს თუ ქართველს, ფაქტია, რომ გამონათქვამი საბჭოთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელს, ლეონიდ ბრეჟნევს მიანერეს...

მარინა ბაზუნაშვილი

უკვე მოგესხენებათ, რომ ფილარმონიასთან ახალი ვარსკვლავი გაიხსნა, რომელზეც ოქროსფერი ასოებით აწერია „მზიური“. ანსამბლს 40 წელი უსრულდება და „იავნანას“ საქველმოქმედო ფონდმა გადაწყვიტა, ლეგენდარული კოლექტივის გალა-კონცერტით აღენიშნა ეს მნიშვნელოვანი იუბილე, შემოსული თანხით კი რომელიმე, თუნდაც ერთი მრავალშვილიანი ოჯახი გაეხარებინა. ვარსკვლავის გახსნის თაოსანი, როგორც ყოველთვის, დათო ოქიტაშვილი გახლდათ. კონცერტის ბოლოს აბაშის რაიონში მკვიდრ, მიქაძეების მრავალშვილიანი ოჯახს ბინის გასაღები გადასცეს. ამიერიდან ეს 7-სულიანი ოჯახი ზუგდიდში, კომფორტულ ბინაში იცხოვრებს.

ახლა კი კვლავ იმ „ვარსკვლავოსან“ გოგონებს მივუბრუნდეთ, რომლებმაც გასული საუკუნის 70-იან წლებში ეპოქა შექმნეს — ეპოქა, რომელსაც „მზიური“ ჰქვია.

მათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში რეპეტიციის დროს ვესტუმრე. ეს ქალბატონები „მზიურის“ ჩამოყალიბებისას 7-მ-წლისანი იყვნენ. მიუხედავად „ართინიფერული ასაკისა“, თითოეული მათგანი ისევ იმ პატარა, ცელქი გოგონასავით იქცეოდა, როგორც მაშინ — რეპეტიციაზე ისეთივე რია-რია დამხვდა, როგორიც ფილმში „მზიური“ გვინახავს...

როგორც კი მათმა ხელმძღვანელმა, გურამ ჯაიანმა ხანმოკლე შესვენება გამოაცხადა, ყველას ვთხოვე, გაეხსენებინა წარსული, თითო ეპიზოდი მინც...

გურამ ჯაიანი:

— ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი (საორკესტროზე ვსწავლობდი), როცა პიონერთა სასახლეში დავიწყე მუშაობა. უკვე არსებობდა ბიჭების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, მაგრამ როცა მათ სკოლა დაამთავრეს, ჩვენც დაგვემშვიდობნენ. ერთი სიტყვით, ანსამბლი დაგვეშალა... იმ პერიოდში ერნა თოდუა გახლდათ სასახლის ეს-თეტიკური და მხატვრული აღზრდის განყოფილების გამგე. მან დაგვიძახა რამდენიმეს: კომპოზიტორ გურამ ბზვანელს, ვოკალურ-მუსიკალური წრეების ხელმძღვანელებს — შურა ჯანელიძეს, ციცილო ციციშვილს, რაფაელ კაზარიანს და მე; გვთხოვა, ახალი ანსამბლისთვის დაგვეწყო ბავშვების შერჩევა. სასახლის დიდ დარბაზში ვისხედით და ვბჭობდით. სცენაზე ბიჭების ბოლო კონცერტის შემდეგ დატოვებული ინსტრუ-

მენტები იდგა. გახურებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში ვართ, რომ უცებ სცენიდან ხმაური მოგვესმა. გავიხედეთ და რას ვხედავთ — სხვადასხვა წრიდან გამოსული გოგონები შეკრებილან, ზოგი „ბარაბანს“ მისჯდომია, ზოგი — ფორტეპიანოს, ზოგიც გიტარას ჩაჰფრენია და უკრავენ. გოცებულნი მივაჩერდით... და ერნამ, „ევრიკასავით“, წამოიძახა: მოდი, ამჯერად

გოგონების ანსამბლი იყოსო!.. დავიწყეთ სასახლის მუსიკალურ-საცეკვაო და თეატრალური წრეების ბავშვთა სექტორზე დასწრება, ვინც მოგვეწონებოდა, ანსამბლში ვეპატივებოდით. მასსოვს, ლია ხორბალაძე მაშინ ცეკვაზე დადიოდა და ისე მომეწონა მისი შესრულებული ცეკვა, მოვიდე ხელი და ინსტრუმენტებთან მივიყვანე. მინდოდა, გიტარაზე ან ფორტეპიანოზე მესწავლებინა დაკვრა, მაგრამ ის თვალეზაფართოებული მიაჩერდა დასარტყამ ინსტრუმენტებს და მივხვდი, ლიას ასე ადვილად ვეღარ მოვაშორებდი მათ. 1971 წელი იდგა. იმ ზაფხულს ბავშვები ბაზალეთში, პიონერთა ბანაკ „მზიანეთში“ წავიყვანეთ, სადაც ახლების შერჩევაც განვაგრძეთ. ახალი სახელწოდებაც ბანაკს დავესესხეთ — „მზიური“ ვუწოდეთ. იმავე წლის ნოემბერში, სასახლის 30 წლის იუბილეზე გავმართეთ პირველი კონცერტი და მერე, წავიდა და წავიდა. თვე აღარ ჩაგვიგდია კონცერტის გარეშე. ამას მალე





გადაღებები, გასტროლები და „ბურატინოც“ მოჰყვა. ანსამბლი ყველგან დიდ მოწონებას იმსახურებდა. ხშირად მეკითხებიან, — არ გიჭირდა ბავშვებთან ურთიერთობა? რა თქმა უნდა, იოლი არ იყო 20 გოგონასთან მუშაობა... ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი გახლდათ ეკაკახიანი, ვერ ვაჩუქებდი, სულ ლაპარაკობდა, იცინოდა, ვერცხლისწყალივით იყო. ერთხელ ისე გამომიყვანა მოთმინებიდან, ვტაცე ხელი და სარეპეტიციო დარბაზიდან გავისროლე (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით). მშობლები გარეთ იცდიდნენ და ყველა სახტად დარჩა. ეკას ჰაჰჰჰჰჰ რბბბბ (საბაგელი ჭუკი) დავარქვი, მაგრამ გამოხდა ხანი და ჭუკი გედად იქცა... ნანიკო სანებლიძეს „პატარა პროფესორს“ ვეძახდი — სულ „ბრძოლ აზრებს“ გამოთქვამდა; თამრიკო ჭოხონელიძე ახლა დადინჯდა, თორემ მაშინ თავისი ჭირვეულობით ყველას გვაშინებდა, დედაზე იყო ჩამოკიდებული და სულ მასთან ყოფნა უნდოდა; მაია ჯაბუა ჭკვიანი და სერიოზული გოგონა გახლდათ, მისთვის არასოდეს მიმიცია შენიშვნა... ყველანი ძალიან მიყვარს და როცა მომაკითხვენ ხოლმე, მათთან ერთად ვუბრუნდები ბედნიერ წარსულს.

ათი დეკადიანი (მოკა-ლისტი):

— საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ფესტივალზე რომ მიგვიწვიეს, უზომოდ გავიხარეთ. ჯერ მოსკოვში ჩავფრინდით, იქიდან კი, „მეგობრობის მატარებლით“ (ასე ერქვა), ბუდაპეშტიმ გავემგზავრეთ. ჩვენს ვაგონში აღმოჩნდნენ ცნობილი არტისტები და ხელოვნების მოღვაწენი: ევგენი კინდინოვი, ანდრეი მარტინოვი, ალექსანდრ შერომსკი (პანტომიმისტი, შემდგომში — ფილმ „ბურატინოს“ რეჟისორი) და კიდევ სხვა მსახიობები. მე და ლიას რა მოგვასვენებდა?! გადავწყვიტეთ, ჩამოგვევლო კუპები და გაგვეცნო ისინი. მართლაც, ყველას გავესაუბრეთ, ავტოგრაფები ჩამოვართვით; შერომსკი კი ისე გაერთო და გახალისდა ჩვენთან საუბრით, რომ კარგა ხანს არ გამოგვიშვა კუპედან. მან პანტომიმის რამდენიმე მოძრაობა გვასწავლა და აღვფრთოვანებდას ვერ ფარავდა — უკვირდა, ასე სწრაფად რომ ავითვისეთ. მოგვიანებით, როცა „ბურატინოს“ დადგმა დააპირა, არც

დაფიქრებულა, მთელი ანსამბლი მიგვიწვია.

ლია სორაალაძე (დასარტყავი ინსტრუმენტაჟი):

— როცა ბატონმა გურამმა გამოგვიცხადა, გაგრამი გველოდებიან როლების განაწილებაზე, უზომოდ გავიხარე. იმ პერიოდში ყველა მეუბნებოდა, — საოცარი სამსახიობო ნიჭი გაქვს, ალბათ მსახიობი გამოიხველო. დარწმუნებული ვიყავი, სერიოზულ როლს გამოვკრავდი ხელს. ზღაპარივით მახსოვს ზამთრის გაგრა. თოვდა, ციდან ვეებერთელა ფანტელები ცვიოდა, თოვლიან სანაპიროზე დავსერიოზობდით და უკვე მსახიობებად მიგვაჩნდა თავი... სალ-



ამოს ყველა ერთად შეგვეყარეს და დაიწყო როლების განაწილება. თითქმის ყველა როლი განაწილდა, ყველას გვარი დასახელდა, მე კი არა და არ მაცხადებენ. გულში ვფიქრობ, — იქნებ, ნაკლებად ცნობილი თოჯინის როლი მაინც მერგოს-მეთქი, მაგრამ — არა და არა... მორჩა, დამთავრდა მსახიობობაზე ოცნება, ალბათ მატყუებდნენ და არაფრის ნიჭი არ მქონია-მეთქო, — ვფიქრობ და უეცრად გაისმა ჯერ ყარაბას-ბარაბასის სახელი, მერე კი — ჩემი გვარი. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამ საშინელი და მრისხანე კაცის როლს თუ მომცემდნენ, ვერაფრით წარმომედგინა. გვეგონა, რომ მამილო კარლოს ბატონი გურამი ითამაშებდა, მაგრამ მისი კატეგორიული უარის შემდეგ ამ როლზე ნინო დათუქიშვილი დაამტკიცეს.


ლიანა ცარციძე (მეოპონილი):

— ლიამ არაჩვეულებრივად მორიგო ყარაბასის როლი. როცა შესვენების დროს ყვე-

ლანი ვერთობოდი, ნვერულვაშიანი ლია იჯდა და შორიდან გვიყურებდა: მისთვის გრძელი წვერის დაწებებას ბევრი დრო სჭირდებოდა, ამიტომ დღის ბოლომდე მის მოხსნას აზრი არ ჰქონდა... თავდაპირველად, როცა ანსამბლში მევიოლინედ მიმიწვიეს, დედაჩემმა (მუსიკოსია) ხელები გაასავსავა, — ჩემს შვილს „ჯაბში“ რა უნდაო?! თავი ვანს სცემდა კლასიკას და თუ ვინმე ბახს, ბეთჰოვენს, მოცარტსა და შოპენს არ უკრავდა, მისთვის ყველაფერი — ჯაბი ანუ მიუღებელი იყო... მერე კი დარწმუნდა, რომ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლშიც შეიძლებოდა, ვიოლინო კლასიკურ დონეზე დაეკრათ.

აპა ბოლდრაძე (პას-პიტარა):

— ახლა, 40 წლის შემდეგ უნდა ვთქვა სახალხო, რომ ჩემს შემთხვევაში, ტრეფიკინგს ჰქონდა ადგილი! როგორ?.. როგორ და, სადაც რა ინსტრუმენტი დასჭირდებოდა გურამ ჯაიანს, მე მავალბდა დაკვრას. მახსოვს, კიკეთში ვიმყოფებოდი და თან ბანაკში. იქ რეპეტიციებსაც ვატარებდით, თან ვისვენებდით, მაგრამ როცა სხვები ერთობოდნენ და თამაშობდნენ, გურამი სარეპეტიციო დარბაზში მკეტავდა, გასაღებს ჯიბეში ჩაიდებდა და მეუბნებოდა, — სანამ გიტარაზე, ფლეიტაზე (ან რა ვიცი, კიდევ რაზე) დაკვრას არ ისწავლი, არ გამოგიშვებო... საჭმელსაც კი ფანჯრიდან მანვდიდა ხოლმე კალათით... მაგრამ მიუხედავად „ტრეფიკინგისა“, ის წლები ჩემთვის და ყველა „მზიურელისთვის“ უბედნიერესი იყო. ერთხელ, ჩემს სიმღერას ვწერდით ფილმის გადაღების დროს — თუ გახსოვთ „დო, რე, მი“, როცა

 **რადიო თავისუფლება**

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



ჩვენს ხელმძღვანელს სიმღერა უნდა ვასწავლოთ; ჰოდა, გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელებმა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ყველას ერთნაირი ლამის პერანგები უნდა გვეცმოდა — თეთრი, ფარფატა და კოჭებამდე გრძელი. ოდესაში იყიდეს ოცი ერთნაირი პერანგი და ჩაგვაცვეს... მერე ძალიან დიდხანს დაგვცინოდნენ თანასკოლელები, — რატომ იმღერეთ ეს სიმღერა ნახევრად გახდილებმაო?..

ნანიკო სანუაშვილი (ფორტაპიანო):

— თითქმის მთელი ევროპა გვაქვს მოვლილი. გერმანიაში ყოფნისას ლუნა-პარკში წაგვიყვანეს. გაო-

ლობა, მაგრამ მას ისე ეჭირა თავი, ზედაც არ გვიყურებდა არავის და მერე თავი დავანებეთ.

მაია სირაქი (ფლეიტა, ფორტაპიანო):

— ფილმ „მზიურში“ არის ასეთი ეპიზოდი: პიონერხელმძღვანელი სპორტის სხვადასხვა სახეობაში გვავარჯიშებს. მე ჩემზე გაცილებით უმცროს ლიას ვჭეჭავდი. სცენარით გათვალისწინებულია, რომ მან უნდა წამაქციოს და მეც ძირს ვეცევი. ამის გამო მამა მეხუმრებოდა, — იმ პატარა გოგომ როგორ გაჯობა და ამხელა როგორ წაგაქციაო?! კარგა ხანს განვიცდიდი ამ „დამარცხებას“.

ლის დრო დადგა, ისეთ აზარტში შევედი, სულ დაგვავიწყდა მჭიდრო კაბები და კონცერტის ბოლოს, ყველას შემოხეული ტანსაცმელი გვეცვა.

...გოგონებს კიდეც ბევრი რამ აქვთ მოსაგონარი, მაგრამ გურამ ჯაიანი ყველას თავისთან უხმობს... რეპეტიცია გრძელდება. ვტოვებ „მზიურის“ სარეპეტიციო დარბაზს და მოუთმენლად ველოდები კონცერტს, რომელზეც მიმინვიეს...

9 ნოემბერს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ტევა არ იყო. ყველას სურდა, ამ ლამაზ და ამასთანავე ნოსტალგიურ საღამოს დასწრებოდა. მასზე ხომ, თითქმის ყველა „მზიურელმა“ მოიყარა თავი — მოსკოვიდან თამრიკო გვერდნითელიც ჩამოვიდა, — ყველამ, ორი ლამაზი ნევრის გარდა: ხათუნა დონდუა და ხათუნა საბაშვილი უდროოდ წავიდნენ ამ ქვეყნიდან... დარბაზში მათი შვილები ისხდნენ.

საღამო მიჰყავდათ ჯულიეტა ვაშაყმაძესა და დავით სოკოლოვს — ანუ იმ ადამიანებს, რომელთა თვალწინ დაფრთიანდნენ და გაიზარდნენ გოგონები. ძალიან ამაღლებული ნუთები იყო, როცა მაია ჯაბუამ თავის ქალიშვილთან, ლიზისთან ერთად იმღერა „ლეგენდა თბილისზე“, ხოლო თამრიკო ჭოხონელიძე მარიამთან და პანანინა შვილიშვილთან ერთად გამოვიდა სცენაზე — ყველას გასაოცრად ჩაძინებულ ელენიკოს დედა-შვილმა ერთად უმღერა „იავნანა“... ღია ხორბალაძემ ისეთი ცეცხლი დაანთო დასარტყამ ინსტრუმენტებთან, ხალხის ოვაცია კარგა ხანს არ შეწყვეტილა. საღამოს კულმინაცია კი საქართველოდან დიდი ხნის წინ წასული და მონატრებული თამრიკო გვერდნითელის მინიკონცერტი გახლდათ. ერთიმეორის მიყოლებით შეასრულა: „მუსიკა“, „გრუნდა“, „მრავალჭამიერი“... და ისეთი აპლოდისმენტები დაიმსახურა, მეგონა, მარტო დარბაზში დამსწრე საზოგადოება კი არა, მთელი საქართველო უკრავდა ტაშს... დათო ოქიტაშვილმა გვაცნობა, რომ აპრილში თამრიკო კვლავ გვესტუმრება, სოლო კონცერტს გამართავს და იმ დღესვე ფილარმონიის წინ კიდეც ერთი — გვერდნითელის ვარსკვლავი „აღმცემდება“...

9 ნოემბრის კონცერტმა 70-იან წლებში დაგვაბრუნა და ბევრი ლამაზი ეპიზოდი გავახსენა. ლეგენდარულ ანსამბლს კი პაატა ბურჭულაძის ფონდმა „იავნანამ“ კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის ხელით, ჯილდო — „ოქროს რაში“ გადასცა.



გურამ ჯაიანი შეგირდებისა და მაყურებლების გარემოცვაში

ცებული მივჩერებოდით ყველა საქანელას — ჩვენთვის ხომ ეს უცხო ხილი იყო. სიცილის ოთახში კარგი დრო გავატარეთ, მაგრამ ჩემთვის კინალამ საბედისწეროდ დამთავრდა: იქ იყო ბზრიალა დიდი კასრი, რომელშიც სწრაფად უნდა მოგესწრო შესვლა-გამოსვლა; შესვლით კი შევედი, მაგრამ თავბრუ დამეხვა და გამოსვლას ვეღარ ვახერხებდი. გოგონები კარგა ხანს ვერ მიხვდნენ, რომ ცუდ დღეში ვიყავი, იდგნენ და იცინოდნენ, მეუბნებოდნენ, — გალიაში ციყვი რომ ტრიალებს ბზრიალაზე, იმ ციყვს ჰგავხარო. კასრი კი ტრიალებდა და ტრიალებდა... სანამ არ ვიყვირე, — მიშველეთ, ხალხი არა ხართ, ცუდად ვარ-მეთქი! — მანამდე ვერ მიხვდნენ, რა უნდა ექნათ. ბოლოს, მარინა მასხუღიაშვილი იმარჯვა, მტაცა ხელი და გამომათრია... ყველა გვეკითხება ნიკოზე, — ამ ერთ ბიჭს ხომ არ ჩაგრაგდითო? თავიდან კი გვექონდა ასეთი მცდე-

ნინო დათუპიშვილი (სალაპური):

— „ბურატინოში“ მამილო კარლოს როლი შემხვდა, რადგან ყველაზე მაღალი ვიყავი. უცნაური დამთხვევაა თუ ბედისწერა, ვერ გეტყვით, მაგრამ როცა გავთხოვდი, ჩემმა ქმარმა მითხრა, — მაშინ არ გიცნობდი, მაგრამ რატომღაც, მამილო კარლოს არია მომწონდა ყველაზე მეტადო... არასოდეს დამავიწყდება კრემლში ჩატარებული კონცერტი. თავიდან რამდენიმე კაბა შეგვიკერეს, მაგრამ 2-3 წლის შემდეგ ისინი დაგვიპატარავდა. ამ დროს დაემთხვა კრემლში, კონცერტზე ჩვენი მინივევა. ახლების შეკერვას ვერ ვასწრებდით და იმ კაბებში რის ვივაგლახით „ჩაგეტყნეს“. სანამ სცენაზე გავიდოდით, რუსმა ბიჭებმა შეამჩნიეს ჩვენი გასაჭირი და შაყირი დაგვიწყეს, — გოგოებო, კაბები ხომ არ გიჭერთო?! ჩვენ ცხვირები ავუბზუეთ, მაგრამ როცა ჩვენი გამოსვ-

როგორ შეძენას ქვებმა რაიმეგამა რეკონსტრუქციური საფრენი აპარატი!


საკუთრო ბრძოლები და ღებინდარული ავიატორები! ბაიბატი უფრო გეტი!

29 ნოემბრიდან – 6 დეკემბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მეტხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამბანოშილბიანი (3D) გამოსახულებები

„უეიბინეტ „კვირის პალიტრასთან“ ერთად
„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ნიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდეთ „ულვაჟი“-ს
ტელ: 38-26-73\38 26 74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!



* - მალე



ტომი №10

სერია „ეს სამყაროა“-ს ნიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №9 იყიდება ნიგნის მაღაზიებში



სახე

ექსტრემალური ტელეპროექტი და სიფათიანი ერთი თვე

ანუ რატომ ხოცავდნენ ერთმანეთს ბია სინაძე და თაკო ჰოპიაშვილი?

ქართულ ტელევიზორებში კიდევ ერთი გასართობი პროექტი — „კოდი“ დაიწყო. 2-2 კაცისაგან შემდგარი 4 გუნდი ხან აჭარის მაღალმთიან რაიონში და ხანაც — განმუხურსა და გონიოში ასრულებდა დავალებებს. ბია ცინაძე და თაკო ჰოპიაშვილი ერთ გუნდში თამაშობდნენ. როგორც აღმოჩნდა, წყვილი ხშირად კამათობდა და ერთმანეთს „საფუძვლიანად“ უშლიდა ნერვებს. ერთ-ერთი დავალების შესრულებისას, თაკოს ხელი მოუტეხავს და რედაქციაში თაბაშირში ჩასმული ხელით გვესტუმრა.



ელენე ბასილიძე

— თაკო, საზოგადოება გიას იცნობს, შენ რას საქმიანობ?

— სამოდელიო სააგენტო „არტ ფეისის“ ხელმძღვანელი ვარ. მოდელი გახლავართ. ვმუშაობდი გადაცემა „ვა-ბანკში“, ერთ-ერთი კეისის მფლობელი გახლდით...

— პროექტში როგორ აღმოჩნდით?

ბია:
— ერთ დღეს, გადაცემის ერთ-ერთი პროდიუსერი, ბაჩანა ხაზარავა შემხვდა. მითხრა, რომ ძალიან საინტერესო პროექტს აკეთებდა და მონაწილეობა შემომთავაზა. როგორც კი გადაცემის სპეციფიკა ამისხსნა, თვალები გამიბრწყინდა. ბავშვობაში ხშირად დავდიოდი მთაში, ბოლო 15 წელია, რაც ასეთი სტილის ცხოვრებას შევეშვი და მივხვდი — ამ პროექტის საშუალებით, კიდევ ერთხელ დავბრუნდებოდი წარსულში.

თაკო:
— პროექტში მონაწილეობა გიგა აგლაძემ შემომთავაზა. ფიქრისთვის ბევრი დრო არ მქონდა და იოლად დავთანხმდი მის წინადადებას. თავადაც მივივრს, როგორ გავრისკე?! კარავში არასოდეს მიძინია და არც ექსტრემალურ პირობებში მიცხოვრია ოდესმე. ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ვარ და მაინტერესებდა, როგორ გავძლებდი ასეთ გარემოში, მოვახერხებდი თუ არა თავის მოვლას... პროექტში ყოფნისას, მგონი, ყველაზე

მეტად მე მიჭირდა. ძალიან მეტატრებოდა თბილისი და ჩემი სახლი... მერე კი, ქალაქში რომ ჩამოვედი, 2 დღე ვტიროდი, ვერაფრით შევეგუე აქაურობას, ვერ ვხვდებოდი, რა უნდა გამეკეთებინა თბილისში...

ბია:
— ამ გადაცემისათვის 4 გუნდი შეიქმნა. უნდა გვეცხოვრა ტყე-ღრეში, ექსტრემალურ პირობებში, კარავში... უნდა მოგვეხერხებინა თავის გატანა და ამავე დროს, გვეძლეოდა სპეციალური დავალებები, რომლის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევდით მთავარი პრიზის — 40.000 ლარისკენ, რომელიც საუკეთესოდ მოთამაშე გუნდს გადაეცემა. იქ ისე ვთამაშობდით, პრიზი და მოგება აღარავის გვახსოვდა. განცდილმა და ნანახმა ხომ სრულიად დაგვაშინჯა. შესაბამისად, კონცენტრირება თამაშზე მოვახდინეთ და არა — საპრიზო თანხაზე.

თაკო:
— ჩემთვის მთავარი — გამარჯვება იყო. ვიცი გამარჯვების გემო და ვცდილობდი, კარგად მეთამაშა. თამაშის დროს ერთადერთი უარყოფითი ის იყო, რომ გია ნერვებს მიშლიდა...

ბია:
— რაც ჩამოვედი, მას მერე მიხვდა, რომ ძალიან თბილი და საყვარელი ვარ. იქ ვცდილობდი, თაკო „დამეყოქა“, მაგრამ ის ვერ გავითვალისწინე, რომ ამით მას ნერვებს

ვუშლიდი და ვაკომპლექსებდი.

— შენ „დაქოქვა“ რაში გამოიხატებოდა?

თაკო:
— მე გეცყვი: გია მეტისმეტად ძლიერი მოთამაშე იყო და მივიჩნევი, რომ ჩემი სახითაც საკმაოდ ძლიერი მეწყვილე ჰყავდა გვერდით. გუნდური პრინციპით რომ გვეთამაშა, უკეთესი იქნებოდა. მაღე ყველა ნახავს, რომ მთელი თამაშის განმავლობაში სულ მეჩხუბებოდა და შენიშვნებს მაძლევდა. მე მხოლოდ მაშინ მემატება სტიმული, როცა მეუბნებიან, რომ მაგარი ვარ. გია კი, — აქ წადი, იქ წადი, ეს არ დაიწყო, ასე არ ქნაო, — მეუბნებოდა. თამაშის მთელი დრო იმაში იკარგებოდა, რომ ან რაღაცას მარიგებდა, ან მიჩინებდა. ჩემს მეგობრებს არ უნდოდათ, ამ პროექტში მიმელო მონაწი-



იღობა, რადგან ძალიან ემოციური ვარ. სულ მაფრთხილებდნენ, — თავო, შენ იქ იჩხუბებო... იმდენად დავაჯერე თავი, რომ არ უნდა მეჩხუბა და განონასწორებული ვყოფილიყავი, მთელი თამაშის განმავლობაში გია მეჩხუბებოდა, მე კი წყნარად ვიყავი. თავს მეტისმეტად ვაკონტროლებდი და შეიძლება, ეკრანზე ძალიან სანყალი გოგონა გამოჩნდებოდა, რომელსაც გია მუდამ ეჩხუბებოდა.

ბია:

— არა მთლად ასეც არ იყო საქმე. ამ დარიგებებისა და შეგონებების შემდეგ, თავომ რამდენჯერმე შემომბრუნა სიტყვა და ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო! არა იმიტომ, რომ მეგონა, თავო არ წამეჩხუბებოდა, არამედ — არ მეგონა, თუ მას ასე ვაბრაზებდი. ამას სულ სხვა მიზნით ვაკეთებდი და როცა თავომ რამდენჯერმე ჩემი საყვედურის გამო თავადაც მისაყვედურა, ძალიან მეწყინა, რომ მას ჩემი დარიგებები არასწორად ესმოდა და სწყინდა...

თაპო:

— ძალიან მიჭირდა. ერთხელ ისიც კი ვიფიქრე, პროექტიდან ხომ არ წავიდემეთქი?! მაგრამ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა მიყვარს და ვერ დავუშვი ის აზრი, რომ ამ კინკლაობის გამო პროექტი დამეტოვებინა. ჩვენი გუნდი კონფლიქტებით გამორჩეული იყო, ვსოცავდით ერთმანეთს (იციინან!).

ბია:

— თავო, ახლა ხომ გიყვარვარ?
— კი, ახლა მართლა ძალიან მიყვარხარ...

— არ გიფიქრიათ, უთანხმოების მიზეზი გაგერკვიათ?

— ჩვენი პრობლემა სწორედ ის იყო, რომ საერთოდ არ ვსაუბრობდით... გია ძირითადად, თავის მოწესრიგების გამო მსაყვედურობდა. მინდოდა, მუდამ სუფთა ფეხსაცმელი მცმოდა, ხშირად ვიხედებოდი სარკეში... ფრჩხილებსაც ვიკეთებდი, ოღონდ მაშინ, როცა არ ვთამაშობდით და ამისათვის დრო მრჩებოდა. ჰოდა, გია ამაზე გიჟდებოდა. იცით, ყველაზე საკვირველი რა იყო? ჩემი მენ-



ყვილე, მამაკაცებს შორის, ყველაზე მოწესრიგებული გახლდათ და თავის მოვლის იმდენი საშუალება ჰქონდა წამოღებული, ჩემს ნივთებსაც კი აჭარბებდა, მაგრამ პრანჭია მე უფრო ვჩანდი, რადგან ხშირად ვიხედებოდი სარკეში...

ბია:

— მეც მეტისმეტად „ბენიკი“ ვარ. სისუფთავესთან დაკავშირებით, ჩემი „ნიკები“ მაქვს, მაგრამ როცა შეგიძლია, მოეშვა და დაისვენო, ამას რატომ არ აკეთებ?! ისე, უმაკიაყო გოგონები უფრო მომწონს და პროექტში მონაწილე ქალბატონებიც მაკიაჟის გარეშე არაჩვეულებრივად გამოიყურებოდნენ. თავიდან კი ვაფასებდი მათ, მაგრამ მერე, შიმშილი და წყურვილი რომ მოგვექალა და თან ქალბატონებიც გაჭუჭყიანდნენ, მათკენ გახედვაც აღარ მინდოდა (იციინან).

მე და თავო პროექტამდე ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სრულიად განსხვავებული ტიპის ადამიანები ვიყავით და ამიტომ ვკამათობდით ხშირად. სხვათა შორის, ლალი მორიშკინაც ხშირად კამათობდა თავის მენეჯერსთან. დანარჩენები გუგულებივით იყვნენ.

— თავის მოწესრიგება ექსტრემალურ პრობლემაში გინევდათ. ცივ წყალში ბანაობა არ გაგიჭირდათ?

— არ დაგავიწყდეს, რომ ყველაზე ლამაზ და მდიდარ ქვეყანაში ვთამაშობდით. პირველად მთაში წავედით, სადაც თოვლი იდო, ბარში ჩამოსულები კი ზღვაზე მზის აბაზანებს ვიღებდით. ბოლოს იმდენად გავბინძურდით, ზღვის წყალიც ძალიან სუფთა გვეჩვენებოდა. სიმართლე გითხრა, ჩვენი ჰიგიენური პრობლემებით ერთმანეთი არ შეგვიწუხებია.

თაპო:

— ყველა დამეთანხმება, რომ ტყეში ცხოვრება ადვილი არ იქნებოდა. პირველად, გოდერძის უღელტეხილზე წავედით. ძალიან ციოდა, ნისლი იყო და ღამით კარვის გარშემო ტურები დადიოდნენ. თანდათანობით ისე შევეჩვიეთ ამ გარემოს, დისკომფორტს აღარ ვგრძობდით.

ბია:

— ამ პროექტის წყალობით, პირველად ვიყავი მთიან აჭარაში და მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენი იქ წყვანა გადამწყობდა. ულამაზესი გარემო ვნახეთ და მომავალშიც დიდი სიამოვნებით მოვიწახულებ ამ ადგილებს. სიახლე იყო ჩემთვის აჭარლების გაცნობაც. ქართველებს სტუმრის მიღება-დახვედრა არ



გვემუშა, მაგრამ იქ განსაკუთრებული სიტუბო და სიყვარული გვაგრძობინეს.

— მოლოდელ საჭირო ნივთები გქონდათ თან, არა?

თაპო:

— საკმაოდ ბევრი ნივთი წავიღე და ძალიან ვინანე, რადგან მძიმე ბარგის ზურგით თრევა მინევდა.

ბია:

— ძალიან ბევრი ტანსაცმელი წავიღე და რამდენიმე ხელი ისე ჩამოვიტანე, ერთხელაც არ ჩამიცვამს. ტანსაცმლის ნაწილს ტყეში ვმალავდი, რომ მძიმე ჩანთა ყველგან არ მეთრია. ნუკი კოშკელი იშვილს ფენი ჰქონდა წამოღებული — ნეტავ, სად აპირებდა მის შეერთებას?.. მერე ეს ფენი პროექტის ავტორებს გამოადგათ — დასველებული კამერა გააშრეს და ნუკის მადლობაც გადაუხადეს მისი წამოღებისთვის.

— გია, თუ იყო თავის ნივთებში ისეთი რამ, რაც არ უნდა წამოეღო და ძალიან გალიზიანებოდა?

— სარკე!

თაპო:

— თან, ერთი კი არა, ორი მქონდა წამოღებული. ვიფიქრე, ერთს რომ „რამე დაემართოს“, მეორეს გამოვიყენებ-მეთქი. წაღებული მქონდა ტანის ლოსიონებიც, რომლებსაც ზღვიდან ამოსვლის შემდეგ ვისვამდი...

— რომელი დავალების შესრულება გაგიჭირდათ?

ბია:

— ერთ-ერთი თამაშის დროს, იმ კლდეზე უნდა აესულიყავით, რომლიდანაც ჩანჩქერი გადმოდის, გვეპოვა მინიშნება და იმავე გზით დავბრუნებულყავით უკან... ჩამოსვლისას, თოკი წყალში გადაამივარდა და ძალიან გამიჭირდა გამოსვლა. იმდენი წყალი მესხმებოდა ზედ, ვეღარ ვსუნთქავდი და მოძრაობაც მიჭირდა. ბოლოს ძალა მოვიკრიბე და სიტუაციიდან გამოვეპყვი.

თაპო:

— წყალი თავზე გადასდიოდა, რამდენჯერმე კლდესაც მიეჯახა და ძალიან შემეშინდა... სულ დაუყუილი ჩამოვიდა ძირს. ყველაზე მეტად ის მძაბავდა, რომ ხშირად ვკამათობდით, თორემ გადაულ-



ახავი დავალებები არ გვექონდა. ცივ წყალში ფოტოსესიაც კი მოვანწყვე.

ბია:

— ერთი დავალება გვექონდა: ყინულივით ცივ წყალში უნდა შევსულიყავით და რალაც მოგვეძებნა. მონანილებს ვთხოვე, — უარი ვთქვათ ამ დავალებაზე, დაე, დაგვაჯარიმონ-მეთქი! არავინ დამეთანხმა და როცა მდინარეში გაგა ჩისლაძე შევიდა, ლამის გამოასვენეს. ფსიქოლოგიურად მოვემზადე და წყალში რომ ჩავედი, არც ისე ცივი მომეჩვენა. ძებნის დრო რომ ამოინურა, — დრო გამიგრძელეთ-მეთქი, ვითხოვედი. იქიდან ისეთი ენერჯით დამუხტული გამოვედი, მთებს გადავდგამდი... მასსოვს, ძალიან გაგვიჭირდა ერთ-ერთი მინიშნების პოვნა, რომელიც თურმე ჩვენ ცხვირწინ იდო და სადღაც ჯანდაბაში ვუძებდით. იოლი გზის მაგივრად, პირდაპირ რთული გზით ვუძებდი ყველაფერს. არადა, თურმე შეცდომაში შევყავდით... ერთადერთხელ მოგვივიდა ყველა მონანილეს ერთმანეთთან კამათი და, ამაზე გაბრაზებულები, მე და თავი თამაშისას ნერვებს ავყვეით. მივიჩნევე, რომ ის ტური ჩვენ არ გვითამაშია — შეგვეძლო, ლიდერობა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ იმ გაბრაზებამ ძალიან იმოქმედა ჩვენზე...

თაპო:

— გაა იმდენად ძლიერია, დავალების შესასრულებლად არ ფიქრობდა, პირდაპირ რთულ გზას ირჩევდა, ძალიან დიდ ენერჯიას ხარჯავდა, გაცივებული ვიყავით... მინიშნების ძებნისას, — აქ არ მოხვიდა, შენ მაგ მხარეს მოძებნე! — მიყვიროდა და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ის ყუთი იმ ადგილას იყო, სადაც გაა ეძებდა. მიუხედავად მისი საყვედურებისა, როცა მას რაიმე ეშლებოდა, ვცდილობდი, არაფერი მეთქვა. ვიცოდი, შეცდომა ძალიან განიცდიდა და ზედმეტად აღარ ვანერჯივებულა.

ყველა გუნდი ერთსა და იმავე დავალებას ასრულებდით?

— კი, ყველა გუნდი ერთ დავალებას ვასრულებდით. გამარჯვებულად ის გუნდი ითვლებოდა, რომელიც უფრო სწრაფად შეასრულებდა დავალებას. ჩვენ ერთ-ერთი ლიდერი გუნდი ვიყავით, მაგრამ ერთი მინიშნების ძებნას ბევრი დრო მოვანდომეთ და ჩამოვკვეითდით.

საპირისპირო სქესის ორი წარმომადგენლის ერთ კარავში ცხოვრება საკმაოდ დიდი ინტრიგაა...

— ...და ინტრიგადვე დარჩება მყურებლისთვის... მე ორი თვეც შემიძლია ვიცხოვრო ქალთან ერთად და მას მეგობარვით ვუყურებდე... სხვათა შორის, ჩემი უხეში ხუმრობები თავის მიმართ იმაზე იყო გათვლილი, რომ პირველი რამდენიმე ღამის განმავლობაში უცხო ადამიანთან ცხოვრებას არ დაეკომპლექსებინა. პირველივე დღიდან გაუხსენი „ღადაობის გზა“, რომ „ბუად“ არ აღვექვი და

ჩემი არ შეშინებოდა. თამაშის ბოლოს თავი ძალიან გაიხსნა.

თაპო:

— გიასთან ცხოვრების დროს არანაირი უხერხულობა არ მიგრძნია. ერთი ის იყო, რომ „მიმულამებდა“, რაზე ვბრაზდებოდი და კამერებთან ისეთ რამეებს ლაპარაკობდა, საშინლად მეშლებოდა ნერვები. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა და ვწუხდებოდი, მაგრამ პროექტის ბოლოს, ერთი-ორჯერ მისნაირად ვთქვი რალაც და გაუხარდა, — აი, ახლა დაემსგავსე ადამიანსო!

ხელი როგორ მოიტყვე?

— ერთ-ერთი თამაშის — „ლელოს“ დროს ბურთს ხელი დავუხვედრე და იმდენად მძიმე იყო, ხელი მომტყნა... თამაში მივატოვე, მაგრამ გიამ მარტომაც გაართვა თავი ყველაფერს და ჩვენმა გუნდმა მოიგო.

ბია:

— თავი პროექტის მინურულს მოიტყნა ხელი. მანამდეც რომ დაეზიანებინა ხელი, თამაშს მარტო განვაგრძობდი. თუ მას რაიმეს გაკეთება არ შეეძლო, მე ვაკეთებდი ხოლმე.

ალბათ ძალიან ბევრს ხალისობდით კიდევ...

თაპო:

— კი. ერთი დავალება გვექონდა, რომელზეც მე და გიამ მაგრად ვიხალისეთ. ტომრები იყო ჩამოკიდებული, რომელიც ქანაობდა და მათ შორის ისე უნდა გაგვევლო, არ შეგვებოდა. ზოგიერთი მოთამაშე ამ დავალებას ისე სასაცილოდ ასრულებდა, იქ მყოფი მთელი გადაღები ჯგუფი სცილილთ კვებოდა, მათ შორის — ჩვენც.

ბია:

— მთელი გადაღების პერიოდი ხორხოცი და ლადაობა იყო. თბილისიდან

ბათუმამდე ჩასვლას 12 საათი მოვანდომეთ. გვექონდა ტამ-ფანდური, ზოგს გაჩერება მოუნდებოდა, ზოგს — გასეირნება, მძლოლი იმდენს იცინოდა, მანქანა ვეღარ მიჰყავდა. მასსოვს, ასეთი დავალება მოგვეცეს: აჭარაში ერთ-ერთ მოსახლესთან უნდა მივსულიყავით, მოგვეპოვებინა მისი კეთილგანწყობა, დავპირებოდით, რომ ყველაფერში დავეხმარებოდით და დღის ბოლოს, ვახშობისა და ღამის გათენების ნებართვა უნდა გვეთხოვა, ოღონდ — ეზოში, ჩვენსავე კარავში დავგვეძინა... ვიპოვეთ ერთი ოჯახი, დავუძახეთ დიასახლისის, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, მან სახლში არ შეგვიშვა. თხუთმეტობილედ წუთში კი ლენუკასა და გაგას გუნდს უმასპინძლა...

თქვენ რატომ დაგინუნათ?

— ხანში შესული ქალბატონი იყო; ჩვენი ამბავი რომ ავუხსენით, — დღეს ბათუმში მივდივარ, ბოდიში, მაგრამ სახლში ვერ შემოვიშვებო, — გვიპასუხა... მერე პატარებმა მიცნეს და, — ბებო, დატოვე, დატოვეო, უთხრეს, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ლენუკამ და გაგამ კი, როგორც კი ეზოში ფეხი შედგეს, გულის მოგება დაუწყეს ბებოს: კეთილი იყოს ჩვენი ფეხი, ღმერთი გვარავდეთო! — უთხრეს. მე და თავი მხოლოდ თამაშზე ვფიქრობდით, დიასახლისის მოთავჯლა არც გვცდიდა. ბოლოს გავიგეთ, რომ იმ ქალს თურმე იელოველები ვეგონეთ.

გია, გადაცემის ანონსში ერთ-ერთ კადრში გველი გიჭირავს...

— ერთ-ერთი დავალების რამდენიმე ეტაპი გავიარე. მეგონა, ყველაფერი დამთავრდა და მინიშნების ამოსაღებად, ხელი ორმოში ჩაყავი, სადაც უამრავი გველი დამხვდა... მინიშნება ამოვიღე, გველიც „ამოვავალო“ და ცოტა „ნავეთამაშე“.

თაპო:

სულ რამდენი ადგილი მოიარეთ?

— ვიყავით გოდერძის უღელტეხილზე, სულოში, მწვანე კონცხზე, ქედში, ბათუმში, განმუხურში, ანაკლიაში, გონიოსა და კვარიათში...

ერთი ადგილიდან მეორეზე ფეხით გადადიოდით?

— ძირითადად ფეხით, მაგრამ აჭარიდან განმუხურში ტრანსპორტით წავდივით.

როგორც ვიცი, გამარჯვებული ჯერჯერობით არ გამოვლენილა, არა?

ბია:

— მართალია. ჯერ ეთერში გავა ის, რაც უკვე გადაღებულია, და მერე უკვე ფინალური თამაში დაიწყება, სადაც ოთხივე გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ძალიან გვიხარია, რომ კიდევ ერთხელ გვექნება საშუალება, არაჩვეულებრივ ბუნებაში ვიმოგზაუროთ...





ნიკა ქავთარაძე — დირექტორის რანგში

„ჩემთვის მთავარია, ერთი გუნდი ვიყო“

მას შემდეგ, რაც „ტელე-იმედის“ „ინტუიცია“ ნიკა კალატოზიშვილს გადააბარეს, სხვა გადაცემებში სტუმრობას თუ არ ჩავთვლით, ნიკა ქავთარაძე ეკრანზე აღარ გამოჩენილა. ამიტომ, მისი ამჟამინდელი საქმიანობით დაინტერესდით და ახალი ამპლუის შესახებ ვესაუბრეთ.

თამთა დაღვაძელი

— ოქტომბრიდან, „რადიოქალაქის“ დირექტორი გახლავართ. ამ რადიოს ხელმძღვანელებთან დიდი ხანია, ურთიერთობა მაქვს, უბრალოდ, გადანაცვლებების მიღება ცოტა დროში გაინელა. ჩამოვყალიბდი და მივხვდი, რომ უფრო სერიოზულ საფეხურზე გადასვლა (მედიამენეჯმენტს ვგულისხმობ) ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ის ფორმატიც, რომელიც მოვიფიქრეთ და ავამუშავეთ, საინტერესო და საპასუხისმგებლოა.

— კონკრეტულად, რა ფორმატზეა ლაპარაკი?

— ჩვენი რადიოს ეთერით მთელი დღის განმავლობაში, საათში 4-ჯერ გავა თემატური ახალი ამბები — პოლიტიკა, კულტურა, ბიზნესი და სპორტი. მინდა აღვნიშნო, რომ აქ ძალიან ძლიერი, ნიჭიერი, პროფესიონალი და მოტივირებული ჟურნალისტთა გუნდი მუშაობს. დღის განმავლობაში დიდი რაოდენობის ექსკლუზიურ მასალას აგნებენ და მსმენელს აცნობენ. დინამიკური, თანამედროვე, ხარისხიანი რადიოს შექმნისკენ მივდივართ და ამ გზას არ გადავუხვევთ.

— როგორი ხართ უფროსის ამპლუაში?



— პირველად არა ვარ — ძირითადად, სულ უფროსი ვიყავი, ჩემს მეგობრებთან ერთად... რადიოს

ჩემი საყვარელი ზღაპრები

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად პატარების საყვარელი ზღაპრების თითო წიგნი!

ვახანო პატარა საყვარელი ზღაპრების!

წიგნის ფასი 4 ლარი (ჟურნალთან ერთად 5 ლარი)

19 ნოემბრიდან 26 ნოემბრამდე

უკვე გამოსული წიგნები შავიძლიანთ შავიძლიანთ წიგნის მაღაზიაში!



დირექტორობა საპასუხისმგებლოა და შესაბამისად, მთავარია, კოლექტივში თითოეულ ჩვენგანს გააზრებული გვექონდეს, თუ რა წილი პასუხისმგებლობა გვაკისრია და რა ვალდებულებები გვაქვს. ამას კი ყველა ვასრულებთ, უფროსიც და უმცროსიც. უაზრო შენიშვნებს არავის ვაძლევ, ჩემთვის მთავარია, ერთი გუნდი ვიყოთ, რომელიც ერთი დიდი საქმის კეთებითაა დაკავებული და ვინც ამ გუნდის წინააღმდეგ არ წარმოიდგენს საკუთარ თავს, მასთან რა აზრი აქვს საუბარს, ჭკუის დარიგებას ან საყვედურს?!. როტაციის პრინციპია — იგი წავა და სხვა მოვა...

მკაცრი ხართ?

— არა მგონია. მკაცრი და მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ ვარ. მთავარია, ადამიანი პასუხისმგებლობით მოექიდოს საქმეს. აქაური კოლექტივით კმაყოფილი ვარ. არ არის აუცილებელი, სიმკაცრე პიროვნულ დონეზე იყოს, მკაცრი ის სისტემა შეიძლება იყოს, რომელიც მუშაობს. ადამიანური ურთიერთობების დონეზე სიმკაცრეს პოზიტიური შედეგები არა აქვს. მთავარია, დასახული მიზნისაკენ ერთად და კარგად ვიაროთ, რაც შეიძლება პროდუქტიულნი ვიყოთ საქმისთვის.

ხომ არ გეგმავთ რაიმე საავტორო, თუნდაც იუმორისტული გადაცემის მომზადებას?

— არ არის გამორიცხული. რამდენიმე საინტერესო პროექტზე ვფიქრობთ. ვნახოთ... ვერ ვიტყვი, რომ იუმორისტული იქნება, უფრო — სატირა და მსმენელს გაგახარებთ. მთავარი ის არ არის, ჩემი გადაცემა მექნება, თუ — არა, მთა-



ვარია, ეს რადიო გახდეს ღირსეული, თანამედროვე სტანდარტების მედიასაშუალება, რადგან სტერეოტიპული მიდგომების დანგრევას ვცდილობთ. ეს იოლი გზა არ არის, მაგრამ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

— არ შეიძლება არ შევეხოთ „ტელე-იმედის“ თემას: რა იყო თქვენი წამოსვლის (თუ დათხოვნის) რეალური მიზეზი?

— მიზეზი ძალიან კონკრეტული იყო: ზაფხულში, ბოლო თათბირზე გადაწყდა, რომ გადაცემა იმ სეზონში დამთავრდა და სექტემბრიდან აღარ გაგრძელდებოდა. შემდეგ კი გადაცემის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ის სხვა ჯგუფს ჩააბარეს, რომელმაც გადაწყვიტა (აღბათ არხის ხელმძღვანელობასთან ერთად), წამყვანად ნანკა კალატოზიშვილი აერჩია. კასტინგი ბევრად უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე თვით გადაცემა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემთვის იქ გატარებული დრო ძალიან დადებითი, პოზიტიური იყო და ჩემი შესაძლებლობები, უნარები კიდევ ერთხელ შევაფასე. ძალიან წამადგა საქმის კეთების იმ განწყობილების შესაქმნელად, რაც ახლა მაქვს. ის რეჟიმი, რომელიც სულ ფორმაში ყოფნას გაიძულებს, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობას ზრდის. დიდი მაძლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვინც თავის დროზე ჩემზე შეაჩერეს არჩევანი, და მაყურებელსაც, ვისაც მოვწონდი. ახალ ჯგუფს კი წარმატებებს ვუსურვებ. ჩვეულებრივი, მოქნილი პროცესია, როცა რაიმე გადაცემის წამყვანი იცვლება. რომ გითხრათ, რალაც სენტიმენტები მაქვს-მეთქი, მოგატყუებთ; ამ ამბავს პრესა და საზოგადოება მახსენებს ხოლმე.

— და მაინც — გული არ დაგწყდათ?

— ადამიანისთვის, რომელიც ერთხელ მაინც უზიარება ხალხის ტაშს, საზოგადოებასთან ურთიერთობას, სტუდიის ატმოსფეროს, ყოველთვის სასიამოვნოა ამ სფეროში საქმის კეთება, მაგრამ გულის დაწყვიტის მომენტი არ მაქვს. იყო და გაიარა. 32 წლის ვარ, ზოგი ამ ასაკში იწყებს საქმის კეთებას და მე თუ იმაზე დამწყდა გული, რაც უკვე იყო, მაშინ საერთოდ, ცხოვრებაზე უნდა ავიღო ხელი (იცინის)... ეს იყო კონკრეტული გამოცდილება, რომლითაც დამატებითი „პლუსი დამეწერა“. სიმართლე რომ გითხრა, რაც რადიოში ვარ, ტელერეიტინგებს არ

ვადევნებ თვალყურს და იმედი მაქვს, „ინტუიციას“ ისეთივე კარგი რეიტინგი აქვს, როგორც ადრე ჰქონდა. ეს გადაცემა არც ერთ ქვეყანაში არ მიჰყავს ქალს, უპრეცედენტო მოვლენაა და კარგია, რომ ნანკამ გარისკა.

— ბევრი სამუშაო ადგილი გაქვთ გამოცვლილი. როგორ ვგუზობით ხოლმე ახალს და რამდენად კარგად ახერხებთ ადაპტაციას?

— მე არც ერთი ტელევიზიის თანამშრომელი არ ვიყავი. ყველგან, დამოუკიდებელი სტუდია ვიყავით და კონკრეტული დაკვეთები გვექონდა. ამას „საქმეს“ დავარქმევდი და არა „სამსახურს“. აღბათ ერთადერთი ადგილი, სადაც „ვმუშაობ“, ეს არის „ფორმულა კრეატივი“, რომლის მოქმედების არეალია — კინო, რეკლამა, მუსიკა და ა.შ. ამ ჯგუფთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია, უბრალოდ, ამ კონკრეტულ საქმეს დამოუკიდებლად ვაკეთებ. იმ ფორმატს არასტაბილურობა ახლავს, რაც შემოსავლის თვალსაზრისით, არასასიამოვნოა, მაგრამ რაც უფრო მეტ ახალ და განსხვავებულ რამეს შეეხები ცხოვრებაში, მით უკეთესია. დარწმუნებული ვარ, აქ ჩემი მუშაობა ხანგრძლივი იქნება, სხვა მასშტაბის საქმეებზე დგას, სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით.

— შრომის ანაზღაურებით კმაყოფილი თუ ხართ?

— სიმართლე რომ გითხრათ, ამ შემთხვევაში, შრომის ანაზღაურება არ არის „მოტივატორი“. ჩვეულებრივი გასამრჯელო მაქვს, რომელზე საუბარიც არ ღირს. მთავარი — საქმის მასშტაბი და ხედვის არეალია.

— რომელიმე ტელევიზიიდან შემოთავაზება რომ მიიღოთ, უარს იტყვით?

— თუ ეს ბევრ დროს არ წაიღებს, პარალელურად, დიდი სიამოვნებით გავაკეთებ რამეს. ნებისმიერი დამატებითი საქმე ახალი გამოცდილებისა და ურთიერთობების მომტანია. ასე რომ, ჩემთვის პრობლემა არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე, გამოვრიცხავ ისეთ შემოთავაზებაზე თანხმობას, რომელიც ამ კონკრეტულ საქმეზე ხელს ამაღლებინებს და სხვა რამეზე გადამრთავს. თუ ვინმე ჩემით დაინტერესდება (დარწმუნებული ვარ, ასეთები კიდევ ბევრნი იქნებიან ჩემს ცხოვრებაში), ყველა წინადადებას განვიხილავ და საუკეთესოს შევარჩევ.

— წარმატებებს გისურვებთ!



სერიალიდან დაწყებული მეგობრობა და იდეალური პარტნიორები

ანუ სად გაუზღეს სამოგზაუროდ ჯაბა კილაძე და სალომე ჭულუსაძე?

ჯაბა კილაძისა და სალომე ჭულუსაძის ტანდემი სერიალს „შუა ქალაქში“ შედგა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მსახიობს დღეს სერიალში ერთგვარი ტაიმ-აუტი აქვს, ერთმანეთს სზირად ხვდებიან და მეგობრობენ კიდევ. ინტერვიუზე სალომე თმის შეცვლილი ვარცხნილობით გამოგვეცხადა, რომელიც ძალიან უხდება... სიმართლე გითხრათ, მათთან ინტერვიუს ჩანერას არაფერი ჯობს, ოღონდ — მაშინ, როცა ჯაბას სპექტაკლზე არ ეჩქარება...

ელენე ბასილიძე

— სერიალში მონაწილეობამდეც იცნობდით ერთმანეთს?

ჯაბა:

— კი, ერთმანეთი ბავშვობაში გავიცანი. საკმაოდ დიდი ხანია, რაც სალომეს დედიკოს, ლილე ფილფანს ვიცნობ, რომელიც მსახიობია და ძალიან მიყვარს. ბავშვი ვიყავი, როცა ლილე გავიცანი. მერე კი სალომე გამაიცნო.

სალომე:

— აღარც კი მახსოვს, პირველად ჯაბა როდის ვნახე... თავდაპირველად, როგორც დედაჩემის მეგობრის შვილი, ისე გავიცანი, ხოლო როცა სერიალში თამაში დავიწყეთ, ძალიან დავახლოვდით და მას შემდეგ ვმეგობრობთ.

ჯაბა:

— მახსოვს, პირველად რომ ვნახე, ვიფიქრე, — ეს რა „მსუქანი“ გოგონაა-მეთქი (იცინიან).

სალომე:

— მე კიდევ, — ვაიშე, რა მახინჯი ბიჭია-მეთქი, გავიფიქრე!

— სერიალში საკმაოდ უცნაური ადამიანების როლებს ასრულებთ...

— მივიჩნევ, რომ ძალიან კარგ როლს ვთამაშობდი... რაც მთავარია, ჩემი გმირი ძალიან კარგი ადამიანია. საერთოდაც, ამ სერიალში ყველა ადამიანი საინტერესოა. სალომე ყველაზე მოსიყვარულეა, ყველაზე კეთილი კი — სანდრო.

ჯაბა:

— სალომეს პერსონაჟი ადასტურებს, რომ სიყვარული ყრუცაა, ბრმა და კიდევ რაღაც „პრობლემები სჭირს“...

— ეჭვი მაქვს, თქვენი გმირებისაირ ადამიანებს არასოდეს შეხვედრობართ...

— ჩემო კარგო, უარესებიც გვინახავს, მაგრამ მოდი, ნუ ჩაუღრმავდებით მაგ თემის...

სალომე:

— რა ვიცი, ჩვენს გმირებზე გაცილებით უარესი, ბენტერა ადამიანებიც არსებობენ... ცხოვრებაში ასეთი ადამიანი რომ შემხვედროდა, ალბათ მასთან ვიმეგობრებდი.



ჯაბა:

— რატომაც არა?! რა, ჩვენი გმირები ცუდები არიან?! სალომე და სანდრო — ფერი ფერსაო... — რომ იტყვიან, ზუსტად ისე არიან...

— როგორი პარტნიორები ხართ გადასაღებ მოედანზე?

სალომე:

— ძალიან კარგი. გადასაღებ მოედანზე არასოდეს არანაირი პრობლემა არ შეგვექმნია. თუ რაიმეს შეცვლა მინდოდა ან რაიმე დამვიწყებია, ჯაბა ამას წინასწარ გრძნობდა. ყოველთვის თვალებით ვუგებდით ერთმანეთს...

ჯაბა:

— პარტნიორი თუ ვერ გრძნობს შენს განცდებს სცენაზე, გამორიცხულია, რომ ოდესმე მასთან ერთად ნათამაშები როლი მაგარი გამოვიდეს. სალომეს შემთხვევაში გამომართლა, ერთმანეთის არაჩვეულებრივად გვესმის. ძალიან ნიჭიერი მსახიობი და არაჩვეულებრივი ადამიანია, მისი ორივე თვისება კი ჩვენს სამუშაო პროცესს ძალზე აადვილებს.

აქედან გამომდინარე, სალომე ჩემი იდეალური პარტნიორია.

სალომე:

— ასევეა ჯაბაც ჩემთვის...

— ნელან აღნიშნეთ, ერთმანეთთან ვმეგობრობთ...

ჯაბა:

— ეკრანზე და ეკრანს მიღმაც სალომე ძალიან მიყვარს. მეც და ესეც ძალიან გადატვირთულები ვართ, ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვაქვს და ყოველდღე ვერ ვახერხებთ ერთმანეთთან მისვლამოსვლას, მაგრამ რაც მთავარია, როცა ერთმანეთს ვხვდებით, დიდ ამბავში ვართ. მეგობრობა მხოლოდ ის ხომ არაა, შევხვდეთ და ერთმანეთი მოვიკითხოთ?! ვცდილობთ, ერთმანეთს ყველაფერი გაუზიაროთ. სალომეს ხასიათი ძალიან მომწონს, მას ექსტრავაგანტური სიახლეები იზიდავს. დღეს თავისი ახალი ვარცხნილობით გამოცა, რომელიც ძალიან უხდება. იცი, ბევრი მეგობარი არა მყავს, მით უმეტეს — სალომესნაირი და არც მინდა, რომ მყავდეს. სალო არის ერთი და იდეალური მეგობარი.

სალომე:

— თეატრში ერთმანეთს საკმაოდ ხშირად ვხვდებით და სხვადასხვა ადგილასაც დავდივართ. ჯაბას ძალიან მაგარი რჩევების მოცემა შეუძლია... ნელან, როგორც კი შემოვედი, მაშინვე ვკითხე, — ჯაბა, ჩემი ახალი ვარცხნილობა მოგწონს-მეთქი? მისი აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვითვალისწინებ კიდევ.

— სერიალის გარდა, რომელიმე სპექტაკლშიც ხომ არ თამაშობთ ერთად?

— სამწუხაროდ, სცენაზე ჯერჯერობით არც ერთხელ არ გვითამაშია ერთად. უკვე დიდი ხანია, რაც „თავისუფალ თეატრში“ ვმუშაობ, თეატრალური უნივერსიტეტი ჯერ დამთავრებულიც არ მქონდა, როცა ამ თეატრში მოვედი. დღეს ვთამაშობ სპექტაკლში — „ლმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“; გარდა ამისა, კიდევ 2 სპექტაკლი იდგმება, სადაც დაკავებული ვიქნები.

ჯაბა:

— მართალია, სპექტაკლში ერთად არ გვითამაშია, მაგრამ ჯერ პატარები ვართ და ყველაფერი წინ გვაქვს.

— ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ „შუა ქალაქში“ თქვენს პერსონაჟებს ველარ ვიხილავთ...



— არავინ იცის, ისევე ვითამაშებთ თუ არა ამ სერიალში: სცენარი გზადაგზა ინერება და ამ ეტაპზე ჩვენი გმირები არ მონაწილეობენ, მაგრამ მომავალში რა იქნება, ჯერჯერობით არავინ იცის, მგონი, თავად სცენარისტებმა...

სერიალში შესრულებული როლები არ გენატრებათ?

— ყველაფერს პოზიტიურად უნდა შეხედო და ამა თუ იმ ფაქტში დადებითი მხარე დაინახო... ადამიანს ყველაფრისგან სჭირდება დასვენება და ჩვენც ვისვენებთ. სად გაგვიშვებს, სალომე?

სალომე:

— ევროპაში გავემგზავრეთ. მხოლოდ 2-3 კვირაა, რაც სერიალში აღარ ვმონაწილეობთ და ნოსტალგია ჯერჯერობით არ შემოგვწოლია.

ჯაბა:

— ნეტავ, მართლაც მოეცათ საგზურები, სიამოვნებით წავიდოდით სამოგზაუროდ...

მაცურებელი არასოდეს გკითხვბათ, როდის დაბრუნდებით სერიალში?

სალომე:

— გამვლელი — არა, მაგრამ ჩემი ნაცნობები ამ ამბით ხშირად ინტერესდებიან.

ჯაბა:

— ჩემთვის სრულიად უცნობ ადამიანებსაც უკითხავთ, — აღარ დაბრუნდებით სერიალში? ძალიან აინტერესებს, რატომ აღარ ვჩანვართ... პასუხიც მარტივია — ვუბნები, რომ სცენარს ასე სჭირდება და როგორც სცენარისტები გადაწყვეტენ, ყველაფერი ისე იქნება.

მაცურებელი ხშირად გაიგივებდათ თქვენ-თქვენს როლებთან...

ჯაბა:

— ეს ჩვეულებრივი ამბავია. ადამიანებს, რომელთაც შეხება არა აქვთ თეატრალურ სამყაროსთან, სტერეოტიპი უყალიბდებათ — ჰგონიათ, რომ მართლაც ისეთი ვარ, როგორც სანდროა.

ჩემთვის საკმაოდ ბევრჯერ უკითხავთ ჯაბაზე, — ცხოვრებაშიც ისეთია, როგორც სანდროა?



ეს ძალიან კარგია — ალბათ დამაჯერებლად ვასრულებ სანდროს როლს და მაცურებელიც იოლად იჯერებს ამას.

სალომე:

— ჩემთვის საკმაოდ ბევრჯერ უკითხავთ ჯაბაზე, — ცხოვრებაშიც ისეთია, როგორც სანდროა? ამაზე ძალიან ვბრაზდები ხოლმე და ბოლოს მივხვდი, რომ მსგავს კითხვებს აღარ უნდა ვუპასუხო... სხვათა შორის, არა მარტო ჯაბაზე, არამედ სხვა მსახიობების შესახებაც ხშირად მისვამენ მსგავს შეკითხვას. აღარ ვიცი ხოლმე, რა უნდა ვუპასუხო...

საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში გინედათ მუშაობა, არა?

სალომე:

— კი. 3 დღე საკმაოდ მოკლე დროა იმისთვის, რომ 2 სერია გადაიღო.

ჯაბა:

— 3 დღის განმავლობაში თითოეული წუთი განერილი გვექონდა და გრაფიკში „ვისხედით“... ძალიან გვინდოდა, ყველა სცენა მხოლოდ ერთი დუბლით ჩაწერილიყო; ხან გამოგვიდიოდა, ხან — არა. ვცდილობდით, რომ არც ჩვენი თავი და არც მაცურებელი არ დაგვეტანჯა. განტირთვისთვის კი გვექონდა დრო, მაგრამ ერთმანეთს არაფერს ვუჩაღიჩევდით. სერიოზული ხალხი ვართ, გენაცვალე, ეგრე კი ნუ გვიყურებ?!

უახლოეს მომავალში ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ სცენაზე ერთად გიხილოთ?

სალომე:

— დიდი სურვილი გვაქვს, რომ ერთად ვითამაშოთ და იმედია, ასეც იქნება...

ჯაბა:

— რა ერთად, კაცო?! ვეღარ ვიტანთ ერთმანეთს!.. მეც დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ერთად ვითამაშებთ რომელიმე სპექტაკლში.

წარმატებებს გისურვებთ!


პოეტი, რომანისტი, „პერფორმერი“, მულტიმედია არტისტი — ასე უწოდებს საკუთარ თავს დავით-დევი გოგიბუდაშვილი, რომლის ლიტერატურული ნაწარმოებები გამოჩენსთანავე გახდა საზოგადოების ინტერესის ობიექტი. იგი თავის ცხოვრებასა და ნაწარმოებებზე გვესაუბრება:

თამაშა დაღუპული

— ბევრს ჰგონია, რომ დევი მე დავირქვი, არადა, ბავშვიდან მეძახიან და პირადობის დამადასტურებელ მოწმობაშიც ასე მიწერია, პაპასაც ასე ერქვა... დევი „დავიონისგანა“ წარმოებული, რაც დილის გარეუბრის მოკრიალებულ, მოწმნდილ ცას ნიშნავს. შემერულ დიალექტზე კი „დეფ“ — საიდუმლო დამწერლობაა. პროფესიაც ასეთი მაქვს... რაც შეეხება ჩემს ბავშვობას, თუ დავაკვირდები ჩემს ქცევას და ნაწარმოებებს, ბავშვობა მგონი, არც არსად წასულა... ვცდილობ, დავრჩე ის, რაც ვარ. ბავშვობაში კი ამ ყველაფერს ყველაზე კარგად ხედავ. ეს დრო ან სულ შენთანაა, ან დაუბრუნებლად მიდის. საერთოდ, კარგი მახსოვრობა მაქვს, სამშობიაროში ნათურის განათებაც კი მახსოვს ბუნდოვნად... თუმცა რაღაც პერიოდები ამოვარდნილი მაქვს. ალერგიული ვარ და ამის გამო, ხშირად მქონდა უცნაური ავადმყოფობა. მაგალითად, ტემპერატურა მინევედა, შემუშება მქონდა; როცა გონება შეთიშებოდა, ყელი გადამეკეტებოდა და ვერ ვსუნთქავდი. წამლების საშუალებით სიცხე უცებ მივარდებოდა და რაღაც სამყაროს, რომელიც ჩემშივე იყო, გარედან ვხედავდი... ასეთი რამ წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ზოგჯერ ახლაც. ამას გაცივებასაც ვერ დავაჩქმე. ისეთივე ბავშვი ვიყავი, როგორც სტეფი. ჩემი გატაცება — მუსიკა, ხატვა, ფერწერა, არქიტექტურა და კოსმოლოგია, მისი განცდა იყო, რამაც შემდეგ მაიძულა, გამეგრძელებინა ჩემი თავის კვლევა და იმის აღმოჩენა მეცადა, თუ ვინ ვარ და რა მინდა ვაკეთო ცხოვრებაში. ვიფიქრე, ასეთი გზა ხატვა, არქიტექტურა და ფიზიკა იყო, ამიტომ სამივე საგანში თანაბარი ძალით ვმუშაობდი. მამაჩემი და ჩემი ძმა ფიზიკოსები არიან და დღემდე მიტაცებს ეს სფერო.

რა ფაქტორებზე სწავლობდით?

— არქიტექტურის ფაქტორებზე ჩავაბარე. შემდეგ, გოეთეს ინსტიტუტშიც ვსწავლობდი; დედაჩემი გერმანისტია. ლექსების წერამ ამ დროს იფეთქა ჩემში — არც მქონდა იმის განცდა, რომ პოეტი ვარ. პოეზია, როგორც ცეცხლი, მინა და წყალი, ისეა ყველგან, ეს არაა დაკავშირებული ხელოვნების ან მეცნიერების რომელიმე კონკრეტულ დარგთან, როგორც მიზეზი მთელი სამყაროს არსებობისა. ეს რომ გავაცნობიერე, თითქოს რაღაცნაირად იფეთქა ამ შენელებული მოქმედების ბომბმა. ალბათ ზეცაში გადაწყდა, — ამ ბიჭს ესა და ეს ნიჭი მივცეთო, — და 24 წლის ასაკში, როდესაც უკვე მოთავშული მქონდა არქიტექტურის შესწავლის მცდელობები, აქტიურად წერა დავიწყე. ახლა კი 42



ჯერ პატარები ვართ და ყველაფერი წინ გვაქვს



„სიახ LOVE ზუსტად ამბობს იმას, რაც მე მინდოდა ამ დროისთვის მეთქვა“

წლის ვარ... ლექსები სულ მოდის, როგორც სუნთქვა...

— **წლების მანძილზე მუშაობდით ტელევიზიაში, რადიოში, გაზეთებსა და ჟურნალებში. არქიტექტორობითა და მეცნიერებით გატაცებული ადამიანი ამ განსხვავებულ ამპლუაში როგორ აღმოჩნდით?**

— ყოველთვის მინდოდა გამეგო ადამიანის „შინაარსი“, ზოგადად — ვინ და რა არის ადამიანი. მაშინ კი, განსაკუთრებით 1992 წელს, როდესაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, სიტყვის გაჟღერების ყველაზე კარგი საშუალება სწორედ ეს სფერო იყო. სამყაროს უნდა ამცნო, რომ ცოცხალი ხარ!.. მაშინდელი „მეორე არხი“ ამის საუკეთესო საშუალება გახლდათ, როგორც რევოლუცია აზროვნებაში, ისე იყო. გაიგეს, რომ სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა პოეტი და — იქნებ მან რამდენიმე პროექტისთვის სცენარი დანერგოსო?.. ასე აღმოვჩნდი იქ. ვფიქრობ, რომ დღეს კულტურა სწორედ იმ „დარღვევაზე“ დგას, რასაც ჩვენ ამ არხზე ვაკეთებდით. კულტურაში შედის ტელევიზიის ის ხაზი, რომელიც ეთერიდან ჟურნალისტიკას, პუბლიცისტიკასა და შემეცნებას ერთი ტალით „განდევნის“ ადამიანების ტვირთბამდე. იმავეს აკეთებს ინტერნეტი. საავტორო პროექტი მქონდა — „მხერა“; პარალელურად, ვწერდი, რაც უფრო აქტიურად განვავარძე ტელევიზიიდან წამოსვლის შემდეგ. ეს ყველაფერი ჩემთვის ადამიანებთან სიახლოვის საშუალებაა და ეს ფრაზაც — სიახ LOVE — ამიტომ მოვიფიქრე — ჩემი შეტყობინება გაგზავნავენ სამყაროს. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, გვაახლოებს თუ გვაშორებს სხვადასხვა ფორმით მიწოდებული წერილები, მაგრამ ვისურვებდი, გვაახლოვებდეს. თუ არსებობს ერთი სამყარო, ჩვენ ერთნი უნდა ვიყოთ, თუ მრავალი, რაშიც დარწმუნებული ვარ, მაშინ მით უმეტეს ერთნი უნდა ვიყოთ, იმ სხვა სამყაროების აღქმისათვისაც. სიახ LOVE ზუსტად ამბობს იმას, რაც მინდოდა ამ დროისთვის მეთქვა.

— **თქვენს პირველ რომანში — „ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს“ უმეტესად სიკვდილზეა საუბარი, თანაც, როგორც აღნიშნეთ, 24 წლისამ დაწერეთ. რატომ ფიქრობდით ამ თემაზე იმ ასაკში?**

— სამყაროში მხოლოდ ორი რამაა კონკრეტული — დაბადება და გარდაცვალება. დაბადებაც გარდაცვალებაც და გარდაცვალებაც დაბადებაა. ყველაფერი კი მათ შორის — ფარდობითია. ფარდობითობის კანონს აყოლილი ჩვენი არსებობა ამ ორ კონკრეტულ ცნებას შორისაა, რაც ძალიან ზუსტი და შეუცვლელია. სიცოცხლე გარდაცვალების



შემდეგაც არსებობს. ჩვენი ტვინი თითქოს ზედმეტი ინფორმაციით შეივსო, რომელიც ამ არსებობის სიმტკიცეს არ გვიჩვენებს. პოეზია კი სწორედ ამის გაკვლევაა. როდესაც ეს ჩემში ჩამოვინდა, ჩამოსიტყვდა და ჩამოსიყვარულდა, მაშინ ეს რომანი სწორედ ამ განცდებით ავაგე. იგი დღემდე არ კარგავს ჩემთვის აქტუალურობას. კარგია, თუ ვინმე პროფესიონალი რეჟისორი ამის შესახებ კინოფილმს გადაიღებს. ეს რომანი პატარა პატარა დამოუკიდებელი ამბებით ავაგე და ისინი ერთმანეთზე მიბმული. რასაც დაწერდი, მამას ვაწვებდი და მერე თავს ვანებებდი. შემდეგ, რაღაც პერიოდი განმარტოებული ვიყავი, სხვადასხვა სკოლასა და მიმდინარეობას ვსწავლობდი, როგორც ხელოვნებასა და რელიგიაში, ისე — ფილოსოფიაში. ყველაფერი ეს ერთ „გუმბათში“ — ჩემს ტვინში მოექცა. ნაწარმოებები მამამ გურამ დოჩანაშვილს უჩვენა, ის ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარია. მოინონა; ასე იბადებიან პოეტები და მწერლები, — უთხრა მამაჩემს. ამის შემდეგ მამამ კიდევ ერთი რომანის დაწერა მიხოვდა, რომელიც მას ჩემს შესაძლებლობებში დაარწმუნებდა. სუფთა ლიტერატურული ხერხებით დავინყე იმ ყველაფრის შესწავლა, რასაც ვიდუარავდი, ჩემი სტატიებით, მოგზაურობებით ვაკეთებდი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვიმოგზაურე და დაწვერე რომანი „დეკემბრის თილისმა“, რომლის დასრულებისთანავე მეორეს წერას შევუდექი. ამ დროს თითქოს ზღვარზე დავდექი: მიზნად დავისახე, გამეჩვიე, თუ რა არის დღევანდელი ლიტერატურის სუპერამოცანა და რა აკლია სამყაროს. მივხვდი, რომ ამ ველს ნუგ-

ეში და საიდუმლო აკლია, რამაც ძალიან გამიტაცა. ენციკლოპედიებითა და ინტერნეტით მესოპოტამიის დროინდელი სამყაროს შესწავლა დავინყე, რასაც წელიწად-წახევარი მოვანდომე და ავაგე რომანი ერთ კოლხ ბიჭუნაზე, რომელიც ქალაქ მარგორაში აღმოჩნდება. ეს ქალაქი მეტაფიზიკური გეოგრაფიის — საქართველოსა და ძველი ლიბანის ტერიტორიაზეა ერთდროულად. ამ ნაწარმოებს „დილა სასწაულების წინ“ დავარქვი. ძალიან გატაცებული ვიყავი მისი წერით. ვფიქრობ, რომ პროზაიკოსი არა ვარ, მე უფრო რომანისტი ვარ, პოეზიის გაგებით... მამას რომ წავაკითხე, დიდხანს ველოდი, რას იტყვოდა; მიპასუხა, — ამიერიდან, რაც შეგიძლია, ის წერეო. მერე მამა ანგელოზებმა „მთავარ მამასთან“ გააფრინეს...

— **ახლა ვინ არის თქვენი ნაწარმოებების შემქმნელი?**

— მე თვითონ, სხვა არავინ. დღეს უკვე გათავისუფლებული ვარ ავტორიტეტებისკენ სწრაფვისგან. ჩემთვის მისაღები და საინტერესოა ზვერი ადამიანის დამოკიდებულება, როგორც აზრის არსებობის უფლების გამოხატულება, მაგრამ ისეთი ადამიანი ვერ გადაამარწმუნებს, ვისაც არაფერი უკეთებია, არც უშრომია და არც შეუქმნია. შემოქმედისთვის ეს ცოტა სასაცილოა. ვისაც უფრო მეტი და ჩემზე კარგად გაუკეთებია, მათი აზრი მისაღებია, თუმცა ხშირად — არა, რადგან ჩვენ მაინც სუბიექტურ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი კერძოა. აზრსაც აქვს უფლება იყოს კერძო.

— **დღეს ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული ფიგურა ხართ. ძნელი იყო ამ გზის გაგლა და თავის დამკვიდრება ისეთ ქალაქში, სადაც სიახლეებს, თანამედროვე და**





თავისუფალ იდეებს ცოტა რთულად იღებენ?

— იცით, როცა ამ ყველაფერს ვაკეთებდი, არ მიფიქრია თავის დამკვიდრებაზე. არ მიმაჩნია, რომ მე თავი დავიმკვიდრე. ჩემი არსებობის მიზანი — ნათების ტარება და გავრცელებაა. განსხვავებული ვარ თუ არა, ამას ის ადამიანები იტყვიან, ვინც ჩემს წიგნებს ნაიკითხავენ. თუ უკვე კითხულობენ, მხოლოდ დიდი მადლობის თქმა შემიძლია მათთვის: მე მათი შემოსავლით ვცხოვროვო — თუ ეს ჰონორარი არა მაქვს, ვზივარ სახლში და ვიყურები ფანჯარაში... ეს გზა ავირჩიე და ბედნიერი ვიქნები, თუ ვინმე იტყვის, — მან თავისი გზა თავისებურად გაიარაო.

— რა ინვესტაციებს უნდა გავაღებო? სხვადასხვა დროს როგორ გამოხატავდით არაკეთილგანწყობას არსებული უსამართლობის წინააღმდეგ?

— შევარდნაძეს მეც ვებრძოდი, როგორც ყველა. „ვარდების რევოლუციის“ დროს, ჩემი პირადი დამოკიდებულება მქონდა ტვიტთან და მენტალიტეტთან. ბოლოს მესუმრებოდნენ, — ეს „ვარდების რევოლუციაა“... ბრძოლა დღემდე გრძელდება — ბრძოლა ფამილარობასთან და იმასთან, რაც საბჭოთა კავშირმა დატოვა ყველაზე დიდი დოზით საქართველოში, ორი სახის სიბოროტე — მლიქვნელობა და ფამილარობა, რაც ჩემთვის, საზიზღრობაა. პროტესტი ბუნებრივია, სინელის, უქნარობის, უვიცობისა და სიცოცხლის არსიყვარულის მიმართაა.

ამ გაუთავებელი ნეგატივების წარმოჩენა ადამიანებს რატომღაც სიამოვნებთ. იმ ადამიანების მჯერა, ვისაც ჩემი სიკეთე გულით უხარიათ. სწორედ ამ მიზეზით გადააქცია ქრისტემ წყალი ღვინოდ — მისი პირველი სასწაული სწორედ ეს იყო, რათა სამყაროში ღვინო გავრძელებულიყო.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება რელიგიისადმი?

— ზოგადად, ძალიან მშვიდი. ჩემს ისედაც სკეპტიკურ დამოკიდებულებას „ქართული ფსევდორწმენის“ მიმართ, რაც უკვე ძალიან აშკარაა, წერტილი დაუსვა ერთმა ფაქტმა. ერთ-ერთ ტაძარში, ნათლობისას, სასულიერო პირმა ფულის აკრება მოგვთხოვა, ბოლოს კი იცოტავა კიდევ, — ამდენი ნათლია ხართ და უფრო მეტი მომეცითო. მსგავსი რამ ჩემში საშინელ აგრესიას იწვევს: რატომ უნდა გადავიხადო მატერიალური — ფული — საულიერო საქმეში?! ტაძრიდან შეურაცხყოფილი გამოვედი. ეს ქართული მენტალიტეტის სიმბოლოა, რაც არა და არ იცვლება. მე მინდა, რომ შეიცვალოს.

— ცხოვრებაში რისი ემინა დების?

— მეშინია, არ დავკარგო შესაძლებლობების რწმენა, არ დავრჩე გაუგებარი და მგონი, ვრჩები კიდევ; მეშინია, საკუთარმა თავმა არ მიმატოვოს...

— თქვენი რომანი — „ბალები“ რუსეთ-საქართველოს ომზეა. რას იტყვით მის შესახებ?

— ვერ ვიტყვით, რომ ეს ომზეა. ომი

სიბოროტეა, არა — საკაცობრიო, არამედ გამოვლენილი, ავი სახის „კაცობრიობების“ მიერ: ვფიქრობ, დედამიწაზე ორი სახის კაცობრიობაა — კეთილშობილი და ავი. ჩვენ კეთილშობილებს ვყუთებით. რუსეთი ვერ ძლება თავისი თავით, იმიტომ, რომ საკუთარ თავს ვერ იტანს. დოსტოევსკის მთელი ფილოსოფიაც ეს არის — თავისი გენია ააგო იმაზე, რომ თვითგვემა რუსების მხრიდან ყველაზე დიდი გამართლებაა მათი არსებობისა. ეს ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია, მით უმეტეს — XXI საუკუნეში. მაგრამ რუსეთი აგრძელებს ამ თვითგვემის პოლიტიკას და ასეთი გაგება აქვს — „რასშირენიე როდ-



ინი“. როგორ უნდა გაიფართოო საკუთარი საშო, საიდანაც დაიბადე?! ეს ხომ ანომალია! რაც ღმერთმა მოგცა, ის გქონდეს. რუსული მართლმადიდებლობა, კულტურა, პოლიტიკა, მეცნიერება არის ბლეფი და სიბოროტე. რადგან ისინი ვერ მუშაობენ რეალურ სამყაროში. 1-2 გენიალური კომპოზიტორის ან ფიზიკოსის გარდა, მის ფარგლებს გარეთ ვერაფერს გადის. რუსეთის ცოცხალი — ანგარებაა. შეიძლება, რაღაც არ უნდოდეს, მაგრამ მისთვის მაინც არ არის საკმარისი. ქრისტიანობის სახელით ცდილობენ, ეშვებენ უფრო დიდი ბოროტები გახდნენ. წიგნი 4 ასმეთაურის მონათხრობზეა და ერთ-ერთი ეპიზოდი სოფელ ერთანმინდაში ხდება, სადაც ასევე გადაიარა რუსეთის ამ ჯოჯოხეთმა. ეს არის ამბავი — ომის მერე და ომამდე. როგორი იქნებოდა სამყარო ამ ჯოჯოხეთის გარეშე?.. მანამდე დაწერილი მქონდა რომანი „დემის გედევანიშვილი“ — ამბავი კაცისა, ვისაც უყვარდა სწავლა და ჰქონდა იმედი. ასევე გამოვეცი ალბომი „დაფინი სუპერნოვა დომინე“, ორკესტრთან და ელექტრობუნდთან ერთად, რომლის ფონზე საკუთარ ლექსებს ვკითხულობ.

— სწორად ხედებით თქვენს მკითხველებს?

— საერთოდ, მახარებს ხოლმე, როცა მეტყვიან, ამა და ამ ადგილას ბევრი მკითხველი გაყავსო. ჩემთვის ეს მალამოსავითაა — გნებავთ, ეს სუპერნარცისიზმის კლიშედ მიიღეთ, გნებავთ, სუფთა პოეტის განცდად. ამიტომ, რომანი „ბალები“ მეოთხე ბრიგა-

დაში ჩავიტანე, სადაც მქონდა პრეზენტაცია და მერე გორში წავიღე, დევნილებთან, სწორედ იმ ადგილას, რომელიც იბომბებოდა და სადაც ახლა კულტურის ცენტრი დგას. აი, როგორ შეიცვალა ცხოვრება. ასეთ „პოეზიის საღამოს“ სწორად ვაკეთებ, თუ ჩემში ამის განცდა იგრძნობა. კილომეტრებზე ვგრძნობ, რა ხდება სამყაროში.

— ამჟამად რა „საგანძურის“ მფლობელი ხართ?

— ამ ეტაპისთვის დანერგილი მაქვს 6 რომანი, 4 პოეზიის წიგნი; დავაარსე პროტაორდენი „სამკაული“, გამოვეცი 2 აუდიო-ალბომი, ვითამაშე ფილმებში (ოთარ იოსელიანთან, ნანა ჯორჯაძესთან); ვმოგზაურობ სხვადასხვა ქვეყანაში და, ღმერთი თუ არ გამინყრა, კიდევ გავაგრძელებ.

— წიგნების გამოცემაში თუ გეგმავრებათ ვინმე? დაფინანსება საიდან გაქვთ?

— სამწუხაროდ, დაფინანსება არავისგან მაქვს. ძირითადად, 2 გამოცემლობაა, რომელიც ჩემი ლიტერატურის პროპაგანდაზე ზრუნავს. თუმცა ადრე სხვებთანაც ვთანამშრომლობდი.

— რაზე მუშაობთ ამჟამად?

— ახალ რომანს ვწერ და ახალ პოეზიის წიგნს „ვკრავ“. დღემდე მაქვს უცნაური ხილვები, რაც მანუგემებს, რომ განვარძო მუშაობა (იციინის). წინასწარ ვერ გეტყვით, თუ რაზეა. სათაური შემიძლია გაგანდოთ — „დასასრულისა და დასაწყისის საზოგადოება“. გაზაფხულისთვის ნიუ-იორკში ვარ მიწვეული, სადაც ჩემი ნამუშევრებით, რომანისტთა და პოეტთა ლიგაში გავიმარჯვე. იქ უნდა ვიმუშაო ახალ რომანზე, რომელიც ინგლისურად ითარგმნა და ჩემი პოეზია ამერიკელი ხალხის წინაშე შევასრულო. იქნება თარჯიმანი და ვიდუიონსტალირებული გამოსახულება. დანარჩენზე წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს — თითქოს იმ ამბავს, რაც უნდა მოხდეს, ენერგიას ვაცლი. აუცილებლად დადგება ის დღე, როცა, თუ არ გავთავისუფლდით მთელი ყოფითი პრობლემებისგან, ის „გაათავისუფლებს ჩვენგან“ პოეზიისაკენ ლტოლვას.

— უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?

— ინტერნეტით ვაკეთებ live-ს: ჩემი სახლიდან წავიკითხავ ლექსებს და ამას მთელი მსოფლიოს მასშტაბით იხილავს ყველა, ვინც სპეციალურ საიტზე დათქმულ დღესა და დათქმულ ჟამს შემოვა.

— რა როლი აქვს ინტერნეტს თქვენს ცხოვრებაში?

— მას მხოლოდ ინფორმაციის მოსაძიებლად ვიყენებ, გადასამუშავებლად ან გასაფრთხილებლად. მესმარება იმაში, რომ ჩემს ნაწარმოებებს სწორად ვგზავნი ამა თუ იმ პიროვნებასთან, დედამიწის სხვადასხვა ნერტილში. რაც შეეხება ჭორაობას, ამისთვის დროც აღარ მრჩება.

— დაბოლოს, თქვენს ოჯახზე რას გვეტყვით?

— ჩემს 2 ყოფილ მეუღლესთან 2 ბიჭი მეზრდება. თითოეულ ბავშვს საკუთარი დედა ჰყავს. მე მარტო ვცხოვრობ. სულ ეს არის ჩემი პირადი ცხოვრება. ■



„და მე არ მინდა სხვა ნებარება...“ ანუ ეთერ კაკულიას კლიპი და მისი ფანები

მალე მაყურებელი ეთერ კაკულიას კლიპს იხილავს, რომელიც გიორგი დარასელიას რეჟისორობით, უბერებელ სიმღერაზე — „და მე არ მინდა სხვა ნებარება“ (მისი „ოფიციალური“ სახელწოდება „მხარე ლამაზი“ გახლავთ) გადაიღეს. კლიპი, რომელიც კარგად ჩანს ქალბატონი ეთერის ხასიათი, საოცრად ხალისიანი და „კეთილია“. მასში ულამაზესი პატარები — მზრუნველობას მოკლებული ბავშვებიც მონაწილეობენ...

ეთერ კაკულიას

გიორგი დარასელია:

— სცენარი თავად დაწერე. ვიფიქრე, — მომღერალს სხვა რა შეიძლება უნდოდეს, გარდა იმისა, რომ მისი დისკები იყიდებოდეს, ხალხი მასზე გიჟდებოდეს-მეთქი?! კლიპში ქალბატონი ეთერი ერთ-ერთი მალაზიის მწვეფერია და თაროზე თავის დისკებს ალაგებს. მერე ყველაფერი ირევა: უამრავი ადამიანი მოდის, ამ დისკებს ყიდულობს!.. მთავარი ის არის, რომ კლიპში მიუსაფარი ბავშვები გადავიღეთ.

ისინი კლიპში როგორ მოხვდნენ?

— საქველმოქმედო ფონდის — „ერთობის“ დამფუძნებელი გახლავართ და მიუსაფარ ბავშვებთან ხშირად ვურთიერთობ. „ერთობის“ წევრებს პატარები ტაძრების მშენებლობებზე დაგვყავს, რადგან გენამს, თუ ღვთის სიყვარულით გაიზრდებიან, დანაშაულს არ ჩაიდენენ. როცა ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობ (თუნდაც სიმბოლურად), იმხელა მადლს იღებ, რომ ეს მაღალი ცუდ საქციელს არ ჩაგადენინებს.

ქალბატონმა ეთერმა მწვეფერის როლი როგორ მიირგო?

— დასახულ ამოცანას ძალიან კარგად გაართვა თავი. კლიპი ისე გადავიღეთ, დუბლი არც დასჭირვებია. გარდა იმისა, რომ არაწვეულებრივი მომღერალია, ძალიან კარგი მსახიობი და ადამიანიცაა! ეთერ კაკულიას პატარებთან ურთიერთობაც ესერებდა.

კლიპის გადაღება რამდენ ხანს გაგრძელდა?

— დაახლოებით 10 დღე, ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრსა და ენ. „მწვიდობის ხილზე“ ვიღებდით. ვფიქრობ, კარგი ნამუშევარი გამოგვივიდა...

ქალბატონ ეთერთან ურთიერთობისას პატარები საიდან მოხვედნენ, ამაში დარწმუნებული ვარ. ალბათ მისი სიმღერაც მოეწონათ, არა?

— კი, ეს სიმღერა ყველას მოსწონს! როგორც რეჟისორს, გამომართლა, რადგან კლიპი ისეთ სიმღერაზე გადავიღე, რომელიც უკვე ჰიტია! ნახავთ, ჩვენი ნამუშევარი როგორ „იტრიალებს“!.. საერთოდ, ეთო ძალიან მაგარია (იცინის)!
— კლიპში თქვენც შეგნუნეთ...

— იქ შემთხვევით აღმოვჩნდი: პოლიციელების გადაღება გვინდოდა, მაგრამ თურმე ჯერ განცხადება უნდა დანერო, რათა საჭირო დღეს პოლიციელები სამსახ-

ურიდან გაათავისუფლონ, მერე პასუხს უნდა დაელოდო... ამდენი დრო არ გექონდა, ამიტომ სავაჭრო ცენტრის დაცვის სამსახურის თანამშრომლები გადავიღეთ. მათ რაღაც ისე ვერ შეასრულეს, როგორც საჭირო იყო; ჰოდა, ფორმა ჩაცვი და როლი თავად მოვირგე. კლიპში სულ 2 წამით ვჩნდები.

ჩინელი და ფერადკანინი მამაკაცები კლიპში როგორ მოხვდნენ?

— სიუჟეტის მიხედვით, ჩინელი ერთ-ერთ რესტორანში მზარეულად მუშაობს. ის რაღაცას დააშაფებს და სამსახურიდან გააგდებენ. წინასწარ მოხსნისას დაიხვდავს მაისურზე, რომელზეც ეთერ კაკულია გამოსახული და აწერია: „და მე არ მინდა სხვა ნებარება“. რაც მთავარია, ჩინელს ეთერ კაკულიას მუსიკალური დისკი აქვს! მოკლედ, იმის ნაცვლად, რომ სამსახურის დაკარგვის გამო მოწყენილი იყოს, პირიქით — ბედნიერია! გახარებულს ქუჩაში 2PAC-ის ფერადკანინი ფანი შეხვდება, რომელიც საბოლოო ჯამში, ეთერ კაკულიას მაისურს ჩაიცვამს და მის სიმღერას უსმენს. კლიპში გადასაღებად, ჩინელსა და ფერადკანინს კარგა ხანს ვეძებდით (გვსურდა, სხვადასხვა რასის წარმომადგენლები გადაგველი. ჩინელს ერთ-ერთ ბარში მივაგენი — ის სინამდვილეშიც მზარეულია, ფერადკანინი კი „დინამოში“ თამაშობს.

ეს კლიპი რას ისახავს მიზნად?

— ქალბატონი ეთერის სიმღერები არავის უნდა დაავიწყდეს! ისედაც არავის ავიწყდება, მაგრამ კლიპი — სიმღერის რეკლამაცაა. ამ სიმღერის შესახებ თავად ქალბატონი ეთერი ამბობს ხოლმე: გიორგი, ეს ჰიმნია, იციიიი... ეთერ კაკულიას სიმღერებს კლიპები აუცილებლად უნდა „ედოს“, რადგან მას ძალიან ბევრი მსმენელი ჰყავს. ახალი კლიპის გადაღებასაც ვაპირებთ, თუკი სპონსორი გამოჩნდება. ქალბატონ ეთერთან მუშაობაზე უფრო სასიამოვნო არაფერია. საქართველოში მეორე ასეთი მომღერალი მართლა არ არსებობს, მას ვერანაირი ნაკლი ვერ ვუბოვებ — სასწაული ადამიანია!

საქველმოქმედო ფონდზეც გვიამბე — რამდენი ხანია, რაც „ერთობა“ ჩამოაყალიბე?

— უკვე მეშვიდე წელია. როგორც წესი, არ „ვმზაურობთ“. ჩვენი ფონდი სპონსორებზე დამოკიდებული. მისი წევრების უმეტესობა — სასულიერო პირია. ისინი



ყოველთვის თან დაგვყავიან, ბავშვებს აზიარებენ...

ერთი და იმავე მიუსაფარ ბავშვებთან ურთიერთობა?

— არა, სხვადასხვასთან. ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, მათ ქუჩიდან წავიყვანთ თუ რომელიმე ბავშვთა სახლიდან, ეს არსებითი არ არის, მთავარია — წავიყვანოთ და მადლს ვაზიაროთ. ვცდილობთ, პატარებს ცხოვრება გავუღამაზოთ, ყოველდღიურ გარემოს დროებით მოვწყვიტოთ, მარტოობის განცდა შევუშუბუქოთ...

თქვენი ფონდი პატარებს საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალებას თუ აძლევს?

— როგორ არა?! ზოგიერთი ბავშვი სპორტის რომელიმე სახეობაშია ნიჭიერი და მათ კონსულტაციას ვუწვევთ — სად, ვისთან მივიდნენ. ბევრი მათგანი ტაძარში დადის, წირვას ესწრება... 10 ბავშვიდან ერთიც რომ დაადგეს ჭეშმარიტების გზას, ძალიან გაგვიხარდება. ღმერთი მოწყალეა — ჩვენი საქმიანობა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

რამდენად მასშტაბური ცალკეული აქცია? რამდენი ბავშვის წაყვანას ახერხებთ ხოლმე?

— ეს ფინანსურ სახსრებზეა დამოკიდებული. შეიძლება, 200, 100 ან 50 ბავშვი წავიყვანოთ. ვცდილობთ, პატარებს ყველა მშენებარე ეკლესია-მონასტერი ვუჩვენოთ. ჩვენს ვიზიტებს მედიასაშუალებები აშუქებენ, შესაბამისად — საზოგადოება იგებს, რომ ტაძრის მშენებლობისათვის დახმარებაა საჭირო. ამგვარად, შეიძლება ითქვას, ორ საქმეს ერთდროულად ვაკეთებთ.

დაბოლოს, ეთერ კაკულიას კლიპს ფართო აუდიტორია როდის იხილავს?

— დაახლოებით, ერთ თვეში.
— იმედა, ეს ლამაზი კლიპი ძალიან პოპულარული გახდება, როგორც სიმღერა. წარმატებას გისურვებთ!
— დიდი მადლობა!



ცხოვრება

რძალ-დედამთილიანი ანუ როცა ოჯახის წევრი მტრად გადაგვიდება

ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი რომ ხშირად ხდება, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ როცა ორი ადამიანის კინკლაობას ოჯახი ეწირება, დამეთანხმებით, ეს უკვე სერიოზული პრობლემაა. საბედნიეროდ, ჩემი ნაცნობის უმეტესობა დედამთილზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობს, მაგრამ ცხადია, გამონაკლისებიც არსებობენ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, მეგობრების წრეში ერთ გოგონას შევხვდი, რომელმაც საკუთარ დედამთილზე ისეთი რაღაცები მიაშრო, რომ თავი საშინელ ზღაპარში მეგონა. ჯადოს არსებობის როგორ არ მჯერა, მაგრამ ვფიქრობდი, — ჯადოქრებიცა და შავი მაგიის სხვა წარმომადგენლებიც წარსულში დარჩნენ. ასლა ადამიანს მოძღვარი თუ არ ჰყავს და წირვა-ლოცვას არ ესწრება, ღმერთის თავისებურად მაინც სწამს, მისნებს არ სტუმრობს-მეთქი. თურმე, მწარედ ვცდებოდი.



მე და ზაზამ ჯვარი მალევე დავინერეთ, დედამისმა გრანდიოზული ქორწილი გადაგვისხადა და საქორწილო კაბიდან დაწყებული, დარბაზის დიზაინით დამთავრებული, ყველაფერი მისი გემოვნებით იყო შერჩეული. კაბა ისე მიყვია, მაღაზიაში ერთხელაც არ ნაფუყვანივარ ანუ არჩევანის საშუალებაც არ მომცა. მაშინ ვფიქრობდი, რომ ამით პატივი მცა, მაგრამ თურმე ვცდებოდი... ქორწილიდან მეორე დღეს, ის დილის 9 საათზე, ჩვენს საძინებელ ოთახში დაუკაკუნებლად შემოვიდა და გვითხრა — რაღა დროს ძილია, სადაცაა სტუმრები მოვლენ, ახლავე აბრძანდითო. მისმა საქციელმა გამაკვირვა, მაგრამ ხმა არ ამომიღია. ახალი პატარძალი საოჯახო საქმის კეთებას შეუდგე, ნანა კი მხოლოდ ბრძანებებს იძლეოდა და ზაზაც იმას აკეთებდა, რასაც დედამისი ჰკარნახობდა. ჰოდა, იმ დღესვე მივხვდი, რა შარშიც გაყავი თავი... სულ რაღაც ორი კვირის გათხოვილი ვიყავი, როცა მეუღლე შინ ნასვამი დაბრუნდა და სასტიკად მცემა მხოლოდ იმიტომ, რომ მის დაბრუნებას არ დაველოდე, ჩამძინა. მეორე დღეს დედამთილმა „დამომოდვრა“: ქმარს პატივი უნდა სცერას ჰქვია, მის მოსვლამდე დაიძინე? იქნებ რაიმე შეემთხვა, შენ კი, ნერვიულობის ნაცვლად, ლოგინში გორაობდი. ღირსი იყავი, რომ გცემო!.. გოგნებულმა პასუხიც ვერ გავუცვი. იმავე საღამოს აღმოვაჩინე, რომ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ქვედაბოლო გაქრა. მთელი სახლი გადავაქოთე, მაგრამ ვერსად მივაგენი. დედამთილს ვვითხე, — სადმე თვალი ხომ არ მოგიკრავს-მეთქი? — არაო, — მიპასუხა. ძალიან შევწუხდი და ვთქვი, — დედაჩემთან დავრეკავ, ალბათ, იქ დამრჩა-მეთქი. ცოტა ხანში ნანამ დამიძახა, — შენი ქვედაბოლო ვიპოვე და პარკში ჩადებული მომანოდა. გამიხარდა და მამ-

ნათია ჟივიკა

ანანო, 27 წლის:

— მართლა ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შვილის „გადარჩენის“ მიზნით ჯადოს კეთებაზეც არ ამბობენ უარს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ადამიანი ჩემი ოჯახის წევრი გახლდათ... მე და ზაზამ ერთმანეთი მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანით. მაშინვე ვიგრძენი, რომ მოვეწონე და სიმართლე გითხრათ, მეც პირველი დანახვისთანავე მოვიხიბლე მისით. იმ საღამოს ზაზამ სახლამდე მიმაცილა, გვიან ღამით კი დამირეკა და მკითხა, — როგორ ახვედიო? მერე მესიჯი მომწერა. მეორე დღესაც მომიკითხა და ასე, ნელ-ნელა ავანყვეთ ურთიერთობა. თავდაპირველად მეგობრების

გარემოცვაში ვხვდებოდით ერთმანეთს, მერე კი, როცა თავის გრძობაში გამოიჩინა, თეატრსა და კინოს ვსტუმრობდით, კაფეშიც ხშირად შეხვდებოდით. ერთხელ, ქუჩაში სეირნობისას შემთხვევით, ქალბატონი ნანას (ზაზას დედა) გადავეყარეთ. ის ძალიან კარგად შემხვდა და მაშინვე შინ მიმინვია, ფინჯან ყავაზე. მას მერე ნანა ხშირად მირეკავდა, ჩემს ამბებს კითხულობდა და ოჯახშიც ხშირად მეხატებოდა. მოკლედ, ძალზე კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ზაზა არ მუშაობდა და დაოჯახებისგან თავს ამიტომაც ვიკავებდით. ქალბატონმა ნანამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — მე რას ვაკეთებ, თქვენს ოჯახს როგორ ვერ შევინახავ? სასწრაფოდ უნდა დაქორწინდეთო! მოკლედ, მისი დაჟინებული თხოვნით,



ინვე ჩავიცივი. საღამოს მეგობარი მესტუმრა. მისთვის ყავას რომ ვაძლულებდი, მითხრა, — მაგ ქვედაბოლოზე რა გასახიანო? გავიხადე და უკანა მხარეს მართლაც, ყვითელი სითხე იყო დასხმული. მაშინვე გავრეცხე, მაგრამ ლაქა ვერ ამოვიყვანე. დედამთილს ვკითხე, — ქვედაბოლო სად იპოვე? ძალიან ჭუჭყიანია და თან, ლაქაც არ შორდება-მეთქი. — უკვე ერთი თვეა, ჩვენი რძალი ხარ და ჯერ არ დაორსულე-ბულხარ, ამიტომ ერთ ნიჭიერ ადამიანს შევალოცინეო, — მიპასუხა. ლამის გავგიჟდი, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე... მეორე დღეს ყველა ტანსაცმელი შევამოწმე და ორ თეთრ პირსახოცზე იგივე-ნაირი ლაქა შევნიშნე. დედამთილს გავუტანე და ვკითხე, — ამ პირსახოცებზეც შევალოცინე-მეთქი? — კი და ეს იმიტომ გავაკეთე, რათა შენ და ზაზას მყარი ოჯახი გქონდეთო. ამის შემდეგ ფრთხილად ვიყავი და რომელ ტანსაცმელზეც მსგავს ლაქას შევნიშნავდი, ახლოს არ ვეკარებოდი... რალაც პერიოდის შემდეგ ჩემს ფოტოალბომში რომელიღაც ფრინველის ბუმბულეები, უშველებელი ბრჭყალები ვიპოვე — ისინი ერთმანეთზე ვიდაცის თმით იყო გადაბმული... ერთი მეგობარი მყავს, ნინო, რომელიც ზაზას ძმას, გიორგის მოსწონდა და სულ მთხოვდა, მისთვის საქმე ჩამეწყო, მაგრამ თავს ვიკავებდი — ჯერ ერთი, ჩემი მშალი ჩემს ქმარზე სასტიკი ადამიანი ჩანდა, მეორეც, ნინოს აბსოლუტურად სხვა ბიჭი მოსწონდა და გიორგის ზედაც არ უყურებდა. ნანა ჩემს მეგობარზე ბრაზობდა, — გიორგის მისი დასაწუნი რა სჭირს?! ერთხელ ნინომ დამირეკა და მითხრა, გესტუმრებო. ეს ამბავი ნანასთან წამომცდა. საღამოს, როცა მე და ნინო ოთახში განვმარტოვდით, ჩვენთან ნანა შემოვიდა, ნაყინი შემოგვიტანა. ამასობაში ზაზაც მოვიდა და ნაყინი რომ დანახა, მითხრა, — ცოტა მეც მაჭამეო. ნანამ ხელები გაასაგსავა: ნაყინი თუ გინდა, ფუღს მოგცემ და იყიდე, ესენი კი გოგოებს მოვუტანეო. მაშინვე მივხვდი, რომ რალაცაში იყო საქმე და ზაზას ჩემი ნაყინი მივანოდე, — მე არ მინდა-მეთქი. დედამთილმა ყვირილი დაიწყო: მე პატივი გეცით და თქვენ ამ პატივისცემაზე უარს როგორ მეუბნებითო? გაოგნებულმა ნინომ ნაყინი სასწრაფოდ ჩაკბინა, მე კი თეფშზე დავდე, არ შეეჭამე... მეგობარმა მეორე დღეს დამირეკა და შემომჩივლა: ნუხელ ისე ცუდად გაგხდდი, „სასწრაფო“ გამოვიძახეთ. ექიმები ვერ მიხვდნენ, რა მჭირდაო. მაშინვე

ნანასთან გავვარდი და ვკითხე, — რა იყო იმ ნაყინში-მეთქი? — რა განერგიულეხ, დედი? აბა, ნინოს იმის ნებას მივცემ, რომ ჩემს შვილს ზემოდან უყუროს? ნახე, ახლა, გიორგი თუ არ შეუყვარდეს. ისე, შენც რომ გეჭამა, ზაზა მეტად შეგიყვარდებოდაო, — მიპასუხა. — უნამუსო ჯადოქარი ხარ-მეთქი, — მივხასიალე და მაშინვე მშობლებთან დავრეკე. საწყალი დედამა გაოგნებული მისმენდა, ჩემი მონაყოლის დაჯერება გაუჭირდათ. ნანას საკუთარი საქციელის არც კი რცხვენოდა, პირიქით, ამით ამაყოფა კიდევ: — მე ბავშვებს მყარი ოჯახის შექმნაში ვეხმარებოდი. არავითარი ჯადოქარი არ ვარ, უბრალოდ, მოლას შევალოცინეო. იმ სახლში ვინ გამაჩერებდა? მშობლებმა იმ დღესვე ნამომიყვანეს. ამ ამბის შემდეგ მე და ნინო ქაშუეთის ეკლესიაში, მამა სოკრატეს კვეთებულეებზე დავდიოდით და მის სენაკში ყოველი შესვლისას გული მიგვიდოდა... ერთი თვის წინ ნინო გათხოვდა და თავს ბედნიერად გრძნობს, მე კი ისევ, ძველ ჭრილობებს ვიშუშებ...

ანია, 32 წლის:

— ჩემი და ჩემი მომავალი მეუღლის სიყვარულის ამბავი უნივერსიტეტში დაიწყო. თავიდან ვმეგობრობდით, მერე კი ეს მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ორი წელი ვიყავით შეყვარებულები. ის დღესასწაულებზე ოჯახში მსტუმრობდა, ჩემს მშობლებთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. ლამა დედ-მამასთან და გაუთხოვარ დასთან ერთად, ოთახნახევრიან ბინაში ცხოვრობდა, მე კი მართალია, ქალაქის გარეუბანში, მაგრამ სამსართულიანი, კარგად მოწყობილი სახლი მქონდა. მამაჩემი მალე თანამდებობაზე მუშაობდა და მატერიალურად ნამდვილად არ გვიჭირდა. ლამას ოჯახი მის დაბადების დღეზე გავიცანი. ყველა თბილად შემხვდა; მომავალი მული მაშინვე დამიმეგობრდა და თავის თავისისცემელებზე დამიწყო ლაპარაკი,

სადედამთილომ კი მითხრა, დაქორწინებას ნულარ გადადებო. როგორ უნდა დავექორწინებულყავით, როცა ორივე სტუდენტი ვიყავით? ვის კისერზე უნდა გვეცხოვრა? ჰოდა, ლამას ვეუბნებოდი, — ჯერ მუშაობა დავინწყით და ოჯახის შექმნაზე მერე ვიფიქროთ-მეთქი. თავიდან თანახმა იყო, მაგრამ მისი დაბადების დღის მერე მითხრა, — ან ახლა დავექორწინდებით, ან არასდროსო! მშობლებს ლამას ნათქვამი გადავეცი. მამამ მირჩია, — ჯობია, გაყვე. სხვათა შორის, ხალხის ჭორაობამ და კითხვებმა მეც დამალა. თუ დაქორწინდებით, სამოთახიან ბინასაც გაჩუქებთ და ვიდრე მუშაობას დაიწყებთ, საჭმელსაც არ დაგამადლითო. ასეც მოხდა, მამაჩემმა პირობა პირნათლად შეასრულა...

თურმე, ლამას ოჯახის ნევრებს ჩემი ქონება უფრო აინტერესებდათ, ვიდრე — თავად მე. ქორწილიდან ერთ კვირაში დედამთილი მეახლა და მითხრა: მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ვვლარ ვენწყობით, უნდა გავშორდე და ცოტა ხანს თქვენთან მაცხოვრებო. ჰოდა, დედამთილს ამ თხოვნაზე უარს ხომ ვერ ვეტყვოდი?... მართალია, მიკვირდა, ქმარს თუ გავშორდა, ყოველდღე იმ სახლში რისთვის მიდის-მეთქი, მაგრამ ხმა არ ამომიღია. ერთხელაც, სახლის დალაგება გადავწყვიტე და ქვეშაგები გასამზუფრებლად გავიტანე. შევამჩნიე, რომ ლეიბს კუთხეში თმა, ფრჩხილები და სანთლის ნაშენავები ჰქონდა მიკერებული. არადა, ის ლეიბი მე და დედამ შევიძინეთ, ჩვენვე დავაგეთ იმ სანთლზე და მაშინ მსგავსი არაფერი შეგვინიშნავს. ის საზიზღრობა მოვარღვიე და ფანჯრიდან გადავაგდე. მერე კარადაში ვიპოვე ბუმბულეები, ნაძვის ხის სათამაშოში კი, რომელიც დედამთილმა მისასხოვრა და შემთხვევით გამიტყდა, ერთმანეთში გადახლართული სანთლის ნაშენავები იდო. დედამთილზე ეჭვს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიტანდი, რადგან ის

ეკლესიაშიც დადიოდა, მარხვასაც ინახავდა და ეზიარებოდა კიდევ, ამიტომ შინ დაბრუნდა თუ არა, შევიჩვლე, — ნახეთ, ეს ყველაფერი ჩემს ოთახში აღმოვაჩინე-მეთქი. თავიდან შეცბა, მაგრამ მერე მითხრა, — არა მგონია, ეს ყველაფერი საშიში იყოს, მომეცი და გადავიყრიო... გარკვეული პერიოდის მერე, როცა შინ მშობლები მენვივნენ, პატარა სუფრა გავანწყეთ და ოჯახურ წრეში ვმხიარულობდით. სამზარეულოში გავდიოდი, როცა დედამთილი სკამიდან ნამოსტა





და სახეში რალაც სითხე შემასხა. დედამ იკვილა, — რას უშვრებო? — ნუ გეშინია, ნაკურთხი წყალი შევასხიო, — უთხრა დედამთილმა. არადა, წყალი ნამდვილად არ იყო, რადგან ცხიმი სახეზეც და თმაზეც გადაამეგლისა. მაშინვე ვიბანავე, დედამ კი თავზე საკმეველი შემომატარა. მამამ ჩემს დედამთილს კატეგორიულად გამოუცხადა, — ახლავ ნადი ამ სახლიდან და ეგ ნაკურთხი წყალი შენს გაუთხოვარ შვილს შეასხიო! იმ საღამოს წნევამ ამინა და როგორც დედა იხსენებს, გავშავდი კიდევ. „სასწრაფო“ გამოიძახეს, რომლის ექიმებმაც თქვეს, — კიდევ კარგი, დროულად მოვედი, თორემ ინფარქტს მიიღებდაო... ამ ამბის შემდეგ დედამთილი მტრად გადაამეკიდა: თავის შვილს დაიბარებდა ხოლმე და ჩემ მიმართ აგრესიულად განაწყობდა. ჰოდა, შინ დაბრუნებული ლაშაც გამუდმებით მეჩხუბებოდა, — ჩემებს მატერიალურად რომ უჭირთ, რატომ არ ეხმარებო? მისი უსამართლობა



ცოტა ხანს კიდევ ვითმინე, მაგრამ ერთ დღესაც კარი ჩავკეტე და მშობლებთან დავბრუნდი. მალე ლაშამ დაშირეკა, — კარს ვერ ვალეხ, სად ხარო? ვუთხარი, — დედაშენთან წადი, მე შენთან აღარ დავბრუნდები-მეთქი. მას შემდეგ 5 წელი გავიდა. საბედნიეროდ, ლაშას ოჯახის არც ერთი წევრი აღარ მინახავს და თავს ნამდვილად, ბედნიერად ვგრძნობ...

ბულნაჯი, 65 წლის:

— რძლის გული ვერაფრით მოვიგე. ჩემი შვილი 18-ის იყო, როცა 17 წლის გოგონაზე დაქორწინდა. სად გიზარდა ან ვინ გაზარდა ასეთი, არ ვიცი, მაგრამ ოჯახში შემოსვლისთანავე გამოგვიცხადა: ახლა ამ სახლის დისახლისი მე ვარო და ყველაფერს ადგილი შეუცვალა. დანარჩენი ოთახები ჯანდაბას, ახალგაზრდები არიან და როგორც თვითონ სურთ, ისე მოან-

ყონ, მაგრამ ჩემს ოთახს რაღას ერჩოდა? მითხრა, — მიცვალეზღლებს ფოტო ცუდი აურის მატარებელიაო, ჰოდა, როცა სახლში არ ვიყავი, ჩემი მეუღლის, მშობლების და ერთადერთი ძმის ფოტო დაუნვავს. ლამის გადავირიე, მთელი კვირა ვტიროდი... ახლა ბავშვი შეეძინათ და პატარას ახლოსაც არ მკარებებს, — მოხუცი ხარ და ხელიდან გაგივარდებო. დამცინავდა მეუბნება: თქვენ დროს პამპერსი სად იყო, ახლა რომ ისწავლო მისი გახდა-ჩაც-მაო და თურმე, ვერც ბავშვის ჭურჭელს გავრეცხავ. ტანისამოსი, რომელიც შვილიშვილისთვის ვიყიდე, დაინუნა, — ეს „დეიჯინის“ დროინდელი შარვლები სად იშოვეო და უკან მოიყარა. მოკლედ, ამ ლანჩის გული ვერაფრით მოვიგე. ახლა აჩქემა: ყველა ჩემი დაქალი, ქმართან ერთად, ცალკე ცხოვრობს და მე რატომ უნდა ვიცხოვრო დედამთილთან? იქნებ მინდა, ქმარს შუა სამზარეულოში მოვყვეროო. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ჩემი

შვილიც მის მხარესაა და ამბობს: ახალგაზრდა წყვილი ცალკე უნდა ცხოვრობდეს. მოდი, ბინა გავყოთო. სხვა რა გზა მაქვს და მაკლერი ავიყვანე, საცხოვრებელს უკვე ვყიდით. ალბათ, ჩემთვის ერთოთახიან ბინას ვიყიდო, აბა, მეტი რაში მჭირდება? ვშუშაობ, როგორც ინვალიდს, პენსიაც მეკუთვნის, ქალიშვილის ქმარიც თან მყვება და იმათ იმედად ვიქნები... სამწუხაროდ, ვაჟმა ამაგი ვერ დამიფასა. თურმე, მასზე ტყუილად ვდარდობდი...

ჩემი მომდევნო რესპონდენტი, როგორც არ უნდა გაგვიკვირდეთ, მამაკაცია, რომელიც რედაქციაში მესტუმრა. მან საკუთარი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა და მითხრა, — ეს ჩემმა რძალმა რომ ნაიკითხოს, შინიდან გამომაგდებს. თქვენთან უბრალოდ, გულის გადასაშლელად მოვედიო.

ბურაში, 73 წლის:

— ერთადერთი შვილი მყავს, გიორგი. მისი გაჩენის შემდეგ ჩემს მეუღლეს ჯანმრთელობა შეერყა, სხვა შვილი აღარ გვეყოლა. ცხადია, გიორგის თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდით, ცივ ნიავს არ ვაკარებდით. ვასწავლეთ, გავზარდეთ, უმაღლესში მოვანყვეთ და მერე მისთვის კარგი სამსახურის შოვნაზეც ვიზრუნე. მუშაობა დაინყო თუ არა, გიორგიმ ლიკა გაგვაცნო და გვითხრა, — ჩემი საცოლეაო. გოგონა ძალიან მოგვეწონა, მისი რძლობის სანინაღამდეგო არაფერი გვქონდა. მალევე დაოჯახდნენ და სამოგზაუროდაც წავიდნენ. სამწუხაროდ,

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული რძალი ველარ ვიცანით. — ახლა ეს ჩემი სახლია და როგორც მე მინდა, ისე უნდა მოვანყო, — გამოგვიცხადა. ჩემმა მეუღლემ უთხრა: როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ახალგაზრდა ხარ და უფრო კარგი გემოვნება გექნებაო. მოკლედ, რაც არ მოეწონა, ლიკამ ყველაფერი ჩვენს ოთახში შემოყარა, — გინდათ გადაყარეთ, გინდათ თქვენთვის დაიტოვეთ, ეს გოიმური ნივთები მე არაფერში მჭირდებაო. არც ამაზე ამოგვიღია ხმა, მაგრამ ცოტა ხანში ჩემს ცოლს გამოუცხადა, — ისეთი ბებერი ხარ, შენს გაკეთებულ საქმელს როგორ შევჭამ? ჩემს ქვებებს ცალკე კარადაში დავაწყობ და ხელი არც ერთმა არ დააყაროთ; თუ გინდათ, საჭმელი თავად გაიკეთეთ, თუ გინდათ, მშვირები მომკვდარხართო. იმ დღეს ჩემი მეუღლე ცუდად გახდა, ინფარქტი დაემართა, ერთი თვის მერე კვლავ გაუშეორდა და გარდაიცვალა. მას შემდეგ, რაც დედამთილი „თავიდან მოიშორა“, ჩემი რძალი სულ გადაიარა — ოთახიდან გამოსვლის ნებას არ მაძლევს, ზიზღნარევი მზერით მიყურებს და შვილიშვილთან, რომელიც რამდენიმე თვის წინ მოვევლინა ქვეყნიერებას, მიახლოებასაც კი მიკრძალავს, — შენი ბინძური ხელები არ მოვიდოო.

— თქვენი შვილი არაფერს ეუბნება?

— არ ვიცი, ჩემს შვილს ასეთი რა გაუკეთა, მაგრამ ის ცოლის ჭკუაზე დადის. თან, უჭკუო გოგო არაა. გიორგის მხოლოდ ასე მიმართავს, — ჩემო სიცოცხლეო, მისი თანდასწრებით არასდროს მეჩხუბება. როცა მარტო რჩებიან, ქმარს ეუბნება: მამაშენი სულ გამოჩერჩეტდა და არ მინდა, სახლიდან გავიდეს, ქუჩაში რაიმე არ შეემთხვასო. ჰოდა, გიორგისაც სჯერა მისი. მეუბნება: — შენი ასაკის მოხუცი ოთახში უნდა იჯდეს და წიგნს კითხულობდესო. მე კი აღარ შემიძლია იმ გამოკვეტილ ოთახში ყოფნა, სუფთა ჰაერი მჭირდება. უკვე სიკვდილზე ვოცნებობ, რათა ჩემს ცოლთან წავიდე, ამათმა კი რაც უნდათ, ის ქნან...

P.S. იმედია, მსგავსი პრობლემები არასდროს შეგექმნებათ, ოჯახში შესული რძლები კი თავიანთ ნაბიჯებზე კარგად უნდა დაფიქრდნენ — თუ ქმარი გიყვარს, უნდა შეეცადო, მის მშობლებს გული არ ატკინო, მაგრამ ხშირად, ოჯახში შესულ ადამიანს თავად ოჯახის წევრები ხვდებიან ცუდად — ამ შემთხვევაში, რძალს ვერავინ დაადანაშაულებს. დედამთილებმა, მულებმა და სხვებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საკუთარი სისხლისა და ხორცის ოჯახის დანგრევით, ბედნიერებას ვერ ჰპოვებენ...



გალაკტიონის მუზა

მარი ჯაფარიძე

გასული საუკუნის დასაწყისში, ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთში ახალგაზრდა, ლამაზი ქალი — აკვილინე ცხოვრობდა. როგორც იქაურებისგან შევიტყვე, თურმე ეს ქალბატონი თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრში, გალაკტიონ ტაბიძეს შეხვედრია და თავისი გარეგნობით მოუხიბლავს კიდეც. პოეტს მისთვის აკროსტიქი მიუძღვნია, რომელიც აკვილინეს შთამომავლობას დღემდე აქვს შემონახული.



ა-რესის რისხვამ ვერხვის ფოთლებში გაინავარდა, კ-რთოლვით მაცვალა დილის ნამს შესთხოვს წყლულის კურნებას, ვ-არდი ვარაყი, ია, ნარგიზი და მთის არმაშა, ი-რანის სიამაყე შეუქმნია თქვენში ბუნებას. ლ-ალის გრეხილით თაიგულს შევკრავ, ნილოსის მარჯნით, ი-არტაშის ტალღებს გადავქორავ ბროლის თითებით, ნილოსს მოვკვეთავ ულამაზეს ოაზისს მარჯნით, ე-იფელის კოშკი ვერ შეგედრება, ამაყ ქალს ვნებთ.

1932 წელი





„დინამოს“ სტადიონიდან „სანტიამო ბერნაბეუმი“



ანა აკულავა

ჟურნალისტიკის სამსახურებრივი ხელფასი არ ჰყოფნიდა და საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრი დაიწყო. მადრიდში მისი ნათესავი ცხოვრობდა, რომელმაც მარიკას ოცნებას ფრთები შეასხა და უცხო ქვეყანაში დასამკვიდრებლად ნიადაგი მოუმზადა.

ერთ მშვენიერ დღეს მარიკა მოცეკვავეთა ჯგუფს გაჰყვა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გასტროლების შემდეგ, სანჯუვარ ქალაქსაც მიაღწია.

მარიკა ნუზარიშვილი:

— საქართველო 2000 წელს დავტოვე. მოცეკვავეთა ჯგუფთან ერთად, ჯერ საფრანგეთში ჩავედი, იქიდან ბარსელონამდე კი მატარებლით ვიმგზავრეთ. შუა გზაზე, რატომღაც პასპორტში ჩახედვა მომინდა და უეცრად აღმოვაჩინე, რომ ჩანთა დამკარგვოდა, საბუთებიანად. ავბლავლდი, რა ავბლავლდი!.. მატარებლის ვაგონებში დაკარგული ნივთების ძებნა დავიწყე; ბოლოს მივაგენი — ერთ ღვთისწიერ ქალს უპოვია და თავისთან შეუნახავს. მადრიდში დამხვდნენ ახლობლები და ნათესავეები, რომლებსაც წინასწარ დაეჭირათ თადარიგი, რათა ახალ გარემოში თავი კარგად მეგრძნო. ძალიან შთამბეჭდავი იყო პირველი ესპანური დღეები — ვათვა-

რატომ არ უყვართ ესპანელებს ხინკალი

ყოფილმა ჟურნალისტიკა, ამჟამად მადრიდში მცხოვრებმა მარიკა ნუგზარიშვილმა ესპანეთის დედაქალაქამდე საკმაოდ გრძელი და დაბრკოლებებით სავსე გზა განვლო.

მარიკას ჟურნალისტიკა იზიდავდა და თავის დროზე, საშუალო სკოლის ატესტატით ხელში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ახალგაზსნოდ ჟურნალისტიკის ფაკულტეტს მიაშურა. ჟურნალისტიკად გაზეთ „მერიდიანში“ ჩამოყალიბდა: სპორტულ მასალებს წერდა, ფეხბურთი უყვარდა და „დინამოს“ სტადიონის სშირი სტუმარიც იყო. იმ დროს რა იცოდა, რომ წლების შემდეგ „სანტიამო ბერნაბეუს“ ტრიბუნაზე აღმოჩნდებოდა?!

ლიერებდი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მადრიდი ხომ ულამაზესი ქალაქია... არ მიყვარს უსუფთაობა და ეს კარგად იცოდნენ ჩემმა მასპინძლებმა, რომლებმაც ამგვარი „სიურპრიზი“ მომიწყვეს: ერთ საღამოს დამპატიჟეს ბარში; თითქოს ჩვეულებრივი ბარი იყო, მაგრამ როცა დავინახე, იქ მყოფი საზოგადოება ქალაქის ხელსახოცად მოიხმარდა და პირდაპირ იატაკზე როგორ ყრიდა... ესპანელთა ტრადიციას გაფართოებული თვალებით უყურებდი, ბარიდან გამოსვლისას კი ძირს დაყრილ ქალაქლებში მივიკვლევდი გზას...

პაატა ბურჭულაძე, ფერანდო ალონსო და „სანტიამო ბერნაბეუმი“

დაბადებული ოსნება

— აქ, მადრიდში ჯერ მუშაობა დავიწყე „ენპანადის“ ფაბრიკაში, რომელიც აწარმოებს პროდუქტებს, ე.წ. ნაპოლეონის ცომში გახვეული ხორცისა და თევზის სახით. გემრიელი რამ არის და სახლშიც ხშირად ვამზადებ. ქართული კერძებიდან ესპანელებს ნიგვზიანი ბადრიჯანი, კუჭმაჭი და ხაჭაპური მოეწონათ, მაგრამ მათ ვერაფრით შევაცვარე ხინკალი და საცივი. საერთოდ ესპანელები მსუბუქად იკვებებიან...

ამჟამად ქალაქის ცენტრში, ტანსაცმლის მაღაზია „კალაოზეში“ ვმუშაობ. 5 სამუშაო დღეა, შაბათ-კვირას ვისვენებ. აქ მცხოვრები ქართველები წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ვიკრიბებით ხოლმე და გასართობ შოუებზეც ვხვდებით ერთ-



პირადად შევხვედრივარ მომღერალ პაატა ბურჭულაძეს

მანეთს. პირადად შევხვედრივარ მომღერალ პაატა ბურჭულაძეს, მსახიობ ლევან უჩანეიშვილს, დავსწრებივარ სუბიშვილების კონცერტს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამაყით შევყურებდი სცენაზე ქართული ცეკვით დანთებულ ცეცხლს და პირლიად დარჩენილ ესპანელ მაყურებელს. გარდა ამისა, მეგობრებმა „ფორმულა 1“-ის პრიზის გათამაშებაზეც წამიყვანეს და მოულოდნელად, ცნობილ პილოტ ფერნანდო ალონსოს გვერდითაც აღმოვჩნდი.

ესპანეთში წამოსვლამდე, როცა სპორტული ჟურნალისტი ვიყავი, სშირად ვესწრებოდი საფეხბურთო მატჩს თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მონაწილეობით. მაშინ, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ტრიბუნაზე მჯდომი, ვერც წარმოვიდგენდი, რომ



წლების შემდეგ, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტრიბუნებიდან მივაღწევნებდი თვალს მადრიდის „რეალის“ თამაშს. ოცნებად მაქვს გადაქცეული, ამ დიდებულ არენაზე თბილისის „დინამოს“ ან საქართველოს ნაკრების თამაშის ხილვა. ქართველი ფეხბურთელების საქომაგოდ აუცილებლად, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ქართული დროშით ხელში მივალ.

„ქართული ხარ, შე დალოცვილო?“

— ერთი ასეთი კურიოზი გადამხდა: ახალ სამსახურთან დაკავშირებით გასაუბრებზე მივდიოდი. მადრიდის ცენტრში მიმავალი, სამსახურის მთავარ ოფისს ვეძებდი, ქუჩას ვერ ვპოულობდი და ამიტომაც, დახმარებას გამგელებს ვთხოვდი. ბევრმა არ იცოდა; ბოლოს ერთმა მამაკაცმა რუკა ამოიღო და ორივემ ერთად დავინყეთ ქუჩის ძებნა. ის რალაცას ინგლისურად მისხნიდა, მაგრამ ვერაფერი გავიგე და სასოწარკვეთილს, იმის გამო, რომ მაგვიანდებოდა, „ვაიმე, დედა“ აღმომხდა. უეცრად, იმ მამაკაცმა ქართულადვე მითხრა: „ქართველი ხარ, ქალო?! რაღას მანვალეზბდი, შე დალოცვილო, ამ ინგლისურად?!.“

უკვე 10 წელია, დონ კიხოტისა და სანჩო პანსას სამშობლოში ვცხოვრობ, ყოველდღიურად სამსახურებრივი საქმეებით დატვირთული ვარ, მაგრამ საკმარისია, დასვენების ჟამს მარტო დავრჩე, გულს სევდა შემომანწვება; სევდა, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია... მენატრება ჩემი საქართველო, ჩემი თბილისი, მარჯანიშვილის მოედანი, სადაც გავიზარდე, ჩემი სახლი და ამ სახლში მომლოდინე ჩემებურები...




ბავშვობაში დაწყებული სულიერი ღვაწლი და წმინდა ნინოს ტაძარში გატარებული 17 წელი

მამა ვლადიმერი (ვახტანგაძე) ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ერთი წელია, რაც მღვდლად აკურთხეს. დღეს ის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში მსახურობს და ცდილობს, ღირსეულად ატაროს მოძღვრის მძიმე ჯვარი, რომელიც უფალმა არგუნა. მოგესხენებათ, ყველა სასულიერო პირს ტაძარამდე სავალი თავისი გზა აქვს. მამა ვლადიმერი ამ გზას ყმანვილობაში შეუდგა და მეც სწორედ ამის შესახებ მინდა გიამბოთ. თხრობას ცოტა შორიდან დავიწყებ...

ღალი ფასია

1998 წელს, 13 წლისას უკვე მღვდლობა უნდოდა. ამის დადასტურებად თუნდაც ის ინტერვიუ გამოდგება, რომელიც მასთან ერთ-ერთი ჟურნალისტის მაშინ ჩავწერე... მანამდე კი, 1997 წელს, ერთ-ერთ ჟურნალში გამოვაქვეყნე საუბარი სკოლის პედაგოგ ნანა ბერიშვილთან, რომლის ფრაგმენტიც დღევანდელ რესპონდენტთან უშუალო კავშირშია... აი, რას მოგვითხრობდა ქალბატონი ნანა: „გვიან გავთხოვდი. პირველი შვილი მკვდრად დამებოდა. დიდი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდი. ჩემს ასაკში ბავშვის გაჩენა სათუო იყო. სახლში ჩემთვის ვლოცულობდი, ტაძარში არ დავდიოდი. ერთხელ მარხვის დაცვა გადაწყვიტე. მაშინ მოძღვარი არ მყავდა და ბევრი რამ ჩემთვის უცნობი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიონის ტაძარში მაინც ჩავაბარე აღსარება და ვეზიარე... ორი თვის შემდეგ, სხეულში ბავშვი ვიგრძენი. ტაძარში არ წავსულვარ, სახლში განვაგრძობდი ლოცვას. უფალს ვევედრებოდი, შვილი ჯანმრთელი შემძენოდა და მას ღვთის სიყვარულსა და სამსახურში გაგზავნიდი. შეისმინა უფალმა ჩემი ცოდვილი სულის ვედრება... ვაჟი შემეძინა. ჩემი შვილი მონათვლის შემდეგ, თავის მამასთან ერთად, წმინდა ნინოს ტაძრის მრევლის წევრი გახდა... სერიოზული ავადმყოფი ვარ. სიარული მიჭირს და ვფიქრობდი, რომ ტაძარში სიარულს ვერ შევძლებდი,



მაგრამ ორი წლის წინ, ნათლისღების დღეს, იქ წასვლა გადაწყვიტე. ეკლესიაში მისვლის შემდეგ, ვიპოვე სულის სიმშვიდე და დიდი სიხარული განვიცადე. ახლა უკვე მთელი ოჯახით ტაძარში დავდივართ. მამა რევაზი ჩვენი ოჯახის სულიერი მამაა. ჩემი შვილი ტაძრის სტიქაროსანია. გადაწყვეტილი აქვს, გახდეს მოძღვარი, რაც ჩემს გულს სიხარულით ავებს...“

სამწუხაროდ, ამ ქალბატონის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა — ის მძიმე ავადმყოფობის შედეგად, ამ ინტერვიუდან 3 თვეში გარდაიცვალა. ნანა ბერიშვილი მამა ვლადიმერის დედა გახლდათ... მცირეწლოვანმა, უდედოდ დარჩენილმა ბიჭმა კი მისი გარდაცვალების შემდეგ, ლოცვა გააძლიერა და იმ გზით სიარული განაგრძო, რომელიც დედის სიცოცხლეშივე ჰქონდა დაწყებული. მერე იმასაც ამბობდა, — დედაჩემი ამქვეყნიდან იმიტომ წავიდა, რომ მე უფრო მეტად მენამა ღმერთით... 11 წლის ასაკში კი საოცარი რამ შეძლო: 1996 წელს მამა რევაზისაგან შეიტყო, რომ აფხაზეთის დაცემის დღისთვის (ჯვართამალღება — 27 სექტემბერი) წმინდა ნინოს გზაზე — მცხეთიდან ალავერდამდე მორწმუნეთა მსვლელობა

მოენცობოდა, ამ გზის გავლის მსურველთა სიაში ჩაენერა და 21 სექტემბერს, მეუფე ნიკოლოზის წინამძღოლობით შეკრებილ სხვა მორწმუნეებს შეუერთდა. სულ 130 კაცი იყო. ერთ კვირაში 160 კილომეტრი უნდა გაევილოთ ფეხით. პატარა ლადოს (მაშინ ასე ეძახდნენ) ასაკისა მათ შორის, არავინ ყოფილა. ისე მოხდა, რომ ფეხით, არაგვის გადალახვაც მოუხდათ, წვიმამაც მოუსწრო... ერთი სიტყვით, მორწმუნეებმა ყველა დაბრკოლება გადალახეს, ის ყმანვილი დღეს უკვე მოძღვარია... გასულ შაბათს მამა ვლადიმერს წმინდა ნინოს ტაძარში ვესტუმრე.

— ჩვენი პირველი ინტერვიუდან 12 წელი გავიდა... მაშინ ამავე ტაძრის სტიქაროსანი იყავით... როგორ გაჩნდა თქვენში ბავშვობაშივე, ეკლესიური ცხოვრების სურვილი?

— ჩემში ამის სურვილი იმთავითვე, თითქოს ბუნებრივად იყო. შეიძლება ითქვას, რომ ტაძრის კედლებში გავიზარდე. სახლშიც ყოველთვის ღოცვა მესმოდა. ბებია, მამის დედა მლოცველი, მორწმუნე ქალი გახლდათ; ჯერ კიდევ კომუნისტების მიერ ქრისტიანობის დევნის პერიოდში (30-იან წლებში), ეკლესიაში დადიოდა, აღსარებას ამბობდა და ეზიარებოდა. ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრების წესებს მისდევდა. კარგად მახსოვს, ხატების კუთხეში როგორ დადგებოდა და ღოცულობდა... ასე რომ, ბავშვობაში ბუნებრივად გაჩნდა ჩემში იმის სურვილი, რომ ეკლესიის მსახური გავმხდარიყავი.

— არადა, მახსოვს თქვენი ბავშვობა, სკოლის მასწავლებლების შეფასებებიც, — რომ არტისტული მონაცემები გქონდათ და თქვენგან კარგი მსახიობი დადგებოდა...

— კი, სკოლაში რაღაც სპექტაკლებსა და წარმოდგენებს ვდგამდით და როგორც მეუბნებიან, არტისტობა გამომდიოდა. მაგრამ მე სხვაზე არაფერზე მიფიქრია.

— ამ ტაძარში მოსვლის პირველ დღეს როგორ გაიხსენებთ?

— სხვათა შორის, საკმაოდ მოზრდილი ვიყავი, რომ მოვიხატე. მოსანათლად თავიდან ამ ტაძარში მომიყვანეს, მაგრამ წინამძღვარი — მამა რევაზი (დღემდე ის ბრძანდება ჩვენი ტაძრის წინამძღვარი) არ დაგვხვდა და ამიტომ სხვა ტაძარში მომნათლეს. მახსოვს, ოთხშაბათი დღე იყო; ნათლობიდან პირველსავე შა-

ბათს კი მე და მამა აქ მამა რევაზთან მოვედი. მოძღვარი თბილად გამესაუბრა. ის დღე იყო და ის დღე — ეკლესიიდან აღარ გავსულვარ... მამა რევაზმა პირველსავე დღეს, 33-ბურთულიანი სკვნილი მიკურთხა და იმის შემდეგ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც აგერ უკვე 17 წელიწადია გრძელდება.



წმინდა ნინოს ტაძარი

— სტიქაროსანი მალევე გახდით, არა?

— კი, თავიდან სტიქაროსანი ვიყავი, მერე მოძღვარმა დამიბარა და მედავითნედ დამადგინა. მახსოვს, ისეთი პატარა ვიყავი, ანალოგიას ვერც ვწვდებოდი. მოკლედ, 10 წლის განმავლობაში აქ მედავითნე გახლდით. ამის შემდეგ, ღვთის ნებით, ისე მოხდა, რომ სასულიერო პირად მაკურთხეს. ერთი წელი სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკონი ვიყავი; ახლა კი უკვე ერთი წელია, რაც მღვდელი ვარ.

— სწავლის პერიოდს როგორ გაიხსენებთ?

— თბილისის სასულიერო სემინარია და სასულიერო აკადემია დავამთავრე. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში შესანიშნავი წლები. რადგანაც სასულიერო სემინარიის რექტორი ბრძანდებოდა ყოველად სამღვდლო აბრაამი გარმელია, ყველანაირად გამართული სასწავლებელი დამხვდა. შემდეგ რექტორად კათოლიკოს-პატრიარქი ილია მობრძანდა. მასთან ყოველი დღე, ყოველი შეხვედრა სასწავლო იყო. ბედნიერება გვხვდა წილად — ყოველდღე კათოლიკოს-პატრიარქთან საუბრის, მისთვის აზრის გაზიარების საშუალება გვეძლეოდა. მისი უწმინდესობა საერთო ლექციას კითხულობდა, სადაც მთელი სემინარიის სტუდენტები ვიყრიდით თავს... საერთოდ, ნებისმიერი სასულიერო პირისთვის აუცილებელია სასულიერო განათლება — სხვანაირად წარ-

მოუდგენელია მისი ერში მოღვაწეობა: საქმე გვაქვს უამრავ ადამიანთან, რომელსაც რჯული უნდა ვასწავლოთ; რწმენა და სათნოებები, რომელიც აუცილებელია, ყველა ქრისტიანს ამკობდეს, არა მარტო თეოლოგიური, არამედ საერო ცოდნითაც უნდა იყოს განმტკიცებული.

— ალბათ შესვედრიხართ ადამიანებს, რომლებსაც სურთ, იყვნენ ჭეშმარიტი მორწმუნეები, იცხოვრონ ეკლესიურად, მაგრამ არ გამოსდით, რადგანაც ამაში მათივე ამპარტაყნება უშლით ხელს. როგორ იქცევით ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას?

— უფალი ამბობს: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი მსუბუქ არს...“ ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება გვხვდება... ზოგი ადვილად დამყოლია, ზოგი — რთულად, მაგრამ ყველანი ხომ ადამიანები ვართ, ღვთის შვილები?! მამას კი ყველა შვილი თანაბრად უყვარს. მოძღვრის ვალდებულება ის არის, რომ ყველა ადამიანს ერთნაირად უმოძღვროს, ჭეშმარიტ გზაზე დააყენოს და უწინამძღვროს მარადიული სასუფეველისკენ. თუ ამას თავს გაუვართმევთ, ეს ბედნიერებაა.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ზომავზე მეტი სიმკაცრე გამოგიჩენიათ ამა თუ იმ ადამიანის მიმართ?

— ჩემზე ამბობენ, მკაცრიყო. საკუთარ თავს რატომღაც მკაცრ მღვდლად ვერ აღვიქვამ. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მრევლის წევრს მკაცრად მოვეცეოდი. თუმცა ისიც ვიცი, რომ პიროვნულად, მთლად რბილიც არ ვარ. მაგრამ ადამიანებს ამ ისედაც შეჭირვებულ ყოფაში მოძღვრის სიმკაცრეც დიდ ტვირთად დაანებებთ და ამიტომ ვცდილობ, მათთან ურთიერთობისას ღმობიერება გამოვიჩინო.

— ახლა ის ადამიანები გაიხსენეთ, რომლებმაც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

— მათ შორის რამდენიმე ადამიანს დავასახელებ: პირველია — გულნაზ გელაშვილი, რომელიც სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა: თუკი რამ ღირებულება ჩემში, ეს დიდწილად, ქალბატონი გულნაზის დამსახურებაა; მინდა გავიხსენო დედაჩემი, ბებია, რომელზეც უკვე ვილაპარაკე; ჩემი მოძღვარი — მამა რევაზი და გარემო მყოფი კიდევ რამდენიმე ადამიანი.

— ოჯახზე რას გვეტყვით?



სულიერი მოძღვრისთვის ოჯახს რაიმე განსაკუთრებული ადგილი ხომ არ უკავია?

— იცით, ოჯახი ხშირად, გარკვეულ ტვირთად განეც კიდევ, მაგრამ ეს ტვირთი ტკბილიც არის და მსუბუქიც. მიმაჩნია, რომ ეს უღელი და ტვირთი ყველა ადამიანმა უნდა გამოცადოს. ოჯახი უდიდესი სიხარული და ბედნიერებაა და ჩვენც, სასულიერო პირებს, ამას უფალი გარკვეულ ნუგეშად გვაძლევს... თავად, მყავს მეუღლე და ჯერჯერობით ერთი შვილი... საერთოდ, ყველაფერი საღვთო წიაღიდან იღებს სათავეს; სინმინდე, სილამაზე — ყველაფერი კარგი, ღვთისგან მოდის, რადგანაც უდიდესი სინმინდისა და სიყვარულის წყარო თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტეა, ყოვლადწმინდა სამება, მამა ღმერთი. ამიტომ ადამიანებმა სწორი, ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა იცხოვრონ, ყველა სიტუაცია სწორად შეაფასონ. პავლე მოციქული ამბობს: „დაუბრმა უგულისხმოი გული მათი, ყოველნი თავისა თვისისასა ეძიებენ და არა ქრისტიე იესოსა“. უფალი ბრძანებს, — მოყვასი ისე გიყვარდეს, როგორც საკუთარი თავი. თუ ამ მცნებიდან ამოვალთ და გონიერებით მივუდგებით საკუთარ ქმედებას, ყველანი დავინახავთ იმას, რაც დასანახია... მოყვასი არ გვიყვარს ისე, როგორც საკუთარი თავი და ამიტომაც არის, რომ ნაკლოვანებას განვიცდით. მაგრამ ადამიანები ნაკლებად ვფიქრობთ და თვითდარწმუნებულებს გვგონია, რომ ჩვენში ყველაფერი მარტივად არის. არადა, ასე არ არის.

— ხშირად მსმენია: „ჩაიდენენ ცოდვას და შემდეგ მოსანანიებლად ეკლესიაში მიდიან“...

— საქმე ის გახლავთ, რომ აღსარება რაიმე იურიდიული აქტი კი არ არის, ის სულის სინრფელა, გამოხატული მღვდლის წინაშე, რომელსაც უხილავად, უფალი უყურებს, ხედავს და ისმენს. ვის მოატყუებ, ღმერთს?.. მაშინ ცუდად ფიქრობ, ადამიანო!.. ხშირად იურიდიული კატეგორიებით ვუდგებით ღვთის მცნებებს, გნებავთ, მის მოწოდებას ანდა რაიმე საეკლესიო წესს. აღსარება სულის ძახილი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერს აზრი აქვს დაკარგული.

— მარხვაზეც გამოგია: „რატომ უნდა შევინახო მარხ-

ვა? განა, ჩვენი გაჭირვებული ცხოვრების გამო სულ მარხვაზე არ ვართ?“

— კარგი ცხოვრება რომ ჰქონდეს ადამიანს, საერთოდ არ იფიქრებდა უჭმელობაზე, საკვებისგან თავის მოზღუდვაზე. მარხვა რალაცისგან თავის შეკავებაა. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, ჩვენი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, შესანიშნავი პიროვნება მარხვაში არ ჭამდა ლობიოს. როდესაც ჰკითხეს, — მეუფეო, რატომ აკეთებთ ამასო? მან მიუგო, — ძალიან მიყვარს და იმიტომ არ გეახლებითო... ღირსი მამა, მაკარი ეგვიპტელი ღვინოს ერიდებოდა, მაგრამ როდესაც სტუმრად მიდიოდა, მცირედ ღვინოს ისმევდა ხოლმე იმისათვის, რათა სხვანი არ დაებრკოლებინა... ყველაფერთან გონიერული მიდგომაა საჭირო. საკუთარი თავის მოზღუდვა, რალაცისთვის იძულება — უპირველეს

ყოვლისა, ეს არის მარხვა და არა ის, თუ რა საკვებს გეახლებით. მარხვაში გემრიელი, სამარხვო ტორტებისა და მსგავსი მამატიეთ და, ნუგბრის ხმევა შეიძლება, ადამიანს ცოდვად შეერაცხოს. ასე რომ, მარხვა საკუთარი თავის რალაცისადმი იძულებაა და ამ იძულების გზით, ვნებებისა და განცდების დათრგუნვით, იმ საღმრთო ნეტარების გზისკენ სვლაა, რომლისკენაც უფალი მოგვიწოდებს. მარხვა ყოველთვის ემსახურება ადამიანის სრულყოფას და სვლას საღვთო წიაღისაკენ. წითელ ხაზად გასდევს ბიბლიას უფლის მოწოდება: „სიმართლით იცხოვრე ისრაელი, სიმართლით“. სიტყვა „ისრაელი“ ღვთის მხილველს ნიშნავს. ვინ-ვინ და ქართველმა ერმა, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უკეთ ისილა ღმერთი ანუ ჩვენ ვართ ახალი ისრაელი და ამიტომაც სიმართლით უნდა ვიცხოვროთ... ■

სიახლე

6.99 ლაჩი

თამაშ მამაცაშვილი

უკითხვა ექიმს

მარტივი რჩევები მთელი ოჯახისთვის

იყოიხეთ სიკვდილის მალახიებში!

ექიმის რჩევები და მარტივი რეკომენდაციები მთელი ოჯახისთვის

L

პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან

წერილი მისამი

(დასაწყისი იხ. „გზა“, №44)

„კელეხს ველოლიავეზი და ამით ჩემს წარსულსაც ვეფერები“

როგორც წინა ნომერში გიამბვეთ, თემქაზე მდებარე ხანდაზმულთა პანსიონატში 74 წლის მშენებელი ქალბატონი ცხოვრობს — ქალბატონი, რომელმაც 30 წლის წინ ამ შენობის აგებაში დიდი წვლილი შეიტანა.

თბა სურსილაკა

მისი ოთახის კარი პანსიონატის თანამშრომელმა შეაღო და მყუდრო გარემოში აღმოჩნდით, სადაც სასიამოვნო გარეგნობის ჭალარა, სათნო მოხუცი იწვა. სამწუხაროდ, იუზა ორმოცაძე დღეს სარეცელს მიჯაჭვულია, მას ორივე ფეხის ამპუტაცია დასჭირდა და ჩვენი სტუმრობისას, ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა. გვითხრა, — ახლა ტკივილი ცოტა შემიმსუბუქდა, თორემ ალბათ, ამას ვეღარ გავუძლებდიო.

9 წელიწადია, რაც ის ამ დიდი სახლის ბინადარია. პირველი ოპერაცია რამდენიმე წლის წინ ჩაუტარდა. გაუჭირდა, მაგრამ მდგომარეობას შეეგუა, დერეფანსა და ეზოში ინვალიდის ეტლით სეირნობდა; გადაადგილებებში ხან სანიტარი ეხმარებოდა, ხან 89 წლის ყოფილი ნევროპათოლოგი თამარ ნაცვლიშვილი, ზოგჯერ კი დამოუკიდებლად, დერეფანში ეტლით გაველას ახერხებდა. ბატონმა მურმან ხაჭაპურიძემ ისიც მითხრა, — ქალბატონ იუზას უძილობა აწუხებს და



ბევრჯერ მინახავს, ღამით, როცა ყველას ეძინა, თავისი ეტლით, თვალცრემლიანი, მის ნაგებ კედლებს როგორ ეფერებოდაო...

ქალბატონი იუზა ორმოცაძე მთელი ცხოვრება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. „თბილქალაქმშენის“ ხელმძღვანელი იყო, როცა თბილისში პურსონალური პენსიონერებისთვის პანსიონატის მშენებლობა გადაწყდა. მაშინ ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ სიბერის წლების გატარება თავადაც აქ მოუწევდა. განვლილ ცხოვრებაზე გულახდილად გვესაუბრა, ბედნიერი წლებიც გაიხსენა, მაგრამ დროდადრო, ხმაში ბზარი ეპარებოდა, სევდიანი თვალებიდან ცრემლები გადმოუვრდებოდა და მცირედი პაუზის შემდეგ, კეთილი მოხუცი ძველ ამბებზე საუბარს აგრძელებდა. არც ის დაუმალავს, რომ ოჯახურ გარემოში ცხოვრება სწყურია და ნუხს, სიბერეს პანსიონატში რომ ატარებს: შვილო, ჩემს ცრემლებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ეს სიხარულის ცრემლებიც არის და ტკვილისაცო, — მითხრა.

იუზა ორმოცაძე:

— „თბილქალაქმშენის“ საწარმოო განყოფილების უფროსი გახლდით, როცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, წინა ყვანისა ინიციატივით, ამ შენობის

აგება გადაწყდა. თითქმის ყოველდღე მოვდიოდი და ვათვლიერებდი, დღეს კი ბედისწერამ აქ მარგუნა ცხოვრება. მიყვარს ეს შენობა, მისი კედლები... ჩემი პროფესია უზომოდ მიყვარდა. როცა ინჟინერ-მშენებელი გავხდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თავდაპირველად სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე და პირველი სანარმომო ნათლობა ტყვარჩელის მაღაროებში მივიღე; შემდეგ ოცნება ავისრულე — სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი დავამთავრე ანუ მთელი ცხოვრება მშენებლობას დავუკავშირე... საღამოობით, როცა ყველა მოხუცს კვინა, გარეთ გავდიო-

დი, ჩემი მონანილეობით ნაგებ კედლებს ამ დასუსტებულ ხელით ვეხებოდი და ვეფერებოდი. ახლა სარეცელს მიჯაჭვული ვარ. 2 წლის წინ ერთი ფეხი მომაჭრეს, მაგრამ განგრენა მეორეზეც გადავიდა და მეორე ფეხის ამპუტაციაც დამჭირდა.

— ქალბატონო იუზა, ქალები იშვიათად ირჩევენ ინჟინრის პროფესიას, თქვენ რატომ გააკეთეთ ეს არჩევანი?

— ინჟინერი ქალი მართლაც, იშვიათობა იყო. იმასაც ვაღიარებ, რომ კომკავშირელი ვიყავი და რაიკომში ვმუშაობდი. რაიკომის მდივანი მაშინ სალუქვაძე გახლდათ და მან მიჩნია, „გეჰეიში“ ჩამებარებინა. სკოლა მედღალზე მქონდა დამთავრებული. ახალგაზრდა ვიყავი, როცა მე-13 ქარხანაში კონსტრუქტორად მუშაობა დავინწყე, მერე — სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ბევრს ვმრომობდი, ყველა ხელისგულზე მატარებდა, მელოლია ვებოდნენ... აქ თითქმის ყოველდღე დავდიოდი. ირგვლივ საოცარი ბალი იყო, პომიდვრებითა და ხეხილით სავსე. მთავარი ინჟინერი ჯობავა გახლდათ, მე კი სამინისტროდან ვხელმძღვანელობდი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, აქ ყოფნა თუ მომიწევდა.

— როგორც ვიცი, შვილი გყავთ. თქვენს პირად ცხოვრებაზეც გვიამბეთ.

— პირველ კურსზე ვსწავლობდი, როცა გავთხოვდი. მალე ბიჭი შემეძინა და მის აღზრდაში დედამთილი მესხმარებოდა. მერე მეუღლეს გავ-





ცილიდი... ახლა ვაჟი, 3 შვილიშვილი და შვილთაშვილებიც მყავს. მთელი ცხოვრება შრომაში გაყვარე, მაღალ თანამდებობებზე ვმუშაობდი. პენსიაზე 64 წლის ასაკში გავდი. ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილეც გახლდით. ახლა მეტირება, მაგრამ მართლა კარგი ცხოვრება გამოვიარე. შვილის გამო წერეთლის გამზირზე 2-ოთახიანი ბინა გავყიდე — ძაღვინებთან პრობლემები შეექმნა და... ციხეში არ მოხვედრილა, რადგან მაშინ ფული ყველაფერს წყვეტდა... მანამდე მის ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი, მერე თავშესაფრის გარეშე დავრჩი, ნასასვლელი არსად მქონდა. 2001 წელს, ზურაბ ჟვანიას რეკომენდაციით, აქ მოვედი. მაშინ პანსიონატის დირექტორი მერი გოგოლი იყო.

— თქვენი შვილი სად ცხოვრობს?

— როცა ბინა გავყიდე, ჩემი შვილი, თავის ოჯახთან ერთად, ჩემი დედამთილის ბინაში გადავიდა — იქვე, წერეთელზე. ჩემი ადგილი მათ გვერდით ნამდვილად არ არის. დღემდე იტალიურ ეზოში, 30 კვადრატული მეტრის ფართობის ბინაში, ძალიან ვინროდ ცხოვრობენ. როცა შემეძლო, მათ სანახავად დავდიოდი.

— შვილი გაკითხავთ ხოლმე?

— ყოველ მესამე დღეს მოდის. ინჟინერია, მაგრამ უმუშევარი. ბოლო დროს მუნჯივით დადის — თუ რაღაც გასაკეთებელი მაქვს, გააკეთებს, მერე ცოტა ხანი უხმოდ ზის და მიდის. ალბათ უჭირს ლაპარაკი: ძნელია იმასთან შეგუება, რომ აქ ვარ. შვილი სათუთად გავზარდე, არაფერს ვაკლებდი. როცა სოხუმში მივდიოდი, სულ თან დამყავდა, კურორტებს ვუცვლიდი... აქ ყველა თავს მევლება, კარგად მივლიან, მაგრამ მერწმუნე, შვილო, ოჯახურ გარემოს, სითბოს არაფერი სჯობს... მთავარი ისაა, რომ მათგან მიტოვებული არა ვარ: რძალ-იც მოდის, შვილიშვილებიც მაკითხავენ და მათი შვილებიც. ერთი შვილიშვილი მღერის, ტელევიზორშიც ყოფილა, მაგრამ მისი გამოსვლა არ მინახავს... გასახსენებელი ძალიან ბევრია. შვილიშვილებზეც დიდი ამაგი მაქვს. ისინი ჩემთან ძალიან ახლოს იყვნენ. ტელეფონით ძირითადად, მათ ვურეკავ, მეგობრებს — არა. ამდენი წელი გავიდა, რაც აქ ვცხოვრობ, მაგრამ დღემდე მესამუშეობა და განვიცდი აქ ყოფნას. მეგობრებმა ადრე მომაკითხეს; ახლა ავად რომ ვარ, არ იციან. ერთადერთი ტკივილი ისაა, რომ ოჯახური გარემო არა მაქვს, მაგრამ მაინც ვცხოვრობთ, ვცხოვრობთ, ვცხოვრობთ.

— როგორ გაიარა აქ გატარებული 9 წელიწადმა?

— ადრე ბედნიერი ცხოვრებით

ვცხოვრობდი. როცა ძალა მქონდა და გადაადგილება შემეძლო, აქაც კარგ განწყობილებებზე ვიყავი, ცეკვა-თამაშითაც ვერთობოდი. აქ მეგობრებზეც გავიჩინე: მედიკო იაშვილი, როზა ჯიკაევა, ნათელა ხვიტია, ჯონი ცეციტიშვილი. ეს ჯგუფი სულ ერთად ვიყავით, დღესასწაულებს, დაბადების დღეებს აღვნიშნავდით, იუმორი გვიყვარდა. ახლა ხედავთ, რა დღეშიც ვარ. რა ვქნა, ასე გრძელდება ცხოვრება. პენსიასაც ვიღებ, მაგრამ ფული სულ პამპერსებში მიდის. შევეგუე როგორც კარგ, ისე ცოტა „მოტყუებულ“ ცხოვრებასაც. ჩემს სანახავად მოსულები უფრო ხშირად შემოდიოდნენ, ვსაუბრობდით, მაგრამ ბოლო დროს ყველა თავს მარიდებს... სულ ტკივილგამაყუჩებელს ვიკეთებ, გაუსაძლისი ტკივილები მქონდა. მეორე ოპერაცია ქირურგიის ინსტიტუტში, ექიმმა მოსიავამ ჩამიტარა.

— განგრენა რამ გამოიწვია?

— ერთი პენსიონერი დერეფანში შემთხვევით დამეჯახა და ნავიქეცი, მალე კი განგრენა განვითარდა. ისე, ფეხები ყოველთვის მტკიოდა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მთელი საქართველო ფეხით მაქვს მოვლილი... პირველად ფეხის ამპუტაცია რომ გამიკეთდა, ყავარჯნით სიარული მიჭირდა, მერე ეტლი მომიტანეს და იმით დავდიოდი. სხვათა შორის, ლიფტით ეზოშიც ვახერხებდი ჩასვლას, ახლა კი ველარ ვდგები — მეორე ფეხი ცოტა ხნის წინ მომაჭრეს და ჭრილობები მოშუშებული არ არის. მეუბნებიან, რომ ნა-მოდგომას შევძლებ... აქ ინსულტიც გადავიტანე და მას შემდეგ მეტყველებაც საგრძნობლად დამიქვეითდა.

— როგორც შევიტყვე მილიონერ ქალბატონსაც გეძახდნენ. ეს ამბავი გაიხსენეთ.

— „თბილქალაქმშენის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი. მაშინ მშენებლობისთვის თანხების მოზიდვა მოსკოვიდან ხდებოდა. როცა ოპერა დაიწვა, საჭირო გახდა ადგილის გამოყოფა და მშენებლობის დაწყება. სწორედ მაშინ გადაწყდა პროფკავშირების კულტურის სასახლის მშენებლობა, სადაც ოპერა დროებით უნდა გადასულიყო... მოსკოვში ჩასულმა იმდენი გავაკეთე, რომ მილიონი რუბლი მთლიანად დამოგვირიცხეს. ჰოდა, ამის შემდეგ ხუმრობით, მილიონერ ქალბატონს მეძახდნენ. პროფკავშირების სასახლის მშენებლობაში დიდი წვლილი მიმიძღვის... სოხუმში, ბათუმსა და საქართველოს უამრავ კუთხეში მომინია მუშაობამ.

— სერგეი შამბასთან თქვენი ნაცნობობა როგორ დაიწყო?


— თითქმის ყველა დასასვენებელი კურორტი მოვლილი მაქვს. სერგეი შამბა ბიჭვინთაში გავიცანი, მაშინ იქ ინჟინრად ვმუშაობდი. მას თბილისში ბევრი მეგობარი ჰყავდა და აქაც ჩამოდიოდა. მერე ერთმანეთს მოსკოვში შევხვდით; ჩემთან დავპატიჟე და ჩამოვიდა კიდეც. სხვათა შორის, ჩემს სახლში ბევრჯერაა ნამყოფი... როცა აფხაზეთის ომი დაიწყო, რამდენიმე მეგობარმა წერილი გაუგზავნეთ, სადაც მომხდარის გამო ვწუხდით, მაგრამ მისგან პასუხი არ მიგვიღია. არადა, მანამდე ძალიან მეგობარული ურთიერთობა გვქონდა... ბევრ საინტერესო ადამიანს ვიცნობდი. 16 წლის ასაკში გავიცანი იოსებ გრიშაშვილი. ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის, თამაზ ბიბილურის სახლში ბევრჯერ შევსწრებივარ ნოდარ დუმბაძის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და სხვა ცნობილი ადამიანების საუბრებს.



დაღვირთული რეჟიმით, მაგრამ ბედნიერად ვცხოვრობდით

— ქალბატონო იუზა, და-ძმა გყავთ?

— პირველ კურსზე ვიყავი, როცა დედა გარდაამცვალა. ეს ამბავი ძალიან განვიცადე და მას შემდეგ სულ უძილობის პრობლემა მქონდა... ორი და მყავდა — ჩემზე უფროსები; სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან. მამა ასთმიანი იყო, მთელი ცხოვრება ჩემთან ცხოვრობდა. ფულიც არ მიჭირდა და ვცდილობდი, მისთვის არაფერი მომეკლო; რაც მთავარია, სითბო და სიყვარული არ აკლდა. ის 66 წლის ასაკში გარდაიცვალა... პლენს-ნოვზე ვმუშაობდი, კინოში, თეატრში სიარული ძალიან მიყვარდა. ჩემი უფროსი და მასხიობი იყო და მედღეა ჯაფარიძესთან ვმეგობრობდით. საერთოდ, ბევრი კარგი მეგობარი გვყავდა. მაშინ დაღვირთული რეჟიმით, მაგრამ ბედნიერად ვცხოვრობდით. მერწმუნეთ, ექიმობის შემდეგ, ინჟინრობაზე უკეთესი პროფესია არ არსებობს...



სამყარო

„დონ კისოტი“ ქალბატონის და 3 ქართული გემოვნებიანი ქალბატონის სტილი, თანამედროვე ელემენტებით

ქართველებს ბევრი გემოვნებიანი ქალბატონი გვყავდა (და გვყავს კიდევ), მაგრამ ახალგაზრდა დიზაინერმა, **საბინა სირაძემ** მათ შორის 3 გამოარჩია: ნატო ვაჩნაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სოფიკო ჭიაურელი. სწორედ ამ არაჩვეულებრივი ქალბატონების სტილის გავლენა იგრძნობოდა იმ კოლექციაზე, რომლის ჩვენებაც არც ისე დიდი ხნის წინ გაიმართა...

ერთი ყორღანაშვილი

საბინა სირაძე:

— საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გოგა ჩანადირის ფოტოგამოფენაზე გახლდით. დარბაზი ისე მომეწონა, რომ მომიწინა, მისი შესაბამისი კოლექცია შემექმნა. ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ, 3 ქალბატონი შევარჩიე, რომლებსაც დახვეწილი გემოვნება ჰქონდათ: ნატო ვაჩნაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სოფიკო ჭიაურელი. მათ ბიოგრაფიებს გავეცანი, შევისწავლე, თუ როგორი სტილის ტანისამოსი ეცვათ და შემდეგ კოლექცია შევქმენი. შესაბამისად, 3 სტილის სამოსი გამოვიდა: მოკრძალებული (ნატო), დეკორატიული (სოფიკო) და კლასიკური (ვერიკო). საღამოს კაბები, სამკაულები, ყოველდღიური ტანსაცმელი, ქუდები... — მრავალფეროვანი კოლექცია წარვადგინე.

მის შესაქმნელად დიდი დრო დაგჭირდა?

— დაახლოებით 3 თვე. ამ ქალბატონების შესახებ ფოტომასალას გავეცანი, გავარკვეე რომელ ფილმებში ითამაშეს, რა როლები შეასრულეს... მაქსიმალურად ვეცადე, კოლექცია თემასთან „ახლოს“ გამეკეთებინა. თან, მინდოდა, ისეთი კოსტიუმები შემექმნა, რომლებიც ახალგაზრდებისათვის მისაღები იქნებოდა.

ანუ ახალგაზრდებს ამ სამოსის ჩაცმა დღეს თამამად შეუძლიათ?

— დიახ, ზუსტად ეს მქონდა ჩაფიქრებული, რომ ჩემ მიერ შექმნილი ტანსაცმელი ახალგაზრდა ქალს დღეს ჩაეცვა და მაგალითად, სამსახურში წასულიყო. რა თქმა უნდა, ნატო ვაჩნაძის, ვერიკო ანჯაფარიძისა და სოფიკო ჭიაურელის სტილი გავითვალისწინე. რამდენიმე კოსტიუმი გაიყიდა. იმ სამოსით სამსახურშიც დადიან,



წვეულებებზეც...

კოლექციის შექმნამდე ამ 3 ქალბატონის ოჯახის წევრებს ესაუბრე?

— კი. სოფიკო სამოსს თავად რომ იკერავდა, ეს ახალი ამბავი არაა. მისი ხელით შექმნილი ტანსაცმელი და სამკაულები ფაქტად სერიოზული ნამუშევრებია — თითქოს პროფესიონალმა შექმნაო. ნატო სამოსს დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მოკრძალებულად იცვამდაო, მითხრეს...

ჩვენებას ამ ქალბატონების ნათესავებიც ესწრებოდნენ?

— კი, მაგალითად, ნიკუშა შენგელაია, რომელმაც „სლაიდ-შოუ“ გამიკეთა (ფოტოებით თავად უზრუნველმყო).

სლაიდზე რა იყო აღბეჭდილი?

— ფოტოები სხვადასხვა როლის შესრულებისას. ჩვენებას ახალგაზრდებიც ესწრებოდნენ. მართალია, ნატოს, ვერიკოს, სოფიკოს ყველა იცნობს, მაგრამ მათ რა ეცვათ, შეიძლება, ბევრს არ ახსოვდეს. ჩვენების იოლად აღქმაში მაყურებელს „სლაიდ-შოუ“ დაეხმარა. ნიკუშა შენგელაია მადლობელი დარჩა. მის შეფასებას ჩემთვის

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

შენს ორიგინალურ კოლექციასთან დაკავშირებით, კრიტიკა არ მოგისმენია?

— სამწუხაროდ — არა. ყველა აღფრთოვანებული იყო.

სამწუხაროდ — რატომ?

— საერთოდ, საკუთარ თავს ხშირად ვაკრიტიკებ. სხვების კრიტიკული აზრი მაინტერესებდა. თუნდაც, ხალხი ერთმანეთს რას გადაულაპარაკებდა, მაგრამ ვერ გავიგე. ყველას პოზიტიური აზრი ჰქონდა.

ჩვენებას დიზაინერები ესწრებოდნენ?

— დიზაინერი „მარი გოლდი“, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ... მითხრეს, რომ ჯობდა, კოსტიუმები უფრო გამერთულებინა. აუზსენი, რომ თემის გამო „კოსმოსური რაღაცები“ არ უნდა შემექმნა, „სხვაგან“ არ უნდა წავსულიყავი. კოლექციაში რეალური, დღევანდელი ცხოვრებისათვის გამოსაყენებელი სამოსი უნდა ყოფილიყო. ეს ტანსაცმელი იმაზე გათვლილი, რომ მომხმარებელმა შეიძინოს და მასში კომფორტულად იგრძნოს თავი. ამ განმარტების შემდეგ დამეთანხმნენ (იცინის). პიჯაკებზე მუშაობა რთული იყო (ვინც ამ საქმეში ერკვევა, დამეთანხმება); ყველაფერი დამოუკიდებლად შევქმენი. არ ვწუნუნებ. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თუ საჭირო იქნება, კიდევ დავიღებ და ლამეებს გავათენებ (იღიმის).

სულ რამდენი კოსტიუმი წარადგინე?

— 37. მუშაობის პროცესში კოსტიუმების კონკრეტული რაოდენობა ჩაფიქრებული არ მქონდა. იღვები თანდათან მიჩნდებოდა. ახალ-ახალ კოსტიუმებს ვქმნიდი და ბოლოს ეს რაოდენობა გამოვიდა... დროშიც შეზღუდული ვიყავი — მეტს ვერ მოვასწრებდი...

ხატია, სამკაულებიც თავად გააკეთე?

— კი — სამკაულებიც, კაშნუებიც, ქუდე-



ბიც. შეიძლება, უფრო მეტი გამკვეთებინა, მაგრამ როგორც აღვნიშნე, დროში ვერ ჩავეტიე.

— სამკაულები რა მასალისაგან დაამზადებ?

— გამზადებული ქვები ვიყიდე და მათგან შევქმენი. ძირითადად, სამკაულები სოფიკოს უყვარდა. ნატოს ნაზი მარგალიტები მოსწონდა...

— ჩვენებაზე სამოსი რომელი სააგენტოს მოდელეზმა წარადგინეს?

— „თავისუფალი“ მოდელეები იყვნენ. მათ სააგენტოებთან კონტრაქტი არა აქვთ გაფორმებული. რამდენიმე გამოუცდელი მოდელიც იყო. ისინი ძალიან ლელავდნენ, მაგრამ ვიდუოჩანაური რომ ვნახე, მღელვარება საერთოდ არ ემჩნეოდათ (ილიმის).

— მოდელეებს ვარცხნილობა, მაკიაჟი როგორი ჰქონდათ?

— ძირითადად, თმა ყველას ანეული ჰქონდა — „კოსები“ ეკეთათ. მაკიაჟი ბუნებრივთან ახლოს უნდა ყოფილიყო და სამივე სტილს მოხდენოდა, თუმცა სოფიკოს უფრო დეკორატიული მაკიაჟი მოსწონდა (აქცენტს თვალბუზე აკეთებდა).

— მაკიაჟზეც თავად იზრუნე?

— ვიზაჟისტი მყავდა, რომელსაც ავუსხენი, რა მინდოდა და მაქსიმალურად გაითვალისწინა.

— კოსტიუმებს რა ბედი ეწია?

— ზოგი გაიყიდა, მაგრამ დიდი ნაწილი მაინც ჩემს სახელოსნოშია.

— მომხმარებლები უფრო მეტად რომელი სტილით დაინტერესდნენ?

— ძირითადად პიჯაკები შეიძინეს, რომელიც უფრო ვერიკოს სტილზე იყო „გათვლილი“. „ნატოს კოლექციიდან“ რამდენიმე კაბა შეიძინეს. ალბათ, სეზონის გამო უფრო პიჯაკებსა და შარვლებზე იყო მოთხოვნა.

— ორიგინალური ჩვენება სხვა დროსაც მოგიწყვია?

— კი. მაშინ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ჯერ არ გახლდით. მოსე თოიძის სახელობის ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, ჩვენება გავმართე. ქსოვილის საყიდ-



ლი თანხა არ მქონდა. ამიტომ ძველი ტანსაცმელი შევავაროვე — სანათესავო შემოვიარე და შინ დიდი პარკებით დავბრუნდი (იკინის). კარგი ხარისხის ქსოვილისგან შექმნილი ძველი ტანსაცმელი „დავშალე“ და ავანგარდული სტილის, თეატრალური კოსტიუმები შევქმენი. ჩვენება ყოფილ აბრეშუმის ქარხნის შენობაში (შენობა მაშინ სამხატვრო აკადემიას ეკუთვნოდა. ძველი, მიტოვებული შენობა გახლდათ, სადაც მხატვრებს სახელოსნოები ჰქონდათ — ქანდაკებებს აკეთებდნენ), ერთ-ერთ დიდ დარბაზში (რომელსაც ფანჯრებიც არ ჰქონდა და ფაქტობრივად, ნანგრევები იყო) გავმართე. ძირითადად, მას სტუდენტები ესწრებოდნენ. ძალიან სახალისო გარემო იყო — ლამაზი და კარგად აღსაქმელი. განსაკუთრებულად უცხოელებს მოეწონათ.

— რას ნიშნავს „თეატრალური“ კოსტიუმი?

— კოსტიუმები სხვადასხვა ფერში, მასალაში „ანყობილი“ ქსოვილებისაგან შევქმენი. ყოველდღიურად ჩასაცმელად არ გამოდგებოდა, უფრო სანახაობრივი იყო.

— მაშინ შენი შთაგონების წყარო რა იყო?

— იმ პერიოდში რალაცის გაკეთება მინდოდა, მაგრამ როგორც აღვნიშნე, მასალა არ მქონდა. მეგობართან ვთქვი, მინდა რალაც გავაკეთო, მაგრამ მასალა არ მაქვს მეთქი. აუცილებელია, რომ ქსოვილი ახალი იყოსო? — მკითხა. უცებ, გონება გამინათდა: ახალი ქსოვილი რა საჭიროა მეთქი? ასე გაჩნდა იდეა, რომ ძველი ტანსაცმელი შემეგროვებინა. მერე კი თავად ქსოვილებმა „მიკარნახეს“, მათგან რა შეიძლება გამოსულიყო... ჩვენებით ყველა აღფრთოვანდა, ფოტოები გადაიღეს...

— ტანსაცმლის დიზაინის სფეროში მუშაობა ამ ჩვენებით დაინწყე?

— არა, ეს მეორე კოლექცია იყო. პირველი ჩვენება ქარვასლაში გავმართე. საზაფხულო ტანისამოსი წარვადგინე — პაეროვანი, მსუბუქი, ნაზი განწყობილება შევქმენი. ძირითადად, შიფონის ქსოვილები გამოვიყენე. ფერებიც ნაზი იყო... შემდეგ იმავე კოლექციებით ჩვენებები რამდენიმე ადგილას გავმართე. სადიპლომო ნამუშევარი „დონ კიხოსის“ თემაზე გავაკეთე. სხვა დიზაინერებთან ერთად, ჩვენებებშიც ვმონაწილეობდი.

— „დონ კიხოსის“ თემაზე სამოსის შექმნის იდეა როგორ გაგიჩნდა?

— ძირითადად, ისეთი თემები იყო, რომლებზეც სადიპლომო ნამუშევრებს ყოველ წელს აკეთებდნენ. მინდოდა, სამუშაოდ განსხვავებული და საინტერესო თემა შემერჩია. იმ პერიოდში, ოპერის აფიშა დავინახე — „დონ კიხოსი“ გადაიოდა. გამახსენდა, დონ კიხოსტ როგორი ჩაცმულობა ჰქონდა... ნიგინც კიდეც ერთხელ წავიკითხე, დეტალებს გავეცანი. მინდოდა, „სულიც დამეჭირა“... ყველაფერი გავითვალისწინე და კოლექცია შევქმენი, რომელიც 5 კოსტიუმისაგან შედგებოდა.

— მამაკაცის სამოსი იყო?

— არა, ქალის! საკმაოდ კარგი გამოვიდა, ლექტორებისაგან მაღალი შეფასება მივიღე. თან, ყველაფერი თავად



რომ გავაკეთე, ესეც „პლუსი“ იყო. ტანსაცმლის კონსტრუქცია საკმაოდ რთული გახლდათ: ნელში გამოყვანილი სილუეტი იყო. აქცენტი მხრებსა და საყელოზე გავაკეთე.

— „დონ-კიხოსის კოლექცია“ ახლა სადაა?

— 1 კოსტიუმი გავყიდე, 4 — მაქვს.

— ამჟამად რაზე მუშაობ?

— იდეა მაქვს, მაგრამ ჯერ არ გავამხელებ... პარალელურად, კერძო შეკვეთას ყოველთვის ვიღებ. ჩემი მომხმარებელი მყავს, ჯერჯერობით — მცირე რაოდენობით, მაგრამ (ილიმის)...

— იდეა ისევ ორიგინალურია?

— კი (იკინის). მინდა, ჩვენება ზამთრისათვის გავმართო, ალბათ — დეკემბერში. ვნახოთ...

— მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება რთულია?

— რასაც ვქმნი, ხშირ შემთხვევაში, ბევრს მოსწონს და ყიდულობს. ზოგჯერ სამოსი ჩვენებამდე ვერც აღწევს — მაშინვე ყიდულობენ. საერთოდ, ჩვენება „ფინანსებთანაა“ დაკავშირებული. ამიტომ ჯერჯერობით, ჯობია, ასე ვიმუშაო.

— ხატია, შენი სახელოსნოს კედლებზე ნახატები შენთვის ხატავს კიდეც?

— დიას. „აკვარელში“, „აკრილში“ ვმუშაობ. ძირითადად, ნატიურმორტებს ვქმნი. ამ საქმესაც საკმაოდ სერიოზულად ვეკიდები. ამ სფეროში იმდენი ვიცი, რომ შემიძლია, საკუთარ თავზე მეტი ვიმუშაო და პრეტენზია ფერმწერობაზეც მქონდეს, მაგრამ მაინც დიზაინერობა ავირჩიე.

— შენი ნახატების გამოფენა თუ მოგიწყვია?

— პერსონალური — არა, ჯგუფურ გამოფენებში (ძირითადად — ფერწერული ტილოების) ვმონაწილეობდი. ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, სამომავლო გეგმები არა მაქვს, თუმცა ვხატავ და ამით დიდ სიამოვნებას ვიღებ. ფერწერა ტანსაცმლის დიზაინის საქმეში ძალიან მესმარება.

გზაში საკითხავი კოლაქი

ჭკადეურელი ოქუბი ივანიძე

1. ილია ჭავჭავაძე განათლებით იურისტი იყო.

2. ილიკო სუხიშვილი მეჯვრისხევში დაბადებული.

3. ლედი დიანა პრინც ჩარლზზე 12 წლით იყო უმცროსი.

4. Barbara Millicenta Roberta თოჯინა ბარბის სრული სახელია.

5. შვეიცარიაში ქუჩაში მანქანის გარეცხვა კანონით აკრძალულია.

6. ჰიპოპოტომონსტროსესკიპედალოვობია გრძელი სიტყვების შიშია.

7. მიტროფანე ლალიძეს BMW-ს მარკის ავტომობილი ემსახურებოდა.

8. ბერძნული ცეკვა „სირტაკი“ XX საუკუნის 60-იან წლებშია შექმნილი.

9. ჩინეთში უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობს ინგლისურად, ვიდრე შეერთებულ შტატებში.

10. ფინეთში ისე დონალდს შესახებ კომიქსები აკრძალეს, რადგან დონალდს შარვალი არ ეცვა.

11. ტოკიოში არსებობს მალაზია, რომელშიც მხოლოდ ძაღლებისთვის განკუთვნილი პარკები იყიდება.

12. იპოლიტე ხვიჩიას დომინოს თამაში უყვარდა და სპექტაკლის დროს შესვენებებზე ირთობდა თავს.

13. სტალინგრადთან 100 ათასზე მეტი გერმანელი ჩავარდა ტყვედ. სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 5 ათასს ელირსა.

14. ზვავში მოყოლილი ოთხი ადამიანიდან მხოლოდ ერთი იღუპება, ქვეშე ან ხეებზე შენარცხებით. დანარჩენებს თოვლი ახრჩობს.

15. ყველაზე ხანგრძლივი მინისძვრა ალასკაზე, 1964 წლის 27 მარტს მოხდა. მინა ოთხი წუთის განმავლობაში ირყეოდა.

16. ფიდელ კასტროს თანამებრძოლთა უმრავლესობა წვერს ატარებდა, რის გამოც მისი მეთაურობით მომხდარ გადატრიალებას „წვეროსანთა რევოლუცია“ შეარქვეს.

17. ვიეტნამის რესტორნების მენიუში ძირითადად ორი სახეობის გველი შედის: ჩვეულებრივი ანკარა და კობრა. კობრა ანკარაზე ათჯერ ძვირი ღირს. შხამიანი გველის ახალამოგლეჯილ, ჯერ კიდევ მფეთქავ გულს ვიეტნამელები უმად მიირთმევენ და ზედ ღვინოს აყოლებენ.

18. ქალაქის ალების შემდეგ ჩინგიზ ყანი მოსახლეობას უცხადებდა: „მე ღვინოს რისხვა ვარ და ვინც დაიღუპა, ჩანს ძალზე ცოდვილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთი თქვენს დასასჯელად რატომ გამოგზავნიდა?“



„მერსედისი“ ახალი უნივერსალი

კომპანია „მერსედეს ბენცმა“ ავტომობილ CLS-ის ბაზაზე სერიულ წარმოებაში უნივერსალის ჩამოშვების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა. მანქანის აწყობა 2012 წლიდან, გერმანულ ქალაქ შინდლფინგენში მდებარე კონცერნ „დაიმლერის“ ქარხანაში დაიწყება, სადაც მარკის 7 მოდელს, — C-E-S-Class, CL, CLS, SLS SMG, B-Class, — აგრეთვე Maybach-ის ძვირფას ლიმუზინებსა და „მერსედესის“ დაჯავშნულ მოდიფიკაციებს უკვე უშვებენ. კონცეპტუალური მოდიფიკაცია Mercedes-Benz CLS Shooting Brake მიმდინარე წლის აპრილში პეკინის მოტორშოუზე წარადგინეს. ავტომობილის პროტოტიპი უნივერსალ E-Class-ზე ოდნავ დიდი გამოვიდა: მისი სიგრძე 4,96 მ, სიგანე — 1,95 მ, ხოლო სიმაღლე — 1,44 მ-ია. მანქანა 306 ცხმ-ის სიმძლავრის, 6-ცილინდრიანი, 3,5 ლ მოცულობის ბენზინის ძრავით, „სტოპ-სტარტის“ სისტემითა და სიჩქარის გადაცემათა ავტომატური,

7-საფეხურიანი კოლოფითაა აღჭურვილი. სერიული ავტომობილი იმავე ძრავებით იმუშავებს, რომლებითაც



ახალი თაობის სედანი Mercedes-Benz CLS. ამ მომენტისთვის ევროპულ ბაზარზე „ოთხკარა კუპე“ 3,5-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი მოტორით, 265 ცხმ-იანი ბენზინის აგრეგატიითა და 306 ცხმ-ის სიმძლავრის მქონე დიზელის სიმძლავრის მქონე დი-ზელითაა ხელმისაწვდომი. ასევე მოდელის შეკვეთა 2,5-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი, 204 ცხმ-ის სიმძლავრის მქონე და 402 ცხმ-იანი „რვიანი-ცაა“ შესაძლებელი.

CHERY-ს პირველი სერიული ელექტრომობილი

კომპანია Chery-მ ოფიციალურად წარმოადგინა თავისი პირველი, სერიული ელექტრომობილი, რომელიც ჩინეთში Riich-ის „პრემიალური“ ბრენდის ქვეშ გაიყიდება. სიახლე, რომელსაც M1 EV ჰქვია, 54 ცხმ-ის სიმძლავრის ელექტროძრავითაა აღჭურვილი. აგრეგატი ლითიუმ-იონური აკუმულატორების კომპლექტით იკვებება. მწარმოებლის მონაცემებით, დატენის გარეშე მანქანას 150 კმ-ის გავლა შეუძლია. ჩვეულებრივი დენის წყაროდან ბატარეების სრული დატვირთვა 6-8 საათშია შესაძლებელი, ხოლო სპეციალურ სადგურზე 80%-იანი გამართვისთვის 30 წუთია საჭირო. ასევე Riich M1 დამუხრუჭებისას ენერჯის რეკუპერაციის სისტემითაა აღჭურვილი. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 120 კმ/სთ-ია. ამ ელექტრომობილის 5 სხვადასხვა მოდიფიკაცია არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთს სხვებისგან განსხვავებული აგრეგატი აქვს. მასში სვლის თადარიგის გარდას მიზნით, მომცრო ზომის ბენზინის ძრავაა გამოყენებული, რომელიც მოძრაობისას აკუმულატორებს ტენის. კომპანია „შერის“ წარმომადგენელთა თქმით, სავეს ავზით ასეთი ავტომობილი 300 კმ-ს გაივლის. ჩინეთში სიახლეზე ფასები 149,9 ათასი იუანიდან (დაახლოებით 25 ათასი ევრო) დაიწყება. თუმცა ჩინეთში ჰიბრიდული და ელექტრომობილების შესაძენად სუბსიდირებაზე მოქმედი სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, მყიდველებს შეუძლიათ Riich M1-ზე 60

ათასი იუანიანი (6,5 ათასი ევრო) ფასდაკლებით ისარგებლონ. როგორც ადრე იუნ-ყებოდნენ, ამჟამად „შერი“ ბატარეების ამერიკულ მწარმოებელ Better Place-სთან შესაცვლელი აკუმულატორების მქონე ელექტრომობილზე მუშაობს.





„გრანდ ჩეროკის“ პლატფორმაზე „მასერატი“ და „ალფა რომეოსის“

ამერიკული ავტომწარმოებელი „კრაისლერი“, კონცერნი „ფიატის“ ახალი მოდელებისთვის, კერძოდ — „მასერატისა“ და „ალფა რომეოს“ მარკების არასაგზაოებისთვის, ავტომობილ „ჯიპ გრანდ ჩეროკის“ პლატფორმების გამოყენების შესაძლებლობას განიხილავს. ამის შესახებ „ფიატის“ ხელმძღვანელობამ და „კრაისლერის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, სერჯიო მარკიონემ განაცხადა. „ახალი „გრანდ ჩეროკის“ პლატფორმას დიდი პერსპექტივა, მოქნილობა და გამძლეობა აქვს, რაც ადრე სათანადოდ ვერ შევადგინეთ“, — ამბობს მარკიონე. აღსანიშნავია, რომ „მასერატის“ ბიზნესგეგმა, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში იყო წარმოდგენილი, არასაგზაოს წარმოებას არ ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, იტალიური ბრენდის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ასეთ მოდელზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ის გაყიდვაში შეიძლება უახლოესი 12-18 თვის განმავლობაში გამოჩნდეს. როგორც მარკიონემ დასძინა, ამგვარი მანქანა „ფერარის“ მიერ დამზადებული ძრავათი აღიჭურვება. ამჟამად „ფერარი“ „მასერატისთვის“ 4,2 და 4,8-ლიტრიან „რვიანებს“ აწყობს. სავარაუდოდ, „ალფა რომეოს“ სამოდელო რიგში ორი სრული აძვრის კროსოვერი გამოჩნდება. პირველი მათგანი კომპაქტური კროსოვერია, რომლის



დებიუტიც ორი წლის შემდეგ შედგება, ხოლო მეორე — საშუალო ზომის მანქანაა. ეს უკანასკნელი ბაზარზე 2014 წლისთვის გამოჩნდება. ორივე ავტომობილს აშშ-ში მდებარე ავტოქარხანაში „კრაისლერი“ აწარმოებს. ისინი მთელ მსოფლიოში მხოლოდ „ალფა რომეოს“ ბრენდის ქვეშ გაიყიდება. შეგახსენებთ, რომ ადრე ბრენდ „ფიატის“ აშშ-ში თავიდან შეყვანის შესახებ გავრცელდა ცნობა, რომელც

იც ამერიკულ ბაზარზე 28-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდება. მოგვიანებით კი ამ ქვეყანაში „ალფა რომეოს“ გამოჩნდება.

მსიკალიბრაჟიანი — „ფოლკსვაგენისგან“

კომპანია „ფოლკსვაგენი“ 2011 წლის სექტემბერში, ფრანკფურტის ავტოსალონზე მცირე ლიტრაჟიანის, — Up!, — სერიული ვერსიის წარდგენას გეგმავს. კონვეიერზე პირველად 3-ცილინდრიან, დიზელისა და ბენზინის მობილობით აღჭურვილ, სამკარა მოდიფიკაციას წარადგენენ. ადრე ავტომწარმოებელი 2-ცილინდრიანი ძრავას გამოყენების შესაძლებლობას განიხილავდა, თუმცა მოგვიანებით ამ ვარიანტზე უარი თქვა. ამჟამად ეკონომიური მოტორის გაკეთება უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე მცირე ზომის აგრეგატის შექმნა. Up!-ის სამკარა ვერსიის გაყიდვა 2011 წლის ბოლოს დაიწყება და მისი ღირებულება ევროპაში დაახლოებით 10 ათასი ევრო იქნება.



მობილების აწყობა დაიწყება. როგორც ადრე იუწყებოდნენ, 2011 წელს კონცერნი Up!-ის მოდელების ბაზარზე შექმნილი მცირე ლიტრაჟიანი „სუატისა“ და „სკოდას“ წარმოდგენასაც გეგმავს.

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეძღვრელი თქუბ ივანიძე

19. იამაიკა კოლუმბმა 1494 წელს აღმოაჩინა და ესპანეთის მეფისა და დედოფლის პატივსაცემად ფერდინანდი და იზაბელი დაარქვა.

20. თბილისში დადგმული პირველი სატელევიზიო ანტენა საჭირო სიმძლავრის არ აღმოჩნდა და დემონტაჟის შემდეგ გორში გადაიტანეს.

21. სუხანის ტილოებზე ფიგურები იმდენად დაუმთავრებელია, რომ მხაველელებში დისკომფორტს იწვევს. იმპრესიონიზმის მოძულე კრიტიკოსები ბოლშაის ტრადიციულად, სუხანზე იქარვებდნენ ხოლმე.

22. აბრამ ლინკოლნი ფორდის თეატრში მოკლეს. სპექტაკლის მსვლელობის დროს ჯონ ბუტი დაელოდა მომენტს, როცა მსახიობი ყველაზე სასაცილო რეპლიკას იტყვოდა და პრეზიდენტს სწორედ იმ დროს დაახალა ტყვია. შემდეგ აივინიდან გადასხა და მოტეხილი ფეხით შეძლო მიმალვა.

23. ჯეიმს უკის ექსპედიცია მხოლოდ მეცნიერულ კვლევებს როდი ისახავდა მიზნად. წარმოშობით შოტლანდიელ ზღვაოსანსა და მეცნიერს, პირველ რიგში, ახალი მიწების აღმოჩენა ჰქონდა დავალებული. ავსტრალიის ნაპირზე გადასვლისას უკს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მთელი კონტინენტი აღმოაჩინა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ეს მინა ინგლისის საკუთრებად გამოეცხადებინა.

24. ელენე ახვლედიანი ლავრენტი ბერიას, ვასილ მჟავანაძეს და ედუარდ შევარდნაძეს პირადად იცნობდა. ერთხელ კრემლში, სტალინთან შესახვედრად რომელიღაც დელეგაციასთან ერთად ნატო ვაწნაძე და ელენე ახვლედიანიც მიიწვიეს. პროტოკოლის მიხედვით, ახვლედიანს ბელადისათვის საკუთარი ტილო უნდა ეჩუქებინა. საჩუქრის გადაცემის დროს ელენე დაიბნა და მიირთვითო, უთხრა. — მიირთვითო, ლობიო? — გაღიმებია სტალინს.



25. მხატვრულ ფილმ „ტროას“ გადაღებისას მსახიობები, ბრედ პიტი და ერიკ ბანა წინასწარ შეთანხმდნენ, რომ აქილევისა და ჰექტორის ორთაბრძოლის გადაღების დროს ერთმანეთისათვის უნებლიეთ მიყენებული მსუბუქი ტრავმისათვის პარტნიორისთვის ჯარიმის სახით 50 დოლარი გადაეხადათ, მძიმე ტრავმისათვის — 100 დოლარი. გადაღების დასრულების შემდეგ პრედ პიტმა ერიკ ბანას 750 დოლარი გადაუხადა.



რუსეთის უკანასკნელი გვირგვინოსნები საქართველოში გარდაიცვალნენ?

მიხეილ ლაბაძე

რუსეთის იმპერიის უკანასკნელი გვირგვინოსნის, ნიკოლოზ II-ისა და



რუსეთის სამეფო ოჯახი, 1914 წლის ფოტო

მისი ოჯახის აღსასრულის თაობაზე რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც უამრავი რამ დაიწერა, იწერება და კვლავაც დაიწერება. ოფიციალური ვერსია კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ასეთია: 1918 წლის 16 ივლისს, 23:30 საათზე, ეკატერინბურგში, ვოზნესენსკის შესახვევში მდებარე, სამთო ინჟინერ იპატიევის ყოფილ სახლში, რომელიც იმხანად უკვე წითელი „აღმასკომის“ საკუთრება გახლდათ, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი, ნიკოლოზ II, მისი ოჯახის ყველა წევრი — დედოფალი ალექსანდრა პესენელი, შვილები: ოლგა, ტატიანა, მარია, ანასტასია, ალექსეი; ასევე, პირადი ექიმი, სერგეი ბოტკინი და სამი მსახური — მზარეული ივანე ხარიტონოვი, კამერდინერი ალექსეი ტრუპი, მოახლე ანა დემიდოვა — კომისარ იაკობ იუროვსკის მეთაურობით, „ჩეკას“ საგანგებო რაზმმა დახვრიტა.

საინტერესოა, რომ ამ რაზმის წევრები სამხედრო ტყვეები — ავსტრია-უნგრეთის არმიის ყოფილი მებრძოლები, ლაიომ ჰორვატი, ანზელმ ფიშერი, ისიდორ ედელშტეინი, ემილ ფეკეტე, იმრე ნადი, ვიქტორ გრინფელდი და ანდრას ვარგაზი იყვნენ. მათგან არც ერთი რუსეთის გვირგვინოსანს სახით არ იცნობდა და არც რუსულად ლაპარ-

აკობდა. კომისარი იუროვსკი ბრძანებებს მათ გერმანულ ენაზე აძლევდა. რა თქმა უნდა, „ჩეკას“ მესვეურებს ეშინოდათ, რომ რუსი ჯარისკაცები მეფეს სროლას ვერ გაუბედავდნენ და უცხოელები, თანაც, მტრის არმიის მებრძოლები ამიტომ შეარჩიეს. სხვათა შორის, რაზმის ერთ-ერთი წევრი, იმრე ნადი, შემდგომში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ხელმძღვანელობდა და 1956 წლის ცნობილი ანტისაბჭოთა აჯანყების მეთაურიც იყო. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი:

თაობაზე, რომ რუსეთის სამეფო ოჯახის ზოგიერთი წევრი, მაგალითად, პრინცესა ანასტასია ან უფლისწული ალექსეი ბოლშევიკთა რისხვას გადაურჩა, საზღვარგარეთ გაპარვაც მოახერხა და იქ ინკოგნიტოდ ცხოვრობდა. თავად რუსეთში ამგვარი ინფორმაციები საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ გახშირდა და ისტორიკოსებს გვარიანადაც აუბნია თავგზა.

ჩემს სტატიას (იხ. „გზა“, №44) — „რომანოვთა განძეულის საიდუმლო საქმე“ — მალევე მოჰყვა საკმაოდ სენსაციური გამოხმაურება: რედაქციაში გვეწვივნენ დები, ნათელა და ლეილა სონიშვილები, რომელთა მტკიცებით, რუსეთის სამეფო ოჯახი ბოლშევიკებს არ დაუხვრეტიათ. მეფე-დედოფალმა და მათმა შვილებმა რევოლუციის შემდეგ საქართველოში ინკოგნიტოდ ჩამოსვლა მოახერხეს, აქ დასახლდნენ და აღესრულნენ კიდევაც. აღსანიშნავია, რომ მათ მოგვიტანეს რომანოვთა სულიერი მიძღვრის — წმ. იოანე კრონშტადტელის აქამდე უცნობი ფოტო, რომლის ნამდვილობაც ეჭვს არ იწვევს. ფოტოს ზედვე აქვს რუსეთის უკანასკნელი დედოფლისადმი მიძღვნილი სამახსოვრო წარწერა, რომელიც შესრულებულია რუსულად, ორთოგრაფიის ძველი (რევოლუციამდელი) წესების დაცვით.



ოთახი, სადაც რომანოვები დახვრიტეს


ტყვეების რაზმთან ერთად, იპატიევის ყოფილ სახლში ასევე საოლქო კომისრები, ვაგანოვი, კაბანოვი და მედვედევი იმყოფებოდნენ, რომლებიც დახვრეტიდან რამდენიმე დღის შემდეგ უკვალოდ გაქრნენ. ზოგი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ რაზმის წევრთა სია იაკობ იუროვსკის მიერაა გაყალბებული და სინამდვილეში, რომანოვები ლატიეულმა მსროლელებმა დახვრიტეს; თავად იუროვსკი, ვისაც ამ ვერსიის უარყოფა ან დადასტურება შეეძლო, 1937 წლის ცნობილ რეპრესიებს ემსხვერპლა და კოლმის ერთ-ერთ ბანაკში, კუჭის წყლულით გამოწვეული გართულების გამო გარდაიცვალა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან უცხოურ მასმედიაში ხშირად ჩნდებოდა ინფორმაციები იმის

ლად, ორთოგრაფიის ძველი (რევოლუციამდელი) წესების დაცვით. ქალბატონი ლეილა სონიშვილის ნაამბობმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ჩვენც რომანოვების თემას კიდევ ერთხელ დავუბრუნდით; კარგად გვესმის, რომ ზოგიერთი ფაქტი, რომელზეც ქალბატონმა ლეილამ ჩვენთან ინტერვიუში ისაუბრა, შესაძლოა, ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერდეს, ამიტომ ყველაფერს მკითხველთა სამსჯავროს ვანდობთ და სიტყვას რესპონდენტს გადავცემთ.

ლეილა სონიშვილი:

— 1946 წელს, რუსეთიდან საქართველოში, თბილისში ჩამოვიდა რუსი გოგონა, პარასკევა მარკოვა. ის იმთავითვე მორწმუნე იყო და წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში



კომისარი იაკობ იუროვსკი, რომელიც რუსეთის სამეფო ოჯახის დახვრეგას ხელმძღვანელობდა

ლესის ეზოში, სახელდობრ რა ადგილასაა დედოფალ ალექსანდრას საფლავი?

— პარასკევა მარკოვას თქმით, დედოფალი ალექსანდრა დასაფლავებულია წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის წინა ეზოში; კერძოდ, ეკლესიამდე მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს. პატარა, მოკრძალებული საფლავი გაფუჭეთეთო, მიყვებოდა მერე პარასკევა. მისგანვე გამიგონია, რომ საფლავის ღობე თავისი ხელით ცისფრად შეუღებავს.

— ვიდრე დედოფალი ცოცხალი იყო, თბილისში მცხოვრები გოგონები არ აკითხავდნენ?

— როგორ არა, ხშირად აკითხავდნენო, ჰყვებოდა პარასკევა; თუმცა, მას ასეთ დროს დედოფლის შეწუხება ერიდებოდა. როგორც გითხარით, დიდად მორწმუნე ადამიანი იყო და ზედმეტ ცნობისმოყვარეობას არ იჩენდა: არასოდეს მიკითხავს, სად ცხოვრობდნენ მისი გოგონები, ვიცოდი მხოლოდ ის, რომ აქვე, თბილისში იყვნენო.

— ამ პარასკევამ მარკოვას კი, მოხუცებულობის უამს, თქვენ უფლიდით?

— დიას. როცა მოხუცდა, პარასკევამ წმ. ბარბარეს ეკლესიაში დაიწყო სიარული, სადაც დედაჩემი მუშაობდა. ის 17 წლის განმავლობაში იკონომოსის მოვალეობას ასრულებდა. სწორედ მას სთხოვა პარასკევამ, მომველი მჭირდება და იქნებ ვინმე ახალგაზრდა გოგონა მომიხასო. დედამ მასთან მე გამგზავნა და მას მერე, სიკვდილამდე, სულ მე ვუვლიდი. პარასკევა მარკოვა ხუთი წლის წინ, 2005 წელს გარდაიცვალა. ყველაფერი, რაც მე რომანოვების ოჯახის შესახებ ვიცი, როგორც გითხარით, მისი ნაამბობია. რა თქმა უნდა, ეს ამბები ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ თუ ჩავეძიებოდი,

დაიწყო სიარული, სადაც მამინდეკანობი, მამა გიორგი მსახურობდა. სწორედ მისი მორჩილი გამხდარა და მერე თავად მიაბზობდა — რასაც დამავალბდა, ყველაფერს უსიტყვოდ ვასრულებდიო; მამა გიორგის ერთხელ უთქვამს: ჩემს ახლობელ მოხუც ქალს მომველი სჭირდება და ხომ არ შეგიძლია, რომ ეს სამადლო საქმე შენ იტვირთო? მამა გიორგი თვითონ ნაძალადევი ცხოვრობდა და პარასკევა მარკოვას თქმით, შეკედლებული ჰყავდა რუსეთის უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრა, რომელიც მოძღვრის სახლის ეზოში აგებულ პატარა ქოხში ცხოვრობდა.

— ნიკოლოზ II-ის მეუღლე, ალექსანდრა ჰესენელი?

— დიას, ოლონდ ცხადია, არავინ იცოდა, სინამდვილეში ვინ იყო იგი. როგორც პარასკევამ მითხრა, მამა გიორგი არავის უმხელდა ამ ამბავს; მის ცოლსაც კი არ ცვოდნია, თუ ვინ ჰყავდათ შეფარებული და ეგონა, რომ გოგონა მოძღვარს თავისი ოჯახის დამხმარედ ჰყავდა მოწვეული. პარასკევა მიაბზობდა: როცა მამა გიორგის ცოლი ალექსანდრასთან შესვლისას თვალს მომკრავდა, ხშირად მიყვიროდა, მანდ რა გინდა, მე მომეხმარეო. მამა გიორგიმ ალექსანდრას ვინაობა პარასკევას მხოლოდ მოგვიანებით გაუხილა — როცა დარწმუნდა, რომ გოგონას ნდობა შეიძლებოდა. აი, ეს სურათები პარასკევას დედოფალმა უსახსოვრა (მაჩვენებს სურათებს. — ავტ.); ორივეზე რომანოვების სულიერი მოძღვარი, წმინდა იოანე კრონშტადტელია გამოსახული და, როგორც ხედავთ, სამახსოვრო წარწერაც კი აქვს.

— დიას, ეს მართლაც წმინდა იოანე კრონშტადტელის ფოტოები... როგორც თქვენი მონათხრობიდან ჩანს, იმის თქმა გსურთ, რომ 1918 წელს მეფის ოჯახი არ დაუხვრეტიათ?

— რასაკვირველია, არ დაუხვრეტიათ! პარასკევა მარკოვა ისეთი მორწმუნე იყო, რომ ტყუილს არ იტყოდა... მე ამ ადამიანს 13 წლის განმავლობაში ვუვლიდი და ძალიან კარგად ვიცნობდი. ამიტომაც დარ-

წმუნებული ვარ, რომ რასაც ამბობდა, ყველაფერი მართალია. თვით ნიკოლოზ II, პარასკევას თქმით, საქართველოში ცხოვრობდა, ოლონდ სოხუმში, სადაც „სტარჩიკ მიხაილის“ სახელით იყო ცნობილი და მგონი, ბერადაც კი იყო აღკვეცილი. ქალიშვილები თბილისში იყვნენ, თუმცა სახელები შეცვლილი ჰქონდათ — ლიუბოვ, ნადეჟდა და ვერა. ეს ყველაფერი მე პარასკევა მარკოვამ სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე გამანდო. ადრე იმიტომ არ ვამბობდი, რომ საიდუმლოს გამხეცა ცოდვაში ჩამეთვლებოდაო.


— ისიც ხომ არ უთქვამს, როგორ მოხვდა ნიკოლოზ II სოხუმში?

— ამის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. დედოფალ ალექსანდრას პარასკევა მარკოვასთვის ერთხელ უთქვამს, საქართველოში იმიტომ ჩამოვედით, რომ თქვენი ქვეყანა ღვთისმშობლის ნილხვედრიაო. სოხუმში ნიკოლოზ II ანუ „სტარჩიკ მიხაილი“ ცხადია, ინკოგნიტოდ, მორჩილ ქალთან, შურასთან ერთად ცხოვრობდა...

— წელან ახსენეთ, ნიკოლოზ II-ის გოგონები თბილისში ცხოვრობდნენო... მის სხვა შვილებზე პარასკევა მარკოვას არაფერი სმენოდა?

— გოგონების გარდა, მეფე-დედოფალს ბიჭიც ჰყავდა, სახელად ალექსანდრე (უფლისწული ალექსეი. — ავტ.); ის მოსკოვში იყო და თბილისში არ ჩამოდიოდა ხოლმეო — მიყვებოდა პარასკევა მარკოვა. დედოფალი ალექსანდრა რომ გარდაიცვალა, პარასკევამ და მამა გიორგიმ წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. მამინ ჩამოსულა მოსკოვიდან უფლისწული ალექსანდრე; მას თურმე, ფეხი სტიკიოდა და ჯოხით დადიოდა. ალექსანდრეს დედა დაუტირებია და პარასკევასათვის ნითელი თუმნიანი უჩუქებია, ლოცვებში მოიხსენიეთ და ხანდახან სანთლები დაუწითეთო. პარასკევას შეუთავაზებია, თუ გინდა, ჩემთან დარჩიო, მაგრამ უფლისწულს უარი უთქვამს: ჩემი აქ ყოფნა საშიშიაო და ისევ მოსკოვში გაბრუნებულია.

— ხომ არ იცით, პეტრე-პავლეს ეკ-



სახლი ეკატერინბურგში (დღეს აღარ არსებობს), რომელშიც, ოფიციალური ვერსიის თანახმად, ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები დახვრეტიეს



რომანოვების სამეფო ოჯახის მოძღვარი, იოანე კრონშტადტელი



რუსეთის დედოფალი ალექსანდრა, 1913 წლის ფოტო

პარასკევას ლაპარაკის ხალისი ეკარგებოდა: იაჰბებ! — მეტყოდა და ხელს ამიქნევდა ხოლმე...

— თქვენ გარდა, სამეფო ოჯახის ამბები პარასკევას სხვისთვის არ უამბობია?

— სანამ გარდაიცვლებოდა, პარასკევა მოძღვართანაც იყო, რათა საიდუმლოს გაცემის ცოდვა მოენანიებინა. აღსარების მოსმენის მერე, მოძღვარს დაუმშვიდებია, რომანოვთა წინაშე შენ ცოდვა არ მიგიძღვისო.

— იმ მოძღვარის გვარი ხომ არ იცით, ვინც დედოფალი შეიკედლა?

— სამწუხაროდ — არა... ვიცი მხოლოდ ის, რომ დეკანოზი იყო, წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში მსახურობდა და ნაძალადეგში ცხოვრობდა. აი, სურათზე წარწერაცაა (მაჩვენებს სურათს, რომლის მეორე მხარეზე რუსულად წერია: დეკანოზი გიორგი), საიდანაც მტკიცდება, რომ მამა გიორგის დეკანოზის ხარისხი ჰქონდა... შესაძლოა, იგი წმ. პეტრე-პავლეს ტაძრის მრევლის ზოგიერთ მოხუც წევრს ახსოვდეს კიდევ; მეტს, სამწუხაროდ, მის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

— დაგუბრუნდეთ სოხუმში ბერად აღკვეცილ ნიკოლოზ II-ს. პარასკევამ მისი ბერული ცხოვრების დეტალების ან გარდაცვალების შესახებაც იცოდა რამე?

— მხოლოდ ის მიაბო, რომ ნიკოლოზ II ზამთარში გარდაცვლილა. მორჩილმა შურამ მისი ცხედარი ხალიჩაში გაახვია, ზემოდან ფიჩხი და ფოთლები დააყარა და შუალამისას, ციგით წაასვენა სასაფლაოზე. მეფის საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ პარასკევამ ალარაფერი იცოდა; მისივე თქმით, დედოფალ ალექსანდრას ადრე სხვა მომველიც ჰყოლია, ვინმე ანუშკა, რომელიც შემდეგ გარდაცვლი-

ლა. პარასკევა ამბობდა ხოლმე, იმან ჩემზე უფრო მეტი იცოდა რომანოვების შესახებ, რადგანაც საქართველოში ჩამოსვლამდეც და მის მერეც, კარგა ხანს, დედოფალს ერთგულად ემსახურებოდაო. გარდა ამისა, როგორც გითხარით, პარასკევა ძალიან სიტყვაძვირი ქალი იყო და მხოლოდ იმას ჰყვებოდა, რაც თვითონ მოესურვებოდა, რადგან ეშინოდა, საიდუმლოს გათქმა ცოდვაში არ ჩამეთვალსო.

— კავკასიის მთებში ჩამარხულ რომანოვთა განძზე, ან მეფის ოჯახის სხვა წევრებზე — მაგალითად, მის ძმაზე — დიდ თავად მისაილზე, ანდა შვილზე — ანასტასიაზე ხომ არ სმენოდა რამე?

— არა, არც განძეულის და არც დიდი თავადის თაობაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს. როგორც გითხ-

დეკანოზი მამა გიორგი, რომელმაც დედოფალი ალექსანდრა რომანოვა შეიფარა




არით, პარასკევა მხოლოდ მეფის სამ გოგონას იცნობდა — ლიუბოვს, ნადეჟდას და ვერას. მას ანასტასია არასოდეს უხსენებია. სხვათა შორის, იმასაც ამბობდა, რომ დედოფალს ნიკოლოზ II-ც აკითხავდა ხოლმე — რა თქმა უნდა, ისე ხშირად არა, როგორც შვილები, მაგრამ მაინც ნახულობდა.

— ქალბატონო ლილი, ძალიან საინტერესო დეტალებზე საუბრობთ. როგორც ოფიციალურადაა ცნობილი, ნიკოლოზ II, დედოფალი ალექსანდრა, მათი შვილები, პირადი ექიმი და მსახურები 1918 წელს, ეკატერინბურგში დახვრიტეს; თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკებმა სამეფო ოჯახის დახვრეტის საქმე იმთავითვე მკაცრად გაასაიდუმლოეს... თქვენი აზრით, სონამდვილეში ვინ უნდა დაეხვრეტათ?

— ნამდვილად ვერ გეტყვით; თუმცაღა, კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, რომ მე დარწმუნებული ვარ, პარასკევა მარკოვა არ ტყუოდა, რადგან დიდად მორწმუნე იყო და ცდილობდა, ქრისტიანულად ეცხოვრა. წმ. ბარბარეს ეკლესიაში, 5 დეკემბრის ქუჩაზე რომ მდებარეობს, ეს ქალბატონი დღესაც კარგად ეხსომებათ, რადგან როცა გარდაიცვალა, მისივე ანდერძის თანახმად, იქაურმა მონაზვნებმა მთელი ღამე ფსალმუნები უკითხეს...

— ასეა თუ ისე, ძალიან საინტერესო იყო თქვენთან საუბარი. საქმე ისაა, რომ რომანოვთა დინასტიასთან დაკავშირებით, ბევრი რამ დღესაც უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც ისტორიკოსები გამოწველივით იკვლევენ მათ ცხოვრებას. ვიმედოვნებ, რომ თქვენს ინტერვიუს მალე მოჰყვება გამომავალურება და შესაძლოა, ამ თემაზე კიდევ რამე შევიტყუოთ.



პარასკევა მარკოვა, დედოფალ ალექსანდრა რომანოვის მომველი



ტაშკენტი, 1964 წლის 18 ნოემბერი...

გოგი ზრანგიშვილი

სპორტი პოლიტიკისგან გამიჯნულია! ყოველ შემთხვევაში, ლოზუნგი ასეთია, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში სპორტი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. განსაკუთრებით — საბჭოეთის პერიოდში. თუ გავისწავლოთ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებებს, დღევანდელი გულშემატკივარი გაცილებით დარჩება. ის პრესტიჟული პრიზი, 1944 წელს, ლენინგრადის „ზენიტმა“ მოიპოვა. ანუ იმ ქალაქის გუნდმა, სადაც ადამიანები მეორე მსოფლიო ომის დროს ხანგრძლივი ბლოკადის გამო შიმშილით იხოცებოდნენ. პარადოქსია, მაგრამ ასეა.

კიდევ ერთი მაგალითი: 1954 წელს თასს კიევის „დინამოელები“ დაეუფლნენ. რატომ? იმ წელს უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლის იუბილეს აღნიშნავდნენ და კიეველმა ფეხბურთელებმაც „დაიმსახურეს“ თასი. მანამდეც და მას შემდეგაც კარგა ხანს უძლიერესი მოსკოვის კლუბი უნდა ყოფილიყო!

ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა საკავშირო ჩემპიონატებში. პირველი, 1936 წლის ჩემპიონატიდან დაწყებული, 1960 წლამდე, ჩემპიონები ისევ მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის გუნდები ხდებოდნენ. ამასთან, ისიც გავისწავლოთ, რომელი გუნდები: „სპარტაკი“ — ანუ მთელი რუსეთის სახალხო კლუბი; „დინამო“ — შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი და ცსკა — საბჭოთა არმიის უძღველოების სახე. დედაქალაქის ავტოქარხნის „ტორპედო“ სულ ბოლოს, 1960 წელს „გაიყვანეს საქმეში“. ფეშქაშად თასიც მათვე არგუნეს. ეს უკვე მეტისმეტი იყო და მომდევნო სეზონში ისევ კიეველთა ჯერი დადგა. ხოლო ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ლოლობერიძის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველისა და სხვათა და სხვათა თბილისის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის №1 გუნდის ტიტული მხოლოდ 1964 წელს ედირსა, ისიც შემთხვევის წყალობით. უბრალოდ დაემთხვა, რომ სწორედ მაშინ, საკავშირო პლენუმზე საბჭოთა კავშირის „ბოსი“, ნიკიტა ხრუშჩოვი გაათავისუფლეს და კრემლის მამები სკამების გადანაწილებით იყვნენ დაკავებულნი. ფეხბურთისთვის არავის ეცალბა, ხოლო ქართული „დინამო“ უკვე საჩემპიონოდ „მომწიფდა“.

ამრიგად, 1964 წლის 18 ნოემბერი; ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონი. გაძედილი ტრიბუნები. მათ შორის, რალა თქმა უნდა, უამრავი ქართველი გულშემატკივარი. ადგილობრივი დროით 18.00 სთ. პირველად საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ორმა გუნდმა, თბილისის „დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა და ჩემპიონის გამოსავლენად

დამატებითი მაჭრი დაინიშნა. ტაშკენტის „ოქროს მატჩს“ და ამ ჩემპიონატს ჩვენთან ერთად, თბილისის „დინამოს“ ვეტერანი და გადამწყვეტი შეხვედრის ერთ-ერთი გმირი — **ილია დათუნაშვილი** იხსენებს:

— ჩემპიონატისათვის მზადება ადრეულად, იანვარშივე დაიწყო. პირველი სანვრთელი შეკრება მიხილ იაკუშინის ხელმძღვანელობით ბაკურიანში გვექონდა. წინა წელს მეხუთე ადგილი დავიკავეთ და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უმაყოფილიყო იყო ჩვენი თამაშით. ამჯერად, საპრიზო სამეული დავგვისახეს მიზნად, თუმცა ოქროს მედლებზეც არავინ იტყოდა უარს. მით უმეტეს, რომ ანდრო ჟორდანიას აღზრდილთა თაობა მოვიდა: მიხეილ მესხი, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტორიკაძე, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, მურთაზ ხურციავა. ეს ფეხბურთელები და მათ შორის მეც, სწორედ ბატონმა ანდრომ მოიყვანა „დინამოში“. ჩემპიონატი 28 მარტს, მოსკოვის „სპარტაკთან“ საშინაო მატჩით დაიწყო. რთული შეხვედრა აღმოჩნდა. „სპარტაკთან“ ხშირად გვიჭირდა. უპირატესობას კი ვფლობდით, მაგრამ გოლი არა და არ გადიოდა. თამაშში უკვე მთავრდებოდა, როცა ბორის სიჭინავა მოულოდნელად ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა. მანამდე ბორის სულ ერთი ბურთი ჰქონდა გატანილი. ეს კი მისი ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი, ვლადიმერ მასლაჩენკოს კარში იყო და 1:0 გავიმარჯვეთ.

მეორე ტურში ქართველი ფეხბურთელების მეტოქე კვლავ მოსკოვური გუნდი — ცსკა იყო. თბილისელებმა ეს შეხვედრა კიდევ უფრო უკეთ ჩაატარეს და დიდი უპირატესობით, 3:0 დაამარცხეს საბჭოთა ოფიცერთა კრებული. მომდევნო ტურში კი მოსკოვი ადგილობრივ თანაკლუბელებთან ჰქონდათ შეხვედრა. საკავშირო ჩემპიონატებში ყველაზე მეტად სწორედ მათთან უჭირდათ თამაში. ამჯერად ისინი 44-ედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და უკვე 30-ედ დამარცხდნენ 1:3. ეს მარცხი გუნდის უფროსი მწვრთნელის, მიხილ იაკუშინის მოხსნის მიზეზი გახდა.

— იაკუშინი ჩვენთან 1962 წელს მოვიდა და ბრინჯაოს მედლებიც მისი თავაჯობით მოვიპოვეთ. იგი ძალიან კარგი მწვრთნელი იყო. მე ორივე ფეხით კარგად ვთამაშობდი და სწორედ მან შე-

მომთავაზა, კუთხურიდან მოჭრილი ბურთების ჩამონოდებაზე სერიოზულად მემუშავა. ჩახვეულ დარტყმებზე ჯერ კიდევ ქუთაისის „ლოკომოტივში“ თამაშის დროს დავიწყე ვარჯიში. ახლა კი იაკუშინი წვრთნის შემდეგ მტოვებდა და 100 კუთხურს მარჯვენა ფრთიდან ვანვდიდი, 100-საც — მარცხნიდან. 1964 წელს ეს კუთხურები ძალიან დაგვეხმარა კიდევ. მიხილ იაკუშინის გათავისუფლების მიზეზი კი არა მოსკოვის „დინამოსთან“ წაგება, არამედ „ცოცხალი ჭადრაკი“ იყო. წინა სეზონში ნონა გაფრინდაშვილსა და ტიგრან პეტროსიანს სტადიონზე სწორედ ასეთი ჭადრაკი უნდა ეთამაშათ. ფიგურების ნაცვლად, მოედანზე ბავშვები დადგებოდნენ. ამ დროს ჩვენ საკონტროლო მატჩი გვექონდა. იაკუშინს „დინამოს“ სტადიონზე უნდოდა თამაში, საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას კი —

ტაშკენტის მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ...



„ქარიშხალაზე“ (ახლანდელი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი). იაკუშინს არ უყვარდა, მის საქმეში ვინმე ცხვირს რომ ჩაყოფდა. იგი არ დაეთანხმა ჩინოვნიკების გადამწყვეტილებას და „ქარიშხალას“ სტადიონზე დაეგმინა მატჩზე არ მოვიდა. მერე გავიგეთ, თურმე კუს ტბის ფერდობიდან უყურებდა ჩვენს თამაშს...

მიხილ იაკუშინის ნაცვლად გუნდის უფროს მწვრთნელად გავრილ კაჩალინი დაინიშნეს, მაგრამ როგორც არაერთხელ მომხდარა ასეთ შემთხვევაში, უკეთესის ნაცვლად უარესი შედეგი მივიღეთ. აწყობილი მექანიზმი დაიშალა და მომდევნო მატჩები ისე ჩამთავრდა, „დინამომ“ ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო. საკუთარ თამაშს ქართველმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ორი თვის შემდეგ მიაგნეს. ბაქოში მათ 1:0 დაამარცხეს „ნეფტჩიანიკი“, თუმცა მთავარი, კიევის „დინამოელებთან“ 2:1 გამარჯვება იყო. უკრაინელებს იმ სეზონში ძლიერი გუნდი ჰყავდათ და მათთან შეხვედრაც მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

— ამ მოგების მიუხედავად, ჩემპი-



ონატის პირველ წრეში მინც ერთი ქუ-
ლით ჩამოვრჩებოდით მოსკოვის „ტორ-
პედოს“ და მეორე ადგილზე ვიყავით.
თუმცა ჩვენ უკვე ვიპოვეთ ჩვენი თამაში
და სერიოზულად დავეინყეთ კიდევ ჩემ-
პიონობაზე ფიქრი. ერთხელ, ერთ-ერთი
მატჩის შემდეგ გუნდის კაპიტანმა, შოთა
იამანიძემ გასახდელში შეგკვირბა და
გვითხრა — შანსი გვაქვს და მოდით
ვიბრძოლოთ ოქროს მედლებისთვისო.
ეს ჩვენი წინა თაობების ოცნება იყო,
მაგრამ ამ ჩინებულმა ფეხბურთელებმა
ისე დაასრულეს თავიანთი კარიერა, სა-
ბჭოთა კავშირის ჩემპიონობა არ აღ-
ირსეს.

ჩემპიონატის მეორე წრე კიდევ უფრო
რთული აღმოჩნდა. თან კალენდარი ისე
იყო შედგენილი, რომ 16-დან 8 მატჩი
მეტოქეების მოედანზე გვინებდა. მაშინ,
როდესაც მოსკოვის „ტორპედო“ პრაქ-
ტიკულად არ გასულა მოსკოვიდან. ავ-
ტოქარხნელებმა მხოლოდ ორი მატჩი
ითამაშეს გასვლაზე და ორივეში დამარ-
ცხდნენ: ქუთაისში — 0:1 ქართულ
„ტორპედოსთან“ და თბილისში ჩვენ-
თან — 1:3. ჩემპიონატის სტარტზე,
როდესაც გათამაშების კალენდარი გამო-
ქვეყნდა, ყველანი მივხვდით, რომ კალ-
ენდარი ასე სპეციალურად იყო შედგე-
ნილი. იმთავითვე უფიქრიათ, თბი-
ლისელებს ჩემპიონობის პრეტენზია არ
გაუჩინდეთო. მას შემდეგ, რაც 1963 წელს
„დინამოში“ სლავა მეტრეველი სწორედ
მოსკოვის „ტორპედოდან“ გადმოვიდა,
ჩვენი გუნდი ყველაზე ლამაზ ფეხბურთს



გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ
ბარქაია და მიხეილ მესხი

ქართული კლუბი ტაშვენტში რამ-
დენიმე დღით ადრე ჩაფრინდა და ადგი-
ლობრივი „ფახთაქორის“ ბაზაზე და-
ბანაკდა. „დინამოელებს“ უზუბეკეთში
უამრავი გულშემატკივარი ჩაჰყვა და მათი
ზედმეტი ყურადღებით ფეხბურთელები
რომ არ შენუხებულყვნენ, გავრილ კა-
ჩალინი სწორედ იმ ბაზაზე ამზადებდა
გუნდს. მატჩისათვის სამზადისი და
ვარჯიშები თითქოს ნორმალურად მიმ-
დინარეობდა, მაგრამ დაძაბულობა მაინც
ყველას ეტყობოდა.

— თამაშის დღეს, დილით,
მოთელვისმაგვარი, მსუბუქი ვარჯიში
გვქოდა, ვისაუბრეთ და ბაზის ეზოში
დავხვდით. ყველანი, რა თქმა უნდა,
თამაშზე ვფიქრობდით. არ ჩანდნენ მხო-
ლოდ ჯემალ ზეინკლიშვილი და გიორ-
გი სიჭინავა. კაჩალინმა მოვიითხა კიდევ
ისინი, სად არიანო? სწორედ ამ დროს,
ეზოში ვირზე ამხედრებული ზეინკლიშ-
ვილი შემოვიდა. თურმე, ბაზარში ათ
მანეთად უყიდა, ჩვენი გამხიარულება
უნდოდა. ისეთი სასაცილო სანახავი იყო,
რომ ყველას ხარხარი აგვიტყდა.

მატჩზე დასწრების სურვილი ძალიან
ბევრ ქართველ გულშემატკივარს ჰქონ-
და. ამ პერიოდში ტაშვენტის მიმა-
რთულებით თბილისიდან ერთი რეისი
დაფრინავდა, არ ყოფნიდა და ამიტომ
მოსკოვის რეისები მოხსნეს და
ტაშვენტზე დაამატეს. სტადიონის ტრი-
ბუნები სავსე იყო გულშემატკივრებით,
მათ შორის ქართველებით. თამაში ნერვ-
იულად დავეინყეთ. როგორღაც ვერ ავე-
ყვეთ, მოსკოველები გვეჯობნიდნენ. ამ
დროს თურმე გავრილ კაჩალინის ამ-
ბობდა, — ნეტავ, გავკვიტანონ „ტორპე-
დოელებმა“, ნეტავ გავკვიტანონო... სათ-
ადარიგოთა სკამზე მჯდომ ჩვენს მეორე
მწვრთნელს, ალიოშა კოტრიკაძეს
უფიქრია, გაგვიყვანა, მგონი, გავრილა-
მო, მაგრამ კაჩალინი კარგად გვიცნობ-
და და იცოდა, რასაც ამბობდა. პირვე-

და. საქმე ისაა, რომ თუ ქართული
„დინამო“ ჩემპიონობისთვის იბრძოდა,
ქართული „ტორპედო“ უმაღლეს ლი-
გაში ადგილის შენარჩუნებისათვის არ
ზოგავდა მეტოქეებს. ასეთ სიტუაციაში
ბუნებრივია, არავითარ ჩანაწობაზე არც
შეიძლებოდა ლაპარაკი. თამაშიც ძალიან
დაძაბული აღმოჩნდა. ჩხარტიშვილის
გოლს მეტრეველის გოლი მოჰყვა და ეს
მატჩი ფრედ დასრულდა.

იმავე დღეს მოსკოვის „ტორპედო“
კიევის „დინამოს“ მასპინძლობდა. გამარ-
ჯევების შემთხვევაში მოსკოველები
პრაქტიკულად ინადვებდნენ ოქროს
მედლებს, მაგრამ კიეველთა მკვარემ საკ-
უთარი კარის გარდა თბილისელებიც
გადაარჩინა. მან ვალენტინ ივანოვის 11-
მეტრიანი დარტყმა მოიგერია და თამა-
ში ფრედ, 1:1 დამთავრდა. თუმცა არ
დამთავრებულა თბილისის „დინამოელ-
თა“ გამოცდა. ჩემპიონატის დასკვნით
ტურში ისინი საკუთარ მოედანზე იარ-
ოსლავლის „შინიკს“ მასპინძლობდნენ.

— „შინიკისათვის“ ამ მატჩის შედეგს
არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.
გამარჯვების შემთხვევაშიც, ისინი ვარდ-
ებოდნენ უმაღლესი ლიგიდან. წესით,
არც უნდა მოეკლათ თავი, ხოლო ჩვენ
მხოლოდ გამარჯვება გვჭირდებოდა,
რადგან ორი ქულით ჩამოვრჩებოდით
მოსკოვის „ტორპედოს“. პირველი ტაი-
მის შემდეგ ანგარიში 1:1 იყო. მეორეში
კიდევ უფრო გავაძლიერეთ შეტევები,
დიდ უპირატესობასაც ვფლობდით, მა-
გრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ. „შინი-
კის“ ფეხბურთელები
თავს იკლავდნენ, ისე
იცავდნენ თავს,
თითქოს სტალინ-
გრადის ბრძოლააო.
თამაში უკვე მთავ-
რდებოდა, ათი
წუთიღა რჩებოდა,
როდესაც სლავა მე-
ტრეველმა, როგორც
ტერმინი, შეაგდო ბურ-
თი, სულ ბოლოს კი
მეც გავიტანე. „შინი-
კთან“ 3:1 მოვიგეთ,
ხოლო თამაშის შემ-
დეგ თავად იარო-
სლაველმა ფეხ-
ბურთელებმა გვი-

ამბეს მოსკოველი ჩინოვნიკების ხრიკე-
ბის შესახებ. თურმე ჩვენ თუ ქულას
დაგვაკარგინებდნენ, უმაღლეს ლიგაში
დარჩენასაც და კიდევ რალაც-რალაცებს
დაჰპირდნენ. აი, ასეთი მეთოდებით გვე-
ბრძოდნენ — არასაფეხბურთო მაქინა-
ციებით.

საბჭოთა კავშირის XXVI ჩემპიონატი
ისე დასრულდა, ჩემპიონი ვერ გამოვ-
ლინდა. ორმა გუნდმა — თბილისის
„დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“
46-46 ქულა დააგროვა და ოქროს
მედლების მფლობელთა გამოსავლენად
მათ შორის დამატებითი მატჩი დაინი-
შნა.

„ოქროს ბიჭები“



თამაშობდა. არც იყო გასაკვირი. „დი-
ნამოს“ შემადგენლობის 11 ფეხბურთელ-
იდან რვა მსხვადასხვა დროს საბჭოთა
ნაკრებში ითამაშა. ობიექტურად, მარ-
თლაც საუკეთესოები ვიყავით.

ქართველმა ფეხბურთელებმა ჩემპი-
ონატის მეორე წრეში „ვალი გაუს-
ტუმრეს“ მოსკოვის „დინამოს“ — 2:1
მოუგეს. გამარჯვების გოლი ილია და-
თუნაშვილმა გაიტანა. შემდეგ, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, მთავარ კონკურენტს,
მოსკოვის „ტორპედოსაც“ სძლიეს. მი-
უხედავად ამისა, მოსკოველები მინც
ერთი ქულით წინ იყვნენ. ჩემპიონატის
ფინიში უცნაურად დრამატული აღმოჩნ-



ლი ტაიმი ისე მიიღია, ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმში მოსკოველთა უბირატესობა უფრო გამოიკვეთა. ერთ მომენტში შჩერბაკოვმა ძლიერად დაარტყა და ბურთი ძელს მოხვდა. ჩვენი კარის უკან ფოტოკორესპონდენტები, კოსტია შანიძე იდგა. სერგო კოტრიკაძე თურმე მიუტრიალდა და უთხრა: მოვიგებთ, ღმერთი არ გაგვწირავს. მაგრამ 56-ე წუთზე იმავე შჩერბაკოვმა ანგარიში გახსნა. აი, მაშინ გამოვფხიზლდით და ისე ავთამამდით, როგორც ქართულ ფეხბურთს შეეფერებოდა. დაახლოებით ოცი წუთი უკლდა შეხვედრის დამთავრებას, მოსკოველთა კართან ზედიზედ სამჯერ მოვანოდე კუთხური. პირველი ორი უახლოეს ძელთან მოვჭერი და მეკარემ მოიგვრია, მესამე კი შორეული ძელისკენ ჩავახვიე. შაპოვალენკო ჯერ წინ დაიძრა, შემდეგ უკან, მაგრამ დაიბნა და ვეღარ მოასწრო, მხოლოდ თვალიღა გააყოლა ბურთს...

„დინამო“ „ტორპედოს“ მატჩის ძირითადი დრო ფრედ, 1:1 დასრულდა. თამაშის განახლებისთანავე, 92-ე წუთზე, ილია დათუნაშვილმა კიდევ ერთხელ აიღო მოსკოველთა კარი. იმ ეპიზოდში შეტევა შოთა იამანიძემ წამოიწყო. ცენტრში ორი ფეხბურთელი მოატყუა და მიხეილ მესხს გადასწოდა ბურთი. იმ დღეს მესხის შეჩერება შეუძლებელი იყო, მანაც ერთი მცველი ჩამოიცილა და კარგ პოზიციაში მყოფი ილია დათუნაშვილიც მოძებნა. დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 2:1.

ანგარიშის გარდა თბილისელთა უბირატესობა უკვე აშკარა იყო. სამართლიანობა მოითხოვეს, ისიც ითქვას, რომ ამ დროისთვის ტრავმის გამო მოედანზე უკვე აღარ იყო მოსკოველთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი — ვალენტინ ივანოვი. მოსკოველები კიდევ იბრძოდნენ, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში მესხმა ბურთი აართვა მცველს და მეკარესთან პირისპირ გასულმა მესამედ აიღო „ტორპედოს“ კარი. მატჩის ბედი უკვე გადანყვეტილი იყო. ბოლო წერტილი კი ამ დაუნიწყარ მატჩში სლავა მეტრეველმა დასვა. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით, მან მეოთხე გოლი გაიტანა და თბილისის „დინამოელებმა“ საბოლოოდ, 4:1 გაიმარჯვეს „ოქროს მატჩში“.

— წესით, ის მატჩი მოსკოვის „ტორპედოს“ ძირითად მეკარეს ანზორ კავაზაშვილს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ კავაზაშვილს არ ენდნენ მოსკოველები. მაინც ქართველია და შეიძლება, ბურთი განგებ გაუშვასო. ეს „ტორპედოს“ მწვრთნელებს კარგა გვარიანი შეცდომა იყო. შეცდენენ ფეხბურთის საკავშირო სამმართველოს ხელმძღვანელებიც, როდესაც ამ პრინციპული მატჩის არბიტრად ლაზიველი მიკენას რუბენისი დანიშნეს. რუბენისმა ობიექტურად იმსაჯა და ჩვენს კარში თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი არ ჩათვალა, ხოლო შეხვედრის მიწურულს 11-მეტრიანიც დანიშნა მოსკოველთა კარში. ამან სულ გააგი-

ჟა საკავშირო სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსი მოშკარკინი. ეს უკვე მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ გვითხრა თავად რუბენისმა. მოშკარკინი თურმე მატჩის შემდეგ მსაჯთა ოთახს ანგრევდა: „ტორპედოელთა“ გოლი უნდა ჩაგეთვალა, 11-მეტრიანი კი მათ კარში არ უნდა დაგენიშნათ!

ამ მატჩის შემდეგ რუბენისი წლები განმავლობაში აღარ გააპარეს უმაღლეს ლიგას...

თამაში რომ დამთავრდა, გულშემატკივრებმა გაზეთებს ცეცხლი წაუკიდეს და ასე, ათასობით „ჩირაღდნით“ აღნიშნავდნენ ჩვენს გამარჯვებას. სხვათა შორის, თავიდან ტაშკენტელები „ტორპედოელებს“ ქომაგობდნენ, მაგრამ შემდეგ გოლი რომ გავიტანეთ, უკვე ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ. საოცარი სიხარული იყო. ჩვენი ბედნიერების განსაზღვრა რაიმე შკალით შეუძლებელია. ტაშკენტიდან თბილისში სპეციალური რეისით ჩამოვფრინდით. აქ აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა. ტრაპიდან ჩამოსვლა არ გვაცალეს, ხელში აგვიყვანეს. მე სამთავრობო გასასვლელიდან გამომაპარეს მეგობრებმა.

მთელი საქართველო ხარობდა. სხვადასხვა ორგანიზაციაში გვიწვევდნენ და უმეტესად ოქროს საათებს გვჩუქნიდნენ. მაშინ ეს ოქროს საათები ძალიან მოდაში იყო. მთავრობამაც მცირე პრე-



მიები გამოგვიყო. მართალია, დღევანდელივით ასიათასობით დოლარს არავინ

მოგვეცემდა, მაგრამ ჩვენთვის მაშინ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველაზე მეტად მე ვიხიერე — სამოთახიანი ბინა მივიღე. საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან შეხვედრის დროს, ჩემი თხოვნით გავრილ კაჩალინმა მჟავანაძეს უთხრა: ილია დათუნაშვილი ცოლის მოყვანას აპირებს და იქნებ, სამოთახიანი ბინა მივცეთო. მჟავანაძეს გაეცინა და დათანხმდა. პირველმა მდივანმა კი დამასაჩუქრა, მაგრამ ორჯონიკიძის რაიონის ალმასკომის თავმჯდომარე არ მაძლევდა. — ვინ უნდა ჩაწერო ამ სამოთახიანი ბინაში? — მკითხა. — არავინ, მარტო ვიცხოვრებ-მეთქი, — ვუპასუხე. — გიყი ხომ არ ხარ შენ? მარტო კაცს სამოთახიანი ბინა როგორ მოგცე? — კაი, ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, — ვუთხარი და წამოვდიე. ვხედავ, დერეფანში მომდევს და თან ყვირის: — გამოუწერეთ, გამოუწერეთ ორდერი სამივე ოთახზე, თორემ დაგვიჭერენ ყველას; ჯანდაბას მაგის თავი! კაბინეტში რომ შევბრუნდი, უკვე წყნარად მითხრა: — 30 წელია, აქ ვმუშაობ და ერთი კაცისთვის სამოთახიანი ბინა ჯერ არ მიგვიციაო. — რა მოხდა, დალოცვილო, კიდევ გავხდებით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და კიდევ გამომიწერ სამოთახიანი ბინის ორდერს-მეთქი.

ქართველ კაცს ოქროს მედლებით ვერ ვაგვიკრებ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კი არა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იმდენი გვყავს, ზუსტად დათვლაც გაგვიჭირდება, მაგრამ ფეხბურთის სულ სხვაა, მაგ 11 ქართველი მთელ იმპერიას რომ ამარცხებს, ეს უკვე სტადიონის ტრიბუნებს სცილდება.

— ჩვენთვის ის გამარჯვება მართლაც გამორჩეული იყო, თავად ფეხბურთი იყო თბილისის „დინამო“ იყო სხვა რამ. პირველად „დინამოს“ მაისური რომ ჩავიცვი, ლამის ორ საათამდე სარკის წინ ვიდევნი და ჩემს თავს ვუყურებდი, იმდენად ბედნიერი ვიყავი. „დინამოში“ ქუთაისიდან 1959 წელს ანდრო ყორდანამ გადმომიყვანა. იგი სწორედ იმ წელს დანიშნეს თბილისელთა გუნდის უფროს მწვრთნელად და თითქმის ათი წელი ვითამაშე ჩემს საყვარელ გუნდში. რომ მეკითხებიან, რომელი თაობის „დინამო“ ჯობია, 1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონების თუ 1981 წლის ევროპის ქვეყნების თასების თასის მფლობელებისო? — ნურავინ მიწყენს და ვპასუხობ, რომ „დინამო-64“ საუკეთესო იყო. ეს ჩემი აზრია. ამის საფუძველს იმ პერიოდის ფეხბურთელების ოსტატობა მაძლევს...



წმინდა გიორგის სასწაულოქმედი ხატები

23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულს მიეგვიტებით. გიორგობის დღესასწაული 6 მაისსაც იდღესასწაულება. 23 ნოემბერს, გიორგობას მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს, წმინდა დიდმონაწივე გიორგის ბორბალზე გაკვრის მოსახსენიებლად და ამ მოვლენის განსაზღვრებად. გადმოცემის თანახმად, ნოემბერში გიორგობის დღესასწაულის აღნიშვნა ქართველთა განმანათლებელს, წმინდა ნინოს დაუწესებია. სწორედ მისგან შეიქმნა ქართველთა ერთადერთი დიდმონაწივის შესახებ, რომელიც არსენ იყალთოელის მონუმენტით, წმინდა გიორგის ბიძაშვილი ყოფილა. საქართველოში წმინდა გიორგის განსაკუთრებულ თავყვანისცემასაც მეოთხე საუკუნიდან დაედო სათავე... მოგიტყობთ წმინდა გიორგის რამდენიმე სასწაულოქმედი ხატის შესახებ...

შორენა ბერკეილაძე

წმინდა გიორგის პირველი იკონოგრაფიული გამოსახულებები V-VI საუკუნეებით თარიღდება. თავიდან წმინდანის ფრესკული გამოსახულებები იქმნებოდა. უძველესი ფრესკები ეგვიპტესა და სინას მთაზე გვხვდება.

თავდაპირველად ხატებსა და ფრესკებზე წმინდა გიორგის ფეხზე მდგომი მეომრის სახით გამოსახავდნენ, მოგვიანებით მისი სხვადასხვა სახით გამოსახვა დაიწყო...

წმინდა გიორგის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული გამოსახულება, ცხენზე ამხედრებული წმინდანის მიერ დრაკონის განგმირვაა. დიდმონაწივის ამგვარი სახით გამოსახვას საფუძვლად წმინდანის მიერ აღსრულებული ერთ-ერთი სასწაული უდევს, რომელიც მის წამებამდე აღსრულა: ქალაქ ლასიის მახლობლად, რომელსაც ქრისტიანთა მოძულე კერპთმსახური მეფე-სელინოსი მართავდა, იდგა ტბა, სადაც დრაკონმა დაიბუდა. იგი წყლიდან ყოველდღე ამოდიოდა და მოსახლეობას მუსსრს ავლებდა. დრაკონის მოკვლა ვერასგზობ შეუძლებელი. მეფემ ბრძანება გასცა, რომ ქალაქის ყველა მცხოვრებს რიგრიგობით შეენირა მხეცისთვის თავისი შვილი, ამასთან, პირობა დადო, რომ როდესაც მისი ჯერი დადგებოდა, თვითონაც შესწირავდა თავის ერთადერთ ასულს... მართლაც დადგა მეფის ჯერი. მეფემ თავისი დადგენილი წესის შეცვლა ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა, ერთადერთი ასული გაემეტებინა. ქალი ტბის პირას დატოვეს. როდესაც სამსხვერპლოდ გამზადებული ასული ტბიდან ვეშაპის გამოსვლას ელოდა, უფლის ნებით იმ ადგილზე ცხენზე ამხედრებულმა წმინდა გიორგიმ გაიარა. იხილა რა თვალცრემლიანი ქალი, ტირილის მიზეზი ჰკითხა. მეფის ასულმა წმინდანს იმ ადგილის დატოვება სთხოვა, მაგრამ როდესაც მისგან მტკიცე უარი მიიღო, თავისი გასაჭირის შესახებ მოუთხრო. გიორგიმ ჰკითხა, რომელ ღმერთს მსახურებდა მამამისი და მისი ქვეშევრდომები. „აპოლონს, ჰერაკლეს, სკამანდროს და დიდ ღმერთს, არტემიდას,“ — მიუგო ქალმა. წმინდა გიორგიმ ქალი დაამშვიდა, პირობა მისცა, რომ

ჭეშმარიტი ღმერთის სახელით იხსნიდა მას. შემდეგ ლოცვით შესთხოვა უფალს, რომ მისთვის მხეცის ძლევის ძალა მიენ-



იჭებინა: „შესმენილ იქნა შენი ვედრება, ჰყავ ნიცა გნებავს, მე შენთან ვარ,“ — ესამა ხმა ზეცილიდან.

უეცრად შეირხა ლერწმოვანი. შეშინებულმა ქალმა კვლავ სთხოვა ჭაბუკს, იქაურობას გასცლოდა. წმინდა გიორგი დრაკონის შესახვედრად გაემართა, ჯვარი გამოსახა და წარმოთქვა: „უფალო, ღმერთო, გადააქციე ეს მხეცი ჩემს მორჩილად“. მხეცი მართლაც მის ფეხებთან დაეცა. წმინდა გიორგიმ მეფის ასულს სარტყელი მოსწა, მხეცს ყელზე მოაბა და ქალს უბრძანა, ქალაქში წაეყვანა. ქალაქის მოსახლეობა გაოცებული შეჰყურებდა მეფის ასულს, რომელსაც უზარმაზარი დრაკონი მოჰყავდა. უკან წმინდანი მოჰყვებოდა, რომელმაც ქალაქის მოედანზე შეკრებილ ხალხს მიმართა: „ინამეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი, ყოვლად ძლიერი და მე მოკვლავ ამ ვეშაპს, რომ მან არ დაგხოცოთ თქვენ“. მეფემ და ყველა იქ შეკრებილმა აღიარა ყოვლადწმინდა სამება: გიორგიმ მახვილი

იმიშვლა და დრაკონი განგმირა... სწორედ ამ სასწაულის აღსანიშნავად გამოსახავენ ხატებზე წმინდა გიორგის ცხენზე ამხედრებულს, რომელიც შუბით საზარელ მხეცს კლავს. დრაკონის მლახვრავი წმინდა გიორგი არის სახე ქრისტეს ეკლესიის ბოროტებაზე, ხილულ და უხილავ მტრებზე გამარჯვებისა.

ათონის წმინდა მთაზე, ზოგრაფის მონასტრის ტაძარში წმინდა გიორგის ხატია დაბრძანებული, რომელსაც მთავარ სტეფანესულ ხატად იხსენიებენ, რადგან სინმინდე სერბეთის მთავარმა — სტეფანემ შესწირა მონასტერს. სინმინდე მთავრის დედას ეკუთვნოდა.

სტეფანე სერბეთს 1458-1504 წლებში მართავდა. ამ დროს დროს ბიზანტია თურქებს ჰყავდათ დაპყრობილი. სტეფანეს უსჯულოთა შეჩერება სურდა, თუმცა ამისი ძალა თავისი მცირერიცხოვანი არმიით არ შესწევდა. ერთხელაც, დედამისის სამლოცველო ოთახში დაბრძანებული წმინდა გიორგის ხატის წინაშე დაემხო და დიდმონაწივეს ქრისტიანთა მტერების წინააღმდეგ ბრძოლაში შეწევნა სთხოვა. ღამით მთავარს დიდმონაწივე გიორგი გამოეცხადა და უთხრა: ძლევაშემოსილი გიორგი ვარ, რა გსურს ჩემგან, რის შუამდგომლობას ითხოვ ღვთის წინაშე? — შენ იცი, რასაც სწადიან თურქები. მათი განადგურება მწადს, მაგრამ ამის ძალა არ მაქვს. განმძლიერე, რომ ქრისტეს ჯვრისა და რწმენის ძალით მტერს შევებო, შესთხოვა სტეფანემ. წმინდანმა უფლის წინაშე მოხება და შეწევნა აღუთქვა და მიმართა: შენი და შენი მცირერიცხოვანი რაზმის გასამხნეველად, იმის ნიშნად, რომ მე თქვენ გვერდით ვარ, დედაშენის სამლოცველოდან ჩემი ხატი აიღე და ბრძოლის დროს არ მოიშორო, როდესაც გადამწყვეტ ბრძოლას მოიგებ, არ დაგავიწყდეს, ჩემი ხატის ათონის მთაზე, ზოგრაფის მონასტერში მითანა — განაახლე ჩემი ტაძარი ზოგრაფში, რომელიც მეკობრეებმა დაარბიესო.

მართლაც, წმინდანის შეწევნით გაძლიერებული სტეფანე ორმოცი წელიწადი შიშის ზარს სცემდა თურქებს, თავისი მცირერიცხოვანი რაზმით. მან სერბეთის საზღვრების გაფართოება შეძლო. მრავალი თურქი ჩაიგდეს მისმა მეომრებმა ტყვედ ხელში. ტყვედ ჩავარდნილი თურქები იხსენებდნენ ერთ ყმანვილ მეომარს, რომელიც ადვილად მუსრავდა თურქებს, თვითონ კი უვნებელი რჩებოდა. მათ სტეფანემ ჰკითხა, ჩემს ჯარისკაცებს შორის რომელია ის მეომარი, რომლის შესახებაც თქვენ საუბრობთო? „ის თეთრ ცხენზეა ამხედრებული და ხელთ მახვილი უჭერია...“ სერბეთის მთავარი და მისი მეზობლეები მაშინვე მიხვდნენ, თუ ვინ იყო ის



ახალგაზრდა მეომარი, რომლის შესახებაც უსჯულონი საუბრობდნენ. განადიდეს უფალი და მისი ძლევა მოსილი მხედარი — გიორგი. სერბეთის მთავარმა წმინდა გიორგის ხატი ათონის მთაზე არსებული ზოგრაფის მონასტერს შესწირა და მეკობრეთაგან დარბეული და გაუკაცრიელებული სავანეც ალაღინა.

წმინდა გიორგის კიდევ ერთი სასწაულომოქმედი ხატი იერუსალიმის მახლობლად მდებარე ქალაქ ლიდაში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარშია დაბრძანებული. იქვე განისვენებს მისი წმინდა ნაწილებიც. ერთხელ დაბას სარკინოზთა ჯარი შემოესია. მტერმა მოსახლეობის დატყვევების შემდეგ დაბაში კარვები გაშალა და დროს ტარებას მიჰყო ხელი. უსჯულონი იმდენად გაკადნიერდნენ, რომ ტაძრის საკურთხეველშიც გააჩაღეს ღრეობა და გართობა. შემდეგ ისრები მოზიდეს და საკურთხეველში დაბრძანებულ ხატებს დაუშინეს. ერთ-ერთმა ტყვედ მყოფმა ქალაქის მცხოვრებმა გაბედა და უთხრა: „არ შეიძლება ასეთი მკრეხელობა წმინდანთა მიმართ, მონაწიე ვის სახელზეცაა აგებული ეს ტაძარი, იყო უძლეველი მეომარი და დღემდე ამხილებს და მუსრავს თავის მოწინააღმდეგეთ“. თან წმინდა გიორგის ხატისკენ მიუთითა. ერთ-ერთმა მათგანმა კვლავ მოიმარჯვა შუბი და წმინდა გიორგის ხატს სტყორცნა, მაგრამ ისარი მყისვე უკუიქცა, მტყორცნელს დაეცა და გული განუგმირა. დანარჩენმა მხედრებმა თვალნათლივ იხილეს, რომ ხატზე გამოსახულ წმინდა გიორგის ხელები გაეშალა და მახვილი ჰქონდა მომარჯვებული. მხოლოდ რამდენიმე მხედარმა მოასწრო გაქცევა და წმინდანის მახვილით მოსრას.


ათონის წმინა მთაზე, ქსენოფონტეს მონასტერში დაბრძანებულია წმინდა გიორგის სასწაულომოქმედი ხატი: როგორც ვიცით, ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობის ერესის წარმოშობის პერიოდში, წმინდა ხატებს წვადნენ და ანადგურებდნენ. ხატმებრძოლებმა წმინ-

და გიორგის ერთ-ერთი ხატიც, რომელსაც ცეცხლის ალმა ვერაფერი დააკლო, ცეცხლში ჩააგდეს. ერთმა ხატმებრძოლმა მახვილი აიღო და ხატზე გამოსახულ წმინდანს ნიკაპში ჩასცა. ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული უსჯულოები სიწმინდეს განემორჩნენ. ხატი ერთმა ღვთისმოსავმა ქრისტიანმა უჩუმრად აიღო, ზღვის ნაპირზე მიიტანა, ილოცა და ხატი წყალში ჩაუშვა. რამდენიმე წნის შემდეგ წმინდა გიორგის ხატი ათონის მთაზე, მონასტერში მოღვაწე ბერებმა წმინდა დიდმოწამე დემეტრე თესალონიკელის სახელობის მცირე მონასტრის მახლობლად იპოვეს და თავიანთ მონასტერში დიდი პატივით დააბრძანეს. შემდგომში, მცირე ტაძრის გვერდით წმინდა გიორგის სახელობის დიდი ტაძარი აიგო და მონასტერსაც წმინდა გიორგის სახანე ეწოდა. სასწაულომოქმედი ხატი, რომელზეც დიდმოწამე მთელი ტანითაა გამოსახული, ახალაგებულ ტაძარში გადააბრძანეს. წმინდანს ნიკაპზე ჭრილობა და შემხმარი სისხლი დღემდე ატყვია.

ზოგრაფის წმინდა გიორგის ხატი

იმპერატორ ლევ ბრძენის დროს, 919 წელს, სამმა ძმამ — მოსემ, აარონმა და ბასილმა განიზრახეს, ბერმონაზვნურ ცხოვრებას შესდგომოდნენ. ძმები ათონის მთაზე დამკვიდრდნენ. მათი განმარტოებით მოღვაწეობის სამკვიდრო დღევანდელი ზოგრაფის მონასტრის ტერიტორიის მიდამოები იყო. ძმებმა ამ ტერიტორიაზე მცირე ეკლესია ააშენეს, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, ვის სახელზე ეკურთხებინათ და ვისი ხატი დაეწერათ საგანგებოდ გამზადებულ დაფაზე. თითოეულ მათგანს სურდა, საყვარელი წმინდანისთვის მიეძღვნა იგი. ბოლოს გადაწყვიტეს, უფლისთვის ეთხოვათ და მიენდოთ, განეცხადებინა თავისი ყოვლადწმინდა ნება და თავ-თავიანთ სენაკებში განმარტოვდნენ.

ღამით, როდესაც ძმები სენაკებში ლოცულობდნენ, ახალაგებული ტაძარი და მთელი მიდამო უჩვეულო ბრწყინვალეების ნათელმა მოიცვა. ძმებმა მთელი



ღამე ლოცვაში გაატარეს, დილით კი ტაძარში შესულებმა იხილეს, რომ სუფთა დაფაზე წმინდა გიორგის ხატი გამოსახულიყო. უფალმა ასეთი საკვირველი სახით იწება თავისი წმინდა ნების გაცხადება. ტაძარი წმინდა გიორგის სახელზე აკურთხეს. მონასტერს კი ხატის მიხედვით „ზოგრაფის“ (ფერწერის) მონასტერი ეწოდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ათონის მთაზე ეს სასწაული აღესრულა, პალესტინაში, წმინდა გიორგის სამშობლოს, ქალაქ ლიდის მახლობლად მდებარე ფანუელის მონასტერში, წმინდა გიორგის ხატი მონასტრის ბერების თვალწინ მოსცილდა დაფას და გაუჩინარდა. შემოფოთებულმა ბერებმა ღვთის წინაშე მუხლი მოიყარეს და შესთხოვედნენ, ეუწყებინა, მათი მფარველის საკვირველმოქმედი ხატი სად გაუჩინარდა. უფალმა ბერების გულწრფელი ლოცვა შეისმინა, მონასტრის ილუმენს წმინდა გიორგი გამოეცხადა და აუწყა: „ჩემზე ნუ წუხხართ, ვიპოვე ტაძარი ღვთისმშობლის წილხვედრ ათონზე. თუ გნებავთ, თქვენც მიაშურეთ ათონის მთას; რამე თუ ღვთის რისხვა მზად არის თავს დაატყდეს გარყვნილ პალესტინას“. მართლაც, ვიდრე იმ მხარეს ბარბაროსების სახით ღვთის რისხვა დაატყდებოდა, ბერებმა მონასტერი დატოვეს და ათონის მთას მიაშურეს, სადაც წმინდა გიორგის მათგან განშორებული ხატი მართლაც იხილეს. სირიიდან მოსული მამები ზოგრაფის მონასტერში დამკვიდრდნენ. წმინდა გიორგის ხატი კი საკვირველებათა წყაროდ იქცა, მას ზოგრაფის წმინდა გიორგის ხატი ეწოდა.

იმ აურაცხელ სასწაულოთაგან, რომელნიც სასწაულომოქმედი ხატის მიერ აღესრულა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი სასწაული: ვოდინის ეპისკოპოსმა, როდესაც წმინდა გიორგის ზოგრაფში დაბრძანებული ხატის შესახებ შეიტყო, არ ირწმუნა ამისა, მიიჩნია, რომ ეს ამბავი ბერებმა მოიგონეს, რათა მონასტერს შემომირულობა გაზრდოდა. გადაწყვიტა, ათონის მთაზე თვითონ წასულიყო და ყველაფერი საკუთარი თვალით ეხილა.

ზოგრაფის მონასტრის ბერები ეპისკოპოსს დიდი პატივით მიეგებდნენ და ტაძარში შეუძღვნენ, რათა წმინდანის საკირველმოქმედი ხატისათვის თაყვანი ეცა. ეპისკოპოსი, იმის ნაცვლად, რომ წმინდანის ხატს თავმდაბლად მიახლებოდა, კადნიერად წარმოთქვა: „ეს არის განათქვენი საკვირველმოქმედი ხატი?“ და დიდმოწამის ლოყას საჩვენებელი თითი შეახო.

...წმინდანმა მკაცრად დასაჯა ეპისკოპოსი, მისი თითი ხატს შეეზარდა. მათი განშორება მხოლოდ მტანჯველი ოპერაციის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომლის დროსაც ეპისკოპოსს თითი მოაჭრეს. მისი მოჭრილი თითის წვერი ხატზე დღემდე იმყოფება.




სიგარა

ევროპელებმა სიგარა ქრისტიანობის წყალობით დააგემოვნეს. ინდოეთისკენ მიმავალი მოგზაური ამერიკაში შეჩერდა. მან და მისმა თანამგზავრებმა დაინახეს, როგორ ეწოდნენ ინდოელები მილივით დახვეულ ფოთლებს. ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა, როდრიგო დე ხერესმა სიგარა ესპანეთში ჩაიტანა და სახალხოდ გააბოლა. ადგილობრივმა მღვდელმა დაინახა, რომ მოგზაური დამწვარი არ იყო, მაგრამ პირიდან კვამლს უშვებდა და ევროპის პირველ მწველს ინკვიზიტორებთან უჩივლა. მათ მიიჩნიეს, რომ ხერესის სხეულს ეშმაკი დაეფულა. „მხოლოდ ეშმაკს შეუძლია, ადამიანს ნესტოებიდან ბოლი გამოაშვებინოს“ — დაასკვნეს ინკვიზიტორებმა და მწველი 10 წლით ციხეში ჩასვეს.



კი „კოიბა“ მიიჩნევა. 40 წლის იუბილესთვის კომპანიამ 4 ათასი სიგარა გამოუშვა და 40 ცალი 15 ათასი ევრო ღირდა. კუბელებს ანდაზაც კი აქვთ: „ის, ვინც „კოიბას“ ეწვეა, არასდროს მოკვდება კიბოსგან; ის, ვინც „კოიბას“ არ ეწვეა, შურით მოკვდება“.

მიუხედავად იმისა, რომ თამბაქო რამდენიმე ქვეყანაში მოჰყავთ (ბრაზილია, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები, აფრიკა, ფილიპინები), ყველაზე პოპულარულად მაინც კუბური სიგარა მიიჩნევა. ამბობენ, რომ საუკეთესო თამბაქო კუბაში, პინარ დელ რიოს პროვინციაში იზრდება. თამბაქოს ფოთლებს ხელით კრეფენ და თითქმის 2 თვე აშრობენ. ელიტური სახეობის სიგარებს ხელით ახვევენ. მას, ვინც სიგარას ახვევს, ტორსედორი ჰქვია. ხელით დახვეულ სიგარაში შეიძლება თამბაქოს ხუთი სახეობა მოხვედეს, მანქანით დახვეულში — 20-მდე. სიგარას ფერით ასხვავენ. დღესდღეობით არსებობს ღია მწვანე ფერიდან დაწყებული, მუქი ყავისფრით დამთავრებული.



სიგარის მწველს რამდენიმე ატრიბუტი სჭირდება. სანთებლისა და საფერფლის გარდა — სპეციალური მაკრატელი, რომელსაც „გილოტინასა“ ეძახიან და ჩასადები. ეს შეიძლება იყო რკინის მილი, ტყავის ტოპრაკი ან ხის (ძვირფასი სიგარების გადასატანად მხოლოდ ესპანური ფიჭვის ყუთებს იყენებენ) კეისი. ■

მოგვიანებით კი, თამბაქო მოდურ გასართობად იქცა. იგი საკმაოდ ძვირი ღირდა და მხოლოდ დიდგვაროვნები ეწოდნენ.

ინდიელების აზრით, ღმერთმა სიგარა სიამოვნებისთვის შექმნა. თამბაქოს — „კონობას“, ხოლო სიგარას „ტობაგოს“ ეძახდნენ. ინდიელების სიგარა საკმაოდ სქელი იყო. მას მაგიურ თვისებებსაც მიაწერდნენ. სხვათა შორის, ევროპელებსაც ეგონათ, რომ სიგარას სამკურნალო თვისებები ჰქონდა, ტკივილს აყუჩებდა და ძალას მატებდა.

სიგარის პირველი ფაბრიკა კუბაში, 1541 წელს გაიხსნა. ორი წლის შემდეგ კი — ესპანეთის ქალაქ სევილიაში. სიგარის რამდენიმე სახეობა არსებობს. ყველაზე გავრცელებულია: „რობუსტო“, „მონტეკრისტო“ „კორონა“, „ჩერჩილი“ (სხვათა შორის, თავად ჩერჩილი სიგარა „რომეო და ჯულიეტას“ ეწო-

და. როგორც ამბობენ, ინგლისის პრემიერ-მინისტრს ამ მარკის ათასზე მეტი სიგარა ჰქონია შენახული) და ა.შ. ყველაზე ძვირად ღირებულად

ფაქტები, რომელსაც ახსნა არა აქვს

✦ 1852 წელს, მასაჩუსეტის შტატში, ვინმე ჰოლმა ეზოში მიწის ამოთხრის დროს, 4,5 მეტრის სიღრმეში ვერცხლის სასმისი იპოვა. იგი დაახლოებით 600 მლნ წლისაა.

✦ 1844 წელს, მილნფილდში (შოტლანდია), ქვის სამტეხლოში აღმოაჩინეს ქვა, რომელშიც ლურსმანი იყო გაქვავებული. ლურსმანი 360-408 მლნ წლებით თარიღდება.

✦ სამხრეთ მისურის ერთ-ერთ მუზეუმში რკინის ტოლჩა ინახება. იგი 1912 წელს, უილბერტონის

შახტაში (ოკლაჰომას შტატი) აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, რკინის ტოლჩა 312 მლნ წლისაა.

✦ 1866 წელს, კალიფორნიაში და 1860 წელს, იტალიაში ადამიანის თავის ქალები აღმოაჩინეს, რომელთა ასაკიც 10 მლნ წელია.

✦ XX საუკუნის 70-იან წლებში მექსიკის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა ქვის იარაღები და ინსტრუმენტები აღმოაჩინეს. ისინი 300 ათასი წლის წინ უნდა ჩაეფლათ მიწაში. მეცნიერების ვარაუდით კი



იაპონური დაკრძალვა

იაპონიაში მიცვალებულებს ბუდისტური წესით კრძალავენ, მაგრამ არც სინტიზმის მკაცრი კანონები ავიწყდებათ. მიცვალებული გარდაცვალებიდან მეორე დღეს უნდა დაკრძალონ, მაგრამ თუ იგი წლის ბოლო ან პირველ დღეს გარდაიცვალა, დაკრძალვას გადაიტანენ. ბუდისტურ კალენდარში 6 არასასურველი დღეა: სენსიო, ტომობიკი, სენბუ, ბუცუმე-ცუ, იაიანი და სიაკო. თუ ოჯახს სურს უბედურება აიცილოს, დაკრძალვა არც ამ დღეებში მოხდება. განბანის შემდეგ მიცვალებულს თეთრ კიმონოს აცემენ (მამაკაცს წვერს ჰპარსავენ, მანდილოსან მსუბუქ მაკიაჟს უკეთებენ). თავზეც თეთრ, სამკუთხედ ნაჭერს ახვევენ. ხელში კრიალოსანს ჩაუდებენ, ქისაში — 6 მონეტას. სახესა და ტანზე ქსოვილს აფარებენ. თავი ჩრდილოეთისკენ უნდა იყოს მიმართული, სახე — დასავლეთისკენ. ასე იწვა გარდაბრუნებული შირმა უნდა დაიდგას. საერთოდ, როცა ოჯახში მიცვალებულია, ყველაფერს უკუღმა, მარცხნიდან მარჯვნივ აკეთებენ. მიცვალებულს თავთან თეთრნაჭერგადაფარებულ, პატარა მაგიდას უდგამენ. მას სანთლებით, ყვავილებით აფორმებენ. მუდამ უნდა ენთოს სურნელოვანი ჩხირი, საკმეველი, სანთელი, ბრინჯის ფიალა, რომელშიც ჩხირები — ჰასი ვერტიკალურად უნდა დამაგრდეს (სხვა დროს ბრინჯის ფიალაში ჰასის ვერტიკალურად ჩარჭობა დიდ უბედურებას ნიშნავს). გარდა ამისა, მაგიდაზე ბრინჯის ფქვილისგან დამზადებული ფუნთუშა უნდა იდოს. ახლობლების თხოვნით, ბუდისტი ბერი გარდაცვლილს ახალ სახელს არქმევს. მიაჩნიათ, რომ მიცვალებული ბუდას შვილია და

მის წინაშე ახალი სახელით უნდა წარდგეს. ახალ სახელს ხის დაფაზე თეთრი ცარციით წერენ (მოგვიანებით მას ლაქს უსვამენ და ფერფლთან ერთად ინახავენ).

დაკრძალვის წინააღმდეგ მიცვალებულს მთელ ღამეს უთენებენ. სამძიმარზე ოჯახის ახლობლები მოდიან. ცერემონია საღამოს 6 საათზე იწყება. ბუდისტი ბერი სარიტუალო ლოცვებს კითხულობს. ცერემონიის ბოლოს სამძიმარზე მოსულ ადამიანებს, მაღლიერების ნიშ-

აფარებენ. კრემაციის შემდეგ ფერფლს თეთრ ურნაში ათავსებენ და მიცვალებულის ოჯახში 49 დღე ტოვებენ. გარდაცვალებიდან მე-7, მე-14, 21-ე, 28-ე და 35-ე დღეს



მიცვალებულს პანაშვიდს უხდიან. ფერფლს და სამგლოვიარო დაფას ოთახის წმინდა ადგილზე დებენ. ერთი წლის შემდეგ ფერფლიან ურნას მიწას მიაბარებენ. სამგლოვიარო წლის გასვლის შემდეგ მიცვალებულის ოჯახი სამძიმარზე მისულ ყველა ადამიანს

საჩუქარს (მწვანე ჩაი, საპონი, შაქარი, პირსახოცი, ჩაის სერვიზი) უძღვნის.

მიცვალებულს ოჯახი ერთი წლის მანძილზე გლოვობს. მათ ეკრძალებათ ქორწილში წასვლა, ტაძარში ლოცვა (მხოლოდ შინ ლოცულობენ. ზოგიერთ ოჯახში ბუდისტური სალოცავი კუთხეცაა და სინტოურიც); არც საახალწლო მილოცვებს იღებენ და გზავნიან. მიცვალებულისთვის პანაშვიდს გარდაცვალებიდან პირველ, მე-2, მე-6, მე-12, მე-16, 21-ე, 26-ე, 32-ე და 49-ე წელს იხდიან.

ბუდის მიმდევარ იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ო-ბონის დღესასწაულზე (13-16 აგვისტო) მიცვალებულების სულები ოჯახებში ბრუნდებიან და ამ დღისთვის განსაკუთრებით ემზადებიან. ამზადებენ მიცვალებულის საყვარელ კერძებს, ხილს, ანთებენ სურნელოვან ჩხირებს, საკმეველს, სანთლებს. პირველ ო-ბონის დღესასწაულზე თეთრი ქალაღის ბრებსაც ანთებენ. იაპონელები პატივს მიაგებენ გარდაცვლილებს, რადგან მიაჩნიათ, რომ როგორც ისინი უპატირონებენ წინაპრებს, ისევე მოექცევიან მათ შთამომავლები.

ნად, უმასპინძლებიან.

დაკრძალვის დღეს ოჯახის წევრები (ქალებიც და კაცებიც) შავ კიმონოებს იცვამენ. ყველა აქსესუარი შავი ფერის უნდა იყოს. ქალებს სამკაულის ტარება (გარდა მარგალიტისა) ეკრძალებათ.

დაკრძალვის დღეს ახლობლები ფულს აგროვებენ. თეთრ ქალაღში გახვეულ თანხას მიცვალებულის მაგიდაზე ტოვებენ. თანხა განსაზღვრულია: მშობლებზე 100 ათას იენს (დაახლოებით 1.000 დოლარი) დებენ, დედამამშვილებზე 30-დან 50 ათასამდე, ახლობლებზე 5-დან 10-მდე, ხოლო მეზობლებზე 5 ათას იენს. დაკრძალვის დღეს კუბოში ყვავილებსა და მიცვალებულის საყვარელ ნივთებს ალაგებენ. კუბოს თავსახურს აფარებენ და პირველ ლურსმანს მიცვალებულის ყველაზე ახლობელი აჭედებს. ეს რიტუალი ყველა ახლობელმა უნდა გაიაროს. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ვინც ლურსმანს ორი დარტყმით ჩააჭედებს, ბედნიერება ელის.

დაკრძალვის დღეს კუბოდან რკინისა და მინის ნივთებს იღებენ, რადგან გვამს კრემაცია უნდა ჩაუტარდეს. მდიდარი იაპონელები კუბოს ოქროთი მოქარგულ ნაჭერს

ადამიანები ამერიკაში 30 ათასი წლის წინ დასახლდნენ.

✦ XIX საუკუნეში ლიმპოპოში (აფრიკა) მოგზაურებმა ქვის 15-მეტრიანი ციხე და რკინის ლუმლის ფრაგმენტები აღმოაჩინეს.

✦ ინდოჩინეთის ჯუნგლებში ფრანგმა მკვლევარმა მუომ მკვდარი ქალაქი აღმოაჩინა. იქ განთავსებული სასახლეები და ტაძრები გიგანტ ადამიანებს უნდა აეგოთ.

✦ აფრიკის კლდეებზე არსებულ ნახატებზე აღმოჩენილია კოსმონავტები. ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე ინდიელების მიერ რაკეტაში მყოფი კოსმონავტია დახატული. ■



როგორ მოვუაროთ თვალების ბარშემო კანს

ყველა ქალს უნდა, რომ ლამაზი თვალები და მეტყველი მზერა ჰქონდეს. თვალების სწორი მოვლის შედეგად შეგიძლიათ გაიუმჯობესოთ არა მარტო გარეგნული სახე, არამედ მხედველობაც.

თვალების ირგვლივ კანი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ამიტომ მისი მოსავლელი საშუალებები უნდა იყოს სპეციალურად შერჩეული და მისი წასმისას გარკვეული წესებით უნდა იხელმძღვანელოთ.

წასმისას გაიკეთეთ მინიმალური თვალების ირგვლივ. ზედა ქუთუთოზე კრემის წასმა დაიწყეთ ცხვირის მხრიდან, ხოლო ქვედა ქუთუთოზე, პირიქით — გარეთა მხრიდან ცხვირისაკენ. კრემების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური ხდება ზაფხულში. ზამთრის დადგომასთან ერთად დამატენიანებელი კრემების გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან ტენი სიცივეში ყინულად გარდაიქმნება. ამიტომ წელიწადის ამ დროს არა წყლის, არამედ ცხიმის შემცველი კრემები უნდა გამოიყენოთ.

დილით, სახლიდან გასვლამდე ნახევარი საათით ადრე გაიწმინდეთ სახე, შემდეგ კი მსუბუქად წაისვით ცხიმოვანი კრემის თხელი ფენა, რათა კანმა მთლიანად შეინოვოს. ღამით სუფთა სახეზე ასევე ცხიმოვანი კრემი წაისვით, ძილის წინ კი ზედმეტი ფენა ხელსახოცით მოიცილეთ.

დამატენიანებელი კოსმეტიკის ნაცვლად, შეგიძლიათ ხალხური, ბუნებრივი საშუალებებიც გამოიყენოთ. კრემის



● არაჩვეულებრივია კარტოფილის ნილაბიც. აიღეთ გარეცხილი, გაუთლელი უმი კარტოფილი, გახეხეთ წვრილ სახეხზე და 2 ჩ/კ პიურეს შეურიეთ 2 ჩ/კ ფქვილი და 1 ს/კ რძე. ამის შემდეგ დაიდეთ ნილაბი ქუთუთოებზე და გაჩერეთ 15-20 წუთით.

არანაკლები ყურადღებით უნდა მოეკიდოთ წამწამებსაც. ყველასთვის ცნობილია, რომ გრძელი და აპრენილი წამწამები თვალს განსაკუთრებულ მომხიზვლელობას მატებს, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოუაროს მათ. თუ წამწამების ასაპრეს ტუშს ყოველდღე იყენებთ, მალე დაგჩირდებათ კოსმეტიკოლოგის კონსულტაცია — თუ რა მოუხერხოთ წამწამების ორად გაყოფილ ბოლოებს. უხარისხო საღებავმა შესაძლოა, ქუთუთოების წვა და ქავილიც გამოიწვიოს, რასაც საბოლოოდ წამწამების ცვენა მოჰყვება. ამიტომ, ქუთუთოს სულ უმნიშვნელო შენითლების შემთხვევაშიც კი აუცილებელია წამწამების მოვლაზე იზრუნოთ.

დილით გაკეთებული მაკიაჟი, ძილის წინ აუცილებლად მოიცილეთ კოსმეტიკური რძის საშუალებით.

წამწამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარული გამოყენებით დაიწყეთ. ჯერ კარგად ამოიბანეთ თვალები თბილი წყლით, შემდეგ კი წამწამებზე ზეითუნის ზეთი წაისვით — წამწამები გასწორდება, გაშუქდება და ბზინვარება მიემატება. თუ ძილის შემდეგ თვალის კუთხეებსა და წამწამებზე ლორწოვანი გამონადენი გიგროვდებათ, თვალები გვირის თბილი ნაყენით (1 ჩ/კ გვირილა, 1 ჩ/ჭ წყალში) უნდა ამოიბანოთ. შეგიძლიათ საამისოდ ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ.

წამწამების სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტურია აბუსალათინის ზეთიც. სპეციალური (შესაძლებელია ყურის სანწმენდი) ჩხირი დაასველეთ ზეთში და თხელ ფენად წაისვით წამწამებზე. ჩამოიბანა საჭირო არ არის. ეს პროცედურა სასურველია, საღამოობით, მაკიაჟის მოცილების შემდეგ ჩაიტაროთ. ■

დამზადება შინაურ პირობებშიც არ არის რთული. თუ თქვენ გაქვთ მგრძობიარე, გალიზიანებისაკენ მიდრეკილი კანი, მაშინ ყურადღება გმართებთ — დოზები მინიმალური უნდა იყოს. აირჩიეთ თქვენი კანის ტიპთან ყველაზე მეტად მიახლოებული ნელსაცხებლის რეცეპტები. გასვლად, რომ სახლის პირობებში კრემი მცირე რაოდენობით უნდა მოამზადოთ, რადგან ის დიდხანს ვერ ძლებს. მაცივარშიც კი შვიდ დღეზე მეტხანს არ გააჩეროთ — ის ისეთი ეფექტიანი აღარ იქნება.

● თვალების ქვეშ ჩამუქებული კანისათვის კარგია სალბის ნაყენის კომპრესი. 1 ჩ/კ სალბი ცოტა ხანს ადუღეთ 100 მლ წყალთან ერთად და 15 წუთით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში. ერთი ნაწილი გააცივებთ მაცივარში, მეორე კი ცოტათი გააგრილეთ. ამ მასაში დასველებული ტამპონი დაიდეთ დახუჭულ თვალებზე 10 წუთით. შემდეგ გამოიღეთ მაცივრიდან შენახული მასა და სალბის ცივი კომპრესი გაიკეთეთ, ანუ ცვალებით — ჯერ დაიდეთ თბილი, შემდეგ კი ცივი კომპრესი.

● ეფექტიანია ასევე ოხრახუშის ნილაბი. ოხრახუში წვრილად დაჭრით და დაიდეთ თვალების ირგვლივ. თვალებზე დაიდეთ ბამბის ტამპონები და დაიტოვეთ ნილაბი 15-20 წუთით.



ფერი და პაპუზის ხასიათი...

ნებისმიერ ორსულს აინტერესებს, თუ როგორი ხასიათი ექნება მის მომავალ შვილს. ამის გაგება კი არც ისე ძნელია, საჭიროა მხოლოდ, აიღოთ ფერადი ფანქრები და რაიმე დახატოთ. იმის მიხედვით, თუ რა ფერები დომინირებს თქვენს ნახატზე, არა მარტო თქვენი შვილის ხასიათს გაიგებთ, არამედ იმასაც შეიტყობთ, თუ როგორ მიმდინარეობს თქვენი ორსულობა.



ყვითელი

ერთი მხრივ, სულიერი სიმშვიდის მომტანი, მეორე მხრივ კი საშიშროების მანიშნებელი ფერია. თუ თქვენს ნახატში ყვითელი ჭარბობს, ორსულობის პერიოდში, ნებისმიერი პრობლემის მიუხედავად, თავს თავისუფლად გრძნობთ.

თქვენი პატარა იქნება გამომგონებელი, მეოცნებე და ხუმარა. ყველაფერზე თამაში სიმარტოვეში, აბსტრაქციული სათამაშოებით: ქვებით, ტოტებით და ა.შ. ის ამ სათამაშოებს თავის წარმოსახვაში „გააცოცხლებს“. როცა წამოიზრდება, შეეცდება იცხოვროს ხვალისდელი დღით. იქნება ოპტიმისტი. ზოგჯერ შეიძლება უპასუხისმგებლო და არაპრაქტიკულიც იყოს, უჭირდეს სპონტანური გადამწყვეტილებების მიღება.

წითელი

ეს არის ფერი — სისხლის, ჯანმრთელობის, ენერგიულობის და სიძლიერის. წითელი ფერის სიჭარბე იმაზე მეტყველებს, რომ უარს ამბობთ ყოველდღიური ცხოვრების წესზე; არაფრის გეშინიათ და არასერიოზულად ევიდებით ექიმის რჩევებს.

როგორც წესი, „წითელი“ ბავშვები ასევე ენერგიულები და მოუსვენრები არიან. ზრდასრულ ასაკში მიზანდასახულები ხდებიან. მათი ძირითადი საქმიანობა შემოსავლებთან იქნება დაკავშირებული.

ღია ფერები

(სისფერი, ვარდისფერი)

ტიპური „ბავშურობა“ ფერებია. თუ თქვენს ნახატში ეს ფერები ჭარბობს, ე.ი. ბავშურობა დღემდე შეგინარჩუნებთ.

ცისფერი — თავისუფლების, და-

მოუკიდებლობის მანიშნებელია, ვარდისფერი — სიმშვიდისა და ქალურობის სიმბოლო. თქვენი მომავალი პატარა შესაძლოა სუსტი, უმწეო იყოს და გამუდმებით გარშემო მყოფებში ეძებდეს საყრდენს.

ლურჯი

წითლის საპირისპიროა. თქვენი პატარა განონასწორებული, დინჯი, თავდაჯერებული, კარგი მოსაუბრე, ასევე ძალიან მეგობრული იქნება.

იასამნისფერი

ღამის ფერია. თქვენი ორსულობა წარიმართება უცნაურად, უჩვეულოდ...

დაეყრდნობით საკუთარ შეგრძნებებს და არა — ექიმის რჩევებს.

„იასამნისფერ“ ბავშვებს ღრმა შინაგანი სამყარო აქვთ. თქვენი პატარა იქნება მგრძობიარე და ყოველთვის ეცდება სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენას.

მწვანე

ეს ნიშნავს, რომ თქვენ მკაცრად ასრულებთ ექიმის რჩევებს და კითხულობთ უამრავ ლიტერატურას ორსულობასთან დაკავშირებით.

„მწვანე“ ბავშვები თავს ხშირად მიტოვებულად გრძნობენ და სულ თქვენი მზრუნველობის ძიებაში იქნებიან. ექნებათ შიში ცვლილებებისა და სიხსლეების მიმართ.

შავი

ტკივილის ფერია, აქვს უკუჩვენება. თქვენს ნახატში შავი ფერის სიჭარბე თქვენს შიშსა და სტრესულ მდგომარეობაზე მიანიშნებს, პატარას კი ჭირვეული და რთული ხასიათი ექნება.

რუხი

არასასურველი ფერია მომავალი დედებისთვის. ეს არის სიღარიბისა და უიმედობის მაჩვენებელი.

ხშირად „ნაცრისფერი“ ბავშვები ძალზე ჩუმები, სუსტები და მარტოსულები არიან.

ლავაშის რეცეპტი

მასალად საჭიროა:

- 3 ცალი „სომხური“ ლავაში;
- 150 გ ყველი;
- 150-200 გ სტაფილო;
- 200 გ ლორი;
- ოხრახუში;
- კამა;
- მაიონეზი.



მოზადავის წესი:

აიღეთ ლავაში. წაუსვით მაიონეზი, მოაყარეთ გახეხილი ყველი, წვრილად დაჭრილი მწვანილი და დაადეთ ზემოდან მეორე ლავაში. მასზე წაუსვით მაიონეზი და მოაყარეთ გახეხილი სტაფილო. შემდეგ დაადეთ მესამე ლავაში და მასზეც წაუსვით მაიონეზი, ზემოდან კი ძალიან წვრილად დაჭრილი ლორი მოაწყვეთ. ყველაფერი დაახვიეთ და დაჭერით რულეტისებურად.



რუბრიკა მოამზადა **პაპ ბუნთაიშვილმა**

გულმარვა: მიზეზები და მკურნალობა

1. რა არის გულმარვა?

გულმარვა არის მხარვის შეგრძნება, რომელიც მკერდის ძვლის უკან და მუცლის ზედა ნაწილში აღმოცენდება. მას პირში მჟავა გემოს გაჩენა ახასიათებს, რაც ბუნებრივია, რადგან გულმარვის მიზეზს კუჭის წვენის (რომელიც მჟავა) საყლაპავ მილში მოხვედრა წარმოადგენს. კუჭსა და საყლაპავს ერთმანეთთან სფინქტერი აკავშირებს, რომელიც კუჭის შიგთავის (საკვებისა და კუჭის წვენის) საყლაპავ მილში უკუსვლას აფერხებს, მაგრამ თუ ეს უკუდინება მაინც ხდება, მაშინ ექიმები კუჭ-საყლაპავის რეფლუქსზე საუბრობენ. ეს უკანასკნელი და შესაბამისად, მისი გამოვლინება — გულმარვა — მრავალი დაავადებისთვისაა დამახასიათებელი.

2. რა არის გულმარვის მიზეზი?

გულმარვის მიზეზი შეიძლება იყოს კუჭ-ნაწლავთა სისტემის სხვადასხვა დაავადება: ა) დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქარი.

გულმკერდისა და მუცლის ღრუებს ერთმანეთისგან დიაფრაგმა ყოფს. საყლაპავი მილი გულმკერდის ღრუში მდებარეობს და მუცლის ღრუში სწორედ დიაფრაგმაში არსებული ხვრელის მეშვეობით გადადის. ნორმალური ხვრელი ვიწროა. მისი გაფართოებისას, რაც სხვადასხვა ფაქტორის ბრალია, საყლაპავის ის მონაკვეთი, რომელიც მუცლის ღრუში უნდა ჩადიოდეს ან კუჭის ნაწილი (შეგახსენებთ, რომ კუჭი მუცლის ღრუში მდებარეობს) გულმკერდის ღრუსკენ გადაინაცვლებს. სწორედ ეს ნიშნავს დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქარს. თიაქარის და შესაბამისად — გულმარვის მიზეზი შეიძლება იყოს დიაფრაგმაზე მუდმივი ზეწოლა, რასაც ძლიერი და ხანგრძლივი ხველის (მწველებში), ფიზიკური დატვირთვის (მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესრულება) და სხვა ფაქტორების გამო აქვს ადგილი.

ბ) რეფლუქს-ეზოფაგითი თან ახლავს თიაქარს, რადგან ამ დროს გადაუმუშავებელი საკვები საყლაპავ მილში იოლად ხვდება (ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ). გარდა ამისა, საკვები საყლაპავში უხეშად მოძრაობს და ყოველივე ეს მხარვის შეგრძნებასა და ტკივილს იწვევს.

გ) კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის გაჩენა კუჭის წვენის მჟავიანობის მომატებას უკავშირდება, რაც საყლაპავზეც მავნე გავლენას ახდენს. გარდა ამისა, წყლული კუჭის კედელს აზიანებს; მთელი საქმლის მომწივებელი სისტემის მუშაობას



ანელებს; შედეგად — საჭმელი დიდხანს ყოვნდება კუჭში, რაც გულმარვას იწვევს. გასოვდეთ, ჭამისთანავე გულმარვისა და ბოცინის განვითარება დაავადების მიმანიშნებელია და საჭიროებს მკურნალობას!

3. როგორია გულმარვის ნიშნები?

გულმარვის ნიშნებია მხარვისა და ტკივილის შეგრძნება მკერდის ძვლის უკან, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსაც (მაგალითად, სტენოკარდია) ანალოგიური სიმპტომი ახასიათებს. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ გულმარვა მეტწილად ჭამის შემდეგ, პორიზონტალურ მდგომარეობაში, დახრისას, ცხიმიანი და შემწვარი საკვების მიღებისას და გადაძლომის შემთხვევაში აღმოცენდება.

გულმარვის ნიშნები ანტაციდების (პრეპარატებია, რომლებიც მარილმჟავას ნეიტრალიზებას იწვევს) მიღებისთანავე იხსნება. გულმარვის გულის შეტევისაგან განსასხვავებლად ავადმყოფს ნიტროგლიცერინი ეძლევა, რომელიც გულის შეტევას ხსნის, გულმარვას — არა.

ალსანიშნავია, რომ გულმარვა ზოგჯერ ჯანმრთელ ადამიანსაც აწუხებს, მაგალითად მჟავე ხილის, ცხარე საკვების, ალკოჰოლისა და შავი პურის მიღების შემდეგ.

თუ გულმარვას ხმის ჩახლქა, ყლაპვის მხრივ პრობლემები და ნონაში კლება ახლავს, ეს გულმარვის გამომწვევი დაავადების სიმძიმეზე მიუთითებს. მუდმივი ხასიათის გულმარვა კი კუჭის სერიოზული დაავადების მიმანიშნებელია.

აუცილებლად უნდა შევეჩოთ გულმარვას ორსულებში, რაც საკმაოდ ხშირი მოვლენაა. იგი კუჭისა და საყლაპავის ლორწოვანი გარსის ანთების გამო აღმოცენდება, ეს ანთება კი შეიძლება ორსულობის

ადრულ ეტაპზე ტოქსიკოზმა, ლებინებამ ან ორსულობის გვიან ეტაპზე კუჭზე საშვილოსნოს ზეწოლამ გამოიწვიოს. ორსულობის დროს გულმარვა ყოველდღიურად, საკვების მიღების შემდეგ ვითარდება.

4. როგორი გამოკვლევები ტარდება გულმარვის დროს?

გულმარვის დროს აუცილებელია კუჭ-ნაწლავთა სისტემის გამოკვლევა შემდეგი დაავადებების გამოსარიცხავად: თიაქარი, რეფლუქს-ეზოფაგითი, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება. ამისათვის კვლევის ენდოსკოპიურ მეთოდს, ექოსკოპიურ კვლევას, რენტგენოლოგიურ კვლევასა და კუჭის წვენის ანალიზს მიმართავენ.

5. როგორ დავამარცხოთ გულმარვა?

გულმარვის ნაშლებით მკურნალობა

ძლიერი გულმარვის დროს პირველ რიგში დახმარება საყლაპავ მილს უნდა გავუწიოთ. გულმარვის საწინააღმდეგო ნაშლები მხარვის შეგრძნებასა და ტკივილს ხსნის. მათ მიეკუთვნებიან ამომფენი საშუალებები, რომლებიც საყლაპავს სიმჟავისგან იცავენ; ანტაციდები კი სიმჟავეს ანეიტრალაზებენ და კუჭის წვენის მჟავიანობას აქვეითებენ.

გულმარვის საწინააღმდეგო პოპულარული ნაშლებია: მალაოქსი, ფოსფალუგელი, ალმაგელი და სხვა.

გულმარვის საწინააღმდეგო ტაბლეტებს ასევე კუჭის წვენის გამომუშავების ინტენსივობის შემცირება შეუძლიათ. მათ მიეკუთვნება რანიტიდინი, მაგრამ მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით გამოიყენება, რადგან არასწორი მოხმარების შემთხვევაში პირიქით მოქმედებს და კუჭის წვენის გამომუშავების ინტენსივობის მატებას იწვევს.

გულმარვა და სოდა

ადრე გულმარვის დროს სოდას იყენებდნენ, მაგრამ სოდის გამოყენება უკიდურეს შემთხვევაშია დასაშვები, რადგან შეიძლება ორგანიზმში წყალ-მარილოვანი ბალანსი დაირღვეს.

ორსულობის დროს გულმარვის თვითნებურად, ნაშლებით მკურნალობა იკრძალება. იშვიათად შეიძლება ანტაციდების (გევისკონი) მიღება, ასევე დასაშვებია ტუტე მინერალური წყალი (გაზგასული), მაგრამ გახსოვდეთ, რომ მშვიდრე მინერალური წყლის დაღვევა უკუშედეგს იძლევა.

შინაური საშუალებებით მკურნალობა

გულმარვის დროს ადამიანი ხშირად (დღეში 5-6-ჯერ) და მცირე ულუფებით უნდა იკვებებოდეს (გადაძლომა დაუშვებელია);

კვების რაციონიდან უნდა გამოირიცხოს შემწვარი-მოსრაკული, ბულიონი და სუნელები; ასევე ის საკვები, რომლებიც მუცლის შეტევას პარკოსნები (ლობიო, ცერცვი), ისპანახი, კომბოსტო, ჭარხალი, შავი პური, რძე და სხვა იწვევს;



ადამიანს მალალ სასთუმალზე უნდა ეძინოს; ჭამის შემდეგ დანოლა არ შეიძლება; ვახშობა რეკომენდებულია დაძინებამდე 3 საათით ადრე; გულმმარვის წინააღმდეგ მუშაობს ჯანმრთელი ცხოვრების წესი. აუცილებელია ნიკოტინსა და ალკოჰოლზე უარის თქმა.

6. როგორ აქვს უნდა მივხაროთ გულმმარვის დროს?

გულმმარვის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას გასტროენტეროლოგი ახდენს.

ღიათის დროს არასრულწლოვანი ღიათის ძილი სხივის წვას ხელს უშლის

თურმე ძილის დეფიციტი ნებისმიერი დღეის ეფექტურობას ამცირებს.

თუ დღეებზე მყოფ ადამიანს მთელი ღამის განმავლობაში სძინავს, იგი წონაში იმდენივეს იკლებს, რამდენსაც ძილის ხანგრძლივობის შეზღუდვის შემთხვევაში, მაგრამ თუ დღეებზე მყოფ ადამიანს ღამე სრულფასოვნად სძინავს, მაშინ მისი წონის დანაკარგის ნახევარს ცხიმოვანი ქსოვილი შეადგენს; ძილის შემცირების შემთხვევაში კი ცხიმი დაკლებული წონის მხოლოდ მეოთხედია.

გამოუძინებელ ადამიანებს შიმშილის გრძნობა გამძაფრებული აქვთ. დღეებზე ყოფნისას ადამიანის ორგანიზმში ჭარბად გამოუმუშავდება ჰორმონი გრელინი, რომელიც იწვევს შიმშილს (მას შიმშილის ჰორმონსაც უწოდებენ) და ენერჯის ხარჯვას ამცირებს. შედეგად, ძილის დეფიციტი დღეის ეფექტურობას 55%-ით ამცირებს. ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ჩაატარეს. მასში 35-40 წლის ასაკის, ჭარბწონიანი და ჯანმრთელი, 10 ადამიანი მონაწილეობდა. მონაწილეებს დღეის დაცვა სთხოვეს (საკვების კალორიულობა ჩვეულთან შედარებით 10%-ით შემცირდათ), ფიზიკური დატვირთვა კი აუკრძალათ.

ყოველ მონაწილეს პირველი 14 დღის განმავლობაში ძილის ლაბორატორიაში გამოკვლევა უტარდებოდა. ამასთან, ღამის ძილისთვის მათ თავიდან 8,5 საათი, შემდეგ (შემდეგი 2 კვირა) 5,5 საათი გამოეყოთ. სიფხიზლეში ისინი სახლის სამუშაოებს ასრულებდნენ ან საოფისე სამუშაოების იმიტირება ხდებოდა.

ექსპერიმენტის პირველ ფაზაში კვლევის მონაწილეებს საშუალოდ 7 სთ და 25 წთ, მეორე ფაზაში 5 სთ და 14 წთ ეძინათ. ისინი ყოველდღიურად 1450 კვალ საკვებს იღებდნენ.

ექსპერიმენტის თითოეულ, 2-კვირიან ფაზაში, მათ საშუალოდ 3-3 კილოგრამი დაიკლეს, მაგრამ პირველი 2 კვირის ბოლოს ცხიმის დანაკარგი 1,4 კგ-ს, ხოლო კუნთოვანი მასის — 1,5 კგ-ს შეადგენდა; მეორე 2 კვირის განმავლობაში კი მონაწილეებმა 0,5 კგ ცხიმი და 2,4 კგ კუნთოვანი მასა დაკარგეს.



როცა მონაწილეებს ღამეში 5-5 საათი ეძინათ, ჰორმონ გრელინის საშუალო დონე მკვეთრად გაიზარდა. სწორედ ეს იწვევს ენერჯის ხარჯვის შემცირებას, შიმშილის გრძნობას და ცხიმის დაგროვებას. კვლევაში მონაწილეების ღვიძლი, მარაგის შექმნის მიზნით დამატებით გლუკოზას გამოიმუშავებდა. კვლევამ აჩვენა, რომ მათთვის, ვინც დღეებზეა, ძილი მეტად მნიშვნელოვანია.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თქვენი ოჯახის მკურნალი




www.mkurnall.go

ადამიანი



ნოდარ ნათაძის გმირობა და რუსული აბენტურა ანუ რისტვის „ასუქებენ“ გუზაზ სანიკიძეს

„ჩემთვის საქართველოს ღალატია დაუშვებელი“



ნათუნა ბახტურიძე

— ბატონო ნოდარ, რატომ არ შეგიძლიათ იცხოვროთ ისე, როგორც თქვენ გინდათ?

— ამის საშუალებას მოვალეობა არ მაძლევს. მე დავიბადე ქვეყანაში, რომელიც „ბოროტების იმპერიას“ ჰყავდა დაპყრობილი და ჩემი მოვალეობა არა განცხრომით ცხოვრება, არამედ ბრძოლა იყო! გაცილებით მეტი საქმე მაქვს, ვიდრე დრო და ენერჯია. ჩემს ნებაზე ცხოვრების საშუალება რომ მქონდეს, ქალაქის გარეუბანში, ტყის პირას ვიცხოვრებდი, მეყოლებოდა ცხენი და ვიქნებოდი ბედნიერი.

— ბედნიერებისთვის ეს საკმარისი იქნებოდა?

— დიას!

— ალბათ, ნადირობაც გიყვართ.

— სიკვდილისთვის სამშობლოს მოღალატე ადამიანს უფრო გავიმეტებ, ვიდრე ცხოველს. ვხუმრობ, სიმართლე არ გეგონოთ, მართლა მკვლელები კი არა ვარ,

სპეციალობით ლინგვისტი ქართველოლოგია, მონოდებით — მებრძოლი, მეგობრების აზრით, პატიოსანი პოლიტიკოსი. თავად ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ უბრალოდ, თანამედროვე, განათლებული ადამიანია. იცის რუსული, გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენები. კითხულობს ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურას. უყვარს პოეზია, განსაკუთრებით — ილიას, ვაჟას, აკაკის, ბაირონის, შექსპირის შემოქმედება. ოჯახი სოცდარულით, 40 წლის ასაკში შექმნა და ჰყავს ორი ვაჟი. ამბობს, რომ ტიპურ ქართველი მუუღლე და მამაა. ირწმუნება, — სიცოცხლე მიყვარს, მაგრამ სიკვდილის არ მეშინიაო. მეგობრები ჰყავს, მაგრამ მარტობაც შეუძლია, ქეიფი და დროს ტარება სიამოვნებს, მაგრამ თუ საჭირო იქნება, არც ასკეტურ ცხოვრებაზე იტყვის უარს. სხვათა შორის, არც იმას უარყოფს, რომ საკუთარი ცხოვრების სტილი არ მოსწონს, — ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, სულ სხვანაირად ვიცხოვრებდიო, — მითხრა.

მაგრამ ქართველ კაცს სამშობლოს ღალატი ნამდვილად არ ეპატიება!

— სამშობლოს ღალატი სხვა ერის წარმომადგენელს ეპატიება?

— მე ქართველი ვარ და ჩემთვის საქართველოს ღალატია დაუშვებელი და უპატიებელი... აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს არაერთი, მათ შორის — მსოფლიოში არარსებული ტიპის გმირებიც ჰყავს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ რაც ბიძინა ჩოლოყაშვილმა ან შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა გააკეთეს, ამის ანალოგი სხვა ქვეყანაშიც გაუკეთებიათ, მაგრამ ის, რაც დემეტრე თავდადებულმა გააკეთა, უპრეცედენტოა, ასეთი გმირობა მსოფლიოს ისტორიაში არც ერთ მეფეს არ ჩაუდენია.

— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ საქართველოს თუ ჰყავს გმირები?

— აბა, აფხაზეთსა და ცხინვალში რუსებს ვინ ებრძოდა? უამრავი უსახელო გმირი გყავს... თუმცა, იმ ომში ნაძირალებიც იყვნენ, ვერც ამას გამოვრიცხავთ.

— თქვენი თანამებრძოლები ამბობენ, რომ აფხაზეთში გმირობა ჩაიდინეთ...

— არ გვინდა ამაზე ლაპარაკი...

— მაშინ, თქვენი გმირობის ამბავს მე მოვყვები და თუ ეს სიმართლეა, დამიდასტურეთ.

— არა მგონია, ამის აღნიშვნა ღირდეს და რა ვიცი...

— მე მინც მოვყვები: რამდენიმე მებრძოლეს ის ქუჩა უნდა გადაგვეკვეთათ, რომლის მიმართულებითაც აფხაზები ისროდნენ. თქვენ შორის ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე ის აღმოჩნდებოდა, ვინც წინ გაგიძღვებოდათ. ბიჭები მოატყუეთ, — ჯავშანფილეთი მაცვი-აო და წინ წახვედით...

— მერე რა მოხდა?! ჯავშანფილეთი სულაც არ არის იმის გარანტია, რომ ტყვია ვერაფერს დაგაკლებს. სხვათა შორის, ძალიან მოუხერხებელი რამაა.

— ომში რატომ წახვედით, თქვენ ხომ ამაში არც ასაკი გიწყობდათ ხელს და არც შესაბამისი გამოცდილება გქონდათ?

— ომი ჩემს ქვეყანაში იყო და ვალდებული გახლდით, ასე მოვექცეულიყავი. ეს კეთილი ნება კი არა, ვალდებულებაა! ვინც



აფხაზეთისა და ცხინვალის ომში არ იბრძოდა, იმას უფლება არა აქვს, პოლიტიკოსი ერქვას და ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობდეს.

— სხვა პოლიტიკოსებისგან ყოველთვის განსხვავდებით მოკრძალებული ცხოვრების წესითა და უბრალო ჩაცმის სტილით. რა იყო ამის მიზეზი?

— აბა, განცხრომაში როგორ ან როდის ვიცხოვრებდი? რაც თავი მახსოვს, ჩემი ქვეყანა ან დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, ან ტერიტორიების შენარჩუნებისთვის. პოდა, სულით მეძავი უნდა იყო, ასეთ დროს პირად კეთილდღეობაზე რომ ფიქრობდე.

— რომანტიკული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ...

— არავითარი რომანტიკული და წინასაუკუნეში ჩარჩენილი მე არა ვარ; ჩვეულებრივი, თანამედროვე ადამიანი გახლავართ.

— არც მივიქრია, რომ შესაძლოა, წინასაუკუნეში ყოფილიყავით ჩარჩენილი.

— მაინც არ ვარ რომანტიკული.

— კარგი. პირადი საუბრისას მითხარით, რომ ოჯახი სიყვარულით შექმენით. შეგიძლიათ გაიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც ქალბატონი ნანა გაიცანით?

— ჩვეულებრივად გავიცანი, განსაკუთრებული ამბავი არ ყოფილა.

— ის თქვენი თანამოაზრე იყო?

— შეიძლება, ცოლს აპატიო, რომ შენი თანამოაზრე არ იყოს? ისე, ის პროფესიონათ კომპერტის სპეციალისტი და პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებს.

— დისიდენტურ მოძრაობაში რა ასაკიდან ჩაერთეთ?

— არ მიყვარს სიტყვა „დისიდენტი“, რადგან არაფრისმთქმელია და „განსხვავებული აზრის მქონეს“, „არათანახმას“ ნიშნავს. საბჭოთა კავშირში რაც ხდებოდა და რაც არსებობდა, იმის „არათანახმა“ ყველა ნორმალური ადამიანი, ყოველ შემთხვევაში — ზნეობრივად სრულფასოვანი არარუსი მაინც იყო.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში როდის ჩაერთეთ?

— დაბადებისთანავე! ბოლოს და ბოლოს, მე ხომ მტრისგან დაჩაგრულ, დაპყრობილ ქვეყანაში დავიბადე.

— როდის იგრძენით, რომ დაჩაგრული იყავით?

— ძალიან ადრეულ ასაკში, როგორც კი ჩემი ეზოს ზღურბლს გადავაბიჯე.

— თქვენი მშობლების პოზიცია როგორი იყო?

— როგორც ყველა სალად მოაზროვნე და ღირსეული, თავმოყვარე ქართველის.

— იმის გამო, რომ სალად მოაზროვნე, თავმოყვარე ქართველი იყავით, საბჭოთა ხელისუფლებას თუ დაუსჯისართ?

— კი, 9 მარტის მიტინგის შემდეგ რამდენიმე დღით, დაპატიმრებული ვიყავი.

— 1956 წლის 9 მარტს გულისხმობთ?

— დიას. მაშინ ახალგაზრდები ქუჩაში იმიტომ გამოვედით, რომ ხრუშჩოვმა ქართველ ერს შეურაცხყოფა მიაცენა — სტალინის ლანძღვისას ქართველებიც შემოეღიანდა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ საკითხის მშვიდობიან მოგვარებას სისხლის ღვრა არჩია და მომიტინგეების წინააღმდეგ „ნითელი არმიის“ ნაწილები, სამხედრო ტექნიკა გამოიყვანა. რუსთაველის გამზირსა და მტკვრის სანაპიროზე ათობით ახალგაზრდა დახოცეს, ასობით დაჭრეს და დაასახინრეს; დაღუპულის ოჯახებს მიცვალებულების დამარხვის უფლება არ მისცეს. მე ეს დღე ჩემს ერთ-ერთ წიგნში აღვწერე, რომელსაც „სისხლიანი პარასკევი“ ვუწოდებ.

— ხშირად ამბობენ, რომ ეროვნული მოძრაობისთვის მოულოდნელი იყო გამარჯვება, რომელსაც 1990 წელს, არჩევნებში მიიღწიეს და საერთოდაც, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა სხვა გარეშე ფაქტორებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე „ეროვნულების“ ბრძოლითო. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით კი, საბჭოთა კავშირის დაშლა თავად რუსეთის ინტერესებში შედიოდა. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებებს?

— საბჭოთა კავშირის ანუ „ქვეყნების საპყრობილის“ დახგრევაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, მათ შორის — ქართულის წვლილიცაა და ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად შემიძლია, ამერიკელი ავტორების, ბემლოსისა და ტელბოდის ბესტსელერად ქცეული წიგნი — „უმაღლეს დონეებზე“ — მოვიყვანო. წიგნში მოთხრობილია 1988-1991 წლების ამერიკულ-საბჭოთა ურთიერთობების კულუარული ისტორია. იქ კარგად ჩანს, რომ გორბაჩოვი და მისი გუნდი, შევარდნაძის ჩათვლით, სიტყვა-შეუბრუნებლად თმობენ აღმოსავლეთ გერმანიას (გაერთიანებული გერმანიის ნაცოში შესვლაზე თანხმობას აცხადებენ), აღმოსავლეთ ევროპას და საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის რადიკალურ დაქვეითებას „პერესტროიკის“ ფორმით, მაგრამ კბილებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად. ბუში მის დაშლას ერთი მოტივით უფრთხის: იგი შიშობს, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელში (შესაძლოა ის რუსი ავანტიურისტი გენერლების ხელშიც კი მოხდეს) ბირთვული იარაღი უკონტროლო იქნება. სხვათა შორის, წიგნში არაფერი ნერია ფარულ მოტივზე ანუ ევროპაში შიშის სინდრომის შენარჩუნებაზე. ბესტსელერში აღნიშნულია ისიც, რომ ბუში ჯერ კიდევ 1991 წლის ზაფხულში ურჩევს

უკრაინის პარლამენტს, ხელი აიღოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე, რაც აღშფოთებას იწვევს როგორც უკრაინაში, ასევე აშშ-ის საზოგადოებაშიც. ბუშს არ სურს თავისი იმიჯის შელახვა და საზოგადოების აზრს ამიტომაც ითვალისწინებს. ის თავისთან იწვევს ამერიკის უკრაინულ დიასპორას და ჰპირდება, რომ თუ უკრაინელი ხალხი რეფერენდუმში დამოუკიდებლობას მისცემს ხმას, ამერიკა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას ისე ცნობს, რომ გორბაჩოვის აღიარებას არ დაელოდება. ეს უკრაინელების წახალისებაც იყო და გორბაჩოვისთვის საბჭოთა კავშირის დაშლის გადანეჭვითლების შეტყობინებაც. მართლაც, უკრაინამ 1991 წელს ჩატარებულ რეფერენდუმში დამოუკიდებლობას მისცა ხმა. ამ ფაქტიდან ძალიან მალე, ბელოვეჟში ერთმანეთს ხვდებიან რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას აცხადებენ.

— ე.ი. თქვენი აზრით, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას შევარდნაძეც ცდილობდა?

— კი, ის ყოველთვის კრემლის ლაქია და აგენტი იყო.

— როგორ ფიქრობთ, ზვიად გამსახურდიამ რატომ ვერ გამოიხატა საერთო ენა ბუშთან?

— ვინ თქვა, რომ ვერ გამოიხატა? „ძირს ბუში“ — ეს „კარვის ქალების“ ლოზუნგი იყო და არა ზვიად გამსახურდიასი.

— მაშინ ბუშის ეს განცხადება: „გამსახურდია დინების სანაღამდეგოდ მიცურავს“, რით იყო გამოწვეული?

— ამ განცხადებას ზვიადმა საესეებით ადეკვატურად უპასუხა: „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან, ცოცხლები ხან დინების მიმართულებით ცურავენ, ხან — სანაღამდეგოდ“. ჩემი ვარაუდით, ბუშმა გამსახურდიას მოსამართით ასეთი რამ იმიტომ თქვა, რომ მის შესახებ მცადარ ინფორმაციებს აწვდიდნენ. ზვიად გამსახურდიას ძალიან ბევრ ბინძურ ქორს უგონებდნენ. მაგალითად, ერთხელ გაავრცელეს ხმა, თითქოს, ზვიადმა თქვა, —



რუსეთის აგენტები, რომლებიც გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებშიც უხვად იყვნენ, კარგად მუშაობდნენ



საქართველო მხოლოდ ქართველების ქვეყანააო. ეს სრული სიცრუე იყო!

— აბა, რატომ დაიწყო ზვიადის მმართველობის დროს არაქართველების დევნა?

— ეს ყველაფერი ტყუილია, არავის დევნა არ დაწყებულა! მერწმუნეთ, ასეთ ჭორებს მაშინ ის ხალხი თხზავდა, ვისაც ჩვენი ქვეყნისთვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩამოცილება უნდოდა. ამ ცრურწმენებზე ახლაც იგივე ხალხი ლაპარაკობს და მათ შორისაა სააკაშვილიც...

— „კაგებეს“ თქვენ გადაბირება არასდროს უცდია?

— კი, როგორ არა, სცადეს. მეტერთმეტე კლასში ვიყავი, როცა სკოლაში ვილაც რუსი ლეიტენანტი მოვიდა. მან მე და ჩემი კლასელი, რომელმაც ჩემი არ იყოს, ინგლისური კარგად იცოდა, სხვა ოთახში გაგვიყვანა და „კაგებესთან“ თანამშრომლობა შემოგვთავაზა, სანაცვლოდ კი ოჯახის საკვებით უზრუნველყოფას (მაშინ შიმშილობა იყო) და საზღვარგარეთ გაშვებას შეგვპირდა. როცა უარი ვუთხარით, მკითხა, — რომელ წელს ხარ დაბადებული? ვუპასუხე: 1929-წელს-მეთქი. — მე 28-იანი მეგონეთო და წავიდა. მოგვიანებით, როდესაც უკვე ასპირანტი ვიყავი, „კაგებეს“ შენობაში დამიბარეს: ჯერ ოთახში დამსვეს, ჩემი თავი ვილაცხა უჩვენეს, მერე კი მკითხეს, — უცხო ენები თუ იციო? ვუპასუხე: ვიცოდი, მაგრამ დამაინფიცირებთეტი და გამომიშვებს. ამის მერე საბოლოოდ დამანებეს თავი.

— ბატონო ნოდარ, ზვიად გამსახურდიას გამართლებას ცდილობთ, თუმცა ერთ დროს, სხვა თანამოაზრეებთან და თანამებრძოლებთან ერთად, თქვენც მის წინააღმდეგ დადექით. რა იყო ამის მიზეზი?

— მე მისთვის არც მილაღატია და არც გამინირავს, უბრალოდ, კონკრეტული შეცდომების გამო ვაკრიტიკებდი. მე ვიყავი სამხედრო დაჯგუფების, „იმედის“ წევრი. როდესაც გამოცხადდა, რომ ტელევიზიაში გვარდია მთელი შემადგენლობით უნდა შესულიყო, მათ ჩვენც

შევეყეთ. 24 საათი ტელევიზიასთან ვტრიალებდით და ვცდილობდით, დაძაბული სიტუაცია როგორმე გამენიტრალებინა. ერთ საღამოს, როდესაც ტელევიზიასთან ორი ათასამდე კაცი იდგა, კიტოვანი მოვარდა და ხალხს მიმართა, — გამსახურდიამ 60 ქართველი ბიჭი დახოცა. წამოდით, ვაზღვევინოთო. გაცოფებულ ხალხს შევთავაზე, — მოდი, ჯერ სიმართლე გავარკვიოთ-მეთქი. დამიჯერეს. მაშინვე გავგზავნეთ კაცი ინფორმაციის დასაზუსტებლად და აღმოჩნდა, რომ კიტოვანის ნათქვამი სიცრუე იყო. მოგვიანებით გავიგე, რომ ამ ინციდენტიდან ერთი დღის შემდეგ ჩემს უბანში მანქანით ვილაც დარბოდა და ხალხს რუპორით მოუწოდებდა: ნოდარ ნათაძე ვარ, გარეთ გამოდით, ჩვენი ბიჭები დახოცესო. მერე დათო ხომასურიძემ („იმედის“ მეთაურმა) მიამბო, — ტელევიზიის შიგნითაც შემოიტანეს 60 ბიჭის „დახოცვის“ ამბავი, ჩვენები უკვე ჯავშანჭილებებს იცვამდნენ და მე შევანერეო. მეორე დღეს ხალხს მისი სახელითაც მოუწოდებდნენ, გამოდითო.

— ნანობთ, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ დადექით?

— მე ახლაც ვფიქრობ, რომ გამსახურდიას სამართლიანად ვაკრიტიკებდი, თუმცა ძალიან ბევრ რამეს ვნანობ. უფალს ჩემთვის მეტი გონიერება და სიტუაციის განჭვრეტის უნარი რომ მოეცა, საქართველოს ბევრ უბედურებას ავარიდებდი.

— თქვენსა და ზვიადს შორის პირველი უთანხმოება რამ გამოიწვია?

— იმან, რომ რუსეთის შინაგან ჯარს ცხინვალში სიტუაციის მართვის უფლება კანონით მისცა.

— ფიქრობთ, რომ სხვა გამოსავალი ჰქონდა?

— წინააღმდეგობის განევა შეიძლებოდა, მაგრამ ზვიადს ეგონა, რომ რუსეთი ჩვენი მხრიდან კეთილმოსურნე, უთავმოყვარეო ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში შეგვიწყალებდა და სეპარატისტებს აღარ გაუმართავდა ხელს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რუსეთის აგენტები, რომლებიც გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებშიც უხვად იყვნენ, კარგად მუშაობდნენ.

— ისევე, როგორც შევარდნაძეს, ქვეყნის დღევანდელ ხელისუფალსაც რუსეთის აგენტად მიიჩნევთ და როგორც ვიცო, არც ოპოზიციონერებს უყურებთ კარგი თვალით. ვინმეს თუ ენდობით?

— ზუსტადაც, ბევრს არ ვენდობი. გუბაზ სანიკიძეც რუსეთის აგენტია. მის წინააღმდეგ საარქივო მასალები არა მაქვს, მაგრამ ასეთი დასკვნა მისი სატე-

ლევიზიო გამოსვლებიდან და საგაზეთო სტატიებიდან გამოძინარე გავაკეთე. სხვათა შორის, მე ისიც კარგად მახსოვს, რა გააკეთა ქუთაისში, ჯერ კიდევ 90-იან წლებში.

— მაინც, რა გააკეთა?

— ყველანაირად ცდილობდა, ეროვნული ძალების გაერთიანებისთვის შეეშალა ხელი. ახლა მას აქუზარდიას (რომელიც ასევე, რუსეთის აგენტია) ხელით, რალაც დიდი საქმისთვის „ასუქებენ“.

— აქუზარდია რისთვისღა სჭირდება რუსეთს?

— პროპაგანდისთვის. ძალიან კარგად მახსოვს, შევარდნაძეს რომ ეუბნებოდა, — ბატონო ედუარდო, გააუღერეთ ეს კონფედერაციის იდეაო... კონფედერაციის იდეა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შემუშავებული გენერალური გეგმაა. ეს გეგმა პრიმაკოვმა „შუესტრა“ გაეროს, გაერომ — ბოდენს, ბოდენმა კი ქართველ „რესპუბლიკელებს“.

— ახლა არ მითხრათ, „რესპუბლიკელებიც“ აგენტები არიანო.

— მაგათი აგენტობის ამბავი არ ვიცი, მსგავსი არაფერი მითქვამს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ნაძირალები არიან და ანტიქართული დოკუმენტებით საქართველოს საფრთხეს უქმნიან.

— კონფედერაციის იდეაში რა საფრთხეს ხედავთ?

— კონფედერაცია ისეთი კავშირია, რომელში შემავალი სახელმწიფოებიც საკუთარ სუვერენიტეტს სრული სახით ინარჩუნებენ, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად რჩებიან, მაგრამ ერთმა მათგანმაც რომ თქვას, კონფედერაციაში ყოფნა აღარ მინდაო, კავშირი მაშინვე დაიშლება.

— იმედი გაქვთ, რომ სხვა გეგმით საქართველო ტერიტორიული პრობლემის მოგვარებას შეძლებს?

— იმედი კი არა მაქვს, ზუსტად ვიცი, რომ მოავარებს! რუსეთის მსოფლიოსთან დაპირისპირების ძალა აღარ შესწევს.

— რატომ გგონიათ, რომ საქართველოს გამო მსოფლიო რუსეთს დაუპირისპირდება?

— მსოფლიომ ცალსახად უკვე განაცხადა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტს პატივისცემს. გარწმუნებთ, დასავლეთი კავკასიასა და შავ ზღვას რუსეთს არასდროს დაუთმობს. მოსკოვი ხდებდა, რომ ჩიხშია და იცის, ადრე თუ გვიან, საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების დაბრუნება მაინც მოუწევს, ჰოდა, ცდილობს, შემოგდებულ იო თუ შემოპარებულ იდეებშით რაღაცას მაინც გამოიჩინოს.

— პოლიტიკისგან დასვენებას თუ აპირებთ?

— ჯერ არა, კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

— წარმატებებს გისურვებთ!



გელევიზიასთან ვტრიალებდით და ვცდილობდით, დაძაბული სიტუაცია როგორმე გამენიტრალებინა



ფერეიდნელი ახალგაზრდების გულისბოქვილი

„ჩვენ ვართ შვილები, რომლებიც დედას ეძებენ...“

ნიკოლოზ ონიკაშვილი (მორთვა ასლანი), შოთა თაბაძე (მეჭდი თავაზოძი), არსენ ონიკაშვილი (ჰასან ალი რაჰიმი) ის ფერეიდნელი ქართველები არიან, რომლებიც პრობლემების მიუხედავად, წინაპრების სამშობლოში — საქართველოში ყოფნას ამჯობინებენ. ბიჭები თბილისის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები არიან. სულ 4 წელია, რაც საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ წინაპრების სამშობლო ბავშვობიდანვე უყვართ. XVII საუკუნის კახურ დი-ალექტზე მოსაუბრე ბიჭებმა თანამედროვე ქართულ ენას, ქართულ ხალხურ ცეკვა-სიმღერას ნელ-ნელა აუღეს ალლო და ასოციაციისაგან — „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ — ჯილდოც მიიღეს.



ეთო ყოვლანაშვილი

არსენ ონიკაშვილი:

— ვხატავ, ლექსებს ვწერ... ქართული ენა, საქართველო ბავშვობიდანვე მიყვარს. ვცდილობ, თანამედროვე ქართული ვისწავლო. დაახლოებით 19 წლის ვიყავი, როცა ახალგაზრდები შევიკრიბეთ და არასამთავრობო ორგანიზაცია — „ირანში მცხოვრები ქართველების ორგანიზაცია“ — ჩამოვყავალიბეთ, ქართულ ანბანს, კალენდრებს, სიტყვებს (რომლებიც ფერეიდანში დავინწყებულა) ვებჭდავდით; მერე საქართველოში გამომგზავრება გადავწყვიტეთ. გვიწოდოდა, ქართველ საზოგადოებასთან შეხება გვეწონოდა. ჯერ ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ჩამოვიდია, შემდეგ ბიჭებმა დაგვირეკეს — აქ სწავლა შესაძლებელია და ჩვენც ჩამოვედით... მანამდე ფერეიდანში მუსიკალური ჯგუფიც ჩამოვყავალიბეთ: ვცდილობდით, ქართული სიმღერები გვესწავლა.

— ფერეიდანში არსებული ორგანიზაციების საქმიანობაში ხალხი აქტიურადაა ჩართული, არა?

— ნაწილი გულგრილია, მაგრამ უმეტესობას სისხლში აქვს გამჯდარი, რომ ქართველია. იქ მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ მათგან ძირძველ ენაზე მხოლოდ 70 ათასი ოჯახი ლაპარაკობს... როცა ირანელს მათ ენაზე ვლაპარაკებთ, ის ხვდება, რომ სპარსელები არა ვართ, რადგან ჩვენს მეტყველებაში ქართული ენის გავლენა იგრძნობა. სხვათა შორის, ისინი დიდ პატივს გვცემენ.

— ფერეიდანში ქართული ტრადიციები თუ შემორჩა? მაგალითად, ქართულ კერძებს თუ ამზადებენ?

— მხოლოდ ქართული ენა შემორ-

ჩა... ჩოხა პირველად სურათებში ვნახე. იქ საქართველოსაგან განსხვავებული გარემოა. ადრე სამშენებლო მასალად ალიზსა და ქვას ვიყენებდით, ახლა კი ცემენტის, ბეტონის სახლები ააშენეს — ეს დრომ მოითხოვა. ძველ სახლებში რაღაც ქართული მანაც „იღო“: დარბაზები არსებობდა, რომელსაც „თავსახლს“ ვეძახდით, შუაში კი დედაბოძი იყო. დარბაზის ნახვა მოვასწარი — ჩემს პაპას და ბებიას ჰქონდათ. მასსოვს, შვილიშვილები თონის გარშემო ვიკრიბებოდით, ბუბია პურს აცობდა, პაპა კი საქართველოს შესახებ გვიყვებოდა. გვეუბნებოდა, — ჩვენი წინაპრები ფერეიდანში შაჰ-აბასმა ჩაასახლა. საქართველო ლამაზია და იქ ლამაზი ხალხი ცხოვრობსო. მოკლედ, ახალგაზრდებს ჩვენი ძირძველი სამშობლო რომ გვიყვარს, ეს წინაპრების დამსახურებაა.

— ახლა რას საქმიანობ?

— ვსწავლობ და როგორც თქვენ ამბობთ, ვცდილობ, „გავქაჩო“ (იციან).

— საქართველოში სად ცხოვრობ?

— საპატრიარქოს მიერ გამოყოფილ, ფერეიდნელების საერთო საცხოვრებელში. ეს დროებითი ბინაა. ნორმალური სამსახური მჭირდება, რათა ამ ცხოვრებაში ადგილი დავიკვიდრო, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი ვიშოვე. მერწმუნე, ფერეიდანში ბევრი მდიდარი ადამიანი ცხოვრობს... მათ შეუძლიათ, ჩამოვიდნენ, სანარმოები ააშენონ, მაგრამ საქართველოს კარგად არ იცნობენ და თავს ამიტომაც იკავებენ...

— როგორც ვიცი, სამუშაო გაქვს.

— რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ვმუშაობ. მართალია, სახარბიელო ხელფასი არ მაქვს, მაგრამ ჯიბის ფულად მყოფნის. სხვათა შორის, მუშაობის დანაშაუნი საპატრიარქომ შემინყო

ხელი.

— რამდენ დედამიშვილი გყავს?

— 2 და და 3 ძმა მყავს. მშობლებს უხარიათ, რომ საქართველოში ვარ; ისინი პატრიოტები არიან, სამშობლო უყვართ... რაც შეეხება ირანს, იქაურობას პატივს ვცემთ. ჩვენი გვარები „შვილით“ და „ძეთი“ არ მთავრდება, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი წინაპრები ონიკაშვილები არიან. ფერეიდნელი ქართველების გვარების 80%-ის ძირი ქართულია. მაგალითად: ხუციშვილი ხუციანია, მიქელაძე — მიქელანი და ა.შ.

შოთა თაბაძე, 28 წლის:

— ქართულ ენაში არსებული ზოგი ასო-ბგერა სპარსულ ანბანში არ გვხვდება. სპარსულად „ქს“, „შვილს“ ვერ დანერწვან დაწერ, მაგრამ მას სხვაგვარი ფერადობა ექნება. ჩვენი ნამდვილი გვარები გადმოცემით ყველამ ვიცით და ამ ინფორმაციას ჩვენს შვილებსაც გადავცემთ. ვიდრე სკოლაში წავიდოდი, სპარსული კარგად არ ვიცოდი, არც ჩემმა მშობლებმა იცოდნენ, რადგან ოჯახში ქართულად ვლაპარაკობდით. მასსოვს, სკოლაში პირველად მისულმა ვერაფერი გავიგე და სპარსულის სწავლა დავიწყე. ჩვენს ადგილას, ყველას გაუწინდებოდა კითხვა: თუ ქართველი ვარ, ირანში რა მინდაო? ჰოდა, ამით მეც დავინტერესდი. ფერეიდანში მცხოვრები ქართველი აქტიური ახალგაზრდები გავიცანი და საქართველოს შესახებ რაღაცებს ერთად ვსწავლობდით, აქ ჩამოსვლას საკმაოდ დიდხანს ვგეგმავდით. ჩვენ მივხვდით, რომ საქართველო ფერეიდანს ყურადღებას არ აქცევს, არადა, ვართ ის შვილები, რომლებიც დაკარგულ დედას ეძებენ. ქართული მენტალიტეტით ცხოვრება მხოლოდ საქართველოში შეიძლება, სხვაგან სხვა კულტურით უნდა იცხოვრო. მესმის, რომ



საქართველომ რთული პერიოდები გადაიტანა: საბჭოთა კავშირი, ომები და ალბათ, ფერეიდანს ყურადღება ამიტომაც ვერ მიაქცია... სამწუხაროდ, საქართველოში აშერკული გავლენა იგრძნობა: შაშვინმა განაცხადა, — ვისაც დიპლომი უნდა, ინგლისური უნდა იცოდეს. უცხო ენის სანინალმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ დიპლომზე უარი იმის გამო კი არ უნდა გითხრან, რომ ინგლისური არ იცი, არამედ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ ენას საფუძვლიანად ვერ ფლობ! გასაგებია, რომ ინგლისური საერთაშორისო ენაა და უნდა ვიცოდეთ, მაგრამ ქართულს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, მეტად უნდა დავაფასოთ...

ნაოლოზ ონაგვილი:

— ოჯახში მშობლები და 8 დედამამიშვილი ვართ. ჩემი ოჯახის წევრები ფერეიდანის მარტყოფში ცხოვრობენ. სამსახურის გამო, ერთი დაქორწინებული ძმა სხვა ქალაქში ცხოვრობს, მე და უფროსი და (ის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს) კი საქართველოში ვართ. საერთოდ, ფერეიდანს საქართველოზე ასეთი წარმოდგენა აქვს: ამ ქვეყანაში ბოროტება არ არსებობს! ბოლო დროს, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ვადევნებდი — ტელევიზიების, ჟურნალების მეშვეობით და ჩემთვის სამწუხარო ამბებს ვიგებდი. აქ რომ ჩამოვდი, მივხვდი, საქმე არც ისე ცუდად ყოფილა (*ილიმის*)...

— საქართველოში როგორ მოხვდით?

— 27 წლის ვიყავი, საქართველოში რომ გამოვმგზავრე. თავდაპირველად, ფერეიდანელი ქართველების 5-კაციანი ჯგუფი ფესტივალში — „ჩვენებურები“ — ვმონაწილეობდით და ჩვენ მიერ შექმნილი სიმღერა შევასრულეთ... ზოგს ჰგონია, რადგან ფერეიდანში ქართული ენა შენარჩუნებულია, იქ თანამედროვე ქართულით ლაპარაკობენ, მაგრამ ვინაიდან გადასახლებულთა უმეტესობა წარმოშობით კახეთიდან იყო, ამიტომაც XVII საუკუნის კახური დი-

ალექტით ლაპარაკობენ; თან — ოთხი საუკუნის განმავლობაში, ქართულმა ენამ სპარსულის გავლენა განიცადა. მეგონა, საქართველოში „რადიკალურად“ ქართულად საუბრობდნენ, მაგრამ აქ ჩამოსულმა ბევრი უცნაური სიტყვა გავიგონე, რომელიც ლათინურიდან, რუსულიდანაა შემოსული და დამკვიდრებული... ფესტივალის შემდეგ, ირანში დავბრუნდი. 2006 წლის აგვისტოში, ვარციხის პატრიოტულ ბანაკში ვისვენებდი, იმავე წლის ოქტომბრიდან კი საქართველოში ცხოვრება გადავწყვიტე. სხვათა შორის, ფესტივალ „ჩვენებურები“ 2008-2009 წლებშიც ვმონაწილეობდით, ნელს — არა.

— რატომ?

— ეს ერთგვარი პროტესტი იყო: პირველად ფესტივალი მართლა კარგად ჩატარდა, მაგრამ ახლა, პირადად მე, მასში მონაწილეობის სურვილი აღარ მაქვს. 2005 წელს უკრაინიდან ბავშვები ჩამოვიდნენ, რომლებიც ქართულად ლაპარაკობდნენ, 2009 წელს კი ფესტივალის მონაწილეებს შორის, ქართული თითქმის არავინ იცოდა ანუ „ჩვენებურები“ სხვა ფორმა მიიღო...

— საქართველოში საცხოვრებლად გამოიზარებინათ გადანაცვლების მიღება არ გაგიჭირდა?

— არა. ახლა იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ და ერთადერთი, ვინც ფერეიდანელი ქართველების მიმართ ყურადღება გამოიჩინა, უნივერსიტეტის რექტორი — ბატონი ვახტანგ თორაძე გახლავთ. საპატრიარქოც ხელს გვიწყობს. მთავარობა უფასოდ სწავლას შეგვირდა, მაგრამ ეს ბატონმა ვახტანგმა უზრუნველყო — 7 კაცი ვართ, ვინც მისი ინიციატივით, უფასოდ ვსწავლობთ.

— ნო, სწავლის პარალელურად, მუშაობ კიდევ არა?

— ლოტკინზე, სკოლა-პანსიონში მანდატურის ფუნქციას ვასრულებ. სკოლის დირექტორი (მამა მირიან სამხარაძე) მიცნობდა და შეეცადა, დავესაქმებინე. 4 წლის განმავლობაში სად

არ მივედი — სამსახური მჭირდებოდა, მაგრამ ვერ ვიშოვე.

— სწავლას და მუშაობას ერთმანეთს როგორ უთავსებ?

— უნივერსიტეტი ამჟამად ხელს მიწყობს. სამსახურის გაცდენა არ გამოდის, ამიტომ უნივერსიტეტში ისეთ პროგრამას ვადგენთ, რომელიც დამატებით ლექციებს ითვალისწინებს.

— იურისტობა რატომ აირჩიე?

— მინდა, კანონებში ვერკვეოდე და უპირველეს ყოვლისა, ვიცოდე, რა უფლებები მაქვს.

— მანდატურობას თავს როგორ ართმევ?

— საპატრიარქოსთან არსებულ სკოლაში ვმუშაობ. იქ ბევრი ბავშვი სწავლობს, მაგრამ იმდენად კარგები არიან, რომ ფაქტობრივად, გასაკეთებელიც არაფერია.

— ფერეიდანში მცხოვრებ ქართულ ოჯახებში მრავალშვილიანი ბევრია?

— მამაჩემის თაობაში, თითქმის ყველას ბევრი შვილი ჰყავს, მაგრამ ჩემს თაობაში — არა. საერთოდ, ინდოეთის გარდა, მთელ მსოფლიოში ასეა. მგონი, ცხოვრება გაჭირდა.

— დაოჯახებას არ აპირებ?

— უკვე 17 წელია, ვაპირებ, მაგრამ არ შემიძლია (*იკინის*) — სახლი არ მაქვს ანუ ქირით უნდა ვიცხოვრო და ოჯახის შექმნა ამიტომაც მიძინელებდა.

— საბოლოოდ გადანაცვლენ, რომ შენი წინაპრების სამშობლოში დაიმკვიდრო ადგილი?

— დიახ!

— ამ გადანაცვლებას შენი მშობლები როგორ შეხვდნენ?

— უხარიათ. აქ თავის დამკვიდრება თუ მოვახერხე, ისინიც გამოემგზავრებიან. უკვე 4 წელია, საქართველოში ვარ, არადა, ფერეიდანში უკეთეს სიტუაციაში ვიყავი: სამსახურიც მქონდა და კარგ ფულსაც ვშოულობდი. იქ რომ დავრჩენილიყავი, რამეს მივალწევდი, მაგრამ აქ ყოფნა ვარჩიე...

— ვახტანგ თორაძე, თბილისის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორი:

— თავდაპირველად, უნივერსიტეტში ოცი ფერეიდანელი ქართველი სწავლობდა, მაგრამ ბიჭების უმეტესობა ისევ უკან გაბრუნდა. ფერეიდანელებს პატრიარქმა შენობა უქირავა და საკვებით უზრუნველყოფს, ჩვენ — ვასწავლით, მაგრამ ბიჭებს ჯიბის ფულიც ხომ სჭირდებათ?! 3 წელია, მათი დასაქმებისთვის ვიბრძვი. ბიჭების უმეტესობა დღეს დარაჯად მუშაობს და თქვენ წარმოიდგინეთ, მათთვის ამ სამსახურის შოვნაც ძლივს მოვახერხეთ. დაუზარელი ბიჭები არიან... მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არანაირი პერსპექტივა არა აქვთ, აქაურობა ძალიან უყვართ, ფუფუნებაში ყოფნას აქ ცხოვრება ურჩევენიათ.





ბედისწერა ანუ „ქერის ორმოში“ ჩავარდნილი მოზარდის ცხოვრება

„ამაჩივი ჩამოყალიბებული ლოთია...“

მართლაც, რა უცნაურია არა, ბედისწერა? ის ზოგჯერ სასიამოვნო სიურპრიზებით გვანებიერებს, ზოგჯერ კი ქვეყნიერებას თავზე გვამსობს. წინასწარ მართლაც, არავინ იცის, რა ელის, ჰოდა, ალბათ სწორედ ამასია ცხოვრების მთელი ხიბლი...

ლიკა ქავიაი


ჩემს რესპონდენტს ნამდვილად გაუმართლა და სანუნუნოც აღარაფერი აქვს. მას მხოლოდ წარსულის გახსენებისას ევსება ცრემლით თვალები და ამბობს, რომ ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ მისთვის სრულიად უცხო კაცის ნყალობით, „ქერის ორმოში“ ჩავარდებოდა. ადრე ნიკას მეგობრებიც არ ჰყავდა, მხოლოდ ერთეულები თუ უყადრებდნენ თავს, დღესდღეობით კი მასთან ურთიერთობის სურვილი ბევრს აქვს. არა, არ გეგონოთ, თითქოს ის მაღალი თანამდებობის პირია, უბრალოდ, ერთ-ერთ პრესტიჟულ მაღაზიაშია დასაქმებული და იმდენი ფული კი აქვს, რომ ადამიანს პატივი სცეს. ჰოდა, სხვა რაღაა საჭირო იმისთვის, რომ გართობისა და დროს ტარების მოყვარული თანატოლები შენით დაინტერესდნენ?!

— ძალიან პატარა იყავი, როცა მშობლები ყურადღებას არ ან ვერ გაქცევდნენ და სრული თავისუფლებით სარგებლობდი...

— კი, ასე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცუდ გზაზე არ დავედგარვარ. ჩემს ადგილას ბევრი დაინწყებდა ქურდობას, მე კი ეს საქმე ყოველთვის საჩოთიროდ მიმაჩნდა და ასეა დღემდე.

— როგორც ვიცი, მხოლოდ 9 კლასი გაქვს დამთავრებული...

— მართალი ხარ და არასრული განათლების დამადასტურებელი ატესტატიც ძლივს მივიღე. არ ვიცი, სწავლა არ მინდოდა თუ უბრალოდ, იმის გამო ვერ ვსწავლობდი, რომ წიგნები არ მქონდა, მაგრამ ახლა ამას ძალიან ვნანობ. რატომღაც მგო-



ნია, თავის დროზე განათლება რომ მიმეღო, ჩემგან ნასწავლი კაცი დადგებოდა და სამშობლოსაც გამოვადგებოდი, მაგრამ ახლა მხოლოდ საკუთარ თავსა და მშობლებს თუ გამოვადგები...

— ვინ არიან შენი მშობლები და რატომ გზრდიდნენ ასე თავისუფლად?

— გინდოდა გეტყვა, — რატომ გზრდიდნენ ასე ცუდად, აგდებულადო, არა?.. მამაჩემი ჩამოყალიბებული ლოთი იყო და დღემდე ასეა. მისთვის მთავარია, სასმელი იშოვოს და სხვა არაფერი აინტერესებს. მახსოვს, როგორ ურტყამდა მთვრალი მამა დედას, ავინებდა, შეურაცხყოფას აყენებდა და ეჩხუბებოდა: ახლავე წადი, დასალევი მიშოვეო! ჰოდა, ამდენი ცემისგან ეტყობა, დედაც დაჩლუნგდა, ქმარს მონასავით ემსახურებოდა; მისთვის სასმელი რომ ეყიდა, კაცებთან ურთიერთობაზეც არ ამბობდა უარს (ცხადია, ამ ყველაფრის შესახებ სკოლის დამთავრებამდე არაფერი ვიცოდი). არ ვიცი, მამას ამდენს რატომ უთმენდა, მაგრამ ფაქტია, დღესაც ერთად ცხოვრობენ და ვითომ შესანიშნავი ცოლქმრობა აქვთ.

— როდის გააცნობიერე ის, რაც შენს ოჯახში ხდებოდა?

— იმის გამო, რომ სახლში გამუდმებით კონფლიქტი, დაძაბული სიტუ-

აცია იყო, თავს ყოველთვის დაჩაგრულ ადამიანად მივიჩნევდი. მქონდა სურვილი, შინიდან გავექცეულიყავი, მაგრამ ისეთი ნათესავიც არ მეგულეობდა, რომელიც შემიფარებდა. თან, იმ საგიჟეთში ჩემი დაიკოს (ის ჩემზე 3 წლით უმცროსია) მართო დატოვებაც არ მინდოდა. ნეტავ იცოდე, როგორ მეხუტებოდა, როგორ იმალებოდა ჩემ ზურგს უკან მამინ, როცა მშობლები ერთმანეთს ხოცავდნენ. ისე, მამას დედაც არ აკლებდა და რამდენჯერმე თავი ტაფითაც გაუტეხა, მეორე დღეს კი ისე იქცეოდნენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. იმ დღეების გახსენებაც კი სულს მიგუბებს... სხვათა შორის, ერთხელ მქონდა მცდელობა, სახლიდან გავექცეულიყავი და გავიქევი კიდეც; ჯერ მეზობელ

სოფელში მიდებარე ტყეს შევაფარე თავი, მერე რაიონამდე ჩავალწიე ფეხით, მაგრამ იქ პოლიციამ დამიჭირა და შინ დამაბრუნა... მეცხრე კლასში ვიყავი, როცა კლასის ყოჩმა თითი ჩემკენ გამოიშვირა და მიბრძანა: აქ მოდი და ფეხსაცმლის თასმა შემიკარიო. მანამდე მსგავსი რამ ჩემთვის არავის უკადრებია; მართალია, მეგობრებიც არ მყავდა და ვიცოდი, რომ ჩემი მშობლების, ოჯახური მდგომარეობის გამო ყველა თავს მარიდებდა, მაგრამ ასეთი შეურაცხყოფაც არავის მოუყენებია. თან, იმ პერიოდში ერთი კლასელი გოგო მიყვარდა, რომელიც სიმართლე გითხრათ, ზედაც არ მიყურებდა, ცხვირს მიზუებდა... მოკვლედ, ზაზას ბრძანება არ შევასრულე, რამაც ის ძალიან გააბრაზა და მიყვირა: ახლავე მოდი, თორემ სახალხოდ ვიტყვი, რომ დედაშენი ბოზიაო. ამ სიტყვებმა გამაცეცხლა, გონება დამებინდა, მივვარდი და ისე ვცემე, რომ მთელი სახე დაფულურჯე. ეტყობა, იმ პერიოდში გიჟს ვგავდი, რადგან ჩვენს დასაშოშმინებლად თითიც არავის გაუწმინდებია. ზაზას ყვირილზე ოთახში დირექტორი შემოვარდა, მხოლოდ მისმა ხმამ გამომარკვია. ზაზას შევეშვი, ფეხზე წამოვდექი, დირექტორს ბოდიში მოვუხადე და საკლასო ოთახიდან გავედი. მეორე დღეს მშობელთა



კრება მოაწყვეს, რომელსაც დედაჩემიც ესწრებოდა. ჯერ გამოიკითხეს მიზეზი იმისა, თუ რა გახდა ჩხუბის მიზეზი. ჰოდა, ზოგი მე მამტყუნებდა, ზოგიც — ზაზას. დედა გაფითრებული იჯდა, ხმას არ იღებდა. დირექტორმა ზაზას შენიშვნა მისცა და უთხრა, რომ ჩემ მიმართ მსგავსი სიტყვები არასდროს ეთქვა, მან კი იყვირა: აბა, კლასში ისეთი ბიჭი რომ ზის, რომელსაც დედა ბოზი ჰყავს, როგორ უნდა მოვიქცე? ყველამ იცით, რომ დედამისი სოფლის კაცებთან ერთად დაეთრევა მხოლოდ იმიტომ, რათა თავის ლოტ ქმარს არაყი უყიდოს. იცით, რომ ის მამაჩემსაც ჩაუნვა ლოგინში და მის გამო, ლამის ჩვენი ოჯახიც დანიგრაო?! ამ სიტყვების გაგონებისას, ყურებმა წუილი დამიწყა და გონება დავკარგე. მასწავლებლებმა მომასულიერეს თუ არა, დედას დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერ ვიპოვე — ჩემი ცუდად ყოფნით ისარგებლა და სკოლიდან გაიპარა...

შინ გვიან ღამით მივედი და ერთი ამბავი ავტყენე, ყველაფერი მივლენ-მოვლენე, მშობლებს სულ უნაშუსოები ვეძახე და სახლიდან წამოვედი... მას შემდეგ თბილისში ვცხოვრობ.

— აქ რით ირჩენდი თავს?

— თავდაპირველად ბიძასთან, მამაჩემის ძმასთან ჩამოვედი. მის ბინაში რამდენიმე დღე გავატარე, მერე კი წამოვედი, რადგან მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო.

— ანუ?

— ანუ ის, რომ ბიძამ მიმხვედრა, — ჩემს ოჯახს ძლივს ვარჩენ და შენ მძიმე ტვირთად მანვებიო. ჰოდა, დავკარი ფეხი და წამოვედი. ქალაქში დავბორიალებდი, ურნიდანაც არაერთხელ ამომიღია საჭმელი, მაღაზიებში შევდიოდი და კონსულტანტებს დახმარებას ვთავაზობდი გარკვეული თანხის ან საკვების საფასურად; ზოგი უარით მისტუმრებდა, ვილაც ჩემს დასაქმებას ცდილობდა, ზოგიერთი მათგანი კი ჩემი საცოდაობით ინვოდა და ფულს მანვდიდა: წადი, რამე იყიდე, შენი არაფერი მინდაო. მოკლედ, თავი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გამქონდა.

— თბილისში ბიძის გარდა, არავინ გყავდა?

— როგორ არა, მაგრამ როცა საკუთარმა ბიძამ არ შემიფარა, სხვას როგორ მივდგომოდი? ადამიანის შეწუხება არ მიყვარს... ერთხელ ერთი პრესტიჟული მაღაზიის კონსულტანტმა, რომელიც ხშირად მეხმარებოდა, ხელი დამიქნია, — აქ მოდიო. მეგონა, პური უნდა მოეცა და ლამის სირბილით გავიქეცი მისკენ — ძალიან მშოიდა, 2 დღის უსმელ-უჭმელი ვიყავი. აქვე გეტყვით,

რომ მიუხედავად ყველაფრისა, ქუჩაში მათხოვრობა არ დამიწყია, ამის უფლება თავმოყვარეობამ არ მომცა... მოკლედ, იმ გოგომ ხელი დამიქნია თუ არა, არც დავფიქრებულვარ, მისკენ გავიქეცი. იქ რომ მივედი, მითხრა, — ჩემს უფროსს შენთან ლაპარაკი უნდაო. შემეშინდა, — ჩემგან რა შეიძლება უნდოდეს-მეთქი? გოგონამ გამიღიმა: ნუ გეშინია, თამამად შედიო. მერე თავადვე შემიძღვა ბატონი ნიკოლოზის კაბინეტში. თეთრპიჯაკიანმა კაცმა ღიმილი შემომამება, მერე ხელი სავარძლისკენ გაიშვირა, იქ დაჯექიო. ნაცრისფერ სავარძელში ჩაჯდომა ვერ გაგებდა — ისეთი ჭუჭყიანი სამოსი მეცვა, რომ შემეშინდა, არ დამესვარა. ბატონმა ნიკოლოზმა ხელი ჩამჭიდა, თავად მიმიყვანა და ჩამსვა. მერე თვალეში ჩამხედა და მკითხა: ვინ ხარ? შენ შესახებ ყველაფერი მომიყვი... ვიდუოკამერებმა ბევრჯერ დაგაფიქსირა და ისიც ვიცი, რომ როგორი მშოიერიც უნდა იყო, არაფერს მოიპარავ. ცდილობ, პურის ფული გამოიმუშაო. გატყობ, ძალიან გიჭირს. თუ არ მომამტყუებ და შენ შესახებ სიმართლეს მეტყვი, აუცილებლად დაგესმარებიო. მისმა სიტყვებმა გული ამიწყა, — ცხოვრებაში პირველად, ვილაც ჩემი პრობლემებით დანიტერესდა, ვილაცას მართლა შევერალე, — და ცრემლები გამომომცვივდა. ბატონმა ნიკოლოზმა კონსულტანტ გოგონას დაუძახა, ჩემთვის წყალი მოათანინა, მერე ოთახიდან გავიდა და მარტო დამტოვა. ცოტა ხნის მერე ისევ შემოვიდა და მითხრა: მოდი, ჯერ საჭმელი ჭამე და ყველაფერს მერე მიაბობო. სხვათა შორის, სოსისი ჩემთან ერთად შეჭამა, ჩემმა ჭუჭყიანმა ხელებმა ზიზღი არ მოჰგვარა... როცა წავიხემსეთ, მერე ყველაფერი გულახდილად ვუამბე. შევატყვე, თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ ჩემსავით არ აქვითინებულა. მერე გამოიტიყდა, — მეც მძიმე ცხოვრება გამოვიარე. ვიცი, რას ნიშნავს, როცა პატრონი არ გყავს, ჰოდა, მერწმუნე, შეძლებისდაგვარად დაგესმარები; დღეს როგორმე, ღამე გაათიე, ხვალ კი მომავითხეო. მერე გოგონებს სთხოვა, ჩემთვის საჭმელი მოეცათ და დამემშვიდობა. მეორე დღეს მართლაც მივაკითხე ბატონ ნიკოლოზს, რომელმაც ჩემი თავი ვილაც ბიჭს ჩააბარა. იმ ბიჭმა ბინაში მიმიყვანა და მითხრა: ეს შენი დროებითი თავშესაფარი იქნება. ახლა იზანავე, მერე კარადიდან სუფთა ტანისამოსი გამოიღე და ჩაიცვი. სამზარეულოში საჭმელიცაა. დაისვენე, ხვალ კი გამოგივლიო. მისთვის კითხვის დასმაც ვერ მოვახერხე, გაოგნებული დამტოვა და კარი გაიჯახუნა. მოვწესრიგე და ტანისამოსიც გამოვიცვალე (მართალია, ახ-

ალი არ იყო, მაგრამ სუფთა კი გახლდათ), მერე გემრიელად ვისადილე და ლოგინში ჩავენქი — ქვეშაგები ძალიან რბილი მომეჩვენა... მეორე დღეს მართლაც მომავითხა მამუკამ და მაღაზიაში წამიყვანა. ბატონმა ნიკოლოზმა მითხრა: დღეიდან ჩემი მარჯვენა ხელი იქნები, ყველაფერში შენ დამეხმარები, მერე კი საკუთარი თავის რჩენასაც შეძლებო. მაძლევდა დავალებებს, მიშვებდა ბაზარში, ხშირად მანდობდა დიდ ფულს და ალბათ, მისი ნდობაც მოვიპოვე, რადგან დღესდღეობით სწორედ ბატონი ნიკოლოზის სახლში ვცხოვრობ. მან განათლების მიღების საშუალებაც მომცა — კომპიუტერისა და უცხოენის შესწავლელ კურსებზე დავდივარ და საკმაოდ ნორმალური ხელფასიც დამინიშნა.

— ბატონი ნიკოლოზი დაოჯახებულია?

— კი, მას არაჩვეულებრივი მეუღლე და 2 ვაჟი ჰყავს. ისინი ისე მიყურებენ, როგორც ოჯახის წევრს და ცდილობენ, წარსული დამავინყონ... სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ცხოვრება ავიწყვე (ცხადია, ბატონი ნიკოლოზის დახმარებით, რომელსაც სიამოვნებით დავუძახებდი მამას), შემთხვევით თანასოფელს შევხვდი, მას ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი მივეცი და ვუთხარი, — თუ შეგიძლია, ჩემს დაიკოსთან დამაკავშირე-მეთქი. ნინუცას ველაპარაკე და ცოტაოდენი ფულიც გავუგზავნე. როცა ცხოვრებას ავიწყობ, მას ჩემთან ჩამოვიყვან. არ მინდა, ცუდი გოგო აღიზარდოს, ცუდ გზას დაადგეს — აბა, კარგს რას ისწავლის ჩემი მშობლების ხელში?! სხვათა შორის, ჩემი წინსვლის შესახებ სოფელში ყველამ გაიგო და ახლა ისეთი ადამიანები მირეკვენ, რომლებიც ადრე ზედაც ამ მიყურებდნენ; ყველა შეხვედრას მთხოვს და ცხადია, უარს არავის ვუუბნები, თანასოფელ სტუდენტებს კი ზოგჯერ, საქეფოდაც ვეპატიუები... ბატონი ნიკოლოზი შეეპირდა, თუ ასე გააგრძელებ, მალე დაგანინაურებ და მერე საკუთარი სახლის შექმნაშიც დაგესმარებიო. ასე რომ, იმ დროს, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, ფეხი ამიცურდა და ქერის ორმოში ჩავვარდი. ახლა მეგობრებიც მყავს და ამრეზითაც არავინ მიყურებს.

— შენ მითხარი, — თავის დროზე განათლება რომ მიმელო, სამშობლოს გამოვადგებოდი, ახლა კი მხოლოდ საკუთარ თავსა და მშობლებს თუ გამოვადგებო...

— მიუხედავად ყველაფრისა, ისინი ჩემი მშობლები არიან და მათ ვერ გავწირავ — თუ ოდესმე ჩემი თავი დასჭირდათ, დახმარების ხელს აუცილებლად გაუწვდი... ■



დაუვიწყარი მსახიობი, პოეტი და ალამიანი

ასე მოიხსენიებენ ნიკო გომელაურს ის თინათინები, რომლებიც გამუდმებით მთხოვენ, მისი ლექსები დავბეჭდო. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო გომელაურის არაერთი კრებული დაიბეჭდა, მოზარდების მესიჯები, მსგავსი თხოვნით, არ წყდება. ახლა პოეტის რამდენიმე ლექსს შემოგთავაზებთ.



არათავმდებლური ლექსი

(...მღვდლებმა მითხარით, ან წარმართებმა)

მე შენ მოგიძღვენი ნაზი აკორდები, გაჩუქე სიტყვები და არა ვარდები... როგორ ვიფიქრებდი ასე აკორდები? როგორ ვიფიქრებდი ასე ავარდები? ცხოვრება-ჩოგბურთი. გაცვითე კორტები. თვალები დავბუჭე, გავხსენი კარტები... მე ხომ მოგატყუე, რატომ არ მშორდები?! მე ხომ მოგატყუე, რატომ არ მწარდები?! ჩემი სიცოცხლე ყვითელი ფოთლები, თოვლი და ტალახი, შავ-თეთრი კადრები... მე ჩავიფრფლავ, მე ჩავიბოთლები... მე შენ არ გჭირდები, მე არ გეკადრები. თუმცა, თუ ასეთი ლექსი ჩაბარდება, ვინ არ აგორდება? ვინ არ ავარდება?

მღვდლებმა მითხარით, ან წარმართებმა, რა მემართება? რა მემართება? ტყუილი, ნეტავ, რას მემართება, რა მემართება? რა მემართება? გული თავისით არ იმართება, რა მემართება? რა მემართება? სული დამისხამს, ტვინი დათვრება, რა მემართება? რა მემართება? რად გაიჩაცეს ცრუ მიმართებმა, რა მემართება? რა მემართება? უსახურობა სახეს მართმევდა, რა მემართება? რა მემართება? ალბათ, თავდახრა უფრო მმართებდა, რა მემართება? რა მემართება? ბედი ბედავდა, სად არ მათრევდა, რა მემართება? რა მემართება? რა მემართება? რა მემართება? მაინც თავისით წარმართება.

(...დაუქოქავი საათი)

დაუქოქავი საათი ვითხოვ ღირსეულ წრეს. დროსთან გავმართე კამათი, დრო არ ჩერდება, წვეთს... წლები წინდანინ იწვევენ, ითხოვენ თავის წილს. ანგარიშს არც კი მიწვევენ. ცოტა არ იყოს მწყინს. წვეთენ წამები, ნუთები. დრო სისხლს და სახსრებს მწოვს. დროს ხომ ვერ გაებუტები? ხათრი არა აქვს დროს... აღარც ფიცი არ მწამს. არც მაკვირვებს ბოლო. შენზე ფიქრი დამწვავს, შე... ქალღმერთის ტოლო! არ ვიქნები ფიცხი. ერთ რამეს გთხოვ მხოლოდ: სხვას მიეცი ფიცი, მე მომეცი „ბოლო“...

(...ვინ სთქვა, რომ სდუმან პირამიდები?)

ვინ სთქვა, რომ სდუმან პირამიდები?! ისე გულწრფელად ვლაპარაკობდი... მეც მათთან ცრემლებს არ ვერიდები, გუშინ ასაკზე ერთად ვდარდობდი. გადაუქანცავთ არაფრის ლოდინს, რომ დავაწყნარო, რას არ ვპირდები... მაგრამ მორიგი ტურისტი მოდის და ჩუმდებიან პირამიდები... ოჰ, მატყუარა პირამიდები ჩემსა და ზეცას შორის ხიდები...



სიბლუსი

სიბლუსი — იზივია, რას პაპირუსი, გრაფილი, წიგნი

წვეთი კოფია

ვაჟას

მთები ყვირიან მთებისას,
ზღვები ზღვებისას ამბობენ,
სულში ბუღბუღნი დამუნჯდნენ
ტირიან, ველარ გალობენ.
ცაზე ვარსკვლავთა ჯოგები
სხივთა ჭენებას ღამობენ,
ისე შესცოდეს თვალებმა,
სიზმრებიც აღარ წყალობენ.

რა დავაძავე, ღმერთებო,
ღამედ რომ მანვეთ თავზედა,
ცას ვფიცავ, ღმერთი ერთი მყავს —
სული გაქრული ჯვარზედა.

მაშ დამეხსენით, ცოდვებო,
კლდიდან მოწყვეტილ ბოდვათა...
სიტყვას ვერ შემაცვლევინებთ —
სიტყვას დანთებულს ღოცვადა.



ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტავითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენილი თამარ ივანიძე

თ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-45

თექურა — უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი (იცინან ფშავში, თუშეთში).

თვალაკი (სპეც.) — სათვალთვლო ჭურჭრუტანა სხვადასხვა აპარატში.

თვალედი — ბადის მსგავსი.

თვალმისა — ღამაში თვალების პატრონი.

თვალსაწიერი (საუბ.) — უშორესი ადგილი, სადამდეც ადამიანის თვალი სწვდება; მხედველობის არე.

თვითნაბადი — ბუნებრივად ხალასი (სხვა რამესთან შეურეველი ლითონის ნაჭერი, მსხვილი მარცვალი (თვითნაბადი ოქრო)).

თვითრეული — თავნება, ჯიუტი, კრპი.

თაა — 1. ცხიმოვანი სიმსივნე; 2. ავადმყოფური ნუერი ხეზე; 3. კორძისებური გამაგრება რაიმე შენადნობზე, კერამიკულ ნაკეთობაზე.

თააქარი — რომელიმე შინაგანი ორგანოს (უმეტესად წვრილი ნაწლავის) მუცლის ღრუდან კანქვეშ გამოვარდნა.

თიფთიკი — 1. თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნის და ზოგი სხვა ცხოველის წვრილი და ნაზი ბალანი, ამოსული მქისე ფაცხის ქვეშ; 2. ამ ბუნვისგან დამზადებული ქსოვილი.

თითლიბაზი (ძვ. საუბ.) — პირფერი, ქლესა, ფარისეველი, ცბიერი.

თიკვი (კუთხ.) — იგივეა, რაც ჩვარი.

თილიბ თურქ. — მოხარშული, დაჭრილი თევზი, ძმარში ჩადებული.

თირი — 1. ნაცრისფერი, რბილი ქვა, რომელიც ითლება; ცეცხლზე არ სკდება, მისგან აკეთებენ კერას. ეძახიან მჭადაქვას; 2. მიწა ერთგვარი; მისგან აკეთებენ ქოთნებს, ქვევრებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ღათო ივანიძე




აკაკი წერეთელი

დიდი ქართველი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი — აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს სოფელ სხვიტორში (საჩხერის რაიონი), ზემო იმერეთის შეძლებული თავადის — როსტომ წერეთლის ოჯახში. დედა — ეკატერინე აბაშიძე — იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შვილთაშვილი იყო. პატარა აკაკიმ ბავშვობის წლები სოფელ სავანეში, გლენის ოჯახში, ძიძასთან გაატარა. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, რომელიც 1863 წელს კანდიდატის ხარისხით დაამთავრა... ლექსების წერა აკაკი წერეთელმა ჯერ კიდევ ყრობის ასაკში დაიწყო — 1859 წელს იგი უკვე რამდენიმე დაბეჭდილი ლექსის ავტორი იყო, ხოლო 1860 წელს გამოქვეყნებულმა ლირიკულმა ლექსმა — „საიდუმლო ბარათი“, რომელიც იმთავითვე სიმღერადაც გავრცელდა, ახალგაზრდა პოეტს პოპულარობა მოუტანა. მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, აკაკი წერეთელი არასდროს შესულა სახელმწიფო სამსახურში. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასა და მის მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, ქართული დრამატული საზოგადოების შექმნასა და მუშაობაში, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში, მნიშვნელოვანი პუბლიცისტური მოღვაწეობით. იგი რედაქტორობდა აგრეთვე სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს — „ხუმარა“, რომლის ანტიცარიტული და ეროვნული მიმართულების გამო დააპატიმრეს კიდევ ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელი სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში და სიტყვით თუ საქმით მიზან-

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა, და რომ ვინვოდე, ვდნებოდე, არ შემიძლია მეც განა?“

ააკაკი წერეთელი არასდროს შესულა სახელმწიფო სამსახურში. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასა და მის მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, ქართული დრამატული საზოგადოების შექმნასა



„ვინც რა უნდა სთქვას, ნუ დასდევ, შენვე ხარ შენი მსაჯული!“


და მუშაობაში, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში, მნიშვნელოვანი პუბლიცისტური მოღვაწეობით. იგი რედაქტორობდა აგრეთვე სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს — „ხუმარა“, რომლის ანტიცარიტული და ეროვნული მიმართულების გამო დააპატიმრეს კიდევ ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელი სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში და სიტყვით თუ საქმით მიზან-

დასახულად იღვწოდა ქართველი ხალხის სულიერი აღორძინებისათვის, მასში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის.

წერეთლის შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში. მან ახალი ეტაპი შექმნა ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებაში, რამაც პოეტს, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, კანონიერად დაუმკვიდრა ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის სახელი.

ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე შერაცხა იგი ჭეშმარიტად სახალხო პოეტად! აკაკი წერეთელი 75 წლის ასაკში (1915 წელს) გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

„ჭირნახულობა არის კაცის სიმტკიცე და გვირგვინი. თუ კაცი სულ ბედნიერებაში და ფუფუნებაში ყოფილა, ის სულით ვერ ამაღლებულა“.





კაქტუსის ბაღი

თამაზ ჯილაძე (ნაფიქარი რომანიძის)

ირინე ზოგჯერ თამაშობდა ხოლმე „უცნაურობას“, თუმცა, არც თავისი — ნამდვილი უცნაურობები აკლდა. მისი ყველაზე დიდი უცნაურობა წარმოუდგენელი გულახდილობა იყო! თავისი ცხოვრება ხომ წვრილად ჰქონდა მოყოლილი, თავის სიზმრებს, ოცნებებსა თუ ფიქრებსაც კი უმხელდა ქმარს, რომელიც ზოგჯერ, ასეთი გულახდილობით შეწუხებული, უხერხულ მდგომარეობაშიც ვარდებოდა. რამდენჯერ უთქვამს კიდეც, ნუ მიყვებიო, მაგრამ ამაოდ. ირინეს ლაპარაკი უყვარდა. იმდენად ხატოვნად ლაპარაკობდა, რომ ამ აშკარა ნაკლს მომხიბვლელადაც კი მოგაჩვენებდათ ხოლმე.

ერეკლეს, რა თქმა უნდა, აინტერესებდა ცოლის წარსული, მაგრამ დაუნდობელ გულახდილობას ისევ არცოდნა ერჩია. შეიძლება ითქვას, ერეკლემ ცოლის ყველა საიდუმლო იცოდა, გარდა... გარდა ირინესა და დათოს ურთიერთობისა.

ერეკლემ დათო ორჯერ ნახა, უფრო ზუსტად — ერთხელ თვითონ დათო, მეორედ კი დათოს სურათი ირინეს მედალიონში. ირინე არასოდეს ახსენებდა დათოს, თუმცა სხვა უამრავ ნაცნობ ბიჭზე ათასნაირ ამბებს ყვებოდა.

ხელი რომ მოანერგეს, სოხუმში წავიდნენ ერთი კვირით. სასტუმრო „აფხაზეთში“ ცხოვრობდნენ. მათი ფანჯრები ზღვისპირა ბაღს გადასცქეროდა. კარგი ამინდი იდგა. მთელი დღე სეირნობდნენ. კელასურში ის სახლიც მოინახულეს, სადაც ომის დროს ერეკლეს ჰოსპიტალი იყო მოთავსებული.

მათი სოხუმში ყოფნის მესამე დღეს მოხდა მოულოდნელი რამ — დათო ესტუმრათ! თუკი, რასაკვირველია, სტუმრობა შეიძლება დავარქვათ იმას, რაც დათომ მოიმოქმედა: დაუკითხავად, დაუკაკუნებლად შემოვარდა ნომერში, გაუპარსავი, ბინძური, ტანსაცმელშემოჩაჩული, გიჟივით მივარდა ირინეს, მუხლებზე დავარდა მის წინ, ფეხებზე შემოეხვია და მუნჯივით ალულლულდა, ერთმანეთთან დაუკავშირებელ, ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა განუწყვეტლივ. ირინე კი მის წინ დაჩოქილ ბიჭს ორივე ხელით ეფერებოდა გაბურძღვულ თავზე, როგორც უპატრონო ბავშვს ანდა ცხოველს; თითქოს იჩივებს, ამშვიდებსო და, მართლაც,



დათო თანდათანობით ემსგავსებოდა ადამიანს.

ერეკლე იდგა და უცქერდა. მოთმინებით იცდიდა, როდის დამთავრდებოდა ეს უცნაური სცენა. ირინემ წამით გამოიხედა, თითქოს მხოლოდ ახლა გაახსენდა, ისიც აქ რომ იყო, ამ ოთახში. „ეს დათოაო“ — უთხრა ქმარს საცოდავად მოღიმარმა და ისევ გადაუსვა დათოს თავზე ხელი, ოღონდ, ახლა უფრო მშვიდად, ნელა, თითქოს ფრთხილადაც.

დათო უკვე გონს მოსულიყო, დამშვიდებულიყო. რაკი, ბოლოს და ბოლოს, ეპოვა, აქვე ჰყავდა, მისი ხელის შეხებას გრძნობდა, შეეძლო თვითონაც შეხებოდა იმას, ვისაც გამწარებული დაეძებდა, ვისკენაც გაოგნებული, დაყრუებული, დაბრმავებული მოიღვტვოდა.

ირინემ ამოიკვნესა, მაგრამ შემკრთალმა ორივე ხელი პირზე აიფარა მაშინვე და ერეკლეს შეაჩერდა, იმიტომ კი არა, ქმრის რომ შეეშინდა, ანდა მოერიდა, არამედ მისგანაც თანაგრძნობას რომ მოითხოვდა დათოს მიმართ.

დათო კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. უთავბოლოდ ყვებოდა ყველაფერს, რაც ამ სამი დღის განმავლობაში გადახდენოდა თავს. უკვე იღიმებოდა კიდეც, ხელებსაც იშველიებდა ლაპარაკისას და მისი ჟესტიკულაციაც მშვიდი იყო, ჩვეულებრივი, თითქოს ახლობლების

წრეში (და ასედაც მიაჩნდა ალბათ!) რალაც სასიამოვნო ამბავს ყვებო. ოღონდ, ისევ დაჩოქილი იდგა ირინეს სკამის წინ. ირინე კი უკვე წამომდგარიყო და კედელს ზურგით აკრული, დაძაბული უსმენდა ბიჭს, რომელსაც ვერაფრით ვერ აეხსნა, რა მომხდარიყო, რას შეიძლებოდა გადაედგმევიწინებინა ირინესათვის ასეთი ნაბიჯი.

— როდის ჩამოხვედი? — ჰკითხა ირინემ.
— ამ დილით.
— გშია, ალბათ.
— ძალიან! — უპასუხა დათომ და ერეკლეს მიუბრუნდა, — ბუბამ რომ მითხრა, ირინე გათხოვდამო, კინალამ გავგიჟდი. ტელეფონის ჯიხურიდან ვერ გამოვედი, ფეხები მომეკვეთა. მილიციელს მთვრალი ვეგონე. ჯიხურში ვიჯექი. ირინე გათხოვდამო, წარმოგიდგენიათ?!

— როდის ელაპარაკებუბას? — ჰკითხა ირინემ.
— გუშინ.

— რატომ მანამდე არ დარევე? — იმიტომ, რომ... — დათოს უცებ ხმა აუკანკალდა, ცრემლი გაერია ხმაში, — იმიტომ, რომ... — ვერაფრით დაამთავრა სათქმელი.

— კარგი, კარგი, — დაუყვავა ირინემ. მივიდა, წინ ჩაუცუცქდა და მისი თავი მკერდზე მიიკრა, — კარგი, გეყოფა. რა დაგემართა, ბავშვი ხომ არა ხარ. რა გატირებს, — ერეკლეს გამოხედა, — ერეკლე, ნავალთ რა, ცოტა გავივდიო. გემსაც ვნახავთ. ხომ დამპირდი, გემს გაჩვენებო!

ერეკლემ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. ირინე და დათო კი არ გავიდნენ, გაცვივდნენ ოთახიდან.

ახლახან მის თვალწინ „გათამაშებულმა“ სცენამ, თავისი მოულოდნელობითა და გულწრფელობით, ერეკლე თუმცა გააოცა, მაგრამ, ამასთანავე, რალაცნაირად დამცირა და შეურაცხყო კიდეც.

ისე მოექცნენ, როგორც უნებლიე მოწმეს, შემთხვევით გამველეს, ანდა, თუნდაც, როგორც ირინეს უფროს ნათესავს, ძალიან კეთილსა და გამგებ ბიძას, რომელსაც ერთი სული აქვს, ეს მტრედებით მოყულურტულე ბავშვები როგორმე ერთმანეთს შეახვედროს.

ერეკლე ტახტზე მიწვა და გაზეთის კითხვა დაიწყო. მაგრამ გაზეთი მაშინვე გადააგდო. წამოდგა. საათს დახედა. თერთმეტი სრულდებოდა. ცოტა ხანს ოთახში იწრი-



ალა. ფანჯარასთან გაჩერდა. სასტუმროს წინ, დიდი პალმის ფონზე ექსკურსანტები სურათს იღებდნენ. ფანჯარას მოშორდა. სკამზე ჩამოჯდა. დიდხანს იჯდა ასე. არაფერზე არ ფიქრობდა. არადა, ახლახან მის წინ ირინეს მთელი წარსული ცხოვრება ამოტივტივდა, გვაძვივით. მართლაც, წყლიდან გამოთრეულს ჰგავდა უძინარი, სახელოჩამოგლეჯილი, ცრემლითა და ორთქლმავლის ჭვარტლით სახემოთხუზუნული დათო! ამ ცხოვრების შესახებ კი მან არაფერი იცოდა...

ნამოდგა და, თავისი ფიქრით, ქალაქში გასასეირნებლად წავიდა, ნამდვილად კი — ირინეს მოსაძებნად. დიდხანს ითრია ფეხი, მაგრამ ბოლოს მაინც ავიდა გემზე. მაშინვე დაინახა ისინი — მალალ სკამებზე შესკუპებულიყვნენ და კოქტილს წრუპავდნენ ლერწმის ჩხირებით. ბიჭს სახე წითლად დაღაქავებოდა, ეტყობა — სასმლისაგან. ირინესთან შედარებით — და ეს ახლა შეეცყო მხოლოდ — ბავშვივით გამოიყურებოდა. ახლოს რომ მივიდა — არ შეიძლებოდა, არ მისულიყო, რადგან ირინემაც დაინახა — ბიჭი სკამიდან ჩამოხტა და თავაზიანად მიესალმა, შემკრთალი და დაბნეული და ამიტო-

მაც, როგორც ჩანს, უკვე გონზე მოსულიც.

— ერეკლე, ისე კაცმა რომ თქვას, შენ აქ რა გინდა? — ღიმილით ჰკითხა ირინემ ქმარს.

— არაფერი, — უპასუხა ერეკლემ ღიმილითვე, — გემს ვათვალიერებ.

— კოქტილს დაღვე?
ერეკლე გამოტრიალდა და წამოვიდა.

ბრანზობდა — ბავშვივით მოვიქცეო. ასეთ სულელურ მდგომარეობაში არასოდეს ჩავარდნილა, თუმცა, არც ასეთი რამ განეცადა აქამდე. მათ წრეში ვინმეზე თუ იტყოდნენ, შეყვარებულიაო, ირონიულად ჩაიღიმებდა ხოლმე. ჩოსერის სიტყვების გამეორება უყვარდა: სიყვარული გმირთა ავადმყოფობააო. ამ ლამაზი სიტყვების შემადრწუნებელ სიმართლეს მხოლოდ აქ, სოხუმში ჩანვდა, ანუ, როცა საკუთარ თავზე გამოსცადა ეს ავადმყოფობა.

გვიანობამდე იარა ქალაქში. მთელი დღე ლუკმა არ ჩაუდია პირში. ნომერში რომ შევიდა, პირველი იყო დანყებული. ირინე ჯერ არ დაბრუნებულიყო. შუქი არ აუნთია. ისევ იმ სკამზე ჩამოჯდა, დილით რომ იჯდა.

კი მაგრამ, როდის მოასწრო ირინეს ასე შეყვარება?! ნუთუ შეიძლება თითქმის უცნობი ადამიანი ასე შეგიყვარდეს? თანაც ვინ? გოგო, რომელიც იმდენად უყურადღებოა, ვერც კი გრძნობს, თავისი ქარაფ-შუტობით რამოდენა ტკივილს გაცყენებს და იმდენად დაუნდობელია, ყოველ წამს გაგრძნობინებს, ბევრად მასზე უფროსი რომ ხარ ასაკით და იმდენად თავხედი, მაინც ისე გელაპარაკება, თითქოს ის ძიძა იყოს, შენ კი მასთან გასანვრთნელად მიბარებული ბიჭუნა. ნუთუ ეს არის სიყვარული — იჯდე სასტუმროს ბნელ ოთახში და აღარც კი გახსოვდეს, შუქი საერთოდ თუ არსებობს! სიბნელეში მარტოდ დარჩენილი არ უტყდებოდა თავს, ასე მიწასთან გასწორებული არასოდეს ვყოფილვარო და მაინც იმ ლამაზ მხეცს, ვინც ასე დაგამცირა, დაუფიქრებლად შესწირავდი სიცოცხლეს...

აქამდე, თურმე, არც კი უფიქრია, უყვარდა თუ არა ვინმე, თუნდაც ის, ვისთანაც კვირაში ორჯერ დადიოდა და ვისაც მისი პიჟამო, კბილის ჯაგრისი და სამართებელი სათუთად ჰქონდა შენახული.

ქართველი პროზის საგანძური

ტოპი №38
თამაზ ჭილაძე

ლეო ქინაჩილი
ვაჟა გიგაშვილი
გიორგი წარბაქიანი

თამაზ ჭილაძე
ქაშტუსის გავლი

38

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№1 ბურამ დონანაშვილი	№20 თამაზ გიგაშვილი
№2 მიხეილ ჯაფარიძე	№21 რევაზ ინანიძე
№3 ნოდარ დუმბაძე	№22 ნიკო ლომოური
№4 ილია ჭავჭავაძე	№23 ბურამ ფანჯარიანი
№5 ბურამ რეაზულიშვილი	№24 კონსტანტინე ბაშაშვილი (პარი-I)
№6 ვაჟა-ფშაველა	№25 კონსტანტინე ბაშაშვილი (პარი-II)
№7 რეზო შიშკიანი	№26 კონსტანტინე ბაშაშვილი (პარი-III)
№8 აბაქო წარბაქიანი	№27 ედიშანი ყიფიანი
№9 ბურამ გიგაშვილი	№28 ლავროსი არაგვისიანი
№10 ფაქოვ კლდიაშვილი	№29 მერაბ ელიოზიშვილი
№11 ოთარ იოსელიანი	№30 ალექსანდრე სახავერი
№12 ბრიგოლ აბაშიძე (ფიგნი-I)	№31 ნუზარ შატაია
№13 ბრიგოლ აბაშიძე (ფიგნი-II)	№32 უიარაღო (კონფრატე თათარიშვილი)
№14 არჩილ სულაკაური	№33 დემან შინგალიანი
№15 ნიკო ლორთქიფანიძე	№34 იაკობ გომეზაშვილი
№16 გომეზა ნოზი	№35 კოტე ჯანდიაი
№17 ლევან გომეზა	
№18 აბა მორჩილაძე	
№19 ვასილ ჯანდიაი	

წიგნის ფასი 3 ლარი!
18-დან - 25 ნოემბრამდე!

გამოიწერეთ **გზა** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ **„ელვაჯი“** ბელ: 38 26 73; 38 26 74



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-45

რუსუდან პერიკა

დილით ლაშა კარზე მორიდებულმა კაკუნმა გააღვიძა. მაშინვე ფეხზე წამოხტა, შარვალი ამოიცვა და კარი გააღო. ზღურბლზე შოთიკო იდგა.

— ბატონო ლაშა, დიდი ბოდიში, რომ გაგაღვიძეთ, მაგრამ ბიჭებმა სოფელში ვერტმფრენი დაინახეს. ჰოდა, მეც ვიფიქრე, რომ...

— სწორად იფიქრე! — გაანწყვეტინა შოთიკოს ლაფაურმა. — ახლავე ჩავიცვამ და იქ გავეჩნდები. იქნებ, გაგვიმართლოს და ქუთაისამდე წავაციყვანონ.

ლაშა ათიოდ წუთში, უკვე სოფლის განაპირას, შემალღებულ ადგილზე მდგარ ვერტმფრენს უახლოვდებოდა. ვერტმფრენიდან გადმოსული მფრინავები რალაცაზე გამალებით ბჭობდნენ. ლაშამ ორივე მაშინვე იცნო. ორიოდ დღის წინ სწორედ მათ ამოიყვანეს ის და ნათია წყალწმინდაში. ლაფაური შორიასხლოს გაჩერდა და ყური მიუგდო.

— ხომ გითხარი, მაღალი წნევის შლანგი გასკდებოდა-მეთქი, — ეუბნებოდა ერთი მეორეს, — კიდევ კარგი, აქამდე მაინც რომ ამოვალწიეთ.

— აბა-აბა, — კვერს უკრავდა მეორე, — დავენარცხბოლით მიწაზე და კარგად მეყოლე.

— ახლავე სათადარიგოს დავაყენებ და გზას გავაგრძელებთ.

ლაშა მფრინავებს მიუახლოვდა.

— გამარჯობა, ძემო.

— ჟურნალისტებს ჩვენი სალამი! — ლაშაც მაშინვე იცნო ერთ-ერთმა მათგანმა. — როგორაა საქმე, გადაიღე კინო?

— კი, ყველაფერი რიგზეა, — ახლა მეორე მფრინავს ჩამოართვა ხელი ლაფაურმა, — შემთხვევით ქუთაისში ხომ არ მიფრინავთ?

— არა, მთაში მივდივართ, გეოლო-

გები უნდა ჩამოვიყვანოთ.

— მალე დაბრუნდებით?

— სამ დღეში. თუ დაგველოდები, აუცილებლად ჩავიყვანთ ქუთაისამდე.

— როგორ არ დაგველოდებით, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა ლაშამ.

— რა იყო, ხომ არაფერი გაგჭირვებია, ბიჭო?

— არა, არაფერი, მაგრამ მთაში მეც რომ გამოგყვით და ერთ ადგილზე ჩამოსმა გთხოვოთ, ძალიან დიდ თავხედობაში ხომ არ ჩამომართმევთ?

— არც უმაგისობა იქნება, — გაელიმა ერთ-ერთ მფრინავს, — თან, ადგილსაც გააჩნია. თუ დამეხების შესაძლებლობა იქნა, კიდევ — ჰო, თუ არა და, ისე არაფერი გამოვა.

— „ეშმაკის კლდესთან“ მინდა, რომ მივიღე, — როგორც იქნა, გამოტყდა ლაფაური.

— შენც აგიბნიეს, ხომ, თავგზა აქურებმა?

— ჰო, მაგრამ დამაინტრიგეს.

— სულ ტყუილად დაილღები, — ჩაერია საუბარში მეორე მფრინავი. — იქ ქვების გროვის მეტი არაფერი დაგხვდება. რამდენიმე წლის წინაც ავიყვანეთ იქ ქუთაისელი ჟურნალისტები, მაგრამ ვერაფერი ნახეს.

— ეგეც ვიცი, მაგრამ მაინც საკუთარი თვლით მინდა, იმ ყველაფერს შევხედო.

— კარგი. იმ კლდესთან, უფრო სწორად კი მისი ბოლოდან ასე, კილომეტრ-ნახევარში, ერთი პატარა მოსწორებული ადგილი არის და იქ ჩამოგვამთ.

— კლდის ბოლოდან, ამბობთ?

— ჰო... თუმცა ის ადგილი ვისთვის თავია და ვისთვის კიდევ ბოლო.

— ???

— რა გაცეცხული მიყურებ? არ უთქვამთ შენთვის, იმ კლდეს, უფრო

სწორად კი ბუნკერს მეორე შესასვლელიც რომ აქვს?

— ჰქონდა, — შეუსწორა პირველს მეორე მფრინავმა.

— ჰო, ჰქონდა, — დაეთანხმა იგი.

— მართლა? — ყურები ცქვიტა ლაფაურმა.

— აბა, ტყუილად? ისე, იმ კლდის ძირში მოზრდილი ტბაც არის.

— ტბა? — ახლა კი მართლა გაოგნდა ლაშა, რომელსაც მაშინვე „კუდიანი მამოს“ სიტყვები, — გადაცურეთ წყალი და იპოვით კაცსო, — გაახსენდა.

— ჰო, ძალიან ლამაზი ტბაა, — კვერი დაუკრა პირველს მეორე მფრინავმაც, — ასე რომ, თუ სხვას ვერაფერს ნახავ, მისი სილამაზით მაინც დატკბები. თუმცა მთელი სამი დღე იქ რა უნდა გააკეთო, მაინც არ მესმის.

— თუ ვერაფერი ვნახე, დღესვე ფეხით დავბრუნდები უკან. ასეთ ადგილებში სიარულის პატარა გამოცდილება ნამდვილად მაქვს და თან რუკაც მიმაქვს, რომ გზა არ ამებნეს, — უპასუხა ლაფაურმა, რომლის გონებაც უკვე სულ სხვაგან ქროდა:

„აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, — ფიქრობდა იგი, — თუ ბუნკერს მართლაც აქვს სხვა შესასვლელი, მაშინ ყველაფერი ცხადი ხდება და აღარც ისაა გამორიცხული, არეშიძეს თავისი ახალი „ბუნაგი“ სწორედ კლდის იმ ნაწილში ჰქონდეს მოწყობილი.“

— კარგი, — ფიქრი გაანწყვეტინა მას მფრინავმა, — დავიძრათ და დანარჩენი მერე გამოჩნდება.

— მაშინ გავიქცევი და ჩემს ასისტენტსაც მოვიყვან.

— იმ ლამაზ გოგოს?

— ჰო.

— აი, იმის წამოყვანას კი მართლა არ გირჩევ.

— ვიცი, მაგრამ არ დარჩება. ძალიან ჯიუტია...

— სწინ საქმისა შენ იცი, ოღონდ, ცოტა სწრაფად, თორემ ისედაც დაგაგვიანეთ...

— მოეზადეთ, ვუახლოვდებით! — გააფრთხილა მფრინავმა ახალგაზრდები და შუაგულ ტყეში თითქოს საგანგებოდ მოსწორებულ ადგილზე ანიშნა: — სამი დღის შემდეგ, დაახლოებით დღის ორ საათზე, ზუსტად ამ ადგილს გადმოვუფრენთ. თუ დაგხვდებით, თან ნაგიყვანთ, თუ არა და ვიფიქრებთ, რომ სოფლამდე თავად ჩააღწიეთ, კარგი?

— კარგი, — თითქმის ერთხმად დაეთანხმნენ მას ლაშა და ნათია...

ლაფაურმა მიწაზე დაგდებული ზურგჩანთიდან რუკა ამოიღო და კარგა ხანს უკირკიტა.

— რაო რუკამ, რა გითხრა? — ჰკითხა მას ნათიამ.

— რაო და ეგ ჯიუტი გოგო აქ დატოვე, რომ მგლებმა შეჭამონ, შენ კი



სულ აღმოსავლეთით იარეო.

— რა, აქ მართლა არიან მგლები? — შეცბა ნათია.

— მარტო მგლები კი არა, მგლისფერი ტურებიც გუნდ-გუნდად დაშლივინობენ, — გაელიმა ლაშას. შემდეგ ზურგჩანთა მხრებზე სწრაფად მოიგდო და ადგილიდან დაიძრა. დამფრთხალი ნათიაც მაშინვე უკან აედევნა.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ ტყემ თითქოს გული გადაიხსნა და ათასფრად მოელვარე უღამაზესი ტბა გამოაჩინა.

— ღმერთო, რა სილამაზე! — აღფრთოვანება ვერ დამალა ნათიამ. — ნეტავ, ამ ტბის პირას ერთი კვირა მინც დამსვენა.

— ნუ გავიწყდება, აქ რისთვისაც ვართ ამოსულები. — წაოცნებებაც კი აღარ აცალა მას ლაშამ.

— მე არასდროს არაფერი მავიწყდება, — იწყინა გოგონამ და თან ხელი კლდისკენ გაიშვირა: — აბა, ერთი იმ ადგილს დააკვირდი, თვალი მატყუებს თუ მართლა რაღაც ნაპრაღივით მოჩანს?

ლაფაურმა გოგონას ხელს თვალი გააყოლა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ამიტომ ზურგჩანთიდან კამერა ამოიღო, მითითებული ადგილისკენ მიმართა და მაშინვე სისარულით შესძახა:

— არის!

— რა არის?

— რა და — გამოქვაბულში შესასვლელი.

კამერის დახმარებით მართლაც საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა კლდეში არსებული ვიწრო ნაპრაღი, თუმცა იქამდე მისვლა მხოლოდ ტბის გადაცურვის შემთხვევაში თუ იყო შესაძლებელი.

— ესე იგი ნამდვილად ნაპრაღია, ხომ? — დოინჯი შემოიყარა კმაყოფილმა ნათიამ. — და ეს მე მავიწყდება, აქ რისთვის ვართ ამოსულები?

— გავიწყდება კი არა, ნამდვილი გენიოსი მყავხარ! — შეაქო გოგონა ლაშამ. — ახლა მთავარია, როგორმე იქამდეც მივალწით. და აი, ისიც, რაც ამაში დაგვეხმარება, — კამერა ნათიას გაუნოდა: — ჩახედე, რა აღმოვაჩინე!

— რა? — კამერა სწრაფად გამოართვა ნათიამ და მალე მათგან ასიოდ მეტრის მოშორებით, ტბის ნაპირთან თითქოს საგანგებოდ მოწყობილ პატარა მისადგომთან, ორი ნავი დაინახა.

— ოღონდ, რომ არ შეგვნიშნოს, შებინდებას უნდა დაველოდოთ და ტბა მხოლოდ ამის შემდეგლა გადავცუროთ.

— ვინ უნდა შეგვნიშნოს?

— ვინ და არეშიძემ.

— ანუ იმის თქმა გინდა, რომ არეშიძე აუცილებლად იქ იქნება? — შეცბა ნათია.

— ოდნავი ეჭვიც კი აღარ მეპარება, რომ სწორედ იქ არის და გველოდება! — საკუთარ ნათქვამს ბეჭედი დაუსვა ლაშამ...

როგორც კი ნავი ნაპირს მოსცილდა, ნათია კანკალმა აიტანა, რადგან შებინდებულზე ისევ განვიმდა და საკმაოდ ცივი ქარიც ქროდა. მთლად რომ არ გაყინულიყო, ლაშამ მას ცალი ნიჩბის მოსმა აიძულა. და ის იყო, ასეთ საქმეს მიუჩვეველ გოგონას საბოლოოდ ძალა უნდა გამოსცლოდა, რომ ნავის ფსკერი მინას შეეხო.

— მადლობა ღმერთს! — ნიჩბს მაშინვე ხელი უშვა ნათიამ.

— შენ ჯერ ნავში დარჩი, — უთხრა მას ლაშამ, — ნაპირზე მარტო გადავალ და ვნახავ, რა ხდება.

— კარგი. ოღონდ დიდხანს არ დამტოვო, თორემ გაფიჩხული დაგხვდება.

ლაფაური უკან მალევე დაბრუნდა და გოგონას ნავიდან გადმოსვლაში დაეხმარა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მას ნათიამ.

— მივალთ და ნახავ.

— შიგნით შეხვედი?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჯერ შენ უნდა შეგიშვა.

— რა დროს ხუმრობაა? — იწყინა ნათიამ.

— ვინ გითხრა, რომ ვხუმრობ? — სიცილს ძლივსა იკავებდა ლაშა. — იცი, როგორ იქცეოდა ხოლმე პირველყოფილი ადამიანი?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს.

— დილით რომ გაიღვიძებდა, გამოქვაბულიდან ჯერ ცოლს გამოუშვებდა ხოლმე და თუ მას რომელიმე გარეული მხეცი არ შეჭამდა, მერე თვითონაც გამოდიოდა. ასე რომ, მეც დაახლოე-

ბით ასე მოვიქცევი, გამოქვაბულში პირველს შევიშვებ და თუ ის შლეგი არეშიძე არ შეგჭამს, მერე მეც შემოვალ...

ლაშას უადგილო ხუმრობით გაგულისებული ნათია ნაპრაღისკენ მართლა პირველი გავარდა, მაგრამ ლაფაურმა დროზე გადაუსწრო და უკან ამოიყენა.

ნაპრაღში გაძრომის შემდეგ ცოტა ხანს სიბნელეში იარეს, შემდეგ კი საიდანაც სინათლის შუქი გამოჩნდა. ლაშა და ნათია მაშინვე იქით გაემართნენ და მალე კლდეში გამოკვეთილ წრიულ დარბაზში აღმოჩნდნენ. დარბაზს რამდენიმე გასასვლელი ჰქონდა, რომელთაგან ერთს კარიც ება. კარს კარგა მოზრდილი ბოქლომი ედო.

— ეს კარი ბუნვერში გადის? — რატომღაც ჩურჩულით ჰკითხა ლაფაურს ნათიამ.

— ჯერ არ ვიცი, — უპასუხა ლაშამ, რომელმაც ბოქლომი საკმაოდ ოსტატურად გატეხა და შემდეგ ისევ ნათიას მიუბრუნდა: — ვერ მეტყვი, არეშიძემ თავის ბუნაგს ასე ადვილად გასატეხი ბოქლომი რატომ დაადო?

— არ ვვცი... — ძლივს ამოღერლა სიცივისგან აკანკალებულმა ნათიამ, რომელსაც იმ წუთში გათბობის მეტი აღარაფერი აინტერესებდა.

ამასობაში ლაშამ კარიც შეაღო და ახალგაზრდები შიგნით შევიდნენ.

ამჯერად ისინი კიდევ ერთ მოზრდილ დარბაზში, იქიდან კი სამზარეულოში, სააბაზანოში, კაბინეტსა და ორ საძინებელში აღმოჩნდნენ. მათდა გასაკვირად, დარბაზიცა და ყველა სხვა ოთახიც ზედმიწევნით თანამედროვე იყო მოწყობილი. სამზარეულოდან კიდევ ერთი კარი სათავსში გადიოდა, სადაც უზარმაზარ მაცივარში უამრავი პროდუქტი ინახებოდა.

დარბაზში დაბრუნების შემდეგ, ლაშა კედელთან მდგარ სტილიზებული ელექტრობუხარს მიუახლოვდა და ხელი მიაღო.

— ჯერ კიდევ თბილია. გამოდის, რომ სულ ცოტა ხნის წინ აქ ვილაც იყო.

— იქნებ, ჩაგვერთო? — ნაიჩურჩულა ნათიამ. — აქ ძალიან ცივა.

ლაშამ ბუხარი ჩართო და ორივენი მიეფიცნენ.


ცოტა გათბა თუ არა, ნათიას ისევ ლაპარაკის საღერლელი აეშალა:

— რა უნდა გავაკეთოთ, როცა არეშიძე გამოგვეცხადება?

— მაშინვე ფიშტო უნდა დავახლოთ, — გაელიმა ლაფაურს.

— ვითომ კი ხუმრობ, მაგრამ ჩვენ ხომ იარაღი არ გვაქვს?

— ამიტომ ფსიქოლოგიის





გაკვეთილების პრაქტიკაში გამოყენებას შევეცდები.

— და იმის იმედი გაქვს, რომ ამით ულევს გონებას დაუბრუნებ?

— ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დავაკლებ და ვნახოთ, რა გამოიძივა. სხვა გამოსავალი მაინც არ გვაქვს.

— ვითომ საერთოდ კი არის აქ?

— კი, აქ არის.

— საიდან ასკვნი?

— არსაიდან. უბრალოდ ვგრძნობ, რომ სადღაც აქვე ტრიალებს.

ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

ლაშა სადღაც აქვე ტრიალებს. ამის შედეგს ორივე გაჩუქდა და თავთავის ფიქრს მიეცა. ცოტა ხანში სავარძელში მოხერხებულად მოწყობილ ნათიას კიდევ ჩაეძინა. ლაშა კი ძილს გულმოდგინედ ებრძოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მთავარია, არ ჩამეძინოს. არეშიძემ მძინარეს არაფრით უნდა მომისწროს“. თუმცა საბოლოოდ დაღლამ მაინც თავისი გაიტანა და ლაშას უნდა ეგრძობა.

თუმცა სად გიჟი და სად ლაპარაკი? თვალსაც არ დაახამხამებს, ორივეს ისე გაგვისტუმრებს საიქიოში“.

მაგრამ არეშიძე მათ მოკვლას ნამდვილად არ ჩქარობდა. ის კი არა და ცოტა ხანში პისტოლეტი საერთოდაც ჯიბეში შეინახა, შემდეგ სველი ქურთუკი გაიხადა და სააბაზანოში გავიდა. ლაშამ და ნათიამ ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

— რას აკეთებს? — ჩურჩულით იკითხა ნათიამ.

— მგონი, შხაპს იღებს, — ჩურჩულითვე უპასუხა ლაშამ.

სააბაზანოდან მართლაც მკაფიოდ ისმოდა წყლის ჩხრიალის ხმა.

— მოდი, როგორც კი გამოვა, მაშინვე თავს დავესხათ და ხელები შევუკრათ, ანდა, თავში რამე ჩავარტყათ და გავთიშოთ, — ისევე აჩურჩულდა ნათია.

— მოიცა! — ხელის აწევით გააჩუქა ის ლაშამ. — მგონი, აქ მთლად ისე არ უნდა იყოს საქმე, როგორც ჩვენ გვგონია.

— რას გულისხმობ? — ვერ გაუგო ნათიამ, მაგრამ ლაშამ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო, რადგან სწორედ იმ წუთში სააბაზანოს კარი გაიღო და ზღურძელზე გრძელ პირსახოცის ხალათში გამოწყობილი არეშიძე გამოჩნდა.

— მაშ, ასე, — მიუახლოვდა ის ახალგაზრდებს, — თუ არ ცვდები, თქვენ ბატონი ლაფაური უნდა იყოთ, ხომ?

— ნამდვილად არ ცდებით, — უპასუხა ლაშამ, — თქვენ კი ვახტანგ არეშიძე.

— არც თქვენ ცდებით. მამაჩემთან მოსული რომ გნახეთ, მაშინვე მივხვდი, რომ ადვილად აღარ შემეშვებოდით. ამიტომაც სკრუპულოზურად შევისწავლე თქვენი ბიოგრაფია და ახლა უკვე მშვენივრად ვიცი, ვისთანაც მაქვს საქმე. აი, თქვენ კი პირველად გხვდებით, — მიუბრუნდა ის ნათიას.

— მე ნათია მქვია... — ძლივს ამოღერლა გოგონამ.

— ძალიან სასიამოვნოა, — თავი მდაბლად დაუკრა მას არეშიძემ, — და რადგან ერთმანეთი უკვე გავიცანით, დროა, სუფრასთანაც მიგიწვიოთ.

— როგორ? — გამოცემა ვერ დამალა ლაშამ. — ჩვენს გამაჰსინძლებასაც აპირებ?

— აბა, სხვა რა გზა მაქვს? — ხელები გაშალა მეცნიერმა. — მართალია, აქ არ მომიწვევიათ, მაგრამ რაკი მაინც ითავზედეთ და მოხვედით, მტარვალის ხომ არ ვარ, რომ შიმშილით სული ამოგხადოთ. თანაც მშიერ კუჭზე საუბარაც არ გამოგვივა.

— საუბარი?

— დიახ, საუბარი. განა, ამხელა გზა იმისთვის არ გამოიარეთ, რომ პირისპირ დამლაპარაკებდით?

— მართალი ბრძანდებით, — დეთანხმა ლაშა, — მე თქვენ ყველგან გეძებდით.

— მაშინ დროს ნულარ დავკარგავთ. არეშიძე სამზარეულოში გავიდა და სუფრის გაშლას ლილინ-ლილინით შეუდგა.

— ძალიან უცნაური ვინმეა, მაგრამ გიჟს მაინც არ ჰგავს, — ჩურჩულით გადაულაპარაკა ნათიამ ლაშას.

— ჯერ ძალიან ადრეა დასკვნების გამოტანა, — ჩურჩულითვე უპასუხა ლაშამ, რომელიც არეშიძის საქციელში რაღაც უცნაურ ხრიკს გრძნობდა.

— რაღას უცდით, მობრძანდით სუფრასთან, — გამოძახა მათ მეცნიერმა.

სამზარეულოში ახალგაზრდების შესვლის შემდეგ, არეშიძემ ღულტიდან დაბრუნული ქათამი გამოიღო. მაგიდაზე კი უკვე კიტრისა და პომიდვრის სალათით პირთამდე სავსე ღრმა ჯამი და პურის თევზი იდგა.

— მე ამ უდაბურ ადგილზე სრულიად მარტო ვცხოვრობ და ძირითადად კონსერვებითა და ნახევარფაბრიკატებით ვიკვებები, — ქათმის დაჭრა დაიწყო არეშიძემ. — მაგრამ ამჯერად თქვენთვის გამოწვალის დავუშვი და ამით აუცილებლად უნდა ისარგებლოთ.

ქათმის დაჭრის შემდეგ მეცნიერი სუფრას მიუჯდა და ჭამას შეუდგა. ნათიამ და ლაშამ კი ერთმანეთს კვლავ გაცემით გადახედეს. ისინი უკვე აშკარად ხედავდნენ, რომ მოკვლენები მათთვის სრულიად მოულოდნელი სცენარით ვითარდებოდა, რის გამოც შედეგების განჭვრეტაც სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. თანაც, დაბრუნებული ქათმის სუნი ჭამის გარდა, ყველა სხვა სურვილს იმდენად უზმოზდა, რომ სხვა რამეზე ფიქრს საერთოდაც ვეღარ ახერხებდნენ. ამიტომაც ცოტა კიდევ იყოყმანეს და შემდეგ თავადაც სუფრას მიუსხდნენ.

— მაშ ასე, — ტრაპეზის შემდეგ სკამის საზურგეზე ნებეირად გადნვა არეშიძე. — ახლა უკვე სხვა საქმეების მიხედვაც შეგვიძლია. მართლა, რაზე გინდოდათ ჩემთან საუბარი?

ლაშა ასეთ პირობებში საუბრისთვის მზად არ იყო და ამიტომაც ცოტა შორიდან დაინყო:

— თქვენგან ბევრი რამის გაგება მინდა...

— უფრო კონკრეტულად?

— თუნდაც იმის, თუ ჩემს მოკვლას რატომ ცდილობთ?

— თქვენს მოკვლას? — გაოცდა მეცნიერი. — საიდან მოიტანეთ?.. მართალია, ჟურნალისტები აბეზარ ბუზებს მაგონებენ და ამიტომაც დახანახად ვერ ვიტან, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ ყველა ბუზის განყვეტა უბრალოდ შეუძლებელია.

ამ პასუხმა ლაშა საბოლოოდ დააბნინა. „ეს კაცი ან ძალიან ნიჭიერი მსახიობია, — გაიფიქრა მან, — ან არადა, მახსოვრობის სრული დაბინდვის მომენტები აქვს და ახლა სწორედ ერთი ასეთი მომენტის მომზე ვარ. თუმცა



არსებობს მესამე ვარიანტიც“...

— გატყობთ, არ გჯერათ ჩემი, — ფიქრიდან გამოიყვანა ლაფაური არეშიძის მშვიდმა ხმამ.

— მართალი ბრძანდებით. ნამდვილად მიჭირს იმის დაჯერება, რომ ყველა ის ადამიანი, ვისაც თქვენ კარგად იცნობდით და ახლა ცოცხლებს შორის აღარ არიან, თქვენი ხელით კი არა, სრულიად შემთხვევით დაიღუპნენ.

— თუ პროფესორი ხერხეულიძე გყავთ მხედველობაში, ამ ამბის შესახებ მეც მსმენია და ვფიქრობ, რომ მასში მართლაც ბევრი უცნაური მომენტია.

— მე კი უცნაურს საერთოდ ვერაფერს ვხედავ, — უცბად ვა-ბანკზე წასვლა გადანყვიტა ლაფაურმა, — უბრალოდ, დიდი სიჩქარით მიმავალ ხერხეულიძის მანქანას ვილაცამ ხელყუმბარა ესროლა.

— ნამდვილად არ მესმის, ვის დასჭირდა ამის გაკეთება, — მხრები აიჩეჩა არეშიძემ, — ის ხომ ძალიან უწყინარი ადამიანი იყო...

— დარწმუნებული ვარ, მეორე უწყინარ ადამიანსაც კარგად იცნობდით, — სიტყვა „უწყინარს“ ხაზი საგანგებოდ გაუსვა ლაფაურმა, — თქვენს თანაკლასელ კოტე კოტრიკაძეზე მოგახსენებთ. როგორც კი მას თქვენს ბიოგრაფიასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა დაუფსვი, მამინვე გულის შეტევით გარდაიცვალა.

— მართლა? ეს ამბავი საერთოდ არ გამიგია.

— მაშინ ჩამოთვლას გავაგრძელებ.

— დიახ, ყურადღებით გისმენთ, — მართლა სმენად იქცა მეცნიერი.

— ფირმა „ომიგას“ თანამშრომელს, ვინმე ბატონ ისიდორეს ჩემთან შესვედრამდე მცირე ხნით ადრე გაუხვრიტეს შუბლი.

— ეს რომელი ფირმაა?

— რომელმაც თქვენზე ინფორმაციის შეგროვება დამავალა. და იცით, ყველაზე ნიშანდობლივი რა იყო?

— ნამდვილად არ ვიცი, — ისევ მხრები აიჩეჩა მეცნიერმა.

— ის, რომ ბატონი ისიდორე თაიგულით კი არა, პისტოლეტით ხელში მელოდა. ასე რომ, შემთხვევით რომ არ დაშვებოდა, იმ ბინაში ერთის ნაცვლად, ორ გვამს იპოვებდნენ.

— ეტყობა, მაგ ისიდორემ სწორედ ის მიიღო, რასაც იმსახურებდა, — დაასკვნა ფეხზე ნამოდგარმა შეფიქრანებულმა არეშიძემ და სამზარეულოში ბოლთის ცემას მოჰყვა, — განაგრძეთ.

— კი, ბატონო, ვაგრძელებ. ამის შემდეგ ჩემი მოკვლა კიდევ რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ ბედმა გამიღიმა და გადავრჩი. აი, თქვენს დიდი ხნის

ნაცნობ ლალი პეტრიაშვილს კი ნამდვილად არ გაუშართლა და ჩემთან შეხვედრის შემდეგ შხამიანი სოკოთი მოინამლა.

— როგორ?! — თვალები გაუფართოვდა მეცნიერს. — ლალიკო ცოცხალი



ლი აღარ არის?

— სამწუხაროდ, არა. ის და დედამისი ერთად დაიღუპნენ. დაბოლოს თქვენი კოლეგა გრიგორი კუზმინი...

— ისიც?

— დიახ, ისიც. და ცოტა უცნაურად მაინც არ გეჩვენებთ, ყველა ეს უბედურება თქვენს სახელთან რომა დაკავშირებული?

— ნამდვილად უცნაურია, — როგორც იქნა, ბოლთის ცემა შეწყვიტა არეშიძემ და ლამას წინ შეჩერდა, — მაგრამ პასუხად მხოლოდ იმის თქმა თუ შემიძლია, რომ ამ ყველაფერთან არანაირი კავშირი არ მაქვს. ის კი არა და, უკვე მეც ძალიან მაინტერესებს, სინამდვილეში რა ხდება.

„მე კი მხოლოდ ის მაინტერესებს, შენს გაცხელებულ ტვინში რაღა ხდება“, — გაიფიქრა ლაფაურმა და მეცნიერს თვალი თვალში ჯიქურ გაუყარა, თუმცა არეშიძეს წარბიც კი არ შეუხრია.

— მაგრამ რას ვიზამთ, — განაგრძო მან შემდეგ, — ასეთია ცხოვრება. და რადგანაც ამჟამად ჩემი სტუმრები ხართ, მოდი, ცოტათი მაინც გაგახალისებთ და ექსკურსიაზე წავიყვანთ. მით უფრო, რომ ქალბატონს აშკარად მოსწყინდა ჩვენი უსაგნო ლაპარაკის მოსმენა. ასე არ არის? — მიუბრუნდა ის ნათიას.

— მე? — დაიბნა ნათია. — მე არ ვიცი...

— სამაგიეროდ, მე ვიცი და წამომყევით.

არეშიძემ ახალგაზრდები სათავსში გაიყვანა და ლამას კედელთან მდგარი მაცივრის გამონევაში დახმარება სთხოვა. მაცივრის უკან კიდევ ერთი კარი გამოჩნდა. მეცნიერმა ის სწრაფად გააღო და სამივენი შიგნით შევიდნენ.

— ეს გენერატორია, — „ექსკურ-

სია“ დაიწყო არეშიძემ, — რომელიც გაზზე მუშაობს. ყველა ოთახიც ამ გზით თბება. ამ ოთახის იქით კიდევ ერთი ოთახია, სადაც სპეციალურ კონტეინერებში გაზის ბალონებია მოთავსებული. ეკონომიურად ხარჯვის შემთხვევაში (მე კი სწორედ ასე ვიქცევი), ბალონები მთელი ზამთარი მყოფნის. ისე, დიდად არც გენერატორის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, რადგან სათადარიგოც მაქვს. ასევე მაქვს აკუმულატორის ელემენტებიც. თუმცა ისინი მხოლოდ ერთი ან ორი საათის ინტენსიურ მუშაობას თუ უძლებს.

— ეს ხომ ნამდვილი ფანტასტიკაა! — შესძახა გაოცებულმა ნათიამ. — მაინც როგორ მოახერხეთ ამ ყველაფრის აქამდე ამოტანა?

— კარგი შეკითხვაა, — შეაქო მეცნიერმა გოგონა, — ბევრი რამ აქვე დამხვდა, მეორე მსოფლიო ომის დროს

ხომ აქ ყოველმხრივ აღჭურვილი ბუნკერი იყო, ზოგიც მე მოვიმარაგე. ახლა სხვა ოთახებში გადავინაცვლოთ.

ამის შემდეგ არეშიძემ ქალ-ვაჟი საკუთარ კაბინეტში შეიყვანა, სადაც საოფისე მაგიდა, მაგიდაზე კი კომპიუტერი იდგა. კედლებთან მიდგმული თაროები წიგნებით იყო გადაჭედილი.

— აქ, რა თქმა უნდა, ტელეფონი არ არის და ამიტომაც მხოლოდ კომპიუტერით ვსარგებლობ და ჩემთვის საჭირო ყველა ოპერაციასაც ამ გზით ვახორციელებ, რაშიც თანამგზავრული ანტენა მეხმარება.

— პროდუქტებსაც კომპიუტერით ხომ არ იწერთ? — გაეღიმა ნათიას.

— პროდუქტებსა და ჰიგიენურ საშუალებებს რაც შეეხება, დროდადრო ბარში ჩავდივარ და იქ ვყიდულობ. თუმცა აქ უამრავი ნაირ-ნაირი კონსერვი და სხვა კარგად შენახული პროდუქტიც დამხვდა და დღემდე ვერაფრით გამოვლიე. კომპიუტერი კი, პირველ რიგში, მთელი მსოფლიოდან ინფორმაციის მისაღებად მჭირდება. ერთ დროს კომპიუტერული პროგრამებითაც აქტიურად ვიყავი გატაცებული და...

— საკუთარი პროექტი თუ დაასრულეთ? — გაანყვიტინა უეცრად ლაფაურმა.

არეშიძისთვის ეს კითხვა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გაოცება ველარაფრით დამალა:

— ესე იგი, თქვენთვის ესეც ცნობილია?

— დიახ.

— მაშინ მართლაც კარგად გარჯილხართ. ამიტომ შრომას დაგიფასებთ და მეც ყველაფერს გულახდილად და ბოლომდე მოგიყვებით...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რომანტიკა

თუ

დანაშაული?

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი ის „გზა“ №31-45

რაც შეიძლებოდა, მშვიდად გამოვედ-
დი სამდივნოში, მარიკას გვერდი
აუფარე, ჩანთას დავაველე ხელი და დერე-
ფანში გავვარდი.

— ლოლა, რა ხდება? — მარი უკან
გამომეკიდა.

— მერე გეტყვი, — მშრალად ვუთხ-
არი და კიბზე კისრისტეხით დავეშვი.

არ ვიცოდი, მან ჩვენი საუბრიდან
რა მოისმინა და ეს მანუხებდა. არ მინ-
დოდა, არაფრის გამო ეეჭვიანა და ჩემზე
გაგულსებულებოდა, ამიტომაც ავირიდე
თავიდან, მისთვის ყველაფერი ამეხსნა.

ვესტიბიულში ჩასულს გასასვ-
ლელთან დამხვდა, როგორც ჩანს,
ლიფტით ჩამომასწრო.

— სანამ არ მეტყვი, რა გჭირს, არ
გაგიშვებ, იცოდეს! — წინ გადამიდგა.

— ისეთი არაფერი... — თვალი ავ-
არიდე.

დაცვის თანამშრომელი გაცემული
მოგვჩერებოდა.

— რას ეძახი შენ არაფერს? ადამი-
ანის სახე რომ არ გაქვს და ფერი აღარ
გაღვეს, ამას?

არ ვიცოდი, რა მეთქვა. შევხედე.
ჩემზე გაბრაზებული არ ჩანდა, მისი
გამოხედვიდან თანაგრძნობა უფრო გა-
მოსჭვიოდა, ვიდრე აგრესია... ან
ზიზლი... ან სიმშუღილი.

— აქედან მივდივარ, — ძლივს გასაგ-
ონად ვთქვი, ნიკაპი მიკანკალებდა
აღლევებულს, ტუჩები მომებრიცა, ისე
მეტირებოდა. ძლივს ვიკავებდი თავს.

— გაგიჟდი? სად მიდიხარ, რატომ,
რისთვის?! რა გითხრა ამისთანა, გამ-
აგებინე! ვისზე გელაპარაკებოდა, ნიკა-
ზე?

— ჰო... — მოკლე პასუხს ვცემდი,
რომ ცრემლები შემეკავებინა.

— და რაო, გაუტყდა, მენეჯერად
რომ დაგნიშნა? თვითონაც ხომ იყო
თანახმა?

— აქ ცოტა სხვა პრობლემაა, მარი,
ახლა მიჭირს ამის ახსნა, — ტირილნარე-
ვი ხმით ვუთხარი.

— მაშინ დამიცადე და მეც გამო-
გყვები.

— შენც არ გაიფუჭო საქმე, იქნებ
არ ღირს?

— რა საქმე უნდა გაიფუჭო, დამე-
ლოდე, ჩანთას გამოვიტან.

სხვა რა გზა მქონდა, მანქანაში ჩავჯე-
ქი და დაველოდე. ცოტათი დავეშვიდ-
დი. ყელში მოხეწნილი ცრემლებიც დიდი
გაჭირვებით უკან „ჩავაბრუნე“. სანამ
მარიკა ჩამოვიდოდა, თედოს მესიჯი
მომივიდა, იმ გოგოსთან ჩვენზე არაფერი
წამოგცდესო... გაიძვერა! ერთდროუ-
ლად ორი კურდღლის დაჭერა მომინ-
დომა! ეს როგორ ვაპატიო? მაგრამ
მარიკას რას ვერჩი? იქნებ ჩემი
თამაშიდან გასვლით უფრო აანყოს
მასთან ურთიერთობა? ჩემთან რომ
არასდროს არაფერი გამოუვა, თედომ
ეს კარგად იცის, მით უმეტეს, მას შემ-
დეგ, რაც ჩემი და ნიკას ამბავი გაიგო.
ჰოდა, მარისთვის გადამილოცია ბურ-
თი და მოედანი. მთავარია, ჩემზე არ
იეჭვიანოს.

— დავიბარე, საქმე მაქვს და ცოტა
ხნით გავალ-მეთქი, — ქაქანით მოიხუ-
რა მარიმ კარი.

ცალკეად გავუღიმიე და მანქანა
დავძარი.

— სად მივდივართ? — ჩანთა მუხ-
ლებზე დაიდო მარიკამ და სავარძელზე
მყუდროდ მოკალათდა.

— ბანკში უნდა გავიარო, ბებიაჩემ-
მა ფული გამომიგზავნა და გამოსატანი
მაქვს.

— თან მელაპარაკე, დროს მოვიგებთ,
მალევე უნდა მოვბრუნდე უკან.

— არც ვიცი, საიდან დავინყო, მარი...
— რამდენიმე წამით შევეყოვნი. — შენი
არ იყოს, ჩემსა და ნიკას შორისაც
ყველაფერი მოხდა... სხვათა შორის,
სწორედ იმ ღამეს, შენ რომ თედოსთან
„იყოჩაღე“! — ბოლო სიტყვები ხაზ-
გასმით წარმოვთქვი.

— რას მელაპარაკები! — შეიცხადა,
— როდის მოასწარით დაახლოება? ან...
სად ნახე, ან თვითონ როგორ დაუშვა
ასეთი რამ, ეგ ხომ თანამშრომელ ქალებს
სათოფეზე არ ეკარება?

— როგორც ჩანს, ეკარება. აბა, რა
გითხრა... შეიძლება, ჩემი სახით გამონაკ-
ლისი დაუშვა.

— ეგ კარგი, მაგრამ თედოს რა
უნდოდა?

სწორედ ეს შევითხვა მაშინებდა,
თუმცა უკვე მომზადებული მქონდა
პასუხი.

— თედოს გული შესტკივა ჩემზე,
თავისას მიაღწია და ამიტომ დაგნიშნა
მენეჯერად, თანამდებობის ჩუქებით
მასთან ინტიმური ურთიერთობის გაგრ-
ძელების საფასური გადაგიხადაო.

— მაგრამ... მან საიდან გაიგო?

— მისთვის ეს პირველი არ არის,
ყველა თავის ქალს ასე დაურიგა თან-
ამდებობა და მივხვდიო.

— რალაც არ მჯერა ეგ, ლოლა...
მსგავსი არაფერი გამიგია. რამე ისეთი
რომ ყოფილიყო, ვილაცას მაინც წა-
მოსცდებოდა... ქების მეტი არაფერი
მსმენია მეტრეველებზე... არასდროს.

— ეგენი მეგობრები არიან და ყვე-
ლაფერი იციან ერთმანეთზე, ამაშია
საქმე.

— რა ვიცი, რა ვიცი. შენ მაინც ნუ
გადიარევი წინასწარ, აწონ-დანონე ყვე-
ლაფერი და წამითაც არ იფიქრო სამ-
სახურის მიტოვებაზე, გაიგე?

— ჯერ ნიკასთან უნდა გავარკვიო
რალაც-რალაცები.

— ნუ დაძაბავ სიტუაციას, მთლად
არ გააფუჭო საქმე. ჩემი რჩევა ეს იქნე-
ბა. თვითონ რას გეუბნება ნიკა, მას
მერე რამე შეიცვალა?

— მას მერე რა, სულ ორი დღე
გავიდა. იქ ვიტალის გამოუჩნდა პრობ-
ლემა. მითხრა, ამის გამო ვერ მოვედი
და ვერ მოგაქციე ყურადღებაო... მეტი
არაფერი.

— აი, ხომ ხედავ! აბა, მე რას გეუბ-
ნებოდი! ეგ არ არის იმ კატეგორიის
კაცი, ქალს ცუდად მოექცეს. დარწმუ-
ნებული ვარ.

— ახლავე გამოვალ, აქ დამელოდე!
— მანქანა ბანკის შერობასთან მივაციე
და გადავედი.

გამიმართლა, რიგი რომ არ იყო.
უპრობლემოდ ავიღე ფული, სუთასი
ევრო გადავასურდავე, იქიდან ორასი
ლარი მამას გადავუგზავნე და მალევე
მოვბრუნდი, თუმცა ამ მიღება-გაგზავ-
ნაში ბლომად კი წამლლიტეს პროცენ-
ტი.

— იცი, რა? მე უკან დავბრუნდები,
სამსახურში, მეტი რაღა უნდა ვილა-



პარაკოთ და... თუ გინდა, საღამოს გამოგივლი ან შენ გამოდი ჩემთან.

— ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, მარტო მირჩევნია ყოფნა. წავალ და დავიძინებ. საშინლად ვარ დაღლილი, ცალკე ემოციებისგან, ცალკე უძილობისგან. მაპატიე, რა.

— კარგი, მაშინ ხვალ სამსახურში შევხვდებით. მთავარია, არაფერზე ინერვიულო და რამე სისულელე არ ჩაიდინო, გესმის? — მარიმ მკოცა და მანქანიდან გადასვლა დააპირა.

— მოიცა, მიგაბრუნებ უკან, სად გარბიხარ?

— არა უშავს, ჩემით წავალ, რა პრობლემაა.

არ დაუფერე, ფეხით სად უნდა ინანწალო-მეთქი და სამსახურამდე მივიყვანე, მერე კი მთელი სისწრაფით შინისკენ გავექანდი. ერთი სული მქონდა, როდის დავეგდებოდი სანოლზე, რათა გემრიელად მეტირა...

ზარის ხმამ გამომადიქა. ფანჯარას გაფხედე, დალაშქრდი. ნეტავ, საათის რომელია? ვინ უნდა იყოს? ნუთუ ნიკაა? შეშლილივით წამოვხტი სავარძლიდან, სადაც ჩამძინებოდა და ჰოლში გავევარდი. სათვალთვალში ქალის სილუეტი დავლანდე, თუმცა სიბნელეში ვერ გავარჩიე, ვინ უნდა ყოფილიყო. „აღბათ მარიაა“, — გამიელვა გონებაში და კარი გამოვადე. ჩემს გოცნებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სადარბაზოში უცნობი ნაცნობის ღიმილი „შემომფეთა“.

ჩემი ბინის ზღურბლთან სწორედ ის ქალბატონი იდგა, ვინც ნიკას სტუმრობდა ხოლმე „მოცალეობის უამს“. დაბნეულობა და გაკვირვება ერთდროულად გამომეხატა სახეზე, რაც სტუმარს არ გამოჰპარვია.

— მაპატიეთ, რომ განუხებთ... ვიცი, გვიანაა, მაგრამ ვიფიქრე, ჯერ არ ეძინებამეთქი... ხელს ხომ არ შეგინშლით?

— არა, რა თქმა უნდა... მობრძანდით, — უნებლიეთ შემოვიპატიჟე დაუპატიჟებელი სტუმარი.

— დიდ დროს არ წაგართმევთ. თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, იქნებ წყალი დამალევინოთ, — მთხოვა ქალმა.

უხმოდ გავდექი განზე და ჩემი მეტოქე წინ გავატარე, თან გულდასმით შევათვალიერე. არ იყო ურიგო ქალი. გარდა იმისა, რომ ლამაზი ნაკვთები და თვალში საცემი ფიგურა ჰქონდა, კარგად მოვლილიც იყო, თუმცა „კოსმოპერაციების“ ნამდვილ ქარიშხალს გადაეღვლო მის სახეზე. ცხვირი, ტუჩები, თვალები — ყველაფერი „გადამუშავებული“ ჰქონდა.

სასტუმრო ოთახში შევიყვანე, მე კი სამზარეულოდან ჭიქა წყალი გამოვუტანე.

— ყავას ხომ არ დალევთ? — ვკითხე, როცა წყურვილი მოიკლა...

სწყუროდა კი? იქნებ ეს მხოლოდ ჩემთან გამოლაპარაკების საბაბი იყო?

— არ მინდა, შეგანუხოთ, ისედაც დაუკითხავად შემოგეჭერთ, — მომიბოდიშა.

— რას ამბობთ, რა შენუხებაა, ახლავე მოვადულე.

ერთი სული მქონდა, როდის მეტყოდა, რისთვის მესტუმრა, რა იცოდა ჩემ შესახებ, ამიტომ, ცოტა არ იყოს, ავნერვიულდი.

ტკბილი სუფრა გავშალე და ყავაც მოვიტანე. მადლობა გადამიხადა, ტყავის თხელი ქურთუკი გაიხადა და სავარძელში ჩაჯდა, სწორედ იქ, სადაც მეძინა ცოტა ხნის წინ.

— მე სოფო მქვია, — ღიმილით გამეცნო და მალალი მკერდი წინ გამოზნიქა.

ამის გაგონებაზე შემაჟრჟოლა, რადგან დღეს უკვე მეორედ მესმოდა ეს სახელი. „სოფოს დირექტორობა აჩუქა და ყველა საწყობი გადააბარა“... თითქოს ახლაც ყურში ჩამძახოდა თედო.

— სასიამოვნოა. მე ლოლა ვარ, — ხელი გავუწოდე.

— ვიცი, ჩვენ ხომ ძალზე უხერხულ სიტუაციაში შევხვდით ერთხელ ერთმანეთს, — მორცხვი ღიმილი დააყოლა ნათქვამს.

— თქვენთვის უხერხულ სიტუაციაში, — შევუსწორე ჩემს „მთავარ“ მეტოქეს და ნიშნის მოგებით ავნიკებე



წარბები, ჩემდა უნებურად გამოვხატავდი მის მიმართ აგრესიას, თუმცა უწყინარს, თუ შეიძლება, ასეთიც არსებობდეს.

— ჰო, რა თქმა უნდა... თქვენ არაფერ შუაში იყავით... რა იცოდით, იმ ღამეს იქ მე თუ დაგხვდებოდით...

რა გემრიელი ნამცხვარია, თქვენ გამოაცხვეთ? — სხვა რამეზე გადაიტანა საუბარი.

— არა, დაბლა, საცხობში ვიყიდე.

— გემრიელია... — სოფომ მადიანად მიირთვა ერთი ნაჭერი, მერე კი ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი დააძრო, — მოწვევა შეიძლება?

— კი, როგორ არა, რამდენიც გნებავთ, იმდენი მოსწიეთ, — „ნება დავრთე“ და კვლავ სამზარეულოში გავედი საფერფლის მოსატანად.

— ნიკა ვერ იტანს მწველ ქალებს, მაგრამ რა ვქნა, თავს ვერ ვანებებ. ვცდილობ, ნაკლები მოვნიო, ვცდილობ, ვცდილობ და არ გამომდის, — თავისი ასაკისთვის შეუფერებლად გაიცინა, რაც სრულებით არ მოუხდა. მისი ხელოვნური ახალგაზრდული „ვიკსისის“ მიღმა წლებით „დატირებული“ ასაკი იმალებოდა, — ის კი ცოფდება ამაზე. თქვენ არ ეწვევით?

— არა, არ ვწვევი.

— კარგია, რომ ამ საზიზღრობას თავს არ აკვლევინებთ. გგონიათ, არ ვიცი, რამხელა ზიანი მოაქვს ჯანმრთელობისთვის? სილამაზისთვისაც, სხვათა შორის, მაგრამ არ მყოფნის ნებისყოფა და მომკალი თუ გინდა... არც არასდროს ეწვოდით?

— არა, არასდროს, — თავი გადავაქნიე.

— ბედნიერი ქალი ყოფილხართ. რამდენი წლის ხართ, ლოლა?

— ოცდასამის, — მსწრაფლ შევაგებე პასუხი, — თქვენ?

ოოო! როგორ მაინტერესებდა, რას მიპასუხებდა.

— თქვენი აზრით, რამდენის ვიქნები? — გამეპრანჭა.

— აბა, რა გითხრათ... ორმოცზე ცოტა მეტის, არა?

— ოცდაცხრამეტის ვარ, — გულგატეხილად მიპასუხა, მზერა ამარიდა და მიხვდით, მატყუებდა. ალბათ შვიდი-რვა წელი მაინც „მომიტეხა“, თუ მეტი არა. ამავედროულად, წირი წაუხდა, ალბათ არ ელოდა, ამდენს თუ „მივუსჯიდი“.

— იცით... — სიტუაციის გამოსწორება ვცადე, რაში მჭირდებოდა მისი წყენინება. — თქვენ პლასტიკური ოპერაცია გაქვთ გაკეთებული, ხომ მართალია? ეს კი, ჩემი აზრით, უფრო მატებს ასაკს ქალს... თვალები გაქვთ გადაჭიმული, ამიტომაც ვიფიქრე...

— არა უშავს, არა უშავს. მერე რა? მე არ მწყინს, როცა ამას მეუბნებიან, თუმცა თქვენ პირველი ხართ, ასე რომ



„დამაბერა“, სხვების აზრი ოცდაათსა და ოცდათხუთმეტს შორის მერყეობს ხოლმე.

— მაპატიეთ...

— არა გრცხვენიათ? საბოდიშო არაფერია... ისე, თქვენც შედარებით დიდი ჩანხართ თქვენს ასაკთან... — მორიელივით მიკბინა.

— მე იმ ასაკში ვარ, რომელსაც დამალვა არ სჭირდება, — მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმიე, — თუმცა კი მისხარია, უფრო დიდი რომ ვჩანვარ, ვერ ვიტან ჩემი ასაკის ქალებს, — გავთქვი ჩემი საიდუმლო.

— უი, რას ამბობთ! საბედნიეროდ, ახალგაზრდა ხართ, მაგას რა გათქმევინებთ. ნეტავ, ახლა თქვენი ხნის ვიყო... ეჰ, რა წლები დავკარგე...

— გათხოვილი ხართ? — ეს თემა ჩემთვის ერთობ საინტერესო გახლდათ.

— ვიყავი ერთ დროს. სამი წელია, გავშორდი... ქალიშვილი მყავს, ოცდაექვსი წლის, ახლახან გავათხოვე. ღიმილი ვერ შევიკავე. ამხელა გოგო თუ ჰყავს, ოცდაცხრამეტის როგორ იქნება? არც დაუფიქრდა, ისე მითხრა.

— თითქმის ბავშვი ვიყავი, ოჯახი რომ შევექმენი, — სასწრაფოდ გამოასწორა შეცდომა, — მთლად ბავშვი.

— გასაგებია.

— ჰო, მართლა, ამ დღეებში ნიკა ხომ არ გინახავთ? — მოულოდნელად შეცვალა საუბრის თემა, ალბათ იმის შიშით, ჩემი ასაკის გამოცნობას არ ჩაუღრმავდესო.

ელდა მეცა, ეს რომ მკითხა, ერთიანად გავწითლდი. მეგონა, მამონებდა, თუმცა ვერ შევატყვევე, ჩემს გამოსაცდელად დასვა ეს შეკითხვა, თუ ისე, ცნობისმოყვარეობისთვის. ან კარგი მსახიობია, ან მართლა არაფერი იცის.

— თქვენი აზრით, უნდა მენახა? — სხეული დამეჭიმა, სანამ პასუხს გამეცმდა. — რატომაც არა, თქვენ ხომ მის ბინას ალაგებთ, — სრულიად გულწრფელად მითხრა.

აი, თურმე, რა ხდება... ამას მე ნიკას მოსამსახურე ვგონივარ! ჰმ... რა კარგად მოუფიქრებია ვაჟბატონს გამოუვალი სიტუაციიდან თავის დასაძვრენად!

— მხოლოდ მაშინ ვალაგებ, როცა გასაღებს მიტოვებს, — გამოვაცხვე „ისტორია“, — კვირაში ერთხელ... ან ორჯერ.

— და ამ კვირაში?

— ეს კვირა ხომ დღეს დაიწყო... — ვიპოვე გამოსავალი, — ამიტომ ჯერ არ შემხმინებია. დღეს-ხვალ გამოჩნდება ალბათ.

— მე კი ვეძებ და ვერ მივაგენი. ტელეფონს არ პასუხობს, აქ არ არის. წუხელაც მოვაკითხე, ამ საღამოსაც და არ ჩანს. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, სამსახურში ხომ არ მივალ? არ უყვარს გეგით რაღაცები. სასტიკად გამაფრთხილა თავიდანვე, სამსახურში არ მომაკითხო და სახლში არ დამირეკო.

— არც სამსახურშიო? — უნებლიეთ გამექცა კითხვა.

— სამსახურშიც არ ვურეკავ, ესეც ამიკრძალა, არ მინდა, ვინმეს სალაპარაკო გახდეს ჩვენი ურთიერთობაო, მხოლოდ მობილურზე ვუკავშირდები ხოლმე, მაგრამ ახლა მობილურზეც არ მპასუხობს. არ ვიცი, რა დაემართა. ერთი ზარის გამოშვება რა გახდა ან მესიჯის გამოგზავნა? მოვკლავ, რომ ვნახავ.

„რა ჩემნაირად მეტყველებს, ნუთუ მეც სხვა ქალებს ვგავარ?“

— მგონი, მეგობარი გაუხდა ცუდად და მაგაზე დარბის, წამლის დოზა მოსვლია ბევრი, — შემეცოდა სოფო და კარტების ნელ-ნელა გახსნა დავიწყე.

— მართლა? თქვენ საიდან იცით?

— ჩემი დაქალი მასთან მუშაობს.

— თქვენი დაქალი? რომელი?

კიდევ ერთხელ გადამიარა ალმურმა სახეზე... მგონი, ესეც ჩვენი მუშაობს!

— თქვენ არ გეცოდინებათ, ჩემი მეგობარია...

— იქ ბევრს ვიცნობ, მეც ხომ მაგის დაქვემდებარებაში ვმუშაობდი ადრე.

— მართლა? — თავი გავისულელე, — რა თანამდებობაზე?

— ნიკას სანყოფნებს ვკურირებდი, დირექტორი ვიყავი, მაგრამ იმდენად უნიჭო ვარ ვაჭრობის ამბავში, რომ კინაღამ გავუფუჭე საქმე. მერე მითხრა, მოდი, თავი დაანებე მუშაობას, შინ იჯექი და მაგ ათას ლარს მე გადაგიხდი ყოველთვიურადო.

— და გისდიდათ? — ძალად გავიღიმიე.

— სხვა რა გზა აქვს, სანამ ახალ სამსახურს მიმოვივს, თავის გატანა ხომ მჭირდება? ჩემს შვილს ხომ არ შევაჩერებდი ხელებში, თავისი ოჯახი აქვს უკვე, იქით უნდა ვუმართავდე ხელს.

— ჰო, რა თქმა უნდა.

— კი მიტყდება, ამას რომ ვაკეთებ, მაგრამ რა გზა მაქვს? თანაც, რადგან ვმეგობრობთ, ვალდებულიც არის, იზრუნოს ჩემზე... სანამ ერთად ვართ, რა თქმა უნდა.

— ჰო... ალბათთოთ... — ენა დამება ალღელებისგან.

— ორი წელია, ურთიერთობა გვაქვს და არასდროს გვიჩხუბია. ძალიან ერთგულია, ამას ვერ დავუკარგავ, თან ისეთი ტრავმირებულია ცხოვრებისგან, ხანდახან მეცოდება კიდევ.

— ტრავმირებული რატომ არის? — ყურები ვცქვიტიე.

— სიყვარულში არ გაუმართლა. მოატყუა შეყვარებულმა. თვითონ სიტყვას ვერ დააცდენინებ ამხე, მაგრამ თბილისი ისეთი პატარაა, რა დაიმალება? მისი ამბავი ყველამ იცის. მეც არასდროს მიგრძობინებია, რომ საქმის კურსში ვიყავი. არადა, დარწმუნებულია, რომ ვიცი. ამას კი აფასებს, მოსწონს, რომ არ ვეკითხები.

— ო! — ღვარძლიანად აღმომხდა.

— პატარა გოგო ხომ არ ვარ, რა ჩემი საქმეა მისი წარსული. თუ სურვილი გაუჩნდება, თვითონ გადაიშლის გულს, თუ არა და, ზედმეტად რატომ ჩავეძიო? ეს ხომ ჩემადღე მოხდა. მშვე-

ნივრად ვუგებთ ერთმანეთს, მე მეტი არაფერი მინდა მისგან. ცოლად კი არ მივეყვები.

— რატომაც, არა?

— უი, რას ამბობთ, ღმერთმა დამიფაროს. მე მასზე გაცილებით უფროსი ვარ, ლამის...

„ლამის დედის ტოლა ხარ!“

— ლამის შვილიშვილი შემეძინოს მალე, მაგას როგორ ვიკადრებ, რა დროს ჩემი გათხოვებაა, თანაც ასეთ ახალგაზრდა მამაკაცზე. სანამ ცოლის მოყვანაზე იფიქრებს, ვიქნებით ერთად და მერე მე ჩემს გზას ვნახავ, ის კი თავისას.

„თორემ, რომ შემოგთავაზოს, უარს იტყოდი მის ცოლობაზე, შენმა მზემ!“

— თავი მოგაბერეთ, არა? მაპატიეთ, გამიგრძელდა ლაპარაკი. ჩემი წასვლის დროა, თქვენც გავაცდინეთ, — თქვა და მესამე ღერი სიგარეტიც მიასრისა საფერფლეზე.

— არა, რას ამბობთ, მშვენივრად გავერთე, სიმართლე გითხრათ. მარტო ვიყავი, ხმის გამცემი არ მყავდა.

— ეს ნაქირავები გაქვთ? რა ლამაზი „ასობნიაკია“, რამდენოთახიანია? — მკითხა და თვალი ოთახს მოავლო.

— არა, ეს ჩემი ბინაა... სამოთახიანია.

თვალები გაუფართოვდა... თითქოს არ ესინაოვნა... თუ რაღაც ენიშნა... თუ რაღაც არ მოეწონა.

— და სულ მარტო ცხოვრობთ?

— ჰო... ჯერჯერობით.

— მშობლები?

— დედა არ მყავს, მამა ქუთაისშია, იქ ცხოვრობდა და მუშაობს.

— და ეს ბინა?..

— ბაბუამ მიყიდა, მდიდარი ბაბუა მყავს, — გამარჯვებულის იერით შევხედე.

— მერე? რა ძალა გადგიათ, მოსამსახურედ რომ მუშაობთ? — ფერი შეეცვალა სახეზე.

მივხვდი, რაც გაიფიქრა, მაგრამ არ დავიბენი.

— ჩემი შრომით მოპოვებული ფული ყველაფერს მირჩენია. თანაც, გასვლა არ მიწევს, გზის ფული არ მეხარჯება... ბაბუა კი უცხოეთშია, ხშირად ვერ მიგზავნის ფულს, ხშირად უწევს გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში... დიპლომატიურ უწყებაში მუშაობს და დაძაბული გრაფიკი აქვს.

— კარგი, ჩემო კარგო, თავს აღარ შეგანწყენ. დიდი მადლობა გამასპინძლებსთვის. ერთხელ შენც მესტუმრე, გამიხარდება. ნიკას ვეტყვი და მოგიყვანს ჩემთან, — რატომაც, „შენობითზე“ გადავიდა, მრავლისმეტყველად გამიღიმა და წაოღდა.

უეცრად ზარის ხმა გაისმა კარზე. ვილაც გაუფრთხილებლად მომადგა. ორივემ მექანიკურად ერთმანეთს შევხედეთ. ორივეს გაკვირვება შეგვეტყო. ასე გვიან არავის ველოდებოდი, თვით ნიკასაც კი.

— აი, კიდევ ერთი დაგვიანებული



სტუმარი, — თქვა სოფომ, — ალბათ ელოდებოდით ვინმეს, მე კი ხელი შეგინაღლიეთ.

— არა მგონია, ჩემთან იყოს, ნამდვილად არავის ველი, შეიძლება, შეეშალათ, — მხრები ავიჩიქე და სტუმარს წინ გავუძეხი.

„ოლონდ ნიკა იყოს, ოლონდ კი ის იყოს და მეტი არაფერი მინდა!“

არ ვიმჩნევდი, მაგრამ ერთიანად ვკანკალებდი. შეგნებულად არ გავიხედე სათვალთვალში, ისე გავაღე კარი. ლამის სუნთქვა გამიჩერდა, როცა ზღურბლზე მეტრეველი დავინახე. გული უცნაურად შემისხდა...

სოფოს დანახვაზე ისეთი სისწრაფით შეეცვალა გამომეტყველება, თითქოს მოულოდნელად მუშტი ჩაარტყეო... ასეთ დამფრთხალს პირველად ვხედავდი.

— რა ხდება აქ? — ორივეს ფრთხილი მზერა მოგვალო, თან დაბნეულმა ათჯერ მაინც დაახამხამა წამწამები, ჩვენი „ტანდემის“ დანახვამ შოკში ჩააგდო.

— ნიკ, სად ხარ, ადამიანო, გადავაბრუნე მთელი თბილისი, ხომ მშვიდობაა? — სოფომ გვერდი აშიარა და მეტრეველს კისერზე ჩამოეკიდა. — როგორ მანერვიულე, საყვარელო, იცი? ავიკელი შენი ტელეფონი, რატომ არ მპასუხობდი? მომენტრე, შე ოხერო, ასე უნდა?

ნიკამ ილიეებს ქვემოთ ამოსლო ქალს ხელედი და მე შემომხედა... „მაპატიე“ — ადვილად შეიძლებოდა ამის ამოკითხვა მის გამომხედვაში.

— მეც ძალიან მომენატრე, — ისე თქვა, თვალი არ მოუცილებია ჩემთვის. მივხვდი, ეს სიტყვები მხოლოდ მე მეკუთვნოდა. ნასიამოვნებმა და, ამავედროულად, გულნატყენმა მწარედ გავიღიე.

— შევიკალი ეს გოგო ხელში, საათზე მეტია, აქ ვარ და გელოდები, — თავისას განაგრძობდა სოფომ, — თავი მოვაბეზრე უკვე... წამო, შინ შევიდეთ, — და ხელკავი გამოსდო ჩემი ოცნების მამაკაცს.

ნიკას კვლავ შეეცვალა სახე, გამოცოცხლდა. ალბათ მიხვდა, რომ არ გავყიდე ჩვენი საიდუმლო და სოფომ ჩვენ შესახებ არაფერი იცოდა.

— არა, სოფომ, დასარჩენად არ მცალია, — აჩქარებით ალაპარაკდა, — საავადმყოფოში უნდა გავვარდე, ვიტალი ძალიან მძიმედაა. იმისთვის შემოვიარე, რომ ლოლასთვის გასაღები დამეტოვებინა... ხვალ ხომ შეძლებ, სახლი დამილაგო, ლოლა? — მუდარით საესე მზერა მესროლა, ოლონდ ახლა არ გააფუჭო ყველაფერიო.

— დიას, რა თქმა უნდა, — მონყალე ღიმილი ვაჩუქე და თავი გვერდზე გადავხარე.

— ვი-ინ? ვიტალი? რას მელაპარაკები! კი მიხრა ლოლამ, მეგობარიო, მაგრამ ვიტალიზე როგორ ვიფიქრებდი! ეგ როდის იყო, ნარკომანობდა,



რამ გადარია? — შეიცხადა სოფომ.

— რა ვიცი, რას გაიგებ. ჯერჯერობით უშიშმეს მდგომარეობაშია... წამო, სახლამდე მიგაცილებ, ძალიან მეჩქარება. აპა, გასაღები, ლო... ლიტა, — კინალამ ლო-ზე გაჩერდა, თუმცა დროზე გამოასწორა შეცდომა ნიკამ და გასაღების მთელი აცმა შემომაჩქრა.

— რა ამბავია, ნიკ, ყველას უტოვებ? — დაეჭვებულმა ქალმა ჯერ მე შემომხედა, მერე ნიკას.

იმდენად მართობდა ჩემი პრეზიდენტის დაბნეულობა და ისე გამარჯვებულად ვგრძნობდი თავს, საერთოდ არ მადარდებდა, სოფომ რამეს მისვებოდა თუ არა. თუმცა, არც ის მინდოდა, მის საყვარელს მაინცდამაინც ჩემ თვალწინ გაემართა მისთვის სცენები. ეს არც მე მიქადადა არაფერ კარგს.

— ასე ნუ განიცდი, ნიკა, აუცილებლად გამოჯანმრთელდება, — მშვიდად ვთქვი და გასაღებების აცმას მისი სახლის გასაღები გამოვაძერე. ამ გასაღებს ასი სხვა გასაღებიდან თვალდახუჭული გამოვარჩევდი.

— დიდი მადლობა, ლოლა, ჩემზე იყოს, — მამაკაცს ოფლით დაეცვარა შუბლი, — ფულს კი შეგპირდი დღეისთვის, მაგრამ ხვალ რომ იყოს? ძალიან ხომ არ გიგვიანებ? — ტყუილს ტყუილზე ახეთქებდა ნიკა.

— არა, რა თქმა უნდა, თუ გინდა, ზეგ იყოს, მაგაზე არ იდარდო, — „დავამშვიდე“ ჩემი „ზეუფროსი“ და მზერა სოფოზე გადავიტანე, — ნახვამდის,

სოფომ. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

— ნახ-ვამ-დის, — დამარცვლით დამემშვიდობა ჩემი „ზრდადასრულებული“ მეტოქე და ცივად გატრიალდა... როგორც ჩანს, რალაც „იყნოსა“.

ლიფტი არ მუშაობდა, ამიტომ ფეხით ჩაუყვინე კიბეს. კარი ფრთხილად გამოვიხურე და სადარბაზოს კუთხემდე ფეხის წვერებზე მივირბინე, იქნებ მათი საუბრიდან რამეს მოგვრა ყური-მეთქი, მაგრამ ეგრევე გამოვბრუნდი. ვერ გავაკეთებდი იმას, რაც არასდროს გამიკეთებია.

შინ შევედი, გასაღები გადავტრიალე და იქვე ჩავჯექი, შემოსასვლელში, ზურგით კარს მიყრდნობილი. არ მინდოდა, დამეჯერებინა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდებოდა.

რატომ მარგუნა ცხოვრებამ ასეთი უცნაური ბედი? ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ამ კაცს ჩემგან? რადგან სოფოსთან ურთიერთობას არ წყვეტს, გამოდის, მეც გასართობად ვუნდივარ. ეს ნიშნავს, რომ თედო მართალია, მენჯერის თანამდებობით დამაჯილდოვა, რათა მასთან პრეტენზიები არ გამიჩნდეს.

სასტუმრო ოთახში შევეტრიალდი, შუქი გამოვრთე და ფანჯარაში გავიხიდე. კარცა ხანს არ გამოჩენილან ეზოში. „ალბათ ერთმანეთს კოცნიან სადარბაზოში“, — გავიფიქრე გულმოკლულმა. ოხერა აღმომხდა... მერე კვინა... მერე გმინვა... სასონარკვეთილმა შუბლი ფანჯრის ცივ სახელურს მივადე და გავეხახუნე. მესიამოვნა ცივი ლითონი გახურებულ შუბლზე...

ამ დროს მანქანის ძრავა აგუგუნდა. ცხვირით ლამის მიეჭყვლიტე დაორთქლილ მინას. როდის მოასწრეს გამოსვლა? როგორ გამომეპარა? ნუთუ შევედი და იმაზე ადრე გამოვიდნენ სადარბაზოდან, ვიდრე მე ფანჯარასთან მივედი?.. ალბათ... სანამ ჩამუხლული ვიჯექი და ჩემთვის უხმოდ ვგოდებდი, კიდევაც ჩავიდნენ და ჩასხდნენ მანქანაში. ალბათ იქ გამართეს პოლემიკა. ნეტავ, სოფომ თუ მიხვდა რამეს? იქნებ საქმეს ურჩევდა? იქნებ კოცნაობა იქ გააჩაღეს, ჯიპის სალონში? ამაზე ფიქრიც კი მზარავდა. რა საშინელებაა, როცა წარმოიდგენ, როგორ ეფერება შენი საფიცარი მამაკაცი სხვას.

მანქანა ნელი სვლით შორდებოდა კორპუსს. მიდიოდა ნიკა თავის საყვარელთან ერთად და ჩემი გულიც თან მიჰქონდა... სევდით, ტყვილით, ტანჯვით, დარდით დამძიმებული...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ქმრიანი ქალის სიყვარული

მარი ჯაფარიძე

ის იყო, სამსახურში საკუთარი ოთახის კარი შევალე და კომპიუტერი ჩავრთე, რომ დაცვის თანამშრომელმა მაცნობა, სტუმარია თქვენთან და თუ მიიღებთ? ცოტა ხანში ოთახში ორმოციოდე წლის მამაკაცი შემოვიდა და ჩემს შეთავაზებულ სკამზე მორიდებულად ჩამოჯდა.

— იცით, მე თქვენს „მინირომანებს“ ვკითხულობ. მუდმივად ქალებზე წერთ. ბევრი გაქვთ დანერგილი გასათხოვარი ან განათხოვარი ქალისა და ცოლიანი მამაკაცის ურთიერთობაზე და არ მახსენდება არც ერთი ამბავი, სადაც უცოლო მამაკაცისა და გათხოვილი ქალის ამბავი გქონდეთ გადმოცემული. მინდა, ჩემი თავგადასავალი მოგიყვებო და დანეროთ, ოღონდ, პირობა მომეცით, რომ „მინირომანს“ დაწერთ და ინტერვიუს სახეს არ მისცემთ.

შევთანხმდით, რომ თუ საინტერესო ამბავს მომიყვებოდა, მის პირობას შევასრულებდი და ახლა სწორედ ბატონი მიშას მონათხრობს წარმოგიდგინებ (რესპონდენტის თხოვნით, სახელებს არ ვცვლი).

— გამარჯობა, მგონი, სწორად მოვედით, — ახალგაზრდა ქალმა მატარებლის კუპეს კარი გააღო და მორიდებით იკითხა: — ეს ადგილი თავისუფალია, ხომ? — თავით ქვედა საწოლზე მიანიშნა.

— დიახ, მობრძანდით, — დამხედურმა მამაკაცმა ფანჯრისკენ მიიწია, მიუხედავად იმისა, რომ ქალი მის მოპირდაპირე მხარეს უნდა დამჯდარიყო.

ლალის თან ერთი მომცრო ჩანთა ჰქონდა, რომელიც იქვე, კუთხეში დადგა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. თავი კედელს მიაყრდნო და თვალები მილულა. როგორც ჩანს, დაღლილი იყო და ახლა დასვენება ყველაფერს ერჩივნა.

ლალი საშუალო სიმაღლის, ლამაზი პირისხის, ნაბლისფერთმიანი ქალი გახლდათ. სადაც ეცვა, მაგრამ მის უბრალო ჩაცმულობაში კარგი გემოვნება ერთი შეხედვითაც იგრძნობოდა. შავ კაბაზე შემორტყმული წითელი ქამარი მის ლამაზ წელს ხაზს უსვამდა. ფეხზე წითელი, მდიდრული, საზაფხულო ფეხსაცმელი ეცვა, რომელსაც ქალები „ბასანოუკებს“ ეძახიან.

გრძელი, აზიდული, შავი წარბები, გამართული ჯდომის მანერა და ამაყი, ქედმაღლური მზერა გარშემო მყოფებთან თითქოს ზღვარს ქმნიდა და ქალს მიუნვდომელს ხდიდა.

როდესაც მიშა ასეთ ქალებს ხედავდა, ყოველთვის ფიქრობდა: „ხომ არსებობს ისეთი მამაკაცი, რომელსაც ამ ქალის გული აქვს დაპყრობილი? ნეტავ, როგორია ის?“

ცნობილია, რომ ხანგრძლივი მგზავრობა ადამიანებს აახლოებს და რამდენიმე წუთის შემდეგ ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. ქალს ბუნებრივი საუბრის მანერა ჰქონდა, უშუალო და მოკრძალებული ჩანდა. მამაკაცს ის ისეთი მი-



უნვდომელი უკვე აღარ ეჩვენებოდა. საუბრიდან შეიტყო, რომ ლალი ბათუმელი იყო და ახლა თბილისიდან მშობლიურ ქალაქში, დედასთან მიემგზავრებოდა. დილით, მგზავრობის დასასრულს, მამაკაცი გრძნობდა, რომ ცოტაც და ლალი შეუყვარდებოდა. ქალთან განშორება არ სურდა და მიზეზს ეძებდა, რომ მათი ნაცნობობა გაგრძელდებოდა. მატარებლიდან ერთად ჩამოვიდნენ. მამაკაცმა გაცილება შესთავაზა და მანამდე არ მოსცილდა, სანამ არ დაითანხმა. ასე და ამგვარად შეიტყო მისი საცხოვრებელი ადგილი. დამშვიდობებისას გამბედაობა მოკვრიბა და ტელეფონის ნომერი სთხოვა.

— ერთი წუთით მომიცადე, — სთხოვა ქალს, სადარბაზოსთან დატოვა და გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ყვავილებით ხელში დაბრუნდა. როდესაც ქალმა თაიგული ჩამოართვა, როგორც იქნა, გაულიმა კიდეც. მიშა სისხარულით ცას ეწია.

რამდენიმე დღის შემდეგ სახლში მიაკითხა. კარი ლალიმ გააღო და მისი დანახვა ძალიან გაუკვირდა. შინ შეიპატიჟა. დედა რამდენიმე დღით ქალაქიდან გასულიყო და მარტონი იყვნენ. იქნებ არც დაიჯეროთ, მაგრამ პირველი ღამე მათ სავარძლებში მსხდომებმა, საუბარში გაატარეს.

მამაკაცის სიყვარულმა თუ ქალის მომხიბვლელობამ ეს ღამე დაუფინყარი გახადა.

ქალი იშვიათად ილიმოდა. ამ დროს მზერა, გამომეტყველება სხვანაირი უხდებოდა — ღიმილი შეგნოდა და ლალის კიდეც უფრო მომხიბვლელსა და სასურველს ხდიდა.

ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს ყოველდღე ხვდებოდნენ.

როდესაც მიშა სასურველ ქალს მკლავებში მოიქცევდა, ბედნიერებისგან ლამის ჭკუიდან შემულიყო. მის სხეულს კაბის გარედან გრძნობდა და ეჩვენებოდა, რომ ერთმანეთს ველარაფერი დააშორებდა. თუმცა, ქალს რაღაც უშლიდა ხელს, რომ საბოლოოდ მისი გამხდარიყო.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ვნებით აცახცახებულმა მამაკაცმა ხელებს გაცილებით მეტი სითამამე მისცა და ქალის უბეს მისწვდა, ლალი გამოუტყდა, რომ გათხოვილი იყო; რომ ქმარი მისთვის პირველი მამაკაცი იყო და არც არასოდეს უღალატა.

— ამ ურთიერთობის მემინია და მრცხენია, — გაუხშილა ბოლოს.

თბილისში გამგზავრებამდე ლალის 2 დღე რჩებოდა. მიშამ შესთავაზა, ეს დღეები მასთან, სახლში გაეტარებინა.

ქალი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა.

მამაკაცის ცხოვრებაში ეს ყველაზე ბედნიერი „2 დღე“ იყო.

„საოცარი ბედნიერებაა, იმ ქალის გვერდით ყოფნა, ვინც ასეთი სასურველი და საყვარელია“, — ფიქრობდა მამაკაცი.

ქალი ცოტა შებოჭილი იყო და ეტყობოდა, რომ არც სექსში ჰქონდა დიდი გამოცდილება, მაგრამ მიშას ეს უფრო ახელებდა.

— ერთ ქალაქში დავიბადეთ და გავიზარდეთ, ასე გვიან რატომ შევხვდით ერთმანეთს? რაღა თბილისში იპოვე შენი ბედი? — ჩურჩილებდა მამაკაცი და ქალს ვნებინადა კოცნიდა.

არ უნდოდა მასთან განშორება და სხვა ქალაქში გაშვება. იცოდა, უზომოდ გაუჭირდებოდა ლალის გარეშე. მართლაც, ძნელია იმ სიცარიელის აღწერა და გადმოცემა, რომელიც მამაკაცს გულში ქალის გამგზავრების შემდეგ გაუჩნდა. ეჩვენებოდა, რომ ლალიმ მისი გულის ნახევარი წაიღო. ადგილს ვეღარ პოულობდა, ერთი სული ჰქონდა, დრო გამოეძებნა და მალე ჩასულიყო თბილისში. ლამლამობით სახეს ბალიშში რგავდა, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ქალის სხეულისა და თმის სურნელი და მასთან ერთად გატარებულ ღამეებს იხსენებდა.

როგორც იქნა, გამოუჩნდა თავისუფალი დრო და თბილისში ჩავიდა. როდესაც ლალის სამსახურთან დახვდა, მისი გამომეტყველებითა და მზერით მიხვდა, რომ ქალს მისი დანახვა არ ესიამოვნა.

მამაკაცს „მეექვსე გრძნობა“ უკარ-



ნახებდა, რომ ქალს ქმარი არ უყვარდა. სურდა, რომ ლალის არჩევანი გაეკეთებინა — ქმარი მიეტოვებინა, შვილი წამოეყვანა და საცხოვრებლად მასთან გადასულიყო.

ერთ პატარა, მყუდრო კაფეში ისხდნენ. ქალი ყავის ფინჯანს მაგიდაზე ატრიალებდა, სახეზე კი უკმაყოფილება ეხატა.

— უშენოდ არ შემოძლია, მიყვარხარ, შემოძლია, გაგაბედნიერო, არ ინანებ!

— კარგი ქმარი მყავს, მას ძალიან უყვარს შვილი და ისიც გიყვდება მამაზე. არ შემოძლია, მისი მიტოვება, — ჯიუტად იმეორებდა ქალი.

— ბავშვი ჯერ პატარაა, ყველაფერს გაგაკეთებ, რომ შემოიყვაროს. გადაწყვიტე, წამოდი ბათუმში, ერთად ვიცხოვროთ. თუ გინდა, შვილს ნუ გამიჩენ, მთავარია, ჩემ გვერდით იყო.

მიშა ხვდებოდა, რომ ასეთი საუბარი ქალის გულისწყრომას იწვევდა და აშკარად არ სიამოვნებდა. ამ დროს მის თავლისფერ თვალეში სიცივე დგებოდა.

— მაპატიე, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემოძლია, არ მიყვარხარ, — ფეხზე წამოდგა ქალი, — დამივიწყე და არასოდეს დამირეკო, — იქაურობა უკანმოუხედავად დატოვა.

მამაკაცი მიშავალ ქალს გაჰყურებდა და გული ეკუმშებოდა. საოცარ ტკივილს გრძნობდა. თავში ჩაქუჩივით ურახუნებდა მის მიერ ნათქვამი — „არ მიყვარხარ“!

ლალი ბათუმში წელიწადში ორჯერ ჩადიოდა და ერთმანეთს მაშინ ხვდებოდნენ. მამაკაცი ყველაფერს აკეთებდა, რომ მისთვის თავი შეეყვარებინა, ქალს თავი კარგად ეგრძნო, საჩუქრებით ანებივრებდა და მზად იყო, მისთვის მთელი სამყარო ეჩუქებინა, მაგრამ იცოდა, რომ სიყვარულს ფულით ვერ იყიდდა. ის მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა, რომ მამაკაცს ჰყვარებოდა.

დროთა განმავლობაში მიშა შეეგუა იმას, რომ ლალისთვის ის მხოლოდ საყვარელი იქნებოდა. ხანდახან ფრთხილად შეაპარებდა ხოლმე აზრს ერთად ცხოვრების შესახებ, მაგრამ როგორც კი ქალი თავის ლამაზ წარბებს შეყრდილა, მაშინვე ჩუმდებოდა.

მამაკაცი მას არ სჭირდებოდა, მაგრამ სამაგებოდ, მიშას ვერ წარმოედგინა ლალის გარეშე ცხოვრება. მისი სიყვარული გადაუღებელ, თავსხმა წვიმას ჰგავდა, მუდამ მის გვერდით ყოფნა სურდა, მაგრამ იცოდა, რომ ოცნებას ახდენა არ ეწერა.

უკვე ისეთ ასაკში იყო, რომ ახლობლები მისი მარტოობის გამო წუნდნენ. ცდილობდნენ, ვინმე გაეცნოთ, იქნებ ოჯახის შექმნაზე ეფიქრა. მიშა ზოგს უხეშად იშორებდა თავიდან, ზოგს ხართის გულისთვის მიჰყვებოდა დაბადების დღეზე თუ ქორწილში, რომ იქ „მომავალი ცოლის“ სხვის მიერ შეთავაზებული კანდიდატურა გაეცნო, მაგრამ ყველას გულგრილად უყურებდა. იქიდან წამოსულს, აღარც კი ახსოვდა, პერსპექტიული საცოლე როგორ გამოიყურებოდა, რა ფერის თმა ჰქონდა, როგორი კაბა ან ფეხსაცმელი ეცვა.

მას თვალწინ მხოლოდ ლალი ედგა, მის გარდა არავინ უნდოდა და გულით ენადა, ყოველდღე ერთ სანოლში გაღვიძებოდათ, დილაობით მისი ლამაზი სახისთვის ეცქირა; ოცნებობდა, მისთვის საუზმე და ყავა მოემზადებინა და სანოლში მიერთმია.

განა ცოტაა ისეთი რამ, რაზეც შეიძლება, შეყვარებულმა მამაკაცმა იოცნებოს?

შეხვედრიდან შეხვედრამდე ცხოვრობდა და დარჩენილ დღეებს თითებზე ითვლიდა.

სექსის შემდეგ ლალი ზურგს შეაქცევდა და იძინებდა, მამაკაცი კი კარგა ხანს ვერ ახერხებდა ძილს. მის მშვიდ, თანაბარ სუნთქვას უსმენდა და გული ბედნიერებით ევსებოდა. რაც დრო გადიოდა, მით მეტად უყვარდებოდა ქალი.

მასში ყველაფერი ურთიერთსაწინააღმდეგო იყო: ქედმაღლობა და ბუნებრივი, უშუალო ურთიერთობის მან-

ერა, ქმარი, რომელიც არ უყვარდა და მისდამი ერთგულეზა. განსაკუთრებულად კი მისი სახის უეცარი ცვლილება აგდებდა შოკში: ჩაფიქრებულ, სევდიან სახეზე უეცრად მრისხანება ეხატებოდა, მრისხანებას ღიმილი ცვლიდა...

ლალის გამგზავრების შემდეგ დიდხანს ვერ პოულობდა ადგილს, არ იცოდა, რით დაკავებულიყო, ცარიელ ოთახებში უაზროდ ბორიალს იწყებდა. განშორების წუთიდან მომავალ შეხვედრამდე ოცნებობდა და ელოდა...

მათი რომანი რამდენიმე წელია, გრძელდება. ახლა მიშა 40 წლისაა და ისევ საყვარელი ქალის ერთგულია. მან თავისი პირადი ცხოვრება მსხვერპლად შესწირა ლალის. არც ცოლი ჰყავს, არც შვილები, მაგრამ არ ნანობს, რომ მისი ცხოვრება ასე აენყო. ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერია.

ამბობენ, რომ ცხოვრება სწორედ 40 წლის ასაკში იწყება. იქნებ, ჯერ კიდევ არ არის გვიან?

„სოფლიო დატატივის სიუი“

ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „კრიტიკოს“ მითად

თითო კრიმინალური სტაფი!

15 - დან - 22 ნოემბრამდე

3 ლარი!

ქვინერანაქი

ფვანა მოწვენაბა

22 ნოემბრიდან

ჯეფრი უაღსონი

საბანააო შხთსაპაბა

საქვე გამოსული ნიგნები - საქვე №1-დან - №21-მდე (ჯეფრი უაღსონი, არტურ კონანე ლოიდი, სიდნეი შელდონი, აბათა კრისტინი, ჯალსონ ფილიპსონი, როს მაკლონალი, ჯონ ლიქსონ კარი, ჯო კორკი, ლეონი კამეიტი, ბორის აპონინი, ჩარლზ კ. სნოუ, ლიქ ფრანსონი, რაიმონდ ჩანდლერი, სვიტო ბასპოტო, სირილ კეირი, ფრიდრიხ ლიურენატი, შორს სიპონოვი, ზაულ-ნარსაბაქი, ვიქ ელივი და არკიდ ვარბასი)

შვიდნოე ნიგნის მაღაზიებში

მზის გნეიღლები

80 წლის მსგელი გზო და 13 წლის თანამეინახა

მარი ჯაფარიძე

„გამარჯობა და ყოველი დღე მშვიდობისა, ძვირფასო მგზავნელებო. საკრალურია ქართული მისალმებაც. თუ რუსები ჯანმრთელობას გისურვებენ (доброе утро), ევროპელები კარგ დღეს (GOOD DAY, GUTEN TAG), ქართველები ერთურთს გამარჯვებასა და მშვიდობას დავუბედებთ. საინტერესოა, რომ „გამარჯვება“ მარჯვენას უკავშირდება და „დამარცხება“ კი მარცხენას. „მშვიდობაც“ საინტერესო სიტყვად შეჩვენება. ისიც ქართველთათვის საკრალური ციფრის, 7-ის ასოცირებას იწვევს და ამასაც თავისი მიზეზი გააჩნია. ეს ჩვენი „საშინაო დავალების“ წერისას თავისთავად გადმოჰყვა მონიტორს. ყოველ ზაფხულს მამიდაჩემთან, სოხუმში ვატარებდი და ეს მოგონებაც მის ნათელ ხსოვნას მინდა მივუძღვნა. მერი მამიდა სოხუმში იყო გათხოვილი, ადგილობრივი მილიციის ღვანდომოსი და მეტად გამჭრიახ ოფიცერზე, რომელიც იმ დროისათვის სისხლის სამძებროს უფროსად მუშაობდა. სამი შვილისა და შვილიშვილების გარდა, მათ სახლში მამიდას დედამთილი, ოლია ბებოც ცხოვრობდა, რომელმაც მეგრული გარდა არც ერთი ენა არ იცოდა. თუმცა მე და ოლია ბებოს ურთიერთობა სულაც არ გვიჭირდა (განსაკუთრებით, ერთი შემთხვევის გამო). ერთ დღეს რაიმე სასუსნავის (და ის მრავლად მოიპოვებოდა ამ ოჯახში) ხელში ჩაგდებას მიზნით, საკუჭნაოში შევიპარე და ყუთებით დავლაგებულ სანოვაგეში სასურველის არჩევას შევეუდექი. მოულოდნელად, საკუჭნაოს სიღრმეში, სადაც ძირითადად ღვინის ბოცები ელაგა და მე სულაც არ მაინტერესებდა ის ადგილი, რაღაც შეინძრა. ვიფიქრე, რადგან აქ მამხილეს და მიპოვეს, ჯობია, მე თვითონ მივიდე და ვთქვა, რომ დასახმარებლად შემოვედი-მეთქი. ამ განზრახვით გავვემართე საკუჭნაოს ბოლოსკენ. იქ კი, ნუ გაგიკვირდებათ და



ოლია ბებო დამხვდა, ოცლიტრიან ბოცასთან მიტყუქული. გამოხედა და კმაყოფილი სახით თავისთან მიმიხმო. სიტყვებით ვერაფერი გამაგებინა და ბოცაში ჩაშვებული რეზინის მილის მეორე ბოლო მომანოდა, თან თითი პირთან მიიტანა, დალიეო. საკუჭნაოდან კარგა გვარიანად შექეფინებული (მისაყოლებელზე შორს წასვლა არ დაგვჭირვებია) გამოვედით — 80-ს მიტანებული ბებია და მისი თანამეინახე, 13 წლის, თქვენი მონამორჩილი. მეორე და მესამე დღესაც ყველაფერი იმავე სცენარით განმეორდა. ზღვიდან დაბრუნებულს, ოლია ბებია თვალს ჩამიკრავდა და რიგრიგობით გაუჩინარდებოდათ ხოლმე საკუჭნაოში. იმდენად ღვინო არ მხიბლავდა, რამდენადაც აკრძალული ხილის, თუ წვენიც შესმა, მსცოვან ბებიასთან ერთად, რომელსაც ჩემზე მეტი ჭკუა მოეკითხებოდა. საკუჭნაოდან გამოსულები, სახლის წინ, ტირიფის ჩრდილში მოკვალათდებოდით და შემთვრალი ბებია საამო ხმით მიმღეროდა უძველეს კოლხურ სიმღერას: „ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი! ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო

ჯიმა ჩქიმი“. ნარმართ ქართველთა მიერ გაღმერთებულ მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს უმღეროდა ოლია ბებია. ანუ მზეს, მთვარესა და კიდევ 5 პლანეტას. გადმოცემით კი, როცა შვიდივე პლანეტა მფარველობდა ქართველს, სწორედ მაშინ ისადგურებდა ქვეყნად მშვიდობა და კეთილდღეობა. მგონი ეს არ უნდა იყოს შორს ჭეშმარიტებისაგან, აკი ლევან სანიკიძეც შვიდმნათობიერად მოიხსენიებს დიდ თამარს. მესამე დღეს მამიდას მზრუნველმა თვალმა შეამჩნია, რომ მისი ძმისწული, რბილად რომ ვთქვათ, ენას პირში ვერ ატრიალებდა და სანუკვარ ზღვაზე წასვლა არც ახსოვდა. დედამთილს არაფერი აკადრა, აი მე კი მომხვდა (უფრო არამკითხე, ბევრად უფროსი, მამიდაშვილი გოგონებისგან). საკუჭნაოში შესვლა კატეგორიულად აგვეკრძალა და მეც დავუბრუნდი ჩვეული ცხოვრების რიტმს. აი, ოლია ბებიამ კი ალბათ გულში გაივლო, ნურას უკაცრავადო, დროს იხელთებდა თუ არა, უჩუმრად გაუკუსკუსდებოდა სადღაც და კარგა გვარიანად შეზარხოშებული ბრუნდებოდა შინ. თურმე, ნუ იტყვი და, სამზარეულოდან ხან ყველს მოიპარავდა, ხან ქათამს (რაც „ცუდად“ იდო) და მოსაკითხად გადააჭონდა მეზობლებთან. იქ ძღვევს „დაასველებინებდა“ და კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ. ასე რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ვინ იცის, ერთ „მეტიჩარა“ მეზობელს საპასუხოდ ხილი რომ არ მოეკითხა მამიდასთვის, მაღლიერების ნიშნად. თან დაუყოლებია, ერთი თქვენთანაც „დავასველოთო“. ოლია ბებიას ამის შემდეგ გარეთ გასვლაც აკრძალა ან მკაცრი კონტროლის ქვეშ, მისი შვილი თუ გაასეირნებდა უბანში, თან იარაღზე მალიმალ ივლებდა ხელს, ემანდ ვინმემ დედაჩემისთვის რამის შეთავაზება არ გაბედოსო. საოცარი კი ის იყო, რომ მიუხედავად ასეთი რუქიმისა, საღამოობით ოლია ბებია მაინც წასვამი იყო ხოლმე და მართლა ვერავინ ხვდებოდა, როგორ



ახერხებდა ეს „მზავკალი“ სასმლის შოვნას. აგვისტო იწურებოდა, რომ ოლია ბებო მოულოდნელად (რალა მოულოდნელად) ავად გახდა. არც საჭმელს აკარებდა პირს და წამლებსაც არ სვამდა. ერთი კვირის მერე კი სრულიად გაუნძრევლად და თვალდახუჭული იწვა. მხოლოდ სუსტ ამოსუნთქვაზე თუ შეატყობდით სიცოცხლის ნიშანწყალს. ექიმები უმწეოდ ასავსავენდნენ ხელებს და სასწრაფოდ მიდიოდნენ. ერთ დღესაც, ძლივს გასაგონად ამოთქვა, ალბათ მხოლოდ მამიდაჩემის, მისი რძლის გასაგონად: ვლურუქი (კვდები), ჩხურუ მათუ გვალო (ძალიან მცივა). მერე მერის საწყალობელი თვალებით ახედა: „ქიგემიბი, ართი დო ართი სტაქანი ქიგემიბი“ (ერთადერთი ჭიქა დამისხი). მამიდას თვალეზზე ცრემლები მოადგა, რა ვენა, რა წყალს, თუ შავ ზღვას მივცე თავი. — დაჩხირი გეიშუმუდას (ცეცხლი

დალიე), დააყოლა. გავიდა და მომცრო ჭიქით შავი ღვინო შემოუტანა. ოლია ბებო ნეტარებით დაეწაფა ვაზის ნაჟურს, წამში გამოცალა და ისევ მუდარით შეხედა რძალს. მამიდამ ველარ გაუძლო მის მზერას და ისევ მიანოდა ღვინით სავსე ჭიქა, თან თავი წამოუნია და თავისი ხელით დააღვინა. ამ დროს გაისმა ბიძაჩემის ავის მომასწავებელი გმინვა. სამსახურიდან ნადრევად მოსული თავზე წამოადგა ცოლს და დედას: გეხანგიო? მუს ორთუქუ? ყვილუნქო? მა სი დორყვილუნქ დო სქან დიდას ფხოდუნქი (გაგიჟდი? რას აკეთებ? კლავ? მე შენ მოგკლავ) და გააგრძელა არათარგმნადი სიტყვება თამაში, ადგილობრივი დიალექტის იდიომატური გამოთქმების თანხლებით. ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდან იარაღი და მამიდა სასწრაფოდ მეზობლებთან გადავმალეთ. საღამოს დედის სასთუმალთან მჯდომ

ბიძაჩემს ოლიამ ხმამალა შემოუძახა, რას მიზიხარ აქ ოჭკომალ მოკო (საჭმელი მინდა). მეორე დღეს ოლია ბებო ეზოში გამოვიდა თავისი ფეხით. სადილზე მრისხანე შეიღმა თავისი ხელით დაუსხა ღვინო. სწორედ ამ ოჯახურ სადილზე გაირკვა, რომ მამიდა ჩუმ-ჩუმად მაინც ასმევედა თავის დედამთილს მაცოცხლებელ სიტხეს. კმაყოფილი ოლია ბებო ამოჩემებულ ადგილზე დაჯდა ტირიფის ძირში, ძელსკამზე წამოწვა, თავი კალთაში ჩამიდო და საამო სიმღერა წამოიწყო: „ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი! ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი“. ამ ამბის მერე ოლია ბებო ხუთიოდე წელი კი იცხოვრა სიამტკბილობასა და განცხრომაში. განცხრომაში, აბა ლოთობა რა მოსატანია? მისი სიმღერის გახსენებაზე კი ახლაც გადამეფინება ხოლმე სახეზე ღიმი, რუსულად რომ ჰქვია ულიბკა.

„კალაშას“ არ მამცემენ?

ეს გახლავთ გულოიანის ამბავი, რომელსაც 2 კვირის წინ შეგვირდით: დათასთან ვიყავი სამსახურში (ორთაქალაში), როცა უფროსმა დაურეკა, ახლა ჩვენი ახალი თანამშრომელი მოვა და პატაკი დაანერინე, ტაბელური იარაღის გადაცემის მიზნითო. ამავდროულად ახალბედამაც შემოყო თავი: „რალაცა“ თქვენთან უნდა დავენრო, პისტოლეტი ან ავტომატი რომ მამცენო? დათამ ხელი ჩაიქნია და მე მთხოვა, უამრავი საჭმე მაყრია თავზე, აგერაა ნიმუში და ამის მიხედვით დაანერინე, ძმურადო. ამ სიტყვებით დაგვტოვა და მეც, თაბახის ფურცელი და სანერკალაში მივანოდე ახალგაზრდა რიგითს. თან ვკარნახობ: ქ. თბილისი, შს მთავარი სამმართველოს ამა და ამ დანაყოფის უფროსს, ბატონ — სახელი, გვარი. პირველი ფურცლის გადაწერა მალევე მოგვისდა, ახალ ნესრიგის დამცველს სიტყვასიტყვით დაუწერია „ამა და ამ“ და „სახელი, გვარი“. ბოლოს და ბოლოს, უფროსის რეგალიები უშეცდომოდ გადავიტანეთ და ჯერი საკუთრივ პატაკის ავტორზე მიდგა. ის კი კალმისტრის ღრღნითა და კითხვით სავსე თვალებით მომაჩერდა. რალას ელოდები, დანერე ვინც ხარმეთქი და როგორო? მეკითხება. ველარ მოვითმინე და კითხვა შევუბრუნე — კი, მაგრამ უფროსზე რა დანერე?

— ბატონ ამას და ამას, — მიპასუხა ბეჯითად.

— მერე, ახლა შენზე რა უნდა დანერო? — აღარ ვიხვე უკან, — რა წარმომავლობა გაქვს? თავადები რომ არ იყავით, ამას კი ვხედავ.

— არა, — ცოტაოდენი ყოყმანით მიპასუხა, — აზნაურები ვიყავით, მგონი.

— პა, პა, სიმართლე იყოს და რაც გინდა ის ჩანერე, თუ გინდა, ბაგრატოვანთა ჩამომავლობა მიუთითე, — არ დავინდე.

კალმისტარი აიღო და უხალისოდ გააგრძელა წერა: „გლეს პავლე სპირიდონაშვილის“...

— პატაკი, — შევაშველე სიტყვა.

როგორც იქნა, მივადექით ძირითად თემას. თვითონაც გამოცოცხლდა და როცა დანერა, „გთხოვთ, გამომიყოთ ტაბელური იარაღი“, ისევ მომამყრო თავისი უაზროდ ღრმა (ან პირიქით) მზერა და გახალისებული მეუბნება:

— „კალაშას“ არ მამცემენ?

არც დაფვიქრებულვარ, ანგარიშმიუცემლად, სელექტორის ღილაკს თითი დავაჭირე და ჩვენმა ნაცნობმა გულოიანმაც უმალ მიპასუხა:

— აჯან, გისმენ შევ, ასე შაიძლება დავიწყება? უკვე მთელი 20 წუთია, არ შაგინუნებვივარ...

— გეყო მატრახაზობა და კარგად მომისმინე, — შევუტეე მე. — ახლა ახალ თანამშრომელს იარაღი უნდა მივამაგროთ და „კალაშას“ თუ მომცემთო? — საზგასმით სერიოზულად შევეკითხე.

სელექტორში გულოიანის ასევე სერიოზული პასუხი გაისმა:

— „არც „კალაშა“ დარჩა და არც „პაპაშა“, თუ უნდა, ერთადერთი, „მუხა“ დაგვრჩა, სანამ ვინმეს წაულია გავატანოთ.

ჩვენს ფსევდონაზურს სახე გაუბრწყინდა და პატაკში ფრაზას — „გთხოვთ გამომიყოთ ტაბელური იარაღი“, „კოხ-



ტად“ დაუმატა სიტყვა „მუხა“.

სიმართლე უნდა ითქვას, დათას არც დაუხედა პატაკისთვის, ისე გააქანა უფროსთან, რეზოლუციისთვის. მანამდე, წესისამებრ, კანცელარიაში გატარდა, მაგრამ მდივანმაც და თავად უფროსმაც, ნანერს თვალი ზერეღედ შეავლეს და შედეგად, ახალბედა პოლიციელი ხელში უფროსის ვიზირებულ პატაკით, გულოიანის წინაშე იდგა და კუთვნილ იარაღს მოთმინებით ელოდა. გულოიანმა ორჯერ გადაიკითხა, სათვალთაც და მის გარეშეც, შემდეგ ჯერ პატაკის ავტორს ახედა, მერე შემომხედა, თავი გააქიცინა და სელექტორით პირდაპირ უფროსს დაუკავშირდა.

— კუჟური, მამ გაცე, არა?... თქვენი რეზოლუციის შესაბამისად, არა?!.. კი, ბატონო, — გულოიანი ბოლო წუთამდე დარწმუნებული იყო, რომ ამ ავან-



ტიურისტმა „შტაბნიკებმა“ უფროსიც თავის ჭკუაზე მოაქციეს და თანამშრომელთა გაბითურების მონაწილე გახადეს.

შენობაში დასადგურებული „ავის-მომასწავლებელი“ სიჩუმე უფროსის, რბილად რომ ვთქვათ, არაადაამიანურმა ყვირილმა დაარღვია. ის ფანჯრიდან იცქირებოდა, როცა პავლე თავის „ნივამი“ ახალმიღებულ ტაბელურ იარაღს — „მუხას“ ათავსებდა. თვითმხილველები ჰყვებოდნენ, უფროსი პირს ალებდა და ხმას ვერ იღებდა, მერე შეტრიალდა, გრაფინით ხელში გამოჩნდა, ჯერ მოიყუდა და მერე პავლეს გაუქანაო. გრაფინი მანქანას შეეფშვნა და მას მიჰყვა უფრო-

სის მრავალსართულიანი „მოკითხვები“, სამორიგეოსა და უსაქმური, უმაქნისი „შტაბნიკების“ მისამართით. დათამ იგრძნო, რომ რაღაც საშინელება მქონდა ჩადენილი და თავის კაბინეტში ჩამკვტა.

— თუ აქ არ გნებავს, ჩაბრძანდი და გულოიანი უკეთეს კაბინეტს მოგიძებნის, — მითხრა და კარი მომხსურა.

რა თქმა უნდა, ამ კაბინეტში მერჩინა, რადგან მშვენივრად ისმოდა „კუკურჩის“ ბუბუნი.

ბიჭი პავლე უფროსის ახლო ნათესავი აღმოჩნდა. კარგად გავიგონე, როცა შეეკითხა, „გლეხი“ როგორ დაწერეო, პავლემ ალაღად უპასუხა, რა ვქნა, ტყუილს ხომ არ დაგწერდი და რა

გინდა, ხომ არ მითქვამს, რომ შენც გლეხი ხარო.

ამ სიტყვების მერე კუკურჩის ხარხარმა სიტუაცია განმუხტა, მაგრამ მანამდე იყო გულოიანის ქარცეცხლში გატარება და შტაბთან ერთობლივად იუმორისტულ-მატრახაზული „შტუკებისა“ და ლონისძიებების აკრძალვა. გულოიანი ლამის თავად შეძვრა წინასწარი დაკავების საკანში და მართლა ძლიერ განიცდიდა მომხდარს. არადა, ხომ გადავამოწმე „უმფროსთანო“, გაიძახოდა. ბოლოს და ბოლოს, პავლემ შემოვირიგეთ, რომელმაც განგვიცხადა, თქვენი ბედი, რომ მართლ დედი თ ვარ სვანოო. გენაცვალოთ ულიბკა.

სიძე-სიდედრიანი და რძალ-დედაპოტილიანი

გამარჯობა, ეს კვირა ისე სწრაფად გავიდა და ხუთშაბათი ისე სწრაფად მოვიდა, რომ უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი. ლამის „უგზავნილებოდ“ დაფრით... ჯერ იმის შესახებ გეტყვი, ვინ როგორ იქცეოდა ამ კვირაში: ზოგი მსაყვედურობდა, წინა „გზავნილების“ შესავალში 1-2 მგზავნელი რომ მოიხსენიე და ჩვენ დაგვაიგნორე, არ გრცხვენიაო? ეს როგორ გეკადრება და შეგეშალაო? 2 კვირის განმავლობაში, შუაგულ „გზავნილებში“ განსხვავებული შრიფტით ვწერდი, ვრცელი მესიჯები არ გამოგზავნოთ-მეთქი. ბოლო ნომერში შრიფტი გაგზავნე, სიტყვა „ყურადღება“ ხომ იმხელა ასოებით დაგწერე, მესუთე სართულის ფანჯრიდანაც კი წაიკითხავ, ეზოში მეზობელმა ყურნალი რომ გადაშალოს, მაგრამ რად გინდა? ვის ესმის? დარჩა ჩემი მონოდედა „ხმად მლაღადებლისად, უდაბნოსა შინა“. მაინც ვრცელ მესიჯებს მწერთ. სულ ერთი-ორმა მგზავნელმა ილო ყურთ ჩემი აჯა და ვედრება, ჰოდა, ასევე „შეუსმენელი“ დარჩება თქვენი საყვედურებიც, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავო, რომ მომწერთ. ისე, ეს ულიბკა ვინ არის, ვერ გავიგე, მაგრამ კარგი ვინმე კია და ვინც გინდა, იყოს; როგორც ყოველთვის, ამ კვირაშიც გადასარევი ამბები გამოგზავნა და კი „გამოვჭიმე“, სადაც ასეთი მესიჯების ადგილია. კიდევ? კიდევ სხვა დროს გეტყვით, ვინ მამრავლებს და ვინ — არა. ახლა მესიჯებს მივხედოთ.

უნდოდა), მაგრამ დედას ხომ თავისი ავადმყოფი შვილი ყველაზე მეტად უყვარს, ჰოდა, დალისაც, შვილი მთელ ქვეყანას ერჩევნა. ნატოს უსულგულო ადამიანების გარემოცვაში უწევდა ცხოვრება. საბრალოს, უდროო დროს ემართებოდა ეპილეფსიის შეტევა და მისგან ყველა გარბოდა. არავინ იყო მისთვის, მხოლოდ დედა. დრო ასე უფერულად გრძელდებოდა. დალის ძალიან უნდოდა, შვილი დაეოჯახებინა და პატრონი ჰყოლოდა, მაგრამ ამის ასრულება არც ისე იოლი აღმოჩნდა. არავის უნდოდა ნატოს ქმრობა, როგორც კი მისი ავადმყოფობის შესახებ იგებდნენ. დიდი ხნის შემდეგ, დალისთან მეზობელი ქალი მივიდა და დახმარებას დაჰპირდა, შენს შვილს მე გაუფრიგებ ერთ ბიჭსო. მალე ნატო იმ ბიჭს მიათხოვეს. ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ დალი მიხვდა, რომ თავის შვილს გია ვერ უპატრონებდა. სიძეც არ აღმოჩნდა ბოლომდე „დანყობილი“. აბა, შენს შვილს უკეთესი ვინ წაიყვანდაო, „კეთილისმსურველი“ მეზობელი გულს ამ სიტყვებით უკეთებდა დალის. დედაპოტილმა ნატო ვერ აიტანა, ავადმყოფი ჩემი შვილიც მყოფნიდაო. დალის ვერ გავგო, რა ექნა. ველარ გაუძლო შვილის ტანჯვას და თავისთან წაიყვანა. გიამაც თავს უშეგინა და დედამის გამოქცევა. თავიდან სიდედრის სახლში ერთი კვირით ჩადიოდა და რჩებოდა, მერე კი სამუდამოდ იქ გადასახლდა. სიძე-სიდედრმა კარგი ურთიერთობა ვერ ააწყვეს. გია არაფრის გამკეთებელი არ იყო, იმის მაგივრად რომ ემუშავა და ოჯახს რაიმე დახმარებოდა, დალის აქეთ აწვევოდა ტვირთად. აბა, ასეთ სიძეს ვინ აიტანდა? რამდენიმე წლის შემდეგ ნატო დაორსულდა. მისთვის მშობიარობა საშიში იყო, მაგრამ დედის დიდი თხოვ-

ზღვაზე — „კიპიტელნიკით“

სიძე-სიდედრიანზე არაფერი მაქვს მოსაყოლი და მოდი, ამ ზაფხულის ამბებს გავისხენებ... მოკლედ, ადულტური მგზავნელებით სავსე „სამასვალმა“ პირდაპირ ბათუმში ამოაყირავა „კუხაო“ და ჯერ ერთმანეთს ჩაგვახუტა, მერე — კანალიზაციის სუნად აქოთებულ ზღვას... ზღვის სუნზე ყქანვა რომ მოგებებრდა, ავიკარით გუდა-ნაბადი და სარფში გავცვივდით. მოკლედ გაცნობებთ, რომ მე, რუსიპირი და SWEET-ი წყალქვეშა ნაგებზე დამყნობილი მოცურავეები ვართ. არა, თქვენ ვერ გამიგეთ, მყვინთავეები კი არა, ცურვის „გონში არ ვართ!“ ჰოოოოდა, ვსხედვართ მე და გიო ნაპირთან და ტალღას ველოდებით, როდის „დაგვარტყამს“, რომ ცოტა მაინც დავესველდეო... არადა, ავადუღდით კაცო, ეს ტალღა კიდევ, მოოოოვა, აგვილოკავს ფეხის თითებს და გაბრუნდება უკან...

ახლა იტყვი, ჩასულიყავით მერე, ცოტა ქვემოთ, მაგრამ კაცი რომ ზარმაცია და წელმოწყვეტილი იქნები, ხომ იცით? მესუთე ტალღამაც ზურგი რომ გვაქცია, გიომ დაინუნუნა, ცოტა არ იყოს და ცივი წყალიაო... ცოტა ხანში სრულიად გადაგვეწურა დასველების იმედი და ფეხებთან მოსულ ტალღას მუჭი დავახვედრე და წყალი ზედ გადავისხი. ამის შემხედვარე გიო მომიბრუნდა და წამებულის სიფათით მეუბნება: არა რა, ზღვაზე „კრუშკით“ და „კიპიტელნიკით“ უნდა ვიაროო... :) რა დამემართა, იცით? არა, არ იცით“...

სიდედრის ოინი

„ჩემთვის ძალიან ძნელია ამ ამბის გახსენება. დიდი ხნის წინ, ჩემს მეზობელ ქალს, დიდი ლოდინის შემდეგ, ეპილეფსიით დაავადებული გოგონა შეეძინა (ბიჭი ჰყავდა, მაგრამ გოგო



დაეცე, რომ მასთან ფიზიკური კავშირი დაამყარო. ჰო, ვნება ოხერი რამაა, ისეთ რამეს გაგაკეთებინებს, რომ მერე საკუთარი თავის შეგრძობება, მაგრამ ამ ვნებას უნდა მოერიო, ამან არ უნდა დაგაბრმავოს... მამას თუ არა, დედას მაინც უთხარი სიმართლე, თორემ ეგ ბიჭი ყველაფერზე წამსვლელია; მან მამაშენი არაკაცად ჩათვალა, შენს დასკი ცხოვრება დაუნგრია (ნუ, არ ვიცი, თავად ასე ფიქრობს თუ არა). შენს მშობელს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. ლმერთი გფარავდეს, გკოცნი“.

ნატალი 37:

„ირაკლი არაკაცია და მაგრად უნდა მიიუფოს. რაც შეეხება ანას, ის ისეთი თავხედი ჩანს, ცხოვრებაში არ დაიკარგება. მგონი, არ ღირს, მშობლებმა მისი საქციელის შესახებ გაიგონ. ნუ დარდობ. გკოცნი“.

მისტარ:

„ანა გზას კი არა, უკვე ბორდიურსაც ასცდა. თუ არ გინდა, შენს დაბანილ (ან დაუბანელ) კისერზე ახალგაზრდა ბიჭის ცოდვა „დაიკიდო“, მამიკოს არაფერი უთხრა და ენა ჯერ კუჭში, შემდეგ მუცელში ჩაიგდე. P.S. მხოლოდ ექვიმტანილებს კი არა, შენც გაქვს დუმილის უფლება“.

გოგონა გარეუბნიდან:

„იცი, რჩევა როდის უნდა გეკითხა? ვიდრე საქმე სექსამდე მივიდოდა. ახლა უკვე გვიანია და ვერაფერს შეცვლი. ჰო, კიდევ, ისეთი რამ არ გააკეთო, რასაც მერე ინანებ და რაც შენს დას დაზარალებს. აბა, მის ადგილას წარმოიდგინე თავი. ზურგს ნუ შეაქცევ, მას შენი თანადგომა სჭირდება. იცოდე, უმიზეზოდ არაფერი იწყება და უშედეგოდაც არაფერი მთავრდება. ფაქტი სახეზეა“.

თამუნა:

„მამაშენის მეგობარს ანასთან სექსი არ უნდა ეკადრებინა. რთული ამბავია. იქნებ, ცოლად შეირთოს... ასეა, განებივრებული მამიკოს შვილები მშობლებს ათას სანუხარს უჩვენენ! მამაშენს ეს ამბავი რომც უთხრა, არ დაიჯერებს, ამიტომაც ჯობია, ყველაფერი თავად მოაგვარონ“.

რუსიკი (YELLOW):

„შენი და ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაცია „იდსქოს“ ოფიციალური წარმომადგენელია. 18 წლის გოგო, რომელსაც მამაკაცის მოფერება სწყურია და ამას მამის ძმაცაცთან, თანაც — საკუთარ სახლშივე გააკეთებს, მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. შენს ადგილას საკუთარ თავზე უფრო ვიდარდებდი, რადგან შენდაუწებურად, იმ ცოდვის თანამონაწილე გახდი, რომელსაც შენი და სჩადის. სიმართლე მაშინ უნდა გეთქვა, როცა ყველაფერი დაინახე. ისე, თუ ირაკლიმ ანა ცოლად შეირთო, უფლისთვის მადლობის მეტი არაფერი გეთქმის. აი, შენი მესიჯის

ბოლოს დაწერილმა სიტყვებმა: — „ჩემი და რომ გზას ასცდეს, მერე“ — ირონიით გაუღწეილი ღიმილი ამანება სახეზე. ისე გეშინია, შენმა დამ გზიდან არ გადაუხვიოს, თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ სწორი გზით ევლოს. P.S. რაც შეეხება „იდსქოს“, ეს ახალი ორგანიზაციაა, რომლის სახელწოდებაც ასე იმიფრება: „იდიოტ და სულელ ქალთა ორგანიზაცია“.

სვანის ასული:

„შეიძლება, მშობლებს სიმართლე პირდაპირ არ უთხრა და გული არ გაუხეთქო, მაგრამ როგორმე აუცილებლად მიანიშნე, რომ შეილს ბრმად არ უნდა ენდო, რომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და გააკონტროლონ. ქართული რეალობისთვის მამის ძმაცაცის შეყვარებაც კი, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია, მაგრამ ცოლად რომ შეერთო, კიდევ ჯანდაბას... რადგანაც ფიზიკური ურთიერთობა უკვე ჰქონდათ, გამოდის, რომ ანას უაქტიურია. ვნუხვარ, მაგრამ წინ იმედგაცრუება გელის“.

ნყივლა:

„ჰმ, გამეცინა. შენი და გზას აცდენილი კი არა, ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპებს აცდენილი ადამიანია. ახლა რა გინდა, ანა ახალგაზრდა, ცანცარა, სიმპათიურ და კეთილსინდისიერ კაცს მიათხოვო? იმსახურებს, რომ? აიძულე, ყველაფერი აღიაროს. მამაშენმა უნდა იცოდეს, რომ მეგობრის არჩევაში შეცდა და მისი ნებიერა მატრაკვეცა კი არა... კარგად ვიცი, მასეთ ქალებს რასაც ეძახიან, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ“.

იკუშავაი:

„მესმის, რომ ზნეობრივად მიუღებელ საქციელს შეესწარი, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: თავი დაანებე, მათ საქმეში ნუ ჩაერევი. მართალია, საქმე შენს დას ეხება, მაგრამ ის სრულწლოვანია და საკუთარ თავზე პასუხისმგებელიც თავადაა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მშობლებს უნდა გაუფრთხილდე. მამაშენმა ირაკლი მართლა რომ მოკლას, მერე რას იზამ? თავს ხომ ვერასდროს

აპატიებ, მას სიმართლე რომ გაუმხილე... ან სულაც, შეიძლება თავი მოიკლას, ოჯახში ასეთი კაცი რომ შემოიყვანა, ჰოდა, ამიტომაც ჯობს გაჩუმება. ჩემო კარგო, რომ არა ირაკლი, შენი დის ცხოვრებაში სხვა ვინმე იქნებოდა. შეეცადე, თავი შეიკავო, თორემ რაიმე უბედურება რომ დატრიალდეს, ამას საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებ და მთელი ცხოვრება სინანულის განცდა დაგტანჯავს“.

მამიკო:

„კარგი გოგო ყოფილხარ, დის ამბავს ასე რომ განიცდი. ვფიქრობ, მშობლებს სიმართლე აუცილებლად უნდა უთხრა, რადგან შენ და ანას შესაძლოა, სხვა დროსაც მოგისდეთ შინ მარტო დარჩენა, ჰოდა, თქვენთან ისევე ირაკლი რომ დატოვონ და იგივე განმეორდეს, მერე რას იზამ? სიმართლის თქმა იმისთვისაც აუცილებელია, რომ მამა ირაკლის აღარ ენდოს“.

ზანი მარგალიტი:

„მართლაც, რთული სიტუაციაა. ადრე თუ გვიან, მშობლები ამას მაინც შეიტყობენ და აჯობებს, ყველაფერი შენგან გაიგონ. შეიძლება ანა გაგებრახდეს, მაგრამ მერწმუნე, მისთვისაც ასე აჯობებს. წარმატებები!“

GRAZY GIRL:

„საყვარელო, მაპატიე, მაგრამ შენი და უკვე ასცდა გზას. აი, შენ კი გეტყობა, ღირსეულად ცხოვრობ და ასე გააგრძელე! ამ თემაზე მოძღვარს დაელაპარკე, ის უკვე გირჩევს, როგორ მოიქცე. აბა, შენ იცი, ღვთის წყალობას გისურვებ!“

მარია:

„მდაა... გადასარევი ამბავია, რა ძალიან ვნუხვარ, ჩემო კარგო, ასეთი რამ რომ შეგემთხვა. რა თქმა უნდა, მამას ყველაფერი უნდა უამბო. აბა, შენი დის აღვირახსნილობას უნდა უყურო? კარგად მისაბეგვები არიან და ეგ საქმე მამაშენს მიანდე. იცოდე, აუცილებლად უთხარი, თორემ უარესი მოხდება“.

„რომ დაჰკარგო, თავს მოვიკლავ...“

ბაჭი:

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. შეყვარებული მყავს, რომელიც ადრე ქალების „მუსუსი“ იყო. მან სიყვარული იმით დამამტკიცებინა, რომ ლოგინში ჩამინვინა, შემდეგ კი მობილური ტელეფონის „კარტა“ მომცა — ჩემი ქალები თვითონ მიიშორე თავიდანო. ახლა ერთ-ერთმა მისმა ძველმა „ლოვემ“ ჩვენ შორის ჩადგომა სცადა — მწერს, ჩემთან გლატობსო და ექსპეკარებული „ესემესებს“ მიგზავნის; ჩემი „ლოვე“ კი უარყოფს, — არ მიმიწერიაო. არ ვიცი, რომელს დაუჯერო. შეყვარებული ძალიან მიყვარს და რომ დაჰკარგო, თავს მოვიკლავ. მირჩიეთ, როგორ გავარკვიო სიმართლე? ნერვიულობამ დამასუსტა. გთხოვთ, დამიბეჭდეთ და მირჩიეთ რამე“.

P.S. მშ ასე თუ ბაჭიბს წერლის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.

„ყოფილი მქალთანე არ არსებობს...“

„ქუჩიანს სამარის გარდა, ვერაფერი გაასწორებს“

„გზის“ №44-ში დაიბეჭდა ბაჭიას მესიჯი. იგი გვერდა: „შეყვარებული მყავს, რომელიც ადრე ქალების „მუსუსი“ იყო. მან სიყვარული იმით დამამტკიცებინა, რომ ლოგინში ჩამინვინა, შემდეგ კი მობილური ტელეფონის „კარტა“ მომცა, — ჩემი ქალები თვითონ მობილურ თავიდანო. მისმა ძველმა „ლოვემ“ ჩვენ შორის ჩადგომა სცადა — მწერს, ჩემთან გლალატობსო და ექსშეყვარებულის „ესემესებს“ მიგზავნის; ჩემი „ლოვე“ კი უარყოფს, — არ მიმინერიაო. არ ვიცი, რომელს დავუჯერო“.

ლიკა ქავაია

ბრუზინა:

„თუ სრულწლოვანები ხართ და თანაც — ერთმანეთი გიყვართ, დაოჯახდით, ეს კარგი გამოსავალი იქნება. შენს „ლოვეს“ ასეთი რა ნომერი აქვს, რომ ვერ აუქმებს?“

რუისპირი (YELLOW):

„არ ვიცი, ნერვიულობამ დაგასუსტა თუ შეყვარებულისთვის სიყვარულის დამტკიცებისას გამოგეცალა ენერგია, მაგრამ ისე მაცინე, რომ ნონაში მომატებული ნანატრი კილოგრამები მომაკლდა. პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინო, რომ ყოფილი „მუსუსი“ არ არსებობს. მერნ-მუნე, „მუსუსი“ ყოველთვის „მუსუსადვე“ დარჩება და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, შენც ერთი რიგითი „მომუსუსებული“ ხარ. კაცი, რომელიც თავის ნომერს მოგცემს და გეტყვის, ჩემი ქალები შენ მომამორეო, სხვა არავინაა, თუ არა მომარიბაჟე ჭაბუკი, შენ კი მისთვის სამარიბაჟო ნივთი ხარ. როცა მასთან იწყებდი ურთიერთობას, მისი ქალების და ექსების მოსაგერიებლადაც მზად უნდა ყოფილიყავი. ისე, ვინც მოგწონება და შეგიყვარდება, ყველას ასე უმტკიცებ სიყვარულს? P.S. მშვენიერი მზეჭაბუკი ვარ, ქერა, მალალი და ა.შ. იქნებ მეც მოგეწონო და... ჰა?“

ინუსცა:

„არ გეწყინოს, მაგრამ სულელი ხარ. ჯერ ერთი, „ლოვეს“ რომ ჰყვარებოდი, ლოგინში არ ჩაგინვენდა; მეორეც — როს ეხვეწები? ეგ თუ ქალების „მუსუსი“ იყო, ისევე ასეთი იქნება. დროს სისულელებზე ნუ დახარჯავ, ამას სჯობს, ისწავლო... ნუთუ მშობლები არ გეცოდება, სახელის გატეხვით რომ უხდი მადლობას? აუ, აქ რომ მყავდე, გაგჩეჩავდი. შენნაირ გოგონებს მშობლები ქუჩაში უნდა აგდებდნენ. დედ-მამის დაფასება არ იცი, არარაობა ხარ. იმედია, ჩემი პირდაპირობა და სიტყვების სიმწარე არ გეწყინება, რეალობას თვალი უნდა გაუსწორო. P.S. მშობლებს თვლებში როგორ უყურებ, არ გრცხვენია?“

აპრა:

„არ გიფიქრია, რომ „ლოვეს“ მობილურის ნომერი გაგეუქმებინა? ბოლოს და ბოლოს, ამით ხომ პრობლემებს და ნერვიულობას აიცილებდი თავიდან. თვითმკვლელობაზე არც იფიქრო“.



ქისუნია:

„ძალიან ცუდია, როცა გიყვარს, ის კი ამ სიყვარულს ცუდად იყენებს. მასთან არ უნდა დანოლილიყავი! აბა, ეს რა საქციელია? თუ გულწრფელად უყვარხარ, შენს სიყვარულში ეჭვი რატომ შეეპარა? მგონი, მას მხოლოდ სექსი აინტერესებდა და ყველა გოგოს საამისოდ იყენებს. შენს „ლოვეში“ ეჭვი მეპარება. მის ექსშეყვარებულს ვინმე ბიჭის სახელით დაუმესიჯე და გაარკვიე, რა უნდა. წარმატებები!“

მარია მარაოზაშვილი:

„რა თქმა უნდა, შეყვარებული გატყუებს, მაგრამ ამაში მაინც უნდა დარწმუნდე. იმ გოგოს უთხარი, „ესემესები“ განახოს და ნომერიც გადაამოწმე. P.S. ლოგინში ჩახტომა არ იყო აუცილებელი“.

ვაკაპი:

„დავინყოთ იქიდან, რომ ნორმალური კაცი ქალების მოშორებას „ლოვეს“ არ დაავალებს. სიმართლის გასარკვევად შეგიძლია, მის ძველ შეყვარებულს შეხვედ. დამიჯერე, მოღალატის გამო თავის მოკვლა არ ღირს, მაგრამ თუ ყველაფერზე თვალის დახუჭვა და მის გვერდით ყოფნა გირჩევნია, აღარ ვიცი, რა უნდა გირჩიო. ჩემი თხოვნაა, თავი არ მოიტყუო“.

თაპო 16 (6027):

„ღმერთო, ამ გოგონებს ტვინი სად აქვთ? მეც გოგო ვარ და მათ ნაცვლად მრცხვენია. მართლა რომ უყვარდე, სექსს არ შემოგთავაზებდა. სად გქონდა ტვინი, როცა ლოგინში უგორდებოდი? არ იცოდი, რომ ქალებს „მუსუსი“

„მუსუსადვე“ რჩება? — ამას მე, 16 წლის ბავშვი არ უნდა გასწავლიდე. თავში ტვინი ოდნავ მაინც რომ გილაყლაყებდეს, ამას არ გააკეთებდი. მგონი, ის გოგო სიმართლეს გეუბნება და ღირსიც იქნები, ასე რომ იყოს; ბოლოს და ბოლოს, ჭკუას ისწავლიდი, მაგრამ რაღა დროს, უკვე მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო და გაფუჭებულ საქმეს აღარაფერი ეშველება. და კიდევ, ყველაფერს სიყვარულით ვერ გაამართლებ P.S. ბოდიშს გიხდით, თუ რამე განწყენინე, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გაუსწორო“.

ინუსცა:

„ჰმ, სიყვარული იმით დაგიმტკიცა, რომ ლოგინში ჩაგინვინა? ნუ, მაგარი ლოგინა... რა უნდა ქნა და ორივე ერთმანეთს უნდა დაუპირისპირო და ალბათ, რომელიმეს შერცხვება, რა. წარმატებები!“

ბამბურა:

„აქ რა ჯიშის და ჯილაგის ადამიანები წერენ, გავიყუდი, რა. ამ ხალხს თავში ტვინის ნაცვლად, დაჭმუჭნილი ქალაქი აქვს, რომელზეც უბრალოდ, „ტვინი“ წერია. რამ გადარია ეს ლანირაკი გოგონები? 17 წლის ასაკში ბიჭისთვის ნაკოცნიც კი არ მქონდა და გოიმი ვიყავი? გადაგვარებულ და გაქუჩისქალებულ გოგონებო, უფრნაღვი ამორალური წერილების წერის ნაცვლად, გირჩევნიათ, სწავლას მიხედოთ, მომავალი იხწყით... მათ ამბებს რომ ვკითხულობ, გული მისკდება. 16-17 წლის ლბაებს ხან მამისტოლა კაცებთან აქვთ სექსი, ხან აბორტს იკეთებენ. ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს. თქვენნაირებს ერთი ადგილი უნდა ამოუკერონ, ამის ღირსები ხართ! მართლა ვაი, ჩვენს საცოდავ საქართველოს! P.S. მკითხველებო, უხეშობა მომიტყევეთ!“

თაი, მხაჩარი:

„სიყვარული ლოგინში ჩაგორებით არ მტკიცდება. რადგან ასეთი რამ მოგთხოვა, შენი ღირსი არ ყოფილა და თავისი გზით გაუშვი. თავს არ მოიკვავ, დრო ყველაფერს შევლის“.

ნაოზი:

„ვაიმე, მაინც როგორი შტერი გოგო ხარ, ჰა? „იასნია“, გეკაფება, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ასეთი საქონელი ბიჭის გამო აპირებ თავის მოკვლას?“

სანის ასული:

„იმდენი თაყვანისმცემელი მყავს, რომ თავად ვერ უმკლავდება და მათი თავიდან მოშორება შენ დაგავალა? ეს არ მომეწონა!.. ფაქტია, მისი შენარჩუნება დიდი გარჯის ფასად დაგიჯდება და არავინ უწყის, ეს რამდენ ხანს გასტანს. ნებისმიერ შემთხვევაში, მასთან არ უნდა დანოლილიყავი. და კიდევ, უპასუხისმგებლო ბიჭებს ვერ ვიტან (გოგოებს არ ვამართლებ), ვაჟკაცობაზე რომ აქვთ პრეტენზია, ბევრს ლაპარაკობენ და ცხოვრე-



ბის ყველაზე რთულ მომენტში სად დაიმალონ, აღარ იციან“.

თაქო, გუზულუნა:

„შენი კარგად მესმის, რადგან მსგავს სიტუაციაში თავადაც ვყოფილვარ — 3 წელი მეც ასეთი ადამიანი მიყვარდა და დღეს მას ცოლი ჰყავს... ის შენ გრძნობებზე თამაშობს; იცის, რომ გიყვარს და მის გამო ყველაფერს გააკეთებ. ჰოდა, ვიდრე გვიანი არაა, გონს მოდი. შენვე ამბობ, — მექალთანე იყო, ასეთი ადამიანი კი დამიჯერე, არ გამოსწორდება, ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები. ჭკუით იყავი, ძვირფასო, უფალი შენთანაა“.

უცნობი 007:

„მეც მსგავს მდგომარეობაში ვარ, ჩემი „ლოვეც“ „მუსუსია“. ეცადე, დაივიწყო. სიყვარული ლოგინში ჩანვენიტ არ მტკიცდება. წარმატებები!“

იკუშკაძე:

„არ ვიცი, სინამდვილეში რა ხდება, მაგრამ ჩემი აზრით, ცხოვრებაში ყველაზე დიდი სისულელე უკვე ჩაიდინე. ის, რომ მასთან ინეჩი, დიდი ტრაგედია არ არის, აქ სულ სხვა რამეშია საქმე... ფიქრობ, „ლოვეს“ არ უყვარხარ; ყოველ შემთხვევაში, ჯანსაღი გრძნობით. ჰოდა, ამიტომაც მგონია, რომ თქვენი ურთიერთობა მალე დასრულდება. როცა კაცს უყვარხარ, ის მსგავსი ინიციატივით არ გამოდის და ქალს არ უზიდავს იმისკენ, რომ ყოფილი ქალებისგან ფარ-ხმლით შეიარაღებულმა დაიცვას. არ მინდა, გული გატყინო, მაგრამ შენს ადგილას ნამდვილად დავფიქრებოდი, ღირს კი ისეთი მამაკაცის სიყვარული, რომელიც იმდენად ეგოისტია, რომ ქალებს ერთმანეთს უქსევეს, რათა თავისი პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილოს?“

ნატალი 37:

„თუ „მუსუსია“, ალბათ, მერეც ირბენს ბულსავეთ. ყველაფერს რეალურად შეხედე და მატყუარა კაცის გამო თავს ნუ მოიკლავ. დამიჯერე, ეგ მაგის ღირსი არ არის“.

გვანცაია:

„ისე, ძალიან მაინტერესებს შენი ასაკი, ენ. ბაჭია. არ დაგიმალავ და შენმა მსიჯვამ გამაღიზიანა. შენი „ლოვე“ ქალების „მუსუსია“ ოდესღაც კი არ იყო, არამედ ახლაც არის და შენც მისი ერთ-ერთი მსხვერპლი ხარ. ძვირფასო, არ ვიცი, რაზე ფიქრობთ გოგონები, როცა ასეთ ცოდვას დაუფიქრებლად სჩადიხართ (ალბათ, ვერ მისხვდები და დაგიკონკრეტებ, რომ ცოდვაში მრუშობას ვგულისხმობ). „ლოვეს“ მართლა რომ უყვარდეს და შენზე სერიოზულად ფიქრობდეს, სიყვარულის დასამტკიცებლად სექსს არ მოგთხოვდა. რაც მოგივა, საკუთარ თავს დააბრალე. შენნაირი ადამიანები მაკვირვებენ“.

ლუნა:

„დიდი შეცდომა დაგიშვია, ჩემო კარგო, ქალების „მუსუსია“ ბიჭებისგან თავი შორს უნდა დაიჭირო, შენ კი ლოგინში ჩახტომიხარ. იქნებ, ის გოგო არ გატყუებს და მართლა გლალატობს? შეეცადე, ყველაფერი გაარკვიო ან უმჯობესია, მაგ ბიჭთან სამუდამოდ განვიტო ურთიერთობა. გკოცნი“.

ბაიკო:

„აჰა, სიყვარულის დამტკიცების უახლესი მეთოდიც გავიგე. საოცარი თაობა მოდის, რა... რად გინდა „ლოვეს“ „კარტა“? შეიძლება, შენი „ლოვე“ მართლ შენი არაა და თავის ძველ სიყვარულთან ერთად მაგრად გეკაიფება ან არადა, არ ვიცი, რა ხდება. მოკლედ, რთული სიტუაციაა. სიმართლე შეყვარებულისგან, როგორმე უნდა გაიგო“.

ცმნაზა:

„არ ვიცი, რა გირჩიო, მაგრამ ერთს გეტყვი: შეყვარებულის ძველ „ლოვეს“ დაურევე და პირში მიახალე, რომ მატყუარაა, რომ მისი არ გჯერა. გკოცნი. წარმატებები!“

ნკაძე:

„შენმა მესიჯმა გამაბრაზა. თუ პატრონი არ გყავს, „გზას“ ხომ კითხულობ, ჰოდა, არ იცი, სექსს რა მოჰყვება? ქალების „მუსუსს“ ლოგინში ჩანოლით დაუმტკიცე სიყვარული? აპლოდისმენტებს იმსახურებ — ბრავო! შენ არა, მაგრამ ის კი ნამდვილად მეცოდება, რადგან ალბათ, ჭკვიანი და თავმოყვარე ქალი თუ არსებობს, არ სჯერა. ჰოდა, სანერვიულო ნამდვილად გაქვს აბა, შენ იცი, წარმატებები!“

ლოვინია:

„ეს ხალხი გამაგიჟებს, რა. ნუთუ ამდენი ცხოვრებისეული მაგალითი, რაც „გზაში“ კრიტიკის საგანი გახდა, ჭკუის სასწავლებლად არ გეყოფ? თუმცა, სხვის შეცდომებზე ჭკუის სწავლა მხოლოდ საღად მოაზროვნე ადამიანებს შეუძლიათ. შენი აზრით, როცა იმ ქალების „მუსუსმა“ ლოგინში ჩაგინვინა, ამით სიყვარული დაგიმტკიცა? არა, მან უბრალოდ, დაგამტკირა, შენგან ის მიიღო, რაც უნდოდა და ახლა სხვასთან ერთობა. P.S. YELLOW, მგონი, შენ მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „იდსქო“ წარმატებულად ფუნქციონირებს“.

უცნობი:

„ბაჭია კი არა, დებილი ყოფილხარ, რადგანაც ქალების „მუსუსს“ ლოგინში ჩაუხტი. ეგ ბიჭი შენც ისევე გიყენებს, როგორც სხვები გამოიყენა. ჯობია, თავს დროულად უშველო“.

უცნობი 2:

„შენი აზრით, იმ ბიჭის საქციელი, რომელსაც ლოგინში ჩაუხტი და რომელიც ტელეფონის „კარტას“ მოგცემს, რათა მისი ქალები მოიშორო, იმას ამტკიცებს, რომ ნამდვილად უყვარხარ? თან, რატომ გგონია, რომ გოგონებს სხვა გზით არ ეკონტაქტება? არა, რა, ის კაცი ნამდვილად არ გცემს პატივს და არც ისე უყვარხარ, როგორც საჭიროა (ეს ჩემი პირადი აზრია). ჩემო კარგო, „ლოვეს“ დაელაპარაკე და ერთი შანსიც მიეცი, მაგრამ თუ იგივე განმეორდება, დაშორდი. წარმატებები! P.S. მინდა, რუისპირს და მისტერს ვუთხრა: ძალიან მაგარი ადამიანები ხართ, თქვენი აზროვნება მომწონს“.

სალომი:

„ყველაფერს ჯობია, ის „კარტა“ გადააგდო, „ლოვეს“ დაელაპარაკო და გაარკვიო, რას გრძნობს შენ მიმართ. ლოგინში ჩანოლას რაც შეეხება, არა მგონია, ეს სიყვარულის დასამტკიცებლად კარგი საშუალება იყოს, ამაზე არ უნდა დათანხმებულყოფი. და კიდევ, მის ქალებს ნუ დასდევ“.

ნაწალაძე:

„სიყვარული სხვა რამით უნდა დაგემტკიცებინა. რა ვალდებული ხარ, ქალები ჩამოაშორო? ჭკუას მოუხმე და უთხარი, რომ ნება იბოძოს, ყოფილები თავადვე მოიცილოს და პატივი გცეს“.

დიპა-ღუბა:

„შენს ადგილას შეყვარებულს „კარტას“ თავში ვესროდი და ვეტყოდი, — თუ ჩემთან ურთიერთობა გინდა, ეგ შენი „ლოვეები“ თავადვე მოიშორე-მეთქი!.. თუ არადა, „დაახვევინე“. კაცი, რომელსაც იმის თავი არა აქვს, რომ ყოფილი ქალები ჩამოიშოროს, არაფერში გამოგადგება. იცოდე, კუზიანს სამარის გარდა, ვერაფერი გაასწორებს, ის მუდამ მექალთანედ დარჩება“.

სალიკუნა:

„ეგრე არ უნდა მოქცეულიყოფი, მაგრამ თუ მართლა უყვარხარ და თქვენ შორის ფიზიკური კავშირიც უკვე იყო, დაოჯახდით... იცოდე, მისი ყოფილების „ესემესების“ კითხვა და მერე მათთან საქმის გარჩევა ფსიქიკას შეგიწყვეს“.

„ქმარი ლოთია და მსჯამს“

ნატალი:

„18 წლის ასაკში გავთხოვდი. ქმარი ლოთია და მცემს. ღამე ვმუშაობ და ფულსაც მართმევს, დედ-მამა კი სახლში აღარ მიშვებს. აღარ ვიცი, რა ვქნა“.

„ჯარში მინდა წასვლა...“

მარი:

„გამარჯობა. ვარ 18 წლის და მინდა ჯარში წასვლა, რასაც ბევრი უარყოფითად უყურებს. გთხოვთ, მითხარით, რა არის ამაში ცუდი? დამიკავშირდით, ვისაც მსგავსი სურვილი გაქვთ“.

P.S. გმ პე თუ ნატალია და მარის წერილების ნაკითხვს შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმტკიცეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



მოხილ-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილ-ზაციაში“ მოხვედეს, მოხილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრებოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრებოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მოხილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. გავიცნობ 25 წლამდე ბიჭს, სერიოზული ურთიერთობისთვის... აღარ მინდა მარტოობა. გელოდები.
2. გთხოვთ მომწეროთ 44-ე ნომერი ჟურნალის მე-12 განცხადების ავტორის ნომერი.
3. ვარ 33 წლის, განქორწინებული, შვილი არ მყავს. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის და ოჯახის შექმნის მიზნით შემიხმინოს 45 წლამდე მამაკაცი. მეგი.
4. გავიცნობ დამოუკიდებელ, ყურადღებიან, საქმიან მამაკაცს, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 42 წლის, სერიოზული, სიმპათიური, ქვრივი. მაქვს ბინა. ვნახოთ, იქნებ...

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილ-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრებოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

5. მინდა გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი. ვარ 29 წლის, მკვია ნინიკო. გამოემხმარეთ მხოლოდ სერიოზულები და ოჯახის შექმნის მსურველები. გელით.
6. გავიცნობ მხოლოდ ლამაზი მომავლისა და ოჯახის შექმნისათვის. ვარ 28 წლის, განქორწინებული, იმერელი გოგო. შემიხმინოს ჩემი შესაფერისი.
7. გამარჯობა! მინდა გავიცნო სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი, 20-დან 25 წლამდე. ვარ ლამაზი, უბრალო ადამიანი.



ქაღაბი

8. გავიცნობ 20-დან 50 წლამდე ქალბატონს. ვარ 28 წლის, სიმპათიური. ვცხოვრობ თბილისში. დათო.
9. ვარ 175/80/40, თბილისელი, განქორწინებული, თბილი და მხიარული კაცი. ვეძებ სულიერად ლამაზ ქალბატონს, დაევიყოს სიკვდილამდე ერთგულნი და ბედნიერნი. მაშუკა40.
10. გავიცნობ დასავლეთში მცხოვრებ ქალბატონს, რომელიც არის მამაკაცურ სიტბოსა და სიყვარულს მოკლებული.
11. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №44-ში გამოქვეყნებული, რიგით მე-5 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი, რომელიც არის გულნატკენი გოგოს სტატუსით. პატივისცემით, გიო.
12. გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს, ოჯახის შესაქმნელად, 23-დან 30 წლამდე, მხოლოდ თბილისელს. შეიძლება განათხოვარიც. ვარ დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი, სიმპათიური.
13. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შიდა ქართლიდან, პატიოსან ოჯახში აღზრდილ, პატიოსან გოგოს, 28-34 წლამდე. მე ვარ ეკლესიური, თვითდასაქმებული. ცისფერთვალება. რეზო.
14. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №45, რიგით მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი.
15. სერიოზული ურთიერთობის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, თბილისში მცხოვრებ ქალბატონს.
16. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №45,

- მე-2 გზავნილის ავტორთან. ვარ 45 წლის, დასაქმებული, პატიოსანი მამაკაცი. დიმა.
17. გამარჯობა. არ ვიცი, სწორად ვწერ თუ არა და თან პირველად ვაკეთებ ასეთ რაღაცას და გთხოვთ, მომცეთ №44-ის მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი.
18. მე-40 ნომრის პირველი მესიჯის ავტორს ჩემი ნომერი მიეცით ან თუ შესაძლებელია, მისი ნომერი მომწერეთ. მეც მასავით ჭეშმარიტ სიყვარულს დავეძებ.



შეკვპ

19. ვეძებ ზვიად მექვაბიძეს თერჯოლიდან. ამჟამად ცხოვრობს ქუთაისში. ზვიად გაიხსენე ერაყში პოეზიის საღამოები და იმედია მიცნობ. ჯ. ხავი



სხვადასხვა

• ჩემო უტკებესო მარი, შენზე ბედნიერი არავინაა ამ ქვეყანაზე. სწორედ შენ ხარ ჩვენთვის ბედნიერების მომტანი, მგზავნელთა დიდი არმიის დედოფალი! შენი მისამართით ნათქვამი ყოველი სიტყვა გულში სიამით მეღვრება. შენ ხომ ჟურნალ „გზაში“ დაამკვიდრე რუბრიკა „გზავნილები“. ჯერ საქართველოში მსგავსი რამ არც ერთ ჟურნალს არ ღირსებია. წლებში განმავლობაში უამრავს მიეცი საშუალება, გულწრფელი აღსარებისა, როგორი შევბა იგრძნეს, როდესაც ჟურნალში თავისი ნაწერი ამოიკითხეს. ჩვენს ჭირ-ვარამგამოვლილ საქართველოში უმეტესობა გაჭირვებულია, ვიდრე დალხინებული. მათთვის შენი რუბრიკა ნამალა სულია, გულისა და შევბისა. გაიხარე და გამრავლდე შენ, მარი ჯაფარიძე იე, როგორც ადამ და ევა, ამას იმსახურებ,



შენი ინტელექტით, სიბრძნით და საერთოდ, ყველაფრით. უნიჭიერესი ხარ, ამიტომ მიმანჩია, რომ უბედნიერესი შენ ხარ და შემდეგ კი დანარჩენნი. შენი ბრწყინვალე შემოქმედება დიდი გაკვეთილია ჩვენთვის, რათა ჩავიხედოთ ჩვენს გულში, რანი ვართ და როგორი უნდა ვიყოთ ამ ნუთისოფელში, ერთხელ მოსულნი, როგორი ბრწყინვალე უნდა ნავიდეთ! მინდა, ამქვეყნად ყველა გახარებული და ბედნიერი იყოს. რა გულიანად ჩამოაყალიბა ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა ჩვენმა შესანიშნავმა მგზავნებმა — ულიბკამ. მართლაც ბედნიერი ხარ, ჩემო მარი, უთვალავ მგზავნებს აუჩქაროლე გული, ერთმანეთთან დააკავშირე და დაამეგობრე. მათი სითბო და სიყვარული ბრწყინავს ყოველ ხუთშაბათს შენს რუბრიკაში. ამ გრძნობამ გაუმრავლა მკითხველი ჩვენს საყვარელ ჟურნალს და თავადაც გაუხსნა გზა მგზავნელი გამხდარიყო. დიდი მადლობა, მეც მერგო შენი დარგული ხის ნაყოფი. ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობ თავს. ფიზიკურად არავის ვიცნობ, შორიდან სითბოსა და სიყვარულს მიგზავნიან. ბევრმა მგზავნელმა შემეყვარა თავი, სიამოვნებით ვეცნობი მათ სმს-ებს და მათ გულით ვეკონტაქტები. ზოგიერთები მიერეკავენ, მკითხულობენ, ვენაცვალე ყველას, კარგები არიან. ასაკს რომ ვეკითხები, მეცინება, სად მე და სად ისინი, ჩემი ტოლი ქვაც აღარ გორავს, მაგრამ გულს უხარია მათთან კონტაქტი. ეს მაძლევს ძალას და მახალისებს. მგზავნელებმა სიყვარულით ისე გამაანებიერეს, რომ სულ დამავინწყეს წარსულში როგორ გავლენე კალო ობლობისა, გაჭირვებული სტუდენტობისა, ყოველმხრივ უკმარისობისა. ინსტიტუტი წარმატებით კი დავამთარე, მაგრამ რაააა მერე... სცენა მე არ მღირსებია, სულ სხვაგან მიტრეს თავი. გავიდა დრო და ბედმა ღმერთითი კაცი მარგუნა. კეთილშობილი, განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი. ჩამაცვა, დამახურა, დედოფალივით გამომანყო. სიცოცხლეს მაშინ გავუგეგმო. მეუღლის სიკვდილის შემდეგ ისევ დარდი, ისევ სევდა. მივიკრს მის დამკარგავს როგორ მიდგას სული. ესეც მგზავნელებმა დამავინწყეს და ისიც, რომელსაც სიამაყით ვისხენებ — კონკურსს, სადაც საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი, მე ლაურეატობა, საქართველოს კი დიდება მოვუტანე. არც გამკვირვებია, ჩემმა დაგუბებულმა თეატრალურმა ნიჭმა ვულკანივით ამოხეთქა, დარბაზში ცეცხლი დავანთე. ხომ გუბუნებოთ, ეს ჩემი მწარე და ტკბილი წარსული თქვენ მგზავნელებო, თქვენ დამავინწყებინეთ. სწორედ თქვენი სითბოთი და სიყვარულით მივდივარ იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან. განა ეს ცოტაა? ასე შეცვალა ჩემი ცხოვრება მო ვ ლ ე ნ ა მ, მარამ სიკეთით რომ დააარსა და „გზავნილები“ უწოდა... და მაინც ბერბიჭა მენატრება „გზაში“. მარი, გაღმერთებ, შენი მგზავნელებიანდა! ყველას გაამბორებით, გიყვარდეთ ერთმანეთი! ქაჯების დედოფლის სიტყვებით გაქმნივით: „უწრხალ „გზაში“ თქვენი მესიჯების ნახვით გამოწვეული სისარული ნუ მოგიშალთ ღმერთმა!“. ნანი ღუმბაძე.

• ამ პატარა სასამისითა და დიდი გრძნობით მინდა შევსვა უწმინდესი სადღეგრძელო. დაუფინყარ სიყვარულთან ერთად მინდა დაკარგული სიყვარული ვადღეგრძელო. კოლოთო.

• გული მაქვს დამძიმებული, დასევდინებული, დატანჯული, დაბზარული, გატეხილი და დამსხვრეული. სულ მასზე

ფიქრით გამოვშტერდი, აღარც ვჭამ, აღარც ვერთობი, მართლაც რომ მკვდარი ვარ და რამე მიჩივთ, მე ხომ ჯერ 19 წლის ვარ. თავის მოკვლამდე მივყავარ ამ მონატრებას. ვინმემ მითხრას, ამ ტკივილს როგორ მოვერიო, თორემ ვფიქრობ, რამე სისულელეს ჩავიდენ, რადგან სუსტი და უძლური ვარ, ამ ტკივილის მიმართ. მხრავს და წაშებით მანადგურებს, მასხენდება შენი ბოლო სიტყვები: მიყვარხარ და ვერავინ დაგვაშორებს, შენი ღიმილი, შენი თვალეები, რატომ დაგვაშორე, მარი, რატომ? რატომ გამწირე ტკივილისთვის? მიშველეთ, მენატრება და ეს მონატრება ტკივილს მაყენებს. უიმიოდ ვერ ვიცხოვრებ მშვიდად, სულ მას ვეძებ, მოსვენება დავკარგე, ის წყეული დღე მახსენდება, საკუთარ ქორწილში რა გადავიტანე.

• ჩემი მომავალი დედამთილი ძალიან მიყვარს. ერთი სული მაქვს, როდის ჩავეხუტები და დავახრჩობ კოცნით. მარიამულ, 6 ნელია, კულისებიდან გიმზერ. ძალიან მიყვარხარ. ბუსუ.

• ძალიან კარგი ჟურნალია „გზა“, მაგრამ ნუთუ არ შეგიძლიათ, ხარისხი გამოასწოროთ?

• შენს ლამაზ თვალეებში იმდენი სითბოა, რომ ერთი შეხედვით ტანჯულს გულს გაუთბობ, მე იქნებ ათასი თვალეები მომწონდეს, მაგრამ შენს თვალეებს არავის დავუტომბო. ნი87.

• იცი, რამდენი ფიქრია? და ყველა ფიქრი შენა ხარ. იცი, რამდენი ნატვრაა? და ყველა ნატვრა შენა ხარ. იცი, რამდენი დიდი ტკივილია, როცა მენატრები და არ ხარ. ნი87.

• მარ, გამარჯობა. ჩემი ნიკი რატომ არ დანერგ? ამო-ჩუკა.

• ცოტა ხნით შემოვირბინე, ჟურნალს თვლი გადავავლე და ჯერჯერობით აქ ჩემი ადგილი არ არის, თუმცა მოვა დრო, შე დავბრუნდები, გაგრძელებისთვის. EKO BOY.

• გამარჯობა მარი, პირველად გწერთ, მინდა გათამაშებული ტრაგედიის ავტორს ვუთხრა: შენი კარგად მესმის, მეც მქონდა დაახლოებით ასეთი პერიოდი, მაგრამ სხვას გავყევი და არ ვინაობ, მშვენიერი ოჯახი მაქვს, ის კი წარსულია და გზაბნეული, სათანადოდ არ დამაფასა. თავს გაუფრთხილდი და იყავი კარგად, უფალი გფარავდეს.

• გულის გამხარებელო, რავარც იქნა, გავაგზავნე მესიჯი „გზაში“ და აწი აღარ შეგანუხებ. თემამ დამაფიქრა, შეყევი და რაც გამოვიდა, ხომ თავად ნახვ. მამატიე, თუ დაგლი.

• ეჰ, მარისელა, გავთხოვიდი, მაგრამ მეუღლეს მშობლები არ ჰყავს, არადა, არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავდა, ნამდვილად ვიცი და ნეტავ, მყოლოდნენ. ხომ ხედავ, ზოგი არყოლას ნატრობს, მე კი პირიქით, მინდა, დედამთილი და მამამთილი. გიას კი ვეტყვი, რომ უზომოდ მიყვარხარ და ვაბოდე შენზე... დამიბეჭდე რა, მარი, სმს-ბი, გთხოვოოოვ... მარი.

• მამარ, როგორ მიყვარხარ, რა კარგი ხარ, ვკითხულობ, ვკითხულობ „გზავნილებს“ და უცებ გამიფართოვდა, დამეჭანა და გამიბრწყინდა თვალეები. სისარულისგან არ ვიციოდი რა მექნა, ისე მომიწინა შენთან ჩახუტება, მადლობის ნიშნად. ძან გამახარო, ძან მიყვარხარ, მადლობა სისარული.

• მარორიტა, შენი ნერვები მომცა და არაფერი მინდა. ქაჯების დედოფალი.

• მარი, მართალი თქვით თქვენ, სიმარ-

თლეს შეცვლა არ უნდა, დაწერეთ ნამდვილი გვარ-სახელები.

• მარ, მიშველე, მამარ. კლეოპატრა გაგიგოდა.

• ჰა... და მოგონებები, უსასრულო, ტკივილით აღსავსე მოგონებები, რომელსაც ისევ შენით ამოსუნთქვით ვაფერადებ... შემოდგომა... მაგრამ ბელურები ხომ ისევ აქ არიან, შემოფრთხილებენ და სიცოცხლის ნამებს აღამაზებენ... მამ, შენ რატომ ნახვედი? შენ რატომ შეუერთდი წარსულის ბილიებს? ნუთუ შემოდგომის ცივმა სუსხმა შეგამინა? შემოდგომა... ფოთლებს უკვე შეპარვით სიყვითლე შეიცვალა, მართლაც ყველაფერი შეიცვალა. გარშემო ნაცნობი ადგილებია და... მხოლოდ შენი აჩრდილი... სხვა აღარაფერი დარჩა. 03.11.2010. კლეოპატრა.

• მამატიე, რომ ერთხელ ისე უნდა გადავირიო, უნდა მოვიდო თქვენს რედაქციაში და ავაფეთქოთ. გადარეული.

• კარგი სიდედრი მართლაც კარგია, მაგრამ არ მყავს. უფრო სწორად, ლოვე არ მყავს.

• გამარჯობა მარი, ძალიან მინდა გრუზინკას გაცნობა. თუ თვითონ სურვილი ექნება. მოვიკითხავ ლუნს.

• მარი, სმს-ები რატომ არ დამიბეჭდე? ჰო, კაი, არა უშავს, მაინც მიყვარხარ და წარმატებებს გისურვებ. უფალი გფარავდეს. წყევლა.

• SCARLET, ჯიგაააარ! ეს POLICE კი უნდა დაიჭირო, თითები გაუნელო, ფრჩხილები წააძრო და ზედ ფრჩხილების ადგილზე ქინძისთავები უნდა გაუთქოთ. ქაჯების დედოფალი.

• მარორიტაააა, POLICE-ს რო მივმართე, რატომ არ დამიბეჭდე? არა უშავს დი, მერე რა მოხდა. მაინც მიყვარხარ. გაკოცეთ. ქაჯების დედოფალი.

• ნიტა, ბაზარი არაა, ვიმეგობროთ... :) გელოდები. ქაჯების დედოფალი.

• მარი, რა იყო, 1 სმს-ის მეტი რომ არ დაბეჭდე? ეგ ქაჯების დედოფალი ვინაა ასეთი, მთელი გვერდი რომ უკავია? ეგ ქაჯი მართლა. მართლა არ გადამრიოთ თქვენ! გადარეული.

• წყევლა, ჭკვიანურად თამაშობ. რუსიპირ, ჭკვიანი კაცი მეგონე მე შენ. მისტერი დაფრთხა, არ მჯერა. მარია და კლეოპატრა, მომწონხარ. ქაჯების დედოფალი, ნუ ატლაკუნებ!

• გათამაშებულმა ტრაგედიამ ჩემი თავი და ისტორია გამახსენა... განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ დასასრულშია. ჩვენც მასე ვანყობდით გეგმებს მომავალზე, ისევე გვევროდა იმ ტკბილი (თუ მწარე) გრძნობის, სიყვარულს რომ უწოდებენ, დილას ერთმანეთით ვინყებდით და შუალამისას, როდის-როდის, ძილი გვართმევდა ერთმანეთის თავს, ყველა შეხვედრა რაღაც, ახლის დასაწყისი იყო ვიცოდი და მოუთმენლად ველოდი ნახვის წუთებს... ჩვენც გვყავდა საერთო ახლობელი, მისით მობდა გაცნობა დაახლოვება, აი დაშორება კი უკვე ჩემი? არა, უფრო მისი ბრალი იყო, თუმცა ტკივილზე დიდი, ადამიანების მიმართ უნდობლობა დატოვა ჩემში... ესეც არაფერი... ხანდახან ესეც ხდება... გაკოცეთ... სოფი20.

• გურული, რა გინდა, რას მეფარისევლები, მოსაწონს რის ვნერ, ასე რომ აღფრთოვანი? მარია.

• უდიდესი სიყვარულით მოვიკითხავ ფლამინგოს, ჭრიჭის, ედეს, ლაკვასტს და მილენას. უსაყვარლესი დაიკოებ ხართ. მიყვარხარ. უფალი გფარავდეთ. კლეოპატრა.



• შენ არაფრისთვის არ იბრძოლებ, არაფერი არ გააკეთე ამ სიყვარულის გადასარჩენად! ყველა ლამაზი გრძობა ჩაკა-ლი ჩემში. ოდესმე გაიგებ, რომ ყველაფერი შენზე იყო, ჩემი გული შენ გვეუთვნოდა, მაგრამ უკვე გვიან იქნება! ახლაც გვიანია, უკვე ძალიან დააგვიანე. ბევრი აღარ დარჩა. რატომ არ ფიქრობ, რომ მეც ისევე ვიქცევი, როგორც შენ. როდემდე უნდა იყო ჩემად? უკვე ვეღარ მაღავ. ახლა ღამეა. ისევ შენზე ფიქრები ამეკვიტა. ნარსული, ანწყო, ყველაფერი ერთმანეთში გადაიხლართა. სულ ცოტაც და გავგიჟდები. გეძახი, გიხმობ, შენ კი არ გესმის. ვერაფერს ხედავ. ფიქრსაც გადავერგვევი. სიყვარული? ეს გრძობა შენდამი არასოდეს გაქრება, უბრალოდ დაეადუშებ, რომ შენი თავი არ გამახსენოს. უბრალოდ ჩემი გულია ცოლო, ჩემი ნაფლეთებად ქვეული გული. არადა, უაზროდ მიყ... ვერდები. 13.11.2010.00.11. კლიოპატრა.

• ლაკვასტი, იცი, როგორ გამიხარდა, რომ დამირეკე? გენათაღე, მაგარი ხარ, მიყვარხარ. ფლამინგო, შენმა მამ-მამა ხომ საერთოდ... ჩემი ტკბილი ადამიანები ხართ. ქაჯების დედოფალი.

• მისტერ და რუისპირი, თქვენი მესიჯები მომწონს და სიამოვნებით ვკითხულობ. კარგები ხართ. ზოგჯერ ზედმეტი მოგდით, გოგოს ასე გამოლანძღვა რა კაცის საქმეა? მაპატიეთ, რომ ვერვი, მაგრამ არ მინდა, ვინმემ ცუდად მოგიხსენიო. მაგრები ხართ და ზოგიერთის ნაბოძვარი დაიკიდეთ. და კიდევ, შენ რომ გოგო ხარ, რა კაცობის დამტკიცებას სთხოვდი? ვერ ხედე-ბოდი, რომ შეუგრატცხოვდნენ? უკაცრავად, თუ ზედმეტი მომივიდა და იმედია, აგრესიას არ გამოვიჩვენე. თქვენი კინკლაობა სხვებისთვის აუტანელია. თეთრო.

• მე მხოლოდ სამყაროს ერთი ნაჭერი მინდოდა, ხელისგულივით ანდა ღრუბლის ფთილასავით. მე მხოლოდ სამყაროს ერთი ვუთხე მსურდა, რათა მთელი სამყარო მქონოდა. რუისპირი.

• გამარჯობა მარი, „გზას“ დიდი ხანია ვკითხულობ, მარა პირველად გწერ, ისიც თემდე გადამანყვეტინა. ესეც ნამდვილი თემდედა (ახლა ესე ეძახიან). ერთხელ სახლში მივედი ნასვამი და სიდედრი შემეგება კარში (მაშინ ჩემთან ცხოვრობდა). ბავშვს დაუფუყე ჩაცმა, ჩემს დასთან ვაპირებდი წაყვანას. მაგ დროს მომტაცა ბავშვი, ნასვამი ხარ და ვერ გაგატანო და იქ მოხდა ჩემი გაგიჟება, ჯერ ისედაც მინდოდა სახლიდან გაგდებო. უროს რომ მოვკიდე ხელი, დასვა (იკადრა) და ისე გაიქცა, უკან მიწეული გინება ალბათ არც გაუგია, სულ ეს იყო. ბეჟა.

• სკარლეტი, მომენტარა ბათუმი. ის ჩვენი „ბლანძინკა“ გოგო, თავისი გიჟებით. მაგარს კი ვწამებოდით, მაგრამ კაი იყო. ფოტოგრაფის ოცნება გახსოვს? :) აუ, კაი იყო, რაა... მიკა.

• ამდენი იდიოტური მესიჯების წერას, არ ჯობია, რამე ღირებულზე და ადამიანურზე წეროთ? ილინ, მე თუ ის მოკრძალებული სურვილები ავისიერლე, მერე ნახე ფრთების გაშლა. :) მიკა.

• გამარჯობა მარი, ყოველთვის ძალიან საინტერესო თემებს არჩევთ, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, ახლა ერთ საკითხზე მიინდა მოგწეროთ. ეს აბორტს შეეხება. საშინლად მტკიავა გული, ასეთი პატარა გოგონები თავიანთ ცხოვრებას დაუდევრად რომ ეკიდებიან. მინდა, მათ მივმართო: გარდა იმისა, რომ აბორტი სერიოზულ ზიანს აყენებს ქალის ჯანმრთელობას და ხშირ შემთხვევაში ინვესს უშვილობას,

მთავარი მანც ის არის, რომ აბორტი უდიდესი ცოდვაა. ხალხი, დაფიქრდით, ამით ხომ საკუთარ სისხლსა და ხორცს უსწრაფებთ სიცოცხლეს პატარას, რომელიც თქვენი გენეტიკის მატარებელია. პატარას, რომელსაც შესაძლოა, ჰქონდეს თქვენი ღვთის კურთხევა, მაგრამ ამ ცოდვას უფრო ნუ დამამიმბებთ. პატარა ხომ ანგელოზია, რა დაგიმავათ მან თქვენ? განაწყენდით შეყვარებულზე, შეგეშინდათ მშობლები, დაგაფრთხოთ ხალხის აზრმა და ამის გამო უდანაშაულოს ჰკლავთ? ე.ი. რა გამოდის, ვფიქრობთ ყველაფერზე, გარდა ღმერთისა... დარწმუნებული ხართ, რომ გეგმები, რომლის ჩაშლამაც უდანაშაულო პატარას ადანაშაულებს, ამ მკვლელობის შემდეგ ისევ ისე უნაკლოდ და ღამაზად განხორციელდება? არა მგონია... ან ყველაფერი რომ თავი დავანებოთ, ახლა ხომ XIX საუკუნეა. ათასწლიანი ჩასახვის სანინალმდეგო საშუალება არსებობს, სირცხვილიც კია აბორტებზე საუბარი. მართალია, ეკლესია არ საშუალებებსაც კრძალავს, მაგრამ ჩემი აზრით, საკუთარი შვილების საკუთარ სხეულში დაგლეჯვა-დანაწევრებას მინც სჯობს...

• ისევ არიან ნესიერი, ჭკვიანი და საღად მოაზროვნე ბავშვები (ოღონდ, ნუ ჩხუბობთ, ძალიან გთხოვთ, იმსჯელებთ და ტაქტიანად იკამათეთ). ალბათ არავინ განაწყენდება, თუ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით მომწონს რუისპირი და ლაკვასტი. დუდა. P.S. ნიკოლ, მაპატიე, არ ვიცოდი შენი ერთ-ერთი ნიკი დუდა თუ იყო. მე უბრალოდ, ბავშვები მეძახიან ასე და მიყვარს ეს მეტსახელი... ნიკოლი კი მშვენიერი ნიკია, ნამდვილად გამორჩეული და ღამაზი...

• მარიამოლო, როგორც ყოველთვის, გენიალური ხარ. ძალიან მომეწონა შენი იდეა. ყველანაირად ვეცდები, უფრო კარგი და შინაარსიანი ამბები მოგწერო. აღფრთოვანებული ვარ, ისე მომეწონა „გზავნილები“. „მოკლე ჩართვის“ კითხვას თუ ისევ გააცოცხლებ, მე პირადად, ძალიან გამახარებ, მარ. P.S. პარიჟანა, ძვირფასო, შენ ალბათ არ დაკვირვებხარ, რომ მეც ერთგული მგზავნი ვარ, დიდი ხანია და დღემდე აქტიურად ვაგრძელებ მგზავნილობას. ასე რომ, მარის გვერდით ბევრ სხვა, ღირსეულ მგზავნელთან ერთად მეც ვიმსახურებ ადგილს. იმედია, მიიჩიარები და შენ გვერდით მეც დამითმობ პატარა ადგილს. გოცნი.

• ქალბატონო ნანი, ძალიან გამიხარდა თქვენი გაცნობა, თქვენმა თბილმა სიტყვებმა უზომოდ გამათბო. საოცარი სითბოს მქონე ადამიანი ხართ! მიყვარხარ და ბედნიერი ვარ თქვენით. ლუნა.

• მოკლედ, ამ ტელეფონმა სულ გადარია ეს ხალხი (ჩემი ჩათვლით). ჩემს მეგობარ თამუნას, შეყვარებულის დედასთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს. სადამთილო მაგარი „სვეციკა“ ქალია, მესამე თაობის მობილურიც აქვს (სენსორებიანი!) და საკუთარი კომპიუტი, მაგრამ ბოლომდე თინეიჯერობასაც ვერ ქაჩავს და ხანდახან ჭყდავს ხოლმე. ამას წინათ, თამუნამ სატრფოს მისწერა მესიჯი: კუდი მაგრად გიხდებოდაო (ქუდი იგულისხმა). ეს მესიჯი სადამთილოს ნაუკუთხავს და გაგიჟებულს უთქვამს შვილისთვის: კუდიანები და ეშმაკები თავისებედა მოიკითხოს შენმა შეყვარებულმა, ასეთებს როგორ აბედინებო? დათო გადაბჟირებულა სიცილით. P.S. რამდენიმე კვირის წინ „გზაში“ ერთი მგზავნილი გოგოს ფოტო დაიბეჭდა (იმ გოგონა ვინაობას, შეგნებულად არ ვამხელ) მის შეყვარებულს სიხარულით უყიდა „გზის“ ის

ნომერი, სადაც მისი სატრფოს სურათი იყო დაბეჭდილი და სახლში მიუტანია, რათა მშობლებისთვისაც ეჩვენებინა. სამამათილოს მოსწონებია, მაგრამ სადამთილოს რა უთქვამს, არ იკითხავთ? რა და, არც მეტი, არც ნაკლები, პოპულარულ რძალს მე სახლში არ შემოვუშვებო! მამაშ. რაც ამაზე მე ვიცინე?! მუდამ თქვენი ლუნა.

• მარ, დამიბეჭდე, PLEASE. მიხვდი, მართლა ბევრ რამეს მიხვდი, მართლა თავხედურად მოვექციე ზოგიერთს. პატივისცემით, წყველა.

• მისტერი ჯარში? ჰმ... მე მის მომავალს ზოოპარკში უფრო ვხედავ. P.S. არსებობს ცილისნაშაზე საშინელი იარაღი და ეს ჭეშმარიტებაა. ნაომი.

• ნუთიერია სამყაროში ყოფიერება, ადამიანო, უნდა ისწავლო ლომიერება, რადგან ჩვენშია სამოთხისეული, სულის ცხოვრების ცნობიერება... ლაკვასტი.

• კარგი სულის ადამიანი ყველგან შესამჩნევია, ჩემო ქაჯეთის დედოფლო, მათ შორის ჟურნალის ფურცლებზეც... ასე რომ, სამადლობელი არაფერია... SWEET-GIRL.

• დათო73, როგორ ხარ, სიხარული? ალბათ ჯერ კიდევ ვერ რეკავ. მე ძველებურად ვარ, დღეგამომშვებით ვმუშაობ. მანუჩარმა ნინო მოიყვანა. მომენტარე დათო, ვერაფერს ვიგებ. თუო.

• ძალიან მომწონს „გზავნილები“, ისტორიის ლაბირინთები და ქველმოქმედება! ძალიან გამიხარდება, თუ დამიბეჭდავთ. P.S. ხომ არ იცით, მოკრიცას რა ჰქვია ქართულად?

• ენა ქარჩხაძე, მიყვარხარ, ჩემი ცხოვრება ხარ. უცნობი ნაცობი.

• დათუნა, იმდენ რამ მაქვს სათქმელი, თითო მესიჯის 160 ნიშანი ამას როგორ დაიტევს. არ გენყინოს, მაგრამ მე მანც მოვალ ხოლმე, ისე, როგორც აქამდე მოვდიოდი. დათუნა, ეს ხომ შენთან კონტაქტის სულ მცირე, მაგრამ მანც საშუალებაა. შენები რეკავებ და ვკითხულობენ. ყივჩაღმა, მამიკო ძალიან მიყვარს! დათუნა ძან ხშირად ლაპარაკობს შენზე. ამას წინათ გვანყენებდა, მამა მალე მოვა. :) მიყვარხარ... გვიყვარხარ! გვენატრები.

• ულიბკა, გამადლობ თანადგომისთვის, მინდა, საცხე იყოს ყველა ადამიანი დიდი სიყვარულით. მე და ზაჩის ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ჩვენ ერთად გავიზადეთ. 030.

• 030 ბაჩი, ნეტავ როგორ ხარ? ძალიან მომენტარე სიხარული, იცი, რა მინდა? ჩაგეხუტო და ვიტყვი ბევრი. შენ ჩემი ყოველთვის გესმოდა. დავიღალე ასეთ გაურკვევლობაში ყოფნით, ამდენი ფიქრით, მარტოობით და საერთოდ, ყველაფერი მაგიჟებს უკვე. ზაზას დავეტაყ სერიოზულად, მუხრანისაც მივწვდი და ვუთხარი, რაც ელის ზაზას აკიდებისთვის. ვერაფერს შევცვლი ამით, მაგრამ გავაფრთხილებ მუხრანი. ვნახოთ, ჯერ არავისთვის მცალია, შენ მყავხარ მისახედი. შაბათს მე და ლიკო საპატრიარქოში მივდივართ, საქმე გვაქვს. სიხარული, არ გაგჩერდები, თუ ცოტა აირია სიტუაცია ხომ საერთოდ... ვნახოთ, უფალი არ გაგწინავს, ვიცი. ბაჩი, ვბრაზობ სერიოზულად, რატომ ხარ ასეთი კარგი? მინდა, რამე გავისხელო ცუდი, იქნებ ამდენი აღარ ვინერვიულო, მაგრამ არ მახსენდება კარგის მეტი არაფერი. ჩემი წუნწუნი და ბუბუნი უფრო მახსენდება ამაზე ციფრები. მეცინება კიდევ, შენი შვილიშვილიც ასეა, ბოლომდე ციფრები ყველანი, რა ასიაშოვნონ. გასწორებულშია, მაგრამ მანც უკმაყოფილოა, სულ რა-



ლაცას წკმუტუნებს ბებოს სიხარული. რომ მიდის, არ დაავიწყდება, ბაბუს უნდა აკოცოს, მოვა და კისერში მოკვინო. ეშმაკუნამ იცის, ვისთან უნდა იყოს უმამყოფილი. აქ რომ რჩება, დათისთან წევს. არ წვება ჩემთან, ცუდი წოლა ვიცი მე და შეგანუხებო. მაგარი ეშმაკუნა ვიზრდებიო, მაგრამ ზუსტად იცის, როგორ მიაღწიოს იმას, რაც უნდა. მოენატრე, ხშირად გახსენებს. პარასკევია დღეს სიხარული, ნიკოს ნახვის ბედნიერება არ მქონია. არც ვურეკავ ჯერ. მუხოს თავი ასტიკვდა ზედმეტად. დღეს მაგან ჩარიცხა ანგარიშზე ფული. კარგად იცის, მოვა დრო და პასუხს მიიღებს. თვითონ მითხრა, ზაზას ვუთხარი, ეგ გოგო ასე იოლად არ გადაგვყლაპავს და ნუ მარცხვენო. ასტიკვდა თავი? მე როგორ ვჯავრობ, ხომ იცი შენ? მოკლედ, ჯერ მართლა არ მაქვს არავის თავი. მოვა ამის დროც, მე მოვიტომენ ამ ჭორებსაც. შენ მყავდე ჯერ კარგად. ჩემზე ნუ ნერვიულობ, რაღაცას ვიზამ სიხარული. გაკოცე. დავითაშვილების ანდრია ყოველ დღით გადმოადგება აივანზე და გეტყვის შენ. „ბუდილინიკივით“ არის, არ ჩუმდება, სანამ ინგა არ შეიყვანს სახლში. თუ დამინახა, როცა მანქანას ვრეცხავ, მამინვე მკითხავს, კახა არარარი? თან „სოსკა“ უდევს პირში. თავი — გაკვეთილი გისოსებში. რა სასაცილოა, ნეტავ იცოდე. როგორ არ დაავიწყდა, ვკვირდები. სიხარული, 14 რიცხვი გათენდება. კიდევ ერთი თვე გადის. ნეტავ სადამდე გაუძლებ უშენობას? გაკოცე უამრავი, ჩემო სიცოცხლე. დღეს საქართველოს ჩემპიონატი იყო. დღის II ადგილზე გავიდა. იტირა სიბრახისგან, ძლივს დავანყარეთ, ისე განერვიულდა ეს ჩურჩუტი. მიეჩვია I ადგილზე ყოფნას. მამიკოს ეწყინება, ადგილზე რომ ვერ გავდგდით. დავანყარე. მოვედით სახლში, გადავივლო წყალი და დანვა გაბუტული. დედას კაცუნა. სხვა რა გითხრა, ბანი. გაკოცე უამრავი.

• დათ, რომ იცოდე, როგორ მინდა შენი ნახვა და პირადად ლაპარაკი. გესუტებით მეც და ბავშვებმაც, განსაკუთრებით კი პატარა! დათ, თავს გაუფრთხილდი. ცოტაც და ისევ ერთად ვიქნებით.

• POLICE, იცი, რას გეტყვი? დიდი ხანია, წუნი აღარ ჩამოგდის ცხვირზე და აღარ გამორბენ უბანში? იმიტომ, რომ ჩამშვები, ჩამბოზებული და კაი ბიჭი ხარ, ჩვენი მთავრობისთვის. სად გაიზარდე? არც დედა გაყავს, არ ოჯახი და არც სიყვარული საკუთარი თავის? ამდენი ბოღმა და ბოროტება ვინ ჩავინერგა სულში? სულ ეს დრო არ იქნება და ისევ მოგადგება ცხვირზე წუნი, დაგამორბენ და უარესიც, კბილის ჯაგარისით არა, ენით მოგიწევს უნიტაზის კი არა, „უბორნიების“ გახეხვა. მოვა ეს დროც, იცოდე (ძოძანო).

• რა უცნაურია ეს ცხოვრება, როცა გგონია, ყველაფერი დამთავრდა, მაშინ იწყება... გმადლობ საჩუქრისთვის, სერი. რაგბის გოგო.

• CRAZY GIRL, გეხარე შენ. :) დედულეთი მაქვს გურიასში და ზაფხულობით ჩავდივარ ხოლმე იქ, ნატანების იცი ალბათ. გმადლობ, დამაბიჯებლისთვის, ალბათ გესტუმრები. ატარექსია.

• რაც გულის სისხლით არ დანერვია, ის არც სიტყვა და არც ლექსია, ან უნდა დაგლრუნას ფშაველას სენმა, ან დოსტოვესკის ეპილეფსიამ. უნდა მოასწრო სამყაროს შექმნა, სანამ დანტისის ტყვიას გესვრიან (ლადო ბახტრიონელი). ის ითქმის ალბათ რუისპირსა და პარიჟანკაზე, SCARLET-ზე, SWEET-GIRL-ზე, ქაჯების დედოფალსა და ლაკვასტი აკლია უღიბკას.

• მისტერი და რუისპირი ძალიან მომწონს. :) დანარჩენმა გზავნილებმა არ მიწყინოთ, მაგრამ ორივე თქვენგან განსხვავებით უფრო ენამსხვილი და გამოჩეულია. MEGGAN (LML).

• მართალს ამბობს გოეთე: ბრძენი რომ სულელს ეპაექრება, თვითონაც იმის დონეზე დავა... მცოდნე უმეტესად მაშინ ედრება, როცა უმეტესად უმართავს დავას. ჯ.ხავი.

• მადლობა თათას, ჩემი პერპეტუოლი-გიაში განათლებისთვის. მე აქამდე მეგონა, რომ გველს ვინმეს დაუგესლავად სიცოცხლე შეეძლო და არც უმიზნოდ ვინმეს გესლავდა. ჯ.ხავი.

• ყველა ემიგრანტს ვეფერები და სულიერ სიმტკიცეს ვუსურვებ. მიყვარხართ, ჩემო კარგებო და მსურს, მალე დაუბრუნდეთ გაძლიერებულ-გაბრწყინებულ სამშობლოს. გკოცნით.

• დე, იმედი მაქვს, მაგრამ ხარ. შენი მეგობრები სულ ჩვენთან არიან, ყველა კარგად არის, ყველანი შენ გელოდებით. იმედი გვაქვს, მალე გნახავთ. არ მინდა, რეზოს ამბავი გაგეგო.

• მოგესალმებით ყველას, ჩემო ტბილო ხალხო, განსაკუთრებული სიმშაითა მინდა გამოვხატო რუისპირის მიმართ, შენი გამოჩენა ყოველთვის მახარებს. უფროსი დაიკო, ქუთაისიდან.

• დათ, რომ იცოდე, პატარა როგორ ეშვადება ხეაღმდეგი დღისთვის... თავს უმღერის ყოველდღე. ძან მინდა ჩვენთან იყო. თავს გაუფრთხილდი, ესეც გადავივლი... გვიყვარხარ!

• მარი, ძალიან გთხოვთ, ისეთი ცუდი ენით დანერვილი სმს, როგორც ენ. მისტერი აქვს, აღარ გამოაქვეყნოთ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს აქვს საზღვარი. ნინინო.

• დივი ანგელ, ჩემო კარგო, როგორ ხარ? შენ ნომერზე ვრეკავ და გამორთულია, გთხოვ, მომწერე, ჩემი ნომი ხომ იცი და გელოდები. მიყვარხართ ყველა. ედელვაი-სი.

• ყველაზე ლამაზი ოცნება აგინდეს, რაც კი რამ არსებობს ქვეყნად. მთელი ცხოვრება ამას გისურვებ, შენა ხარ სიცოცხლე ქვეყნად. ნეტავ რას ისურვებ? ამას არ გამანდობ? მხოლოდ ერთი სურვილი გაქვს ბედად, ჩემთვის რომ ეკითხათ, მე ვუპასუხებდი, სიცოცხლე შეყავდეს ჩემთან. ამ სიცოცხლეში შენ გიგულისხმე, ნუ იბუტები ჩემო ყველა, სხვაზე არ გაგცვლი, სხვას არ გისურვებ, მზე ხარ და მთავარ ხარ ყველაზე. ძალიან მიყვარხართ, ყველას მოვიკითხავ. გაკოცეთ. მუდამ თქვენი ედელვაისი.

• დე, დღეს კოკას დაბადების დღეა და ალბათ მისი მეგობრები მოვლენ. ყველა შენი მეგობარი იყო რეზოს დასაფლავებაზე. ვაკის სამების ეკლესიიდან გამოვასვენეთ.

• გზავნილებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ. სამწუხაროდ, ხშირად მოწერას ვერ ვახერხებ, მაგრამ სულით და გულით თქვენთან ვარ. გული ჩაგხეუტეთ ყველას. თქვენი ოლეგარიო.

• უდიდესი სიყვარულით მოვიკითხავ კამკამას. ძალიან კარგი ხარ, სითბოთი და სიყვარულით სავსე, სათნო და კეთილი. უსაყვარლესი ადამიანი ხარ, ძალიან მიყვარხარ. ოლეგარიო.

• დე, ჩემთან არის ლალი, ჩემო სიხარული, როგორ მენატრები, რომ იცოდე. შენ ძლიერი ხარ და ამ განსაცდელს გაუძლებ, მჯერა და ისეთივე ღიმილიანი დაგვიბრუნდები. მიყვარხარ. გკოცნი.

• დე, მამა ბართლომეს ვერ დაუკავშირდა ქეთი. აჩიკო თბილისში არ არის. ბიძასთან არის. დეკემბერში ჩამოვა. სტუმრები ნავიდნენ, შენი სადღეგრძელო ბევრჯერ დალიეს. გკოცნი.

• დათ, ყვიჩალმა მაგრად გაიხარა. ხომ იცი, თავიდან არ ვაპირებდი, მაგრამ მერე შემიცოდა... 3 სანთელი ერთი ამოსუნთქვით ჩააქრო და ყველაზე ხმაილალა უმღეროდა თავს. ძან სასაცილო იყო. შენებმა დარევეს გერმანიიდან, მოგკითხეს, ძან ნერვიულობენ შენზე, სულ რეკავენ და კითხულობენ შენს ამბებს. დათ, პატარას ვუთხარი, მამა მივიღინებამა-მეთქი, თავი დამიკრა, თითქოს გაიგო, რა არის მივლინება. უფროსებს ძან ენატრები. დათ, თავი კოშმარში მგონია. ნეტავ მალე დამთავრდეს ეს უაზრობა. დალაპარაკება, ან თუნდაც ნორმალური წერილის მონერა მაინც შემიძლოს. გვკვლიხარ. გკოცნი. დათ, შენ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება! ბიჭი კახეთში იყო 1 დღით, ძმაცაცებთან ერთად. ძან კმაყოფილი ჩამოვიდა. გაზრდილია, კაცივით გვიდგას გვერდით.

• მარი, ერთიანად ყრჟოლამ ამიტანა, როცა ბოლო ორ ნომერში შენი მიმართვები ნავიკითხე. უღიბკა გამოარდა და მართლაც განუმეორებელი ხიბლის ადამიანებთან ერთად მოიხსენიე. არა, უძლური ვარ, გამმოცე ჩემი გრძნობები და მადლიერების განცდა, შენს და ამ უღამაზესი ადამიანების მიმართ. 81 წლის ვარო, ქალბატონმა ნანამ და გათქვა ის საიდუმლო, რითაც დაგვიპყრო და მე პირადად, ჩემი გურული ბებისა, ნინა ბუბოს სითბო და სიყვარული ხელახლა შემომამგრქვია. აქამდე ვერ ვხდებოდი, რა ჰქონდა ესოდენ მშობლიური ამ კეთილშობილებას.

• მინდა, მადლობა გადაგიხადო იმი-სთვის, რომ აგერ, უკვე 36-ე კვირაა, ქართველებისთვის ყურნალი მნიშვნელოვანი გახდა, ნიგნებთან ერთად. 22 წლის ვარ, კითხვა პატარაობიდან მიყვარდა, მაგრამ „გზამ“ მეტად შემყვარა. მადლობა ამ იდეის ავტორს. ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ. გაიხარეთ. ლაშა.

• გული გვეტყვის, გვიყვარს თუ არა ღმერთი. როგორც ადამიანთაგან ვინმე თუ გვიყვარს, მისადმი თბილი გრძნობა გვანიშნებს სიყვარულის არსებობაზე, ჩვენში. ასევე ღვთისადმი სიყვარულის არსებობას გვაგრძნობინებს ჩვენი გულისა და აზრების უფლისავე სწრაფვა და მისადმი თბილი ყურადღება. ვისაც ვინ უყვარს, ცდილობს, ყველაფერი ასიაშინოს. გამოიცნოს მისი სურვილები და გამოიცნოს ისინი. ვისაც ვინ უყვარს, ყველაფერში ეყრდნობა და დარწმუნებულია, რომ არ მიატოვებს. ვისაც ვინ უყვარს, თავის თავს მას აუთენებს, ხოლო მის თავს თავად ისაკუთრებს. ვისაც ვინ უყვარს, დედა კიდევ მის მხარეზე და არავის აძლევს ნებას, არაფერი თქვას მისი სანინააღმდეგო. ვისაც ვინ უყვარს, იმის საქმეებზე ზრუნავს და ცდლობს, ყოველგვარი ზარალი ააცილოს. ვისაც ვინ უყვარს, მას ადიდებს და ხარობს, როდესაც თავისი საყვარელი არსების სახელი იდიდება ყველგან. ჩვენში ჩვეულებრივი სიყვარულის ამგვარი ქმედებებით იმსჯელებ ღმერთისადმი სიყვარულზეც. დიდება, შენდა, ღმერთო! ლაკვასტი.

• ნაომის (წყველას) მოიას, ქაჯების დედოფალს და მისტერს: მარგალიტებით, კეთილ და ნიჭიერ ადამიანებო, მინდა, მცირედი რჩევა მოგცეთ, თუ შეიძლება. არაფერია ღვთის თვალში იმაზე უფრო ძლიერი,



ვიდრე წყნის მიტევა, რამე თუ, ამით ვემსგავსებით გულმონყაღე უფალს და არაფერი ისე იოლად არ გავცდუნებს, როგორც სურვილი შურისძიებისა. სიტყვით იქნება ის აღსრულებული თუ საქმით. გამოდის, განუწყვეტილ ვკვრავთ, შექმნის ნაცვლად. არადა, ეს უკანასკნელი თავად გვეძლევა ხელით. აპატიებ? სიმშვიდესა და ღვთის წყალობას მოიპოვებ, არ აპატიებ? შინაგანი დრტივინვა მოგიღებთ ბოლოს და წულარც წყალობას ელით ღვთისგან. რატომ ხდება, რომ ხშირად, პატივების ნაცვლად მრისხანებას, წყენასა და უკმაყოფილებას ვეძლევი? თავმოყვარე გულიდან გამოდის ასეთი მსჯელობა: რისთვის ვაპატიო? და ჩვენც არ ვაპატიობთ. წყენის წუთებში აღადგინეთ თქვენს გონებასა და გულში მიტეგების უქველი აღქმა. შეუდარებლად ძვირფასი, ვიდრე ის წყენა, რაც კი შეიძლება მოგვაცუნოს დამაინანა. მაშინ რა წყენაც უნდა შეგხვდეს, გულიდან გაისმის მანუგებებელი ხმა: აი, ამისთვის აპატიე და ჩვენც ვაპატიოთ. მიუტევეთ? ჩვენც მოგვტევეთ. კიდევ მიუტევეთ? კიდევ მოგვტევეთ და ასე, განუწყვეტილ. მიმტევებელი ადამიანი ყოვლადმონყაღე ღვთის სიყვარულის ქვეშ იმყოფება. მპატივით, თუ სიტყვა გამოიგრძობა. მიუტევეთ ყველა წყენა ერთმანეთს, დამშვიდდით დაწყნარდით და ყველასთვის ასე აჯობებს. უდიდესი პატივისცემით, ლავკასტი.

• სევდისფრად ჩამოთოვა ჭაღარა კავკასიონს, დადუმდნენ მთები და ელი ამ ალიონს, ბუხართან ჩამომჯდარხარ, აბოლებ კვლავ ყალიონს, ოცნებით შორსა ხარ, თითქოს და ელვი, იმ ახალგაზრდობას, რომელსაც ავლები გაშლილან მინდვრებზე, ყვავილთა ფერები, მოფრინდნენ, მოფრინდნენ, ლამაზი პუბლები, აქ არის ავი, გამოჩნდა ქალცი, პუბლები ფრთათა ფარფარის თამაში, ჩვენია, ჩვენია, მთელი ეს სამყარო, მინდვრები მთაში, აი, იქ რომ მოჩანს ის თეთრი რაშიც, ფრთებს გამოიბამს, აგავფრენს ცაში, ღრუბლების ისმის მქუხარე ტაში, რომ დავიღლებით ნავარდით ცაში, დავეშვათ მინაზე, გველიან მთაში, პუბლები, ვერხვები, მდინარე, ნავი, გავცურით გაღმა და გავცურით გამოღმა, ეს უკვე მოხუცს ხმამალა აღკოხდა, სევდისფრად დაათენდა ჭაღარა კავკასიონს, ოცნებით შეგება, აბოლებს კვლავ ყალიონს. ლავკასტი.

• ქალბატონ ნანი დუმბაქეს: ხელში ავიღე კალამი, მიინდა, მოგიძვნა სალაში, გშეწოდეს წარბი, წამნაში, მხრებზე კი კულულ-დალალი, ტუბილად გაგეგლოს ცხოვრება, გეჭმოს ლუკმა ალალი, გზა ხსნილი გქონდეს მარადუჟამს, გზა, მშვიდობისკენ სავალი, ყველა პლანეტა გწყალობდეს, მზე, მთვარე, ამომამავალი, გაგიმრავლოს გამჩენმა, ეგ შენი შთამომავალი, რაცა მოგწერე, ქალაო, უბით ატარე, თანაო, ისე იცხოვე ამქვეყნად, შენ შემოგნატროს, სხვამაო. უდიდესი პატივისცემით, შალვა ბაციკაძე.

• იცით, რა მინდა? ყველამ თავისი ადგილი იცოდეს. ალბათ ძალიან ბევრს ვითხოვ, არა? თუმცა, ცოტას არავინ ითხოვს. ამბობენ, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო. საქმე ისაა, რომ ადამიანებს ხანდახან ერთმანეთში გვერევა ნატურა, ნდომა და ოცნება. თუმცა, მარტო ესენი კი არა, ყველაფერი გვერევა ერთმანეთში და ამიტომ, ერთს ვფიქრობთ, მეორეს ვამბობთ და მესამეს ვაკეთებთ. ეჰ, ყველა რომ წესისამებრ ვიქცეოდეთ, აშენდებოდა ეს ქვეყანა. მააშ! ქაჯების დედოფალი.

• მარ, როგორ ხარ? წინა ნომრის შესავალში რამდენიმე მგზავნილი რომ მოისხენიე, სხვებმა რა დაამავეს? ეგ არ გეპატიება და არც უნდა გემუბნობდე.

• ყვითელთმიან, მწვანეთვალე მუტანტს მინდა ვუთხრა: კულულა რუი, აი, ახლაც ვცადე, გავბრაზებულიყავი შენზე, მაგრამ... როგორ გავუბრაზდე კაცისმაგვარს? გულისამრევი ხარ, რუსიპირ. ნაოში.

• ჰოოდა, ჩვენმა გრუზინკამ ისე გამაცნო თავი, დიდი ზარმაცუნა ყოფილა. ეს ხუმრობით. მაღლობა, გრუზ, რომ რაც მანუხებდა, ამისენი და მგონი მართალი ხარ. მარი არაფერ შუაშია. მპა. კამ-კამა.

• ჩემი დაგვიანებული შეცდომა ისაა, რომ სიყვარულის გამოხატვა ვერ შევქედი იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარდა. ეს იყო ჩემი მამიკო. ხშირად ვკამათობდი ხოლმე. ალბათ იმიტომ, რომ ზუსტად ერთნაირები ვიყავით შინაგანადაც და გარეგნულადაც. ყოველთვის ვიცოდი და ყველასგან მესმოდა, რომ მე განსაკუთრებულად ვუყვარდი. მეც ვაყვობდი მამიკოს გოგოებით. დმერთმა ნაიყვანა ჩემი მამიკო და სამუდამოდ ამოუვსები სიცარიელე დამიტოვა. ადრე მეოცნებე, რომანტიკული, მუდამ ღიმილიანი გოგო ახლა ჩაკეტილი, გულჩათხრობილი და გულგრილი გავხდი. მთელი სიცოცხლე საშინელ დარდად გამყვევა, რომ სიყვარულისა და სიბოძის გამოხატვა ვერ მოვასწარი, ვერ მოვახერხე მამიკოსადმი... ბევრი მოეფერეთ მშობლებს, ოჯახის წევრებს, გეხვეწებით, რა... ბამბუჩა.

• ყველაზე მეტად იცით, რა მიტყდება? ქართველი რომ ქართველობას კარგავს. დღევანდელ ყოველდღიურობაზე ასეთი წარმოდგენა შემექმნა, რომ ყველა უბერავს, ნიაფს გარდა. მარ, შენთან და ქალბატონ ნანისთან ბოდიშს ვიხდი, ჩემი ალაგალაგ უზრდელობისთვის. ნანა მიხიროელი.

• ეგ თქვი მარია, შენ, მე კი დორბლიანის გონებაჩლუნგობაში როდის დავრწმუნდი, იცი? ვილაცას რომ მისწერა რუბრიკაში „ყველა ერთისათვის“, მაჩვენებდ რჩევებს იძლევი. მერე, როგორ ჩმორულად თქვა, უარყოფითად არავის მესიჯზე დამიმესიჯებაო, არ ჩავდივარ მაგ საქცილესო, აი, ამიტომ მგონიხარ ქათამი, მისტერ. ნაოში.

• 030, ზაჩი, თავიდან შენთვის განკუთვნილ წერილს გადავახტებოდი ხოლმე და არ ვკითხულობდი. რა წესია, სხვისი პირადი ამბების კითხვა? მაგრამ... ვერ ერთი ნაიკითხე, ერთს მეორე მოჰყვა და დღეს უკვე იზაურას ტანჯვის 85-ე სერიას აღარ ველოდები ისე, როგორც შენთვის განკუთვნილი, ახალ შეტყობინებას. ჩემი მხრიდან კი გამძლეობას გისურვებ და უფალს ვთხოვ, ეს ამბავიც ყველა სერილის მსგავსად, კარგად დამთავრებულიყოს. რუსიპირი.

• მოაზროვნე ხალხო, მცხოვრებნო ამა ქვეყნისა! შეერთდით! გაიგეთ, რა თქვა ძვირფასმა police-მ? ურჩ ჯარისკაცებს უნიტაზს კბილს ჯაგრისით ეხეხებინებო. შენ-ნაირი ფიცერ-პოლიციელები რომ გეყავს, იმიტომ იყავის ჩვენი ქვეყანა. ისე კი, სანამ უნიტაზზე გადახვალ, კბილების გამოხეხვა არ განყენდით, სერ. რუსიპირი.

• და თუ შენ გამცვლი, თუ შენ ჩემთან არ გედგომება, გადაყვრები ჭუჭყს და ტალახს, დღემდე დაფარულს, თვითონ მიხვდები, რა რიგ ძმელი არის ცხოვრება და გაისხენე, დაფარე ჩემს ცივ სიყვარულს. • გვერდით რომ მყავდი, არ სტანჯავდა ბგერებს შიმშილი, მაშინ, როდესაც ცას

დი მათრობდა, არ შეგხაროდი ნათებსა მზისას, მპაპტიე, რომ ძალიან ხშირად, შენად ვიღებდი სიყვარულს სხვისას.

• შეყვარებულ ქალს ყოველი წყენა მალე გაუვლის, თუმც აატირებს. ის გაპატიებს შეცდომას ყველას, შეურაცხყოფას ვერ გაპატიებს. ქალს თუ უყვარხარ, სხვაზე არ გავცვლის, მაგრამ თუ სადმე მის სულს ბლაღავდი, თუნდ უარესი სხვა მამაკაცი ჩაგსაფრებია მისი ღალატი. ქალის გაგება არ ძალუძს, ვისაც ძალუძს უნაზეს ფიქრთა ძალუძს, ქალი გლალატობს? ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე თვითონ შენ ხარ. მას, ვინც შენს თქმულზე ჩაიქირქილებს და ეჭვით უშვებს ადამიანებს, ვეტყვი, გვულისხმობს ჭქმარით ქალებს და არა ვინმე თავქარიანებს.

• გიყვარდეს, სანამ შენც უყვარხარ ამქვეყნად ვინმე, სანამ მათისი ყვავილებით დღეა გაახვია, სანამ ჯერ კიდევ მოსვლის პირი არ უჩანთ ყინვებს და სილამაზეს არ ენვია შენსა ზამთარი. გიყვარდეს, სანამ შეგიძლია კიდევ გაფურჩქნა, როგორც ნახ ყვავილს, მზის ამოსვლა დღეს რომ აუწყო, გიყვარდეს, სანამ სილამაზე თვალს არ დაუჭენა და შუბს ნაოჭით გადახაზვა დრომ არ დაუნყო. ხომ იცი, აისს თან მოჰყვება მუდამ დაისი...

• თოვლი გაიყვებს, ვინ იცის მინავ, როგორ გტკივა, ფეხს რომ გაბიჯებ. ვინ იცის პირუტყვს, როგორ უჭირს ყოფნა უფნოდ, ამ გულს კი ყოფნა ყოფნა-ფუჭი ყოფნა უშენოდ. ვინ იცის, სეო, ფეხზე დგომით გტკივა ფეხები, წელში იხრებით ქართან ომით, არყნი, მუხებით. ვინ იცის, ფიქვებს როგორ უნდათ დიდხანს სიცოცხლე, ტალახში როცა ვაგდებთ გუნდას, ყოფნას ვუმოკლებთ. ვინ იცის, ურვა და ჩივილი ქარის, მინის, ცის. პოეტის გარდა მუნჯ ტკივილის არავინ იცის.

• მშვიდობით, კარგო! ჰო, მშვიდობით, სამარადისოდ! არ შემიძლია გადმოვიცემა ამ ჩემი ტანჯვის კაცთა ენაზე, ჩვეულებრივ, მწირი სიტყვებით და მონასავით გაჩუმებაც უკვე არ ძალმიძს. პირმოთენობას არ ვიყავით რაკი ჩვეული, არც კი ვიცოდით, თავგანწირვა რას ნიშნავს სრული და არაფერისა ქვეყანაზე ბრმად არ გვეჯეროდა, რომ მოგვესმინა, რას ამბობდა მტკივანი გული.

• განშორების წამს — წმინდა ალით მოგიზიგონე — ჩვენ ღირსეულად გადავიტანთ, როგორც გამოცდას, არ მოეცევიტე, რა თქმა უნდა, ქარაფშუტულად და სამუდამო ერთგულების ფიცს არ წარმოვთქვამთ, ერთსაც მკონცნი საქმეებით უზომოდ დალილს და შენი კოცნა ჩემში ექოდ აღარ ხშიანობს, ნუ გეგონება, სიყვარულის არ ვიცი ყვირო, ნუ იბუტები, ნუ წყრები და ნუ ეჭვიანობ!

• სიყვარულს ჩემსას გაუვიდა ოცნების ჟამი, ფრთები დასცივდა, მაგრამ მაინც ფხიზელი არის, არ გვერდება, მაგრამ გვარავს გასაჭირისგან, ვით დარტყმებისგან დაჭყლტილი ლითონის ფარი. არ გივალატებ და ისევე საიმედო ვარ, როგორც მოხუცი რაინდისთვის ბექთარი ძველი, ბრძოლის ქარცეცხლში ის ერთგულად გემსახურება, ხმლისგან დაგიცავს, მაგრამ სიტბოს მისგან ნუ ელი!

• და თუ შენ გამცვლი, თუ შენ ჩემთან არ გედგომება, გადაყვრები ჭუჭყს და ტალახს, დღემდე დაფარულს, თვითონ მიხვდები, რა რიგ ძმელი არის ცხოვრება და გაისხენე, დაფარე ჩემს ცივ სიყვარულს.

• გვერდით რომ მყავდი, არ სტანჯავდა ბგერებს შიმშილი, მაშინ, როდესაც ცას

ვხედავდი შენი თვალებით. დღეს კი, უშენოს, ნოსტალგია დამდევს შიშვით და ვენამები... გვერდით რომ მყავდი, სხვა ფერები ჰქონდა გაზაფხულს, დღეს მაინც ვერ გთმობ, დავინყების ბურუსით შემკულს, მონატრება კვლავ სტრეიქონებად უნდა გაგანდო, ლექსივით ერთგულს...

• მწუხრის ქარები აირიგნენ, წუხს შემოდგომა, ბებერ ხელებში დაკოჭრილი ფოთოლი ენვის, საკუთარ თავთან ნამონყებულ უფადო ბრძოლას, დღეს ვაგებ... შენთვის.

• შენ ხარ წყარო, თავანარა, მე ვარ წყურვილი, შენ ხარ ნება, მე ვარ გზნება, მე ვარ სურვილი.

• შენ ხარ სიო, სასხვიო, მე ვარ ხანძარი, შენ ხარ ნათელი, მე სანთელი, შენი ტაძარი. შენ ხარ ხატი, სალოცავი, მე ვარ მლოცველი, შენ ხარ ვაზი, მე ვენახის ფესვის მკოცნელი. შენ ხარ ქარი, ბობოქარი, შენ ხე ხარ ნატვრის, მე მადრიგალი, შენ გრივლი, ნატვრის ხეთათვის. შენ ხარ მთვარე, ღამის ვერცხლი, მე — მთვარეული, შენ სულით-ხორცი, მე კი შენით გადარეული, შენ ხარ მინის სიხავერდე, შენ ხარ ჯეჯილი, შენ ხარ სიცოცხლე, მე კი შენით გულგაგლეჯილი. შენ ხარ ნექტარი სათაფლიის, მე ვარ იელი, შენ ხარ თაფლი მე, ვილაცა გადამთიელი. შენ ხარ სხივი მზის ხანჯლების, მე კი ვარ თოვლი, შენ ხარ ცეცხლი, ჩემთვის მზეც კი, გამლღობი ყოვლის.

• ხომ იცი, რომ მაინც დაგტოვებ, სუნთქვაშეზოჭილს, გადაცურულ განცდების ზღვასთან, როგორც ხე გვიან შემოდგომას, ისე დაგიფრთხ, ამ სხეულიდან, გადავიცვამ ზამთრის საღაშურს. ერთ-ერთ მირაჟულ გათენების ნამში ჩაკვარავ, რომ ტკივილებით მისსენებდე მერე დროდარო, დრო დასუსხული, თითებისგან, ფანჯრებთან ფეთქავს, ხომ ხედავ, ჩემში გაზაფხული ისეც შობადობს.

• არ შემეჩვიო! სიყვარულის საღვაც მიღმა ვარ, არც ოცნებებით გამოთრობა მე არ მჩვევია, გრძობებით მხოლოდ ვფრთხილირობ, მხოლოდ ვთამაშობ, ვერთობი, სულის ნაპრალები არ ხორცდებიან.

• ნაგლკავ ნასვლით, ნუ ეცდები რომ გამაჩერო, თამბაქოსავით გამოგფიტავ და ყველა სურვილს, ყველა თამამი ახირებით რაც გაგაჩნია, ქალის აწყვეტილ ამბციებს მსხვერპლად შევნირა. არ შემეჩვიო! შორზე კიდევ უფრო შორი ვარ, რეალობასთან განკსხუდლი თითო უჯრედით, ვიდრე დაგჭირდეს გადაჩვევა თავგზაარეულს, არ შემეჩვიო, სანამ დროა, ნუ შემეჩვევი!

• შენ შენს სურვილთან ჩაიცივი თალხი... ნაღი მოუხმე ახალ იმედებს, ახალ იმედებს ანოვე ბანგი, ვის რაღად უნდა ქალის თვალები, ასე აყვია და ასე ავი... შენ შენს სურვილთან ჩაიცივი თალხი და შენს სურვილში ფესვი გაიდგი, დღე არის უტყვი და თანაც ნაზი, ცის სილურჯეში გაქრა რაინდი... მიდი, მოუხმე ბანია ჩივებს, რომელთა ხმაში ისმის ჩივილი, მე კი მივეყვები უხილავ ნოტებს, მისმობს, მეძახის სული დევნილი... მთვარის სუნთქვაა — ხეთა შრიალში, აფრინდა ფიქრი, ოცნების რაში, მე უშენობით აღარ ვარ მთვრალი, მე უშენობით ვერ გავვერანდი... ლექსად ჩავეშვი ნისლთა მორევი და დავიბადა აწმყოს წყვდიადში, სინათლე იგი სულში ვიხილე, თავიდან ვიშვი და გამთლიანდი... ქალის თვალები ისეც მადლევენს, ისეც ქალია ჩემი ტრფიალი, მე სხვის წვიმაში ბევრჯერ დავსველდი, ფაფარში ჩავენდი მე სხვის ქარტხილს...

შენ მიგატოვა დიადმა განცდამ, ციურ ფრსკების ხილვა არ გერგო, ვრჩები ერთგული, არ ვჩქარობ გაცლას, ოღონდ გაფრთხილდი, ოღონდ არ ევნო...

• მიდი, მიანექ! შეები სივრცეს... მიდი, დასწყვიტე ბედის ხლართები და მიეფერე ორგულს თუ ცბიერს, ვგონებ, ტყუილად არ გაირჯები! მერე რაა, რომ უმაღლ გიმუხთლებს, უმარტივესად დაგიგებს მახეს, კრძალვით ეახელ და დაუაბე, შეუნარჩუნე მოყვასის სახე... მიდი, მიანექ! შეები სივრცეს! მხდალს გაუშვარე ფუფე კაცობა, მერე რაა, რომ ვერ გაამართლებს, შენს დაჭრილ მხართან გაიტრუნება... მიდი, მიანექ! შეები სივრცეს... და გამცემს უთხარ, რომ გესმის მისი, გესმის, რომ იგი მოდრეკე ძალით, რომ აიძულეს დასმენა სხვისი. მერე რაა, რომ კვლავ დაგაბეზლებს, შეთითნის ნაცად და ყალბ ბრალდებას, იქნებ ნამუსში ჩავარდეს ოდეს, სინდისი ქენჯნა გაიოდება... მიდი, მიანექ! ყველა ღალატი გადამონმდება და გამართლება, ყველა აღიბი იქნება სრული, მცნება უშუდდე დაფრთხიანდება. მიდი, მიანექ! ამხედრდი სივრცედ, სიმრის შეგრძნება გაადვილება... გული წრფელია, წრფელია ისეც... და რიდი მუშტის აღორძინდება...

• ნეტავ მოხატვა რაღად უნდა თავდახრილ ვარდსა... შენ ოღონდ მოკვდი, ყველაფერი იქნება კარგად... ცოლი ილოცებს, ნაგივითხავს ფსალმუნებს ნაზად, ცოტას იტორებს, ივიშვიშებს, ჩაიცვამს თალხსაც და ნანატრ შვილებს შესჩურჩულებს: აღარ გყავთ მამა!... შენ ოღონდ მოკვდი, ყველაფერი იქნება კარგად... იანქმელა ამოვა და ნარხოვავს ზამთარს, ჩიტი ჩიორა, მაგალობელი სიყვარულს დანწავს, ნიაგი ფოთლებს მიუმღერებს ღამეულ ზღაპარს... ქვირი სარკვეში ჩაიხედავს, აიღებს ფანქარს, ნეტა მოხატვა რაღად უნდა თავდახრილ ვარდსა, შეამწნეს მზერას — ნლებს წინათ დაგვილი ზრახვას, თვალთა სიღრმეში ამოსარკულ შენულ ფანდსა, გაედინება და მოჰყვება ცრემლების დაღვრას... შეგეცოდება და იფიქრებ მასთან სჯობს დაცდა — შენვე მიხედო შენს დათესილ სურვილთა ყანას... შენვე მოიმა მოსამკელი, კვლავ გშვენის გარჯა, ცოლი ღამაზიც შენთვის იყოს ია და ვარდად...

• ბებერი ჩიტი ჩიტია მაინც, მაინც ჩიტურად შეჰხარის დილას, ჩიტურად ღალბობს, ჩიტურად დახტის და სიძს უჟღერებს მალულად ნიავს... ბებერი ჩიტი გულსავსედ გალობს, აღვიძებს თითქოს პირველ გალობას, ფრთებდახატული ჩიტუნა ანცობს, ჟღერტული იღებს ციურ ნათლობას... ბებერი ჩიტი ვერ გრძობს სიბერეს და ვერც სხვა ამჩნევს მის დაბერებას, მაგრამ გალობას ხმირად ანელებს და ძილში ხვდება მორიგ თენებას...

• ბულა კი იყო, მართლაც ბულა, უსაზღვროდ ფიცხი, ტანად ვეება, წინაპართა ველური სისხლით... შავით მზინავე, რქებლაპლაბა, ზვავით მსხლტომი და გამოვარდა ბოსლის კარიდან თითქოსდა როკვით... ბარე ათი ხე ტანმორჩილი, მიჯრით დათხარა, მერე გზის აღმართს შეუტია, კვლავ დადღარა, მინა დატორა, დუჟომდგარმა, ზეცას შეპბლაულა, ზვარკად ჰყავდათ შერჩეული, სცემდნენ ნალარას... უეცრად, შიშით ჩასაფრებულ კაცებს გახედა, ნაიზმულია, წამით თითქოს სხვაფერი გახედა, ხარად გახდომა ვინ აცალა, ვინ დააბედა, არადა, სანთლებს მიაკრავდნენ ორთავ რქაზედა... და ნვეტა რქებით მინა ისეც შმაგად აჰყარა, ასაკით მოსილი ცაცხვს მიეჭრა, არ დახანა... ვერ გადაზნიქა, კვლავ

დიდგულად ეცა, ეძგერა, უაზრო ომში დაიქანცა, ქელვამ დაჯაბნა... ბოლოს იმარჯვეს მოდარაჯე ყოჩმა ბიჭებმა, ნამოეპარნენ, გამაღებით მოსდეს ქამანდი, უშნოდ გაბანრეს, მიამწყვდიეს ღვინით ანცებმა დიდრონ ყვერებში მიაყოლეს წიხლი ხარხარით... შეიხრიალა, შეტორტმანდა, სხვაფრივ ემნარა არც კი ახსოვდათ ბულა იყო, თანაც ზვარაკი, კაცური განხრით თუ ვიმსჯელებთ, საღვაც ინანა, ნაჭარბი ძალა შლეგ კაცივით ჰქონდა ნაფანტი...

• გამოექცა ნიაგი ვეოთს, ქარიშხალს და ქარაშოტს მარაოში თვალებს ნაბავს, ღამაზმანთან ბაასობს... რა კარგა სალონური გატაცება და ვნება, ყავა, ვისკი, თუნდაც ჩაი, ქალი ემნარა თავენება... შვეყნად ნათრევს ეჩვენება ნანინად... მამრი მამრობს, ძალა ერჩის, სიყვარულის აღი სწავს, ქალსაც მასზედ გული ეწვის მეტად ველარ განირავს... გამოექცა ნიაგი შფოთს, ქარიშხალს და ქარაშოტს, მარაოში თვალებს ნაბავს, გულისწორთან ბაასობს...



გილოსავ!

• მანუჩარ გვიჩიანს დაბადების დღეს ვულოცავთ, 21 ნოემბერს. ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოგაკლოს უფაღმა. წმინდა გიორგი იყოს შენი მფარველი. შენი დედა, თო.

• თამუნა ბერიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 ნოემბერს. ჩემო სიყვარულო და ღამაზო ვერიავ, გისურვებ ბედნიერი ოჯახის შექმნას. მიყვარხარ ძალიან. თაკო.

• მორიელიმწ, სიამოვნებით გინვდი მეგობრობის ხელს და ცოტათი დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი, ალალი მეგობრების გარემოცვაში. ქაჯების დედოფალი.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Gull გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიკოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Gull 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურნალობი არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი

საინტერესო ფაქტები

* „ტიტანიკის“ ჩაძირვას ადამიანებთან ერთად, ეგვიპტის პრინცესის, ამენრას მუმიაც შეენირა. ბრიტანელებს იგი ბრიტანეთის მუზეუმისთვის უნდა გადაეცათ. დღეს მუზეუმში მხოლოდ სარკოფაგის სახურავი ინახება.

* საკვამურის მწმენდავს ბანაობა წელიწადში მხოლოდ სამჯერ — გაზაფხულზე, შემოდგომასა და შო-

ბრე 100 მონეტას ან ერთ მონას მიიღებდა.

* ყველაზე რთულად, ბანტუს უძველესი ენა მიიჩნევა. ევროპულ ენებში არსებობს მდებარეობითი და მამრობითი სქესი. ბანტუსში 10-15 სქესია. საგნის მდებარეობისა და სქესის მიხედვით, წინადადებაში სიტყვაც სხვადასხვანაირად იწერება. ქართულშიც დამკვიდრდა ბანტუდან შემოსული სიტყვები: „ბანჯო“, „საფარი“, „სამბა“, „ზომბი“...

* პომეებისა და ლექსების წერის გარდა, ფრანჩესკო პეტრარკა მთამსვლელობითაც იყო გატაცებული.

* ინდოეთიდან დაბრუნებულმა მოგზაურმა — ვასკო და გამამ სამშობლოში შავი პილპილი ჩაიტანა. გაყიდვიდან 6 ათასი პროცენტის მოგება ნახა. მას შემდეგ ინდოეთიდან პორტუგალიაში ჩამოტანილი საქონლის 95%-ს შავი პილპილი შეადგენდა.

* 1721 წელს მეკობრე ჯონ ტაილორის მეზღვაურებმა ყველაზე დიდი



გასამრჯელო მიიღეს. პორტუგალიური გემის დაპყრობის შემდეგ, ეკიპაჟის თითოეულ წევრს 42 ბრილიანტის თვალი და ნახევარი მილიონი ოქროს ტალერი (ესპანური მონეტა) შესვდა.

* ეტრუსკებს წერის თავისებური წყობა ჰქონდათ. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი დოკუმენტის პირველი წინადადება მარცხნიდან მარჯვნივაა დაწერილი, მეორე — პირიქით, მესამე — როგორც პირველი და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ზოგიერთ ხელნაწერში სიტყვები გადაბმულად ან სარკისებურად წერია.

* 1635 წელს, ტიტებით გატაცების პერიოდში, ხალხს „ტულიპომანია“ შეეყარა. ერთმა ფლორისტმა ყვავილის ერთი ბოლქვისთვის აი, რა ნივთები მიიღო: სანოლი, ოთხი ხარი, 12 ცხვარი, 4 ღორი, 4 ტონა ხორბალი, ვერცხლის თასი, 300 ლ ღვინო, 4 კასრი ლუდი და 300 კგ ყველი.

* ქალაქის ფული პირველად XIV საუკუნეში ჩინეთში დაბეჭდეს. როცა იმპერატორ ხონგვუს მონეტებისთვის საჭირო ბრინჯაო შემოაკლდა, ქალაქები მოახატვიანა.

* სლავური ანბანის ერთ-ერთ შემქმნელს — კირილს (კირილიცა) ერობაში კონსტანტინე ერქვა.



ბას შეეძლო. დანარჩენ დროს მურიანი დადიოდა.

* ძველად მიაჩნდათ, რომ განსაზღვრული ფერი ბავშვებს ავი სულებისგან დაიცავდა. ცისფერი კეთილ სულებთან ასოცირდებოდა და ამ ფერით მომავალ მეტროლოებს — ბიჭებს მოსავდნენ. გოგონებს არაფრად მიიჩნევდნენ და მათ შავ ან ნაცრისფერ კაბებს აცმევდნენ.

* დაზღვევა მეკობრეებსაც ჰქონდათ: კაპიტანმა ჰენრი მორგანმა, რომელმაც ზღვაში ორივე ფეხი დაკარგა, 1500 ესპანური ტალერი მიიღო (15 მონის ფასი). თუ ზღვაოსანი ორივე ხელს დაკარგავდა, მას 1800 მონეტას ან 18 მონას გადასცემდნენ. ბრძოლისას თვალის ან თითის დაკარგვის შემთხვევაში, მეკო-





უსნაური კონკურსები

▲ მსოფლიოს მრავალ ქალაქში (პარიზი, სიდნეი, ამსტერდამი) ენ-ყობა მანდილოსნების რბოლა მა-ლაქუსლიანი ფეხსაცმლით, მაგრამ მხოლოდ მილანის მარათონელებს აცვიათ Manolo Blahnik-ის ექსკლუ-ზიური ფეხსაცმელი. ჩემპიონატის სპონსორის პირობა ასეთია: ყველა მონაწილეს 8 სმ-ზე მა-ლაქუსლიანი ფეხსაცმე-ლი უნდა ეცვას; ვინც ფინიშთან პირველი მივა, ექსკლუზიური ფეხსაც-მელიც მას დარჩება.

▲ 2009 წელს ირლან-დიის ქალაქ ფერმანში სტვენის კონკურსი wolf-whistle გაიმართა. ლამაზ-მანებს დეფილზე უნდა გაეველოთ და ვისი სტვე-ნაც მოეწონებოდათ, გამ-არჯვებულს ის იქნებო-და. მთავარი ჯილდო ყა-საბ სტეფან მილანის ერ-გო. გამარჯვებულმა გა-ნაცხადა, რომ სტვენამ მეორე ნახ-ევარი აპოვინა, რომელთანაც წლე-ბია, ბედნიერად ცხოვრობს.

▲ სახის მანქვა-გრეხის პირვე-ლი კონკურსი ინგლისში 1267 წელს ჩატარდა. მეფემ გამარჯვებულს

დიდგვარონის ტიტული უბოძა. მას შემდეგ, კონკურსი ყოველწიურად ტარდება. ვინმე პიტერ ჯექმანი სამჯერ გახდა გამარჯვებული. იმ-ისათვის, რომ უკეთ დაჯღანულიყო, მან წინა კბილებიც კი ამოიღო.

▲ 2005 წელს კოლუმბიაში „მხო-ხავი ბავშვების“ კონკურსი ჩატარდა. 5-მეტრიან მარათონში მ-დან 18 თვე-



დე 1122 ბავშვი მონაწილეობდა. ბავშ-ვებს ფინიშთან მშობლები ელოდნენ, რომლებიც პატარებს ამხნეებდნენ და სხვადასხვა სასუსნავით იზიდავდნენ. ფინიშამდე ერთდროულად რამდენიმე ჩვილი მიხობდა.



▲ ინგლისში ყოველწიურად იმა-რთება კვერცხების სროლის კონკურ-სი. მონაწილეები 11-კაციან ჯგუფე-ბად იყოფიან. ჩემპიონატი რამდენიმე შეჯიბრებისგან შედგება. კონკურსან-ტებმა კვერცხები მაქსიმალურად შორს უნდა ისროლონ, ერთმანეთს გადაუგ-დონ და დროდადრო შუბლში დაიხა-ლონ.

მდიდრული და ორიბინალური საწოლები



▲ მარკ ტვენის დიდხანს ეძებდა ორიბინალურ საწოლს. ოცნება იტალიაში აიხდინა, მის მიერ ნაყ-იდ უზარმაზარ რკინის სარეცელს კუთხეებში ბრინჯაოს ანგელოზები ამშვენებდა. სხვათა შორის, მწერ-ლის რჩევით, მისი მეგობარი უძი-ლობისგან გათავისუფლდა. „მგონია, რომ საწოლის ქვეშ რაღაც არსება ცხოვრობს და შიშით ვეღარ ვიძინებ“, — შესჩივლა მან ტვენს. მწერლის რჩევით, მეგობარმა საწოლს ფეხე-ბი მოახერხა და საშინელ არსებას აღარ შეუწუხებია.

▲ ყველაზე მეტი საწოლი — 413

საფრანგეთის მეფეს, ლუდოვიკო-მზეს ჰქონდა. სხვათა შორის, ძველი ბერძნები ადგილს, სადაც ბევრი საწოლი იდგა, „პოლიკლინიკას“ ეძა-ხდნენ.

▲ საფრანგეთის სამონასტრო ქრონიკების თანახმად, თეთრული პირველად შარლ დიდის დედას გამოუყენებია. მან შვილს ხის სა-წოლზე სუფრის ზენარი დაუფინა.

▲ სასარგებლო საწოლი 1932 წელს ამერიკელმა ექიმმა — შტაუ-ფერმა დაამზადა. საწოლი-ტრენა-ჟორით ოსტეოქონდროზს მკურ-ნალობენ. „შტაუფერის დივანზე“



ვარჯიში ყველაზე ზარმაც ადამი-ანსაც კი შეუძლია.

▲ ყველაზე მდიდრული საწოლი XIX საუკუნის ცნობილ კურტიზან ქალს — პაივას ჰქონდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელოსნებმა 50 ათასი ფრანკი მოითხოვეს, მაგრამ ქალმა განაცხადა, რომ იაფფასიან საწოლში არ ჩანებოდა და მისი გაუმჯობესება მოითხოვა. გიგანტურ ტახტრევანს კუთხეებში ვერცხლის სვეტებზე ოქროს ვარდები, თავთან კი ბრილიანტისთვლიანი ვერცხლის ინდაურები დაუმაგრეს.

▲ ჩინელები X საუკუნიდან ეთაყ-ვანებიან საწოლის ღვთაებას, რომელ-იც მათი აზრით, საძინებელს მფარვე-ლობს და შთამომავლების გამრავ-ლებას უწყობს ხელს.

▲ ფრანგებმა მსოფლიოს საუკეთე-სო და ორიბინალურ საწოლებს მი-უძღვნეს წიგნი სახელწოდებით: Le lit („საწოლი“).

▲ სტატისტიკის თანახმად, დედა-მინის მოსახლეობის მხოლოდ 50 პროცენტს სძინავს საწოლში და 60-წლიანი ცხოვრებიდან ადამიანი მას-ში 18 წელს ატარებს.

რუბრიკა მოამზადა
რუსუან ბელაშვილმა



თბილი საღამო „მგზავრების“, „ფრანისა“ და კორკობას თაყვანისმცემლებისათვის

21 ნოემბერს, 19 საათზე სპორტის სასახლე „მგზავრების“, „ფრანის“ და საღამო კორკობაშვილის (რომელიც ახალ „პაპარაცისთან“ ერთად იმღერებს) თაყვანისმცემლებს უმასპინძლებს. კონცერტის გამართვის იდეა კომპანია „ტიფლის ივენთის“ დირექტორს — მაცაცო კველიშვილს ეკუთვნის, რომელსაც შემსრულებლებმა სიამოვნებით აუბეს მხარს...

ერთი ყორღანაშვილი

გივი დედალაგაჩიშვილი, ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტი:

— ცოტა ხნის წინ, ფილარმონიაში „მგზავრების“ კონცერტიც მაცაცოს ორგანიზებული იყო. მგონი, იმ კონცერტმა გაამართლა. ახლა მაცყურების წინაშე ჩვენს მეგობრებთან — „ფრანთან“ და კორკობასთან ერთად წარვდგებით, რაც ძალიან მიხარია. ყველას



ვპირდები, რომ ვინც კონცერტზე მოვა, არ ინანებს!

— თავდაპირველად, კონცერტის ერთობლივად ჩატარების იდეას როგორ შეხვედით?

— დადებითად. კარგი იდეაა და რა თქმა უნდა, მივესალმებით. საერთოდ, ამ ადამიანებთან ერთად დაკვრა (რაც სამწუხაროდ, იშვიათად ხდება) მიყვარს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ერთად გავიზარდეთ...

— ჯგუფი „მგზავრები“ კონცერტზე ახალ სიმღერებსაც შეასრულებს?

— რამდენიმე ახალ სიმღერას შევასრულებთ, რომ-

ლებიც მანამდე არსად გვიმღერია.

— ასეთი სიმღერა ბევრი გაქვთ?

— კი, საერთო ჯამში, ალბათ — 100. მსმენელი დაახლოებით, ჩვენს 35 სიმღერას იცნობს.

— ჯგუფის ამდენი წევრის მობილიზება რთული არ არის?

— მე ამ საკითხში არ ვერევი, ყველასთან დედაჩემი რეკავს ხოლმე, მე მობილური ტელეფონიც კი არა მაქვს... ჯგუფის წევრები დედაჩემის გაზრდილები ვართ.

— „მგზავრებს“ კონცერტები ხშირად გაქვთ, არა?

— სექტემბერ-ოქტომბერში 4 კონცერტი ჩავატარეთ, ნოემბერი კი ცუდი თვეა... ახალ წელსაც ბევრი კონცერტი გამართება, იანვრის შუა რიცხვებიდან თებერვლის ბოლომდე კი — არაფერი ჩატარდება.

— „ცუდი თვეების“ დროს, „მგზავრების“ წევრები როგორ იქცევით?

— მაგ დროს ერთადერთი ის არის, რომ ფული არა გვაქვს ხოლმე (იცინის)... ახლა უკრაინაში გამგზავრებას ვგეგმავთ. ღვთის წყალობით, ყველაფერი ნორმალურად გამოდის.

— უკრაინაში რას აპირებთ?

— რუსულენოვანი კლიპი გადავიღეთ, რომელიც უკრაინის „ემტივიზუ“ და რადიოებში „დატრიალდება“. ალბათ, მალე ალბომის პრეზენტაციას მოვანწყობთ. კონცერტების გამართვასაც ვაპირებთ. ამჯერად, სპონსორებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

— უკრაინა რატომ აირჩიეთ?

— ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს. თან, ქართული მუსიკა უკრაინაშიც უყვართ! რუსეთიდან რალაც შემოთავაზებები

გვეკონდა, მაგრამ თავი შევიკავეთ. იქ სიმღერის სურვილი არა გვაქვს. უკრაინასთან კი საქართველოს თბილი ურთიერთობა აქვს... საერთოდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა გვინდა, უკრაინა კი საცდელი ვარიანტი იქნება.

— მანამდე კონცერტს საქართველოში, სპორტის სასახლეში გამართავთ. მსმენელებს განსაკუთრებულს რას სთავაზობთ?

— საქართველოში ისეთი აპარატურა, განათება არაა, რომ შოუ მოვანწყოთ. ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებთ! სამივე ჯგუფი მსმენელებს თბილ საღამოს ვპირდებით. ყველას მოუწონოდებთ — მოვიდეს, ვისაც ჩვენი მუსი-



კა მოსწონს: ეს მუსიკა ნამდვილი, ცოცხალია — არ ვიტყუებით! რაც შეგვიძლია, იმას ვაკეთებთ...

საღამო კორკობაშვილი:

— ჩემთვის ამ პროექტში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დიდი ხანია, რაც კონცერტი არ მქონია. 21-ში ჩემთვის ბუნდოვანი დღე დადგება! ისიც მიხარია, რომ მეგობრებთან — „მგზავრებთან“ და „ფრანთან“ ერთად ვიმღერებ...

— სპორტის სასახლეში რა რეპერტუარს წარადგენ?

— ძველ სიმღერას, ჩემს ჰიტს — „ვარსკვლავები“ და ახალს — „სუპერსტარ“. ასევე, სიმღერებს „პაპარაცის“ ძველი ალბომიდან შევასრულებ.

— ცოტა ხნის წინ, საავტორო სიმღერის კონკურსზე — „სიმღერა ბათუმზე“ „პაპარაცისთან“ ერთად, შენ გარდა, კიდევ ერთი გოგონა მღეროდა...

— ის ჩემი რძალია. გადავწყვიტეთ, რომ მას



„მგზავრები“ და „ფრანი“ ერთად



„მეორე ხმა“ ემღერა. ძალიან კარგად გამოუვიდა. კონკურსზე მესამე ადგილი დაიკავივით. საკმაოდ კარგი პრიზებიც ავიღეთ. ბედნიერი ვარ, რადგან პირველი და მეორე ადგილები ჩემს მეგობრებს ერგოთ. ყველაზე კარგი სიმღერა მართლა გია ნიკოლაძეს ჰქონდა. გამარჯვებას კიდევ ერთხელ ვულოცავ!

— არადა, კონკურსზე განაცხადე, — ჩემი სიმღერა ყველაზე უკეთესიაო...

— როცა ვნერვიულობ, სისულელეებს ვამბობ (იციან). „ვეროვიზის“ შესარჩევ კონკურსზეც ასე ვამბობდი, — მე გავიმარჯვებ-მეთქი... სხვათა შორის, ვილაც ქალმა მითხრა: „თავში ავარდნილი“ ნუ გაქვსო! მინდა, ყველას ვუთხრა: „თავში ავარდნილი“ კი არა მაქვს, ნერვიულობის გამო ვამბობ ხოლმე, რომ ყველაზე მაგარი ვარ! თუმცა, რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ მაგარი ვარ და კონკურენტი არ მყავს, რადგან განსხვავებულ მუსიკას ვქმნი (იციან). როცა ხელოვანი ხარ — თავად ქმნი მუსიკას, მღერი, ტექსტს წერ, უკვე „სხვა“ ხარ და არა — ჩვეულებრივი „თოჯინა მომღერალი“, რომელიც რასაც ეტყვიან, იმას გააკეთებს.

— სალომე, ნლების წინ, ჯგუფი „პაპარაცი“ გყავდა, შემდეგ — „შოკმანჟე“, ახლა ისევ — „პაპარაცი“...

— „შოკმანჟე“ ექსპრომტად შევქმენით: ფესტივალი — „ანაბჭედი“ ტარდებოდა. მაშინ „პაპარაცი“ დაშლილი იყო. ჯგუფის წევრები ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით (მოგეხსენება, ერთ-ერთი კონცერტიდან წავედი და გავთხოვდი. „პაპარაცის“ ბიჭები გაბრაზებულები იყვნენ). თან, ახალი ჯგუფისათვის „პაპარაცის“ დარქმევის უფლება არ მქონდა. მოკლედ, ფესტივალისთვის მეგობრები შევკრიბე, მაგრამ ჩვენი „შოკმანჟეობა“ ვერ შედგა — კონცერტმა ცუდად ჩაიარა. ვთქვი, — აღარ ვიმღერებ-მეთქი, მაგრამ ბიჭები ისევ გამოჩნდნენ და ახალი ჯგუფი შევკრიბე, რომლის ერთ-ერთი წევრი ძველი „პაპარაციდანაა“.

— ახალი „პაპარაცი“ როგორ შეიკრიბა?

— დიდი ხანია, რაც ბიჭებს ვიცნობ. ახალი „პაპარაცი“ ბათუმის ფესტივალისათვის შევიკრიბეთ. ვნახოთ, რა იქნება. იქნებ, კიდევ ვიჩხუბოთ და დავიშალოთ (იციან).

— ჯგუფში გასათხოვარი აღარავინ გყავთ და იმედია, არ იჩხუბებთ. შენი რძალიც „პაპარაცის“ წევრია?

— არა, მსოლოდ ბათუმის ფესტივალისათვის იმღერა. ვნახოთ, რას გადავწყვეტთ... საერთოდ, ჩემი მიზანია, რომ საქართველოდან წავიდე — აქ ყოფნა აღარ მინდა! „პაპარაცი“ იქნება, „შოკმანჟე“ თუ — „ეშმაკის ბორბალი“, მნიშვნელობა არა აქვს, მინდა, რომ უცხოეთში გავემგზავრო, უფრო მეტად „დავიხარჯო“, ტურნეები მქონდეს... პროდი-

უსერს ველი, ვინც ჩემში ფულს „ჩადებს“ და აქედან წავალ.

— რაიმე შეთავაზებები გაქვს?

— რალაცები ირკვევა და ვნახოთ. ზოგჯერ იმედი მაქვს, ზოგჯერ — არა. გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ.

— საქართველოზე გული რატომ გაქვს აცრუებული? აქაც ხომ შეგიძლია, „დაიხარჯო“? შენი მეგობარი ჯგუფი — „მგზავრები“ კონცერტებს სშირად მართავს. შენ რატომ არ აქტიურობ?

— „მბლოკავენ“, რადგანაც მამა ოპოზიციაშია და ველარ ვმღერი... ამის შესახებ, ჩემთვის თავად კონცერტის ორგანიზატორებსაც უთქვამთ. არადა, ჩემთვის აზრი არავის უკითხავს: მე არც ოპოზიცია მაინტერესებს და არც — „პოზიცია“. მე ხელოვანი ადამიანი ვარ.

ჩემი მოსაზრება მაქვს — ჩემი სამშობლოსათვის უკეთესი რა იქნება, მაგრამ პოლიტიკა არ მაინტერესებს! საზღვარგარეთ წასვლა ამიტომ მინდა: იქ არავინ დაინტერესდება, თუ როგორი პოზიცია აქვს ბებიჩემს, მამაჩემსა თუ დედაჩემს...

— სალომე, კონცერტისათვის მზადება დიანყე?

— რეპეტიციებს დღეს ვინყებთ. ჯგუფის წევრებს მობილიზება არ გაგჭირვებია. მგონი, კონცერტი კარგად ჩაივლის, რადგან ვინც „პაპარაციში“ უკრავს, ყველა პროფესიონალია — ბიჭები ყველაფერს იოლად ითვისებენ. კონცერტისათვის მშვენიერ კაბას ვიკვრავ. სპორტის სასახლეში ბევრ ხალხს და რა თქმა უნდა, After-Party-ს ველოდები (იციან)...

ბიბლუსი
წიგნის მაღაზიათა ქსალი ბათუმის საქართველოში

www.biblusi.ge

ახალი წიგნები „ბიბლუსში“!
☎ 307 402

წაიკითხე წიგნები - უსიყოსად იქნები!



„არ მინდა, ცუდი ბიჭი გამოვიდე“

პროფესიით წარმოების ეკონომიკის და მართვის სპეციალისტია, მაგრამ საზოგადოება როგორც იუმორისტს, ისე იცნობს. ალექს მალხაზიშვილი ახლა „რუსთავი 2“-ში გასართობი შოუების განყოფილებას ხელმძღვანელობს. როცა დავუკავშირდი და „ერუდიტი“-ში“ შეხვედრა ვთხოვე, გამეხუმრა, ამ რუბრიკაში სტუმრობის სურვილი თავადაც მქონდა, შენთან დარეკვას ვაპირებდი, მაგრამ დამასწარიო.

თამუნა კვინიკაძე

პრაგმატული მამიკა

- ალექო, როგორ ხარ?
- ცანცარობის ხასიათზე ვარ, თან ვნერვიულობ, არ მინდა, ცუდი ბიჭი გამოვიდე. რთული შეკითხვებია?
- დაგისვამ და თავად შეაფასებ. მესსიერება როგორი გაქვს?
- ციფრებს საერთოდ ვერ ვიმასსოვრებ.
- თავს ერუდიტულად ადამიანად მიიჩნევ?
- უხერხული კითხვაა, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს.
- ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული?
- ბავშვობიდან ერთი უცნაური ჩვევა გამომყვა. თუ წიგნმა არ დამაინტერესა, თავს ვანებებ, აღარ ვკითხულობ.
- ამაში უცნაური რა არის?
- ბევრი წიგნი მე-5 ფურცლის შემდეგ აღარ გამიგრძელდება.
- შენი საყვარელი უანრი რომელია?
- დეტექტივი. ფანტასტიკაც მიყვარს, სასიყვარულო რომანები — ნაკლებად. პოეზიაც მიყვარს, მე რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული. ესენინის, პუშკინის, მაიაკოვსკის შემოქმედებას კარგად ვიცნობ.
- ეს მდინარე თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მიედინება. 300 შენაკადი აქვს. მას ევროპის დედამდინარესაც უწოდებენ. ძველმა ბერძნებმა კი „ოკეანის ძმა“ შეარქვეს. დასახელება, რომელია ის?
- ვაიმე! ხასიათი გამოიფუჭდა, რომელია?
- მინიშნებას გეტყვი. ევროპის მდინარეებიდან იგი მხოლოდ ვოლგას ჩამორჩება. ავსტრიის დედაქალაქი — ვენა მასზეა გაშენებული.
- მგონი, მიხვდი, დუნაის გულისხმობ, არა?
- დიახ. „ჩამოვხტი ტრაქტორში. მეორე დღეს თბილისის განთქმულ აბანოში წავედი... აბანოს შესასვლელთან მებაბანოე იჯდა — მოხუცი სპარსელი; მან კარი გამიღო, შევედი დიდ ოთახში, სპარსელმა აბანოში შემიყვანა, რკინა-გოგირდის წყარო კლდეში გამოკვეთილ აუზში ჩაჩრიალებდა. დაბადებიდან არ შეხვედროვარ არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?
- ალექსანდრე პუშკინი. იგი ჩემი საყვარელი ავტორია.
- რა ერქვა მეფის რუსეთში დეპუტატის გასამრჯელოს?
- არ ვიცი. მინიშნებაც რომ მითხრა, მაინც ვერ მიმახვედრებ (იციინს).
- დიეტა.
- მართლა? პირველად მესმის.
- რომელ ოკეანეშია სეიშელის კუნძულები?



- არც ეს ვიცი.
- ინდოეთის ოკეანეში. რამდენ მეტრს უდრის 1 მილი?
- არ გამოზომავს.
- 16 მეტრს. „ხშირად ჭამა-სმა დამკლება და წიგნი კი შემიძენა. ჩემს წიგნებს მაინც ვუტოვებ ქართველ ხალხს, მაგრამ ერთი პირობით — ჩემი წიგნები ადგილიდან არ უნდა დაიძრას, დარჩეს ისევ ძველ თბილისში, ხარფუხში, სადაც მე დავიბადე, მოვიდნენ და იმუშაონ. თუ ზოგიერთი წიგნისთვის მოსკოვსა და ლენინგრადში მიემგზავრება, წიგნს მოეშვე და მძებნელი ხარფუხშიც ამოვა“. რომელი ქართველი პოეტია ამ სიტყვების ავტორი?
- ხარფუხში რომ ცხოვრობდა, რა გვარი იყო?
- მეც ამას გეკითხები.
- ვეღარ ვისხენებ, ვიცი, რომ წიგნების განათხოვრება არ უყვარდა (ფიქრობს)... იოსებ გრიშაშვილი.
- პორტუგალია, გერმანია, საფრანგეთი — რომელი ქვეყანა არ არის ესპანეთის მეზობელი?
- გერმანია.
- „დათვი ხეზე როგორ გავა, იაენანანაო“ — რომელი ლიტერატურული პერსონაჟის სახლის ფანჯარაზე ეწერა ეს სიტყვები?
- ავტორს თუ მეტყვი, გიპასუხებ.
- ილია ჭავჭავაძე ეს პერსონაჟი კახეთის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა.
- აზრზე არა ვარ, იქნებ მითხრა?
- ლუარსაბ თათქარიძე. რა დრო სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთი სრული ბრუნის გასაკეთებლად?
- 24 საათი, არა?
- ნუ ჩქარობ, რთული კითხვა არ არის.
- გთხოვ, გამიმეორე (გამეორების შემდეგ) 1 წელი სჭირდება, გამოვიცანი?
- დიახ. 365 დღე და 6 საათი. ვინ იყვნენ თამარ მეფის შვილები?
- ლაშა-გიორგი და რუსუდანი.
- ტყეში 17 პარტიზანია, 5 მათგანი დიდ ლოდს ამოეფარება, 2 ხეზე აძვრება. რამდენი პარტიზანი დარჩება ტყეში?
- თავიდან რამდენი იყვნენ?
- 17.
- (ფიქრობს) ისევ 17 დარჩება (იციინს), გეგონა დამაბნევიდი?



— ფურცელზე გინერია — 7 7 7 2. 7-იანებს შორის მიმატების, გამოკლების, გამრავლების ან გაყოფის ნიშნები ისე ჩანერვ, რომ სწორი პასუხი მიიღო.

— ეს რა მაგარი კითხვაა, მადროვე, გამოვიანგარიშებ (პაუზის შემდეგ) — 7:7+7:7=2.

— ყოჩაღ! მათემატიკიდან შეკითხვებს მოჭრით. ახლა მიპასუხე, რომელ ენაზე წერდა და კითხულობდა ჩინგიზ-ყაენი?

- ჩინურზე.
— არა.

— აბა (ფიქრობს), ინგლისური არ ეცოდინებოდა.

— მან წერა-კითხვა საერთოდ არ იცოდა. რომელ სრუტეს არ გაივლის ბათუმიდან მარსელში გემით მიმავალი მგზავრი — ბოსფორის, დარდანელისა თუ გიბრალტარის?

— დარდანელის სრუტეს არ გაივლის.

— ცდები. სწორი პასუხია — გიბრალტარის სრუტე. ისააკ ნუტონის 300 წლის აღსანიშნავად, დიდ ბრიტანეთში გამოუშვეს საფოსტო მარკა. რა იყო მასზე გამოსახული?

— ნითელი ვაშლი.

— არისტოტელემ მას „სურვილების შესრულების გარანტი“ უწოდა; ლორდმა ბაირონმა — ალადინის ლამპარი; ჰენრი ფორდმა ის კიდურებს შეადარა. ბერნარდ შოუ კი მიიჩნევდა, რომ ის ამ ქვეყანაზე ყველაზე მნიშვნელოვანია. რაზეა ლაპარაკი?

— ვერ ვხვდები.

— ფულზე. ალექსანდრე დიუმა (მამა) დაესწრო შვილის პეტის პრემიერას. მსურველზე აპლოდისმენტებიც არ დაიშურა. მის გვერდით მჯდომმა თეატრის კრიტიკოსმა შენიშნა: თქვენ ისე იქცევით, თითქოს თავად იყოთ პეტის ავტორი. რა უპასუხა დიუმამ?

— მე ავტორის მამა ვარ, — სხვას რას ეტყოდა?

— „მე ავტორი ვარ ავტორისა“, — იყო მისი პასუხი. ვისი აფორიზმია: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“?

— შოთა რუსთაველის.

— რა სპექტაკლს დგამდნენ სოფლის სცენაზე ფილმში — „იმერული ესკიზები“?

— (ფიქრობს) ვერ გავისხენე.

— „ოტელოს“. გოგონა სახეცთან მივიდა, დაინახა თავისი გამოსახულება და შუბლზე აკოცა — ტყუული თუ მართალი?

— ტყუილი, რადგანაც, ასეთ შემთხვევაში, საკუთარ თავს მხოლოდ ტუჩებში შეიძლება, რომ აკოცო.

— არისტოტელე ამბობდა: „ნათესავი — ეს არის ჩვენი სხეულის ნაწილი...“ ვინ წარმოადგენს მისი აზრით

ჩვენი სულის ნაწილს?

— მეუღლე, არა?

— მეგობარი.

— მეუღლე ჩემი მეგობარია, ასე რომ, გამოვიცანი (იციინის).

— ვინ თამაშობს პრინცესას როლს ფილმში — „რომაული არდადეგები“?

— ოდრი ჰეპბერნი.

— რომელია არგენტინის სახელმწიფო ენა?

— ესპანური.

— ვინ წარმოადგენს სახელმწიფო ბრალმძებელს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს?

— პროკურორი.

— მსოფლიოში 42 ქვეყანაა, რომელსაც არა აქვს ზღვაზე გასასვლელი. მათ შორის ყველაზე პატარა ვატიკანია. დაასახელე ყველაზე დიდი ქვეყანა.

— ე.ი. დარჩენილი 41 ქვეყნიდან 1 უნდა დავასახელო (ფიქრობს) რამე დაგიშავე? ტვინი გადამიტრიალდა. მე-კაიფები? მითხარი, რომელია?

— ყაზახეთი. აინშტაინის აზრით, წარმატება შედგება სამი ნაწილისგან: იღბალი, თამაში და...

— ვერ დავასახელებ.

— ენაზე კბილის დაჭერის ცოდნა... ერთმა ბრიტანულმა კლუბმა გამოსცა პლაკატი, რომელზეც ეწერა: „ღმერთმა შექმნა არც ისე ბევრი სრულყოფილი თავი, სოლო დანარჩენები, მან დაფარა თმით“. ვინ არიან ამ კლუბის წევრები?

— მელოტები.

— „ანას უცებ გაახსენდა ფრონსკისთან შეხვედრის პირველ დღეს მატარებლის ქვეშ ჩაგარდნილი კაცი და მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მსუბუქი ნაბიჯით ჩაიარა კიბე, რომელიც წყალსაქაჩიდან ლიანდაგისკენ ჩადიოდა და თითქმის მის წინ მიმავალი მატარებლის გვერდით გაჩერდა. იგი ვაგონის ქვეშ, სრანებს, ჯაჭვებსა და თუჯის მალალ თვლებს მისჩერებოდა და ცდილობდა, თვალთ მოეზომა შუა ადგილი წინა და უკანა თვლებს შორის და შეერჩია ის წუთი, როცა ეს ადგილი მის პირდაპირ იქნებოდა“. რომელ ცნობილ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— „ანა კარენინაში“.

— დაასახელე პირველი საბჭოთა ფილმი, რომელიც „ოსკარით“ დაჯილდოვდა.

— „მოსკოვის ცრემლების არ სჯერა“.

— ეს ცეკვა ცენტრალურ ამერიკაში გასული საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა. 30-იან წლებში კათოლიკურმა ეკლესიამ აკრძალა. ხელმეორედ ის ბრაზილიაში აღმოაჩინეს. სოლო 80-იან წლებიდან საქვეყნო პოპულარობა მოიპოვა. რა ცეკვაა ეს?

— არ ვიცი.

— ლამბადა. ძალიან ბევრი წერილი მიდის მისამართზე — შტატი კოლუმბია, ვაშინგტონი, ავენიუ 1000. მაგრამ უმრავლეს მათგანზე მისამართის ნაცვლად, მხოლოდ 2 სიტყვა აწერია. დაასახელე ეს სიტყვები.

— „თეთრი სახლი“.

— დაბოლოს დაასრულე ჰაროლდ მაკმილანის ცნობილი გამონათქვამი: „კარგ დიპლომატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ის, რაც მან უნდა...“

— დაიმასსოვროს.

— „...რაც მან უნდა დაიფიქროს“.

იკუდიტი +

ნატიუმორბი

ნატიუმორბი მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრია. სიტყვა „ნატიუმორბი“ მკვდარ ბუნებას ნიშნავს. XX საუკუნემდე ნატიუმორბის თითქმის ყველა ავტორის მიზანი მაქსიმალური რეალისტრობის მიღწევა იყო. ყველაზე რეალისტური ნატიუმორბები ცნობილია „TRAMP LEIS“ სახელით, რაც ქართულად თვალის მოტყუებას ნიშნავს. ეს სურათები ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს ჩვენ თვალწინ რეალური საგნებია და არა სურათის ბრტყელი ზედაპირი. ნატიუმორბი, როგორც ჟანრი, ანტიკურ საბერძნეთსა და რომში იღებს სათავეს, სადაც ის მდიდრების სახლების კედლების მოსართავად გამოიყენებოდა. ერთი ბერძენი მწერლის თქმით, მხატვარმა ზევქსისმა დახატა ყურძნის მტევანი, რომელიც იმდენად ჰგავდა ნამდვილს, რომ ჩიტები მის აკენკვას ცდილობდნენ. მაგრამ ზევქსის პარასიასმა აჯობა. მან ისეთი ფარდა დახატა, რომ ზევქსისმა მისი გადაწევა დააპირა. ზოგჯერ ნატიუმორბში გარკვეული ფარული აზრი იყო გადმოცემული. მხატვრები ხშირად ისეთ საგნებს გამოხატავდნენ, რომელთაც ამა თუ იმ იდეის წარმოჩენა შეეძლოთ. მაგალითად, ნიგნები ცოდნას ნიშნავდა, მუსიკალური ინსტრუმენტები — სიამოვნებას, სოლო თავის ქალა — ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობას.



ბონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მანითხვალისათვის (ანითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲს არ გავაჩვენოთ თვალი

1. რას ნიშნავს სიტყვა „თულუხი“?
2. დასახელებული სამი რამ, რასაც ჩერჩილის აზრით, მსოფლიოში ყველაზე კარგად აკეთებდნენ რუსები?
3. როდესაც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მყოფმა რიჩარდ ლომგულმა უმცროსი ძმის ლალატი შეიტყო, სასწრაფოდ ზავი დადო სულთან სალადინთან და სამშობლოში გაემგზავრა. რა ვადით დაიდო ზავი?
4. რამდენი წლით იყო ჰიტლერი სტალინზე უმცროსი?
5. რა ერქვა კათოლიკე ბერების კაპუშონიან მოსახსამს?
6. რომელი ქვეყნიდან შეიყვანეს ევროპაში ოქროს თევზები?
7. რისი აღმნიშვნელია არაბულ ენაში სიტყვები — „მაროი“ და „მალრიბი“?
8. რომელი პოეტის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ახლა მე მჭირდება დაძინება“?
9. რომელ ქალაქში გამოიჩინა პირველი ტაქსი?
10. რომელი ხის მერქანი ითვლება საუკეთესოდ თოფის კონდახის დასამზადებლად?
11. რას ეძახდნენ საქართველოში „ერბოქვას“?
12. „საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა მტერი ყოველი მხრიდან მოსოლილი იყო. ვსთქვამთ მკლავება და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის, რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფსა. რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა. ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო და საზრდოობას ვინ აძლევდა და რა აძლევდა? აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად“. დაასახელებეთ ამ სტრიქონების ავტორი.
13. რას ნიშნავს სიტყვა „ბურუუა“ ფრანგულად?
14. რა ჰქვია „ევეარისტიას“ ქართულად?

ანექლოცები



ჩინელს ჰკითხეს:
— მოგონთ ნიუ-იორკი?
— ძალიან! სისუფთავეა... სინყნარეა... ცოტა ხალხია...

ცოლი ქმარს მოდების კატალოგს სჩრის ხელში:
— ასეთი ბიუსტჰალტერი მიყიდე, რა?
— რა ჯანდაბად გინდა, შიგჩასადები მაინც არაფერი გაქვს, და!..
— შენ რომ დადიხარ ტრუსიკით!...

მამა ბრუნდება სამსახურიდან. შვილი:
— მამიკო, გაკვეთილები უკვე ვისწავლე.
— ყოჩაღ, შვილო.
— ჭურჭელიც გავრცხე.
— ყოჩაღ, შვილო.
— ჩემი ოთახიც დავალაგე.
— ყოჩაღ, შვილო.
— მამიკო, იცი, ჩვენი კატა ორსულადაა.
— ყოჩაღ, შვილო.

ევა მეჯლისზე წასასვლელად ემზადება:
— ადამ, ვაზის ფოთოლი უფრო მიხდება თუ ლეღვის?
— ჭინჭრის ფოთოლი აიფარე, იქ ბევრი თავხედი იქნება.

— ბიჭო, ეს კახელები რა ჭორიკანები ხართ!
— რატო ვითომა?
— აბა, ვირებმა ლაპარაკი არ იციან.

გამომძიებელი თანაგრძნობით ეკითხება დაქვრივებულ ქალს:
— მაინც რა გითხრათ სიკვდილის წინ თქვენმა ქმარმა?
— რა და, მაგ თოფით ტყუილად მემუქრები, ტყვიები არ დევს შიგნითო!

ორი მამაკაცი საუბრობს:
— ცოლი მომყავს!
— ვინ მოგყავს?
— მელიტოპოლელი ტატიანა.
— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი. გათახსირებული ქალია. მელიტოპოლის ყველა მამაკაცი მაგასთან იწვა.
ორი თვის შემდეგ ეს ორი მამაკაცი კვლავ შეხვდა ერთმანეთს:
— რა ქენი, დაქორწინდი ტატიანაზე?!
— ჰო.
— რატომ, კაცო, ხომ მოგიყვები მაგის ამბავი?!
— მოიცა, ერთი!.. ვიყავი იმ მელიტოპოლში!.. ერთი მოცუტცქნული ქალაქია!

ბებია ბაზარში პომიდორს ყიდის დიდი წარწერით: „პომიდორი ჩერნობილიდან“.
— მაგას ვინ იყიდის?! — უკვირს გამვლელს.
— ყიდულობენ, ჩემო კარგო, ყიდულობენ!.. ზოგი სიძისთვის, ზოგი — სიდედრისთვის!..





გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. „თულუხი“ თურქული სიტყვაა და ქართულად ტიკს ნიშნავს. თბილისში თულუხს წყლის საზიდავ რუმს ეძახდნენ. რუმები ხარის ან კამეჩის ტყავისგან მზადდებოდა და 4-5 ფუთ (80 ლიტრამდე) წყალს იტევდა. წყლის მზიდავს მეთულუხნი ან თულუხნი ერქვა. 1893 წელს ქალაქის თვითმმართველობამ თბილისში ტყავის თულუხები ხის კასრებით შეცვალა.
2. კონიაკი, ბალუტი და ტანკები (ინგლისის პრემიერ-მინისტრს ძალზე უყვარდა სომხური კონიაკი).
3. სამი წლით, სამი თვითა და სამი დღით.
4. ათი წლით.
5. დომინო.
6. ჩინეთიდან (XVII საუკუნეში).
7. „მამრიყი“ არაბულად აღმოსავლეთის ქვეყნებს ნიშნავს, „მალრიბი“ — დასავლეთის.
8. ბაირონის.
9. ლონდონში (1903 წელს).
10. კაკლის ხის.
11. სამართებლის, დანის და მისთანა მჭრელი იარაღის სალეს წმინდა ქვას, რომელსაც წინასწარ ერბოს ან ზეთს უსვამდნენ.
12. ილია ჭავჭავაძე.
13. მოქალაქეს.
14. ზიარება.



სვანმა ოქროს თევზი დაიჭირა და გადაადნო.

თვითმფრინავი ვარდება. სალონში ავტომატურად ირთვება ჩანან-ერი:

— ძვირფასო მგზავრებო, ამოიღეთ პასპორტები, ამოხიეთ ფოტოსურათიანი ფურცელი და მოითავსეთ უკანალში. წინასწარ გიხდით ბოდიშს ამ უხერხულობისათვის, მაგრამ წინა ავარიის შემდეგ გვამების ამოცნობისას ძალიან გავწვალდით.

გამოცდაზე სტუდენტი ეკითხება პროფესორს:

— შეიძლება, კიდევ ერთი ბილეთი ავიღო?

— კი, როგორ არა!.. ოღონდ რკინიგზის სალაროში!..

სვანი ბორდელში შევიდა:

— რა ღირს?

— საათი — 50 დოლარი.

— საათი რომ აქ დავტოვო?

ქმარმა ცოლს შეუსწრო ლოგინში თავის მეგობართან და ეუბნება:

— არ გრცხვენია, ქალო, ათი წელი სიამტკბილობაში გავატარეთ, ასე უსინდისოდ როგორ მიღალატე საკუთარ ძმაკაცთან? შენ კიდევ სხვა ვერავინ ნახე, ჩემს ცოლს რომ დაადგი თვალი, ერთად მაინც არ ვიყოთ გაზრდილები!.. როცა გელაპარაკებთ, მაშინ მაინც გაჩერდით, თქვე ნამუსგარეცხილებო!

— ვინ იწვა ჩემს ლოგინში?! — ბობოქრობს მიხო.

— აბა, რა გითხრა... ვინ აღარ...

— დაიმორცხვა მარომ.

ერთი კახელი — მორი.

სუთი კახელი — ტივი.

სუთი კახელი და გურული — მოტორიანი ტივი.

სუთი კახელი, გურული და რაჭველი — მოტორიანი ტივი „გლუშიტელით“.

სუთი კახელი, გურული, რაჭველი და სვანი — მოტორიანი ტივი „გლუშიტელით“ და ღუზით.

ჯუნგლებში ორი მოგზაური დაიკარგა. იპოვეს გამოქვამული და შიგნით შევიდნენ. უცებ მათ უკან მინა ჩამოწვა და შესასვლელი ამოქოლა, გამოქვამულის სიღრმიდან კი ნაბიჯების ხმა და ღრენა მოისმა. შემინებულმა მოგზაურებმა რაცით დახმარება ითხოვეს. მაშველები ეკითხებიან:

— სადა ხართ?

— რომელიღაც გამოქვამულში ვართ, ვერ გამოვდივართ, თანაც შიგნით რაღაც მხეცია.

— ჰოოო, თქვენთვის ორი ამბავი გვაქვს: კარგი და ცუდი.

— ჯერ ცუდი გვითხარით.

— თქვენ თოვლის კაცის საცხოვრებელში იმყოფებით.

— კარგი რაღაა?!

— შარშან ცოლი გაექცა, ასე რომ, შეჭმით არ შეგჭამთ!

მეგრელმა ძაღლი მოკლა.

— რა დაგიშავა? — ეკითხება მეზობელი.

— აფერისტებს უყვოდა.

— მერე შენ რა?

— ბოლო დროს მე მომდგა.

— ადამიანი უცნაური არსებაა. თუ ბიბლიოთეკაში ხმამაღლა დაიყვირებ: „ა-ა-ა!“, ყველა გაკვირვებით შემოგხედავს. თუ კი იმავეს თვითმფრინავში გაიმეორებ, უკლებლივ ყველა შემოგიერთდება.

რკინიგზო სოციალიზმი





ჰოროსკოპი

18-24 ნოემბერი

ვეჩი

საკუთარი იდეების განსახორციელებლად დამოუკიდებლად იმოქმედეთ. კვირის ბოლოს საყვარელ ადამიანთან საქმეების გარჩევასა და ალკოჰოლის მიღებას არ გირჩევთ.

კუჩი

კვირა მეგობრებთან და ნათესავებთან შეხვედრებით იქნება დატვირთული. მათგან მიღებული საჭირო ინფორმაცია თქვენს სასიკეთო გამოიყენეთ.

ტყუპი

თუ ყურადღების ცენტრში ყოფნა გსურთ, თქვენს სფეროში საუკეთესო უნდა იყოთ. მეტი დრო დაუთმეთ განათლებას.

კირჩხიბი

წარმატება თქვენს აქტიურობაზე დამოკიდებულია. მეგობრებისა და ნაცნობების დახმარებით, ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ.

ლომი

საქმეში ახალი პარტნიორები ჩართეთ. დილაობით ივარჯიშეთ და აუზს ეწვიეთ. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან ერთად.

ქაფში

ნათესავების დახმარებით ახალ ნაცნობებს შეიძენთ და მეგობრობა შეიძლება, სიყვარულში გადაიზარდოს. მეტი დრო დაუთმეთ თვითგანვითარებას.

სასწიწი

ეცადეთ, არ გადაიღალოთ. მაქსიმალურად დაისვენეთ. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

მირიფი

კვირის დასაწყისი შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნით. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა.

მშვიდღმოსხნი

საოჯახო საქმეების მოგვარება ბევრ დროსა და ენერჯიას წაგართმევთ. ეცადეთ, ნათესავებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. სამსახურში დაუფიქრებელ ნაბიჯებს ნუ გადადგამთ.

თხრი

კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საკუთარი ემოციები და განცდები ფურცელზე გადაიტანეთ. ხანმოკლე მოგზაურობა განწყობილებას აგიმაღლებთ.

მეწყობი

ფინანსური ოპერაციები სასიკეთო ნაადგება თქვენს ბიზნესს. ეცადეთ, არ გათქვით სხვათა საიდუმლოებები. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. საკუთარი კეთილდღეობისთვის იბრძოლეთ.

თევზი

კოლეგებთან ურთიერთობისას მაქსიმალურად მშვიდად და დიპლომატიურად იმოქმედეთ. მოსალოდნელია, თქვენი საყვარელი ადამიანის მეგობრები გაიცნოთ.

სიყვარულის ნუმეროლოგია

შეყვარებულ წყვილს მომავლის ამოცნობაში მარტივი ნუმეროლოგია დაეხმარება. მთავარია, ერთმანეთის დაბადების თარიღი იცოდეთ... თუ ერთ-ერთი 15 რიცხვში დაიბადა, მისი კოდია — 6 ანუ 15. ხოლო თუ მეორე — 8-ში, თქვენი საერთო ციფრი 14 ყოფილა (6-ისა და 8-ის ჯამი), მაგრამ ნუმეროლოგიაში ციფრები მხოლოდ 9-მდეა, ამიტომ 1-ს 4-ს ვუმატებთ და ვიღებთ 5-ს. ახლა კი შედეგის განმარტება იხილეთ:

1. კარგი წყვილი ხართ, მაგრამ განსხვავებული შეხედულებების გამო ხშირად კამათობთ. თუ დათმობას ისწავლით, ჰარმონიულ ოჯახს შექმნით. მთავარია, საკუთარი პრობლემები სხვების გასარჩევი არ გახადოთ.
2. რომანტიკული წყვილი ხართ. მხოლოდ იმას ფიქრობთ, ერთმანეთს როგორ ასიამოვნოთ. თუ მატერიალურ პრობლემებს მოაგვარებთ, დაქორწინებიდან 20 წლის შემდეგაც, „იდეალური წყვილი“ გერქმევათ.
3. ერთმანეთს მხოლოდ სექსუალურ პარტნიორებად აღიქვამთ. ვნებით შეპყრობილი ადამიანები ოჯახს დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებენ. ეცადეთ, ინტერესთა სხვა სფეროც გამოიხატოთ.
4. თუ კარგად დაფიქრდებით, მეგობრები უფრო ხართ, ვიდრე შეყვარებულები. თუ მაინც დაქორწინდებით, მეუღლესთან მეგობრული დამოკიდებულება გექნებათ, სიყვარულს კი სხვასთან ეზიარებით.



5. თითოეული თქვენგანი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. რაც თქვენს ურთიერთობას ერთი მხრივ

საინტერესოს, მეორე მხრივ კი არასტაბილურს ხდის. თუ ერთად ყოფნა გსურთ, მეტად გაითვალისწინეთ ერთმანეთის ინტერესები.

6. ერთმანეთთან იმდენად იდეალური ურთიერთობა გაქვთ, რომ სამყარო თქვენთვის ინტერესს კარგავს. დროის შეგრძნება რომ არ დაკარგოთ, ზოგჯერ მაინც მოსწყდით ერთმანეთს.

7. თუ ნებისმიერ წვრილმანზე არ იჩხუბებთ და არ იეჭვიანებთ, იდეალური წყვილი იქნებით. მეტი დრო გაატარეთ ერთად და მომავალი ერთად დაგეგმეთ.

8. სხვებთან ერთმანეთის დაცვა შეგიძლიათ, მაგრამ ურთიერთობაში ორივეს ლიდერობა გსურთ. თუ რომელიმე პოზიციას არ დათმობთ, განშორება გარდაუვალი იქნება.

9. ერთმანეთთან მხოლოდ ინტიმი გაკავშირებთ. თუ სხვა საერთო ინტერესებს არ გამოიხატავთ, ურთიერთობას ვერ შეინარჩუნებთ.



		1. მაკმაღი-ანი	2. მარადმ-წვანე მცო-ცაუი ბუნქი			3. ღარჩეუ-ლი კაკლის გული	4. განგ-სტერული ორგანიზა-ცია		5. მხედრის დასაჯლომი მოწყობი-ლობა	
			6. პატარა აკლდამა							
				7. მარადმ-წვანე წი-წვანე ხე					8. მთავარი საწვობა	
9. ავს-ტრალიის დედაქალა-ქი						10. ვე-ლური ვარდი	11. ძველი ქუთაისი	12. სუსტი ქარი		
13. ამერიკის შტატი					14. მხარე საქართველო-ში	15. საზაფხ-ული სა-მთავარი	16. ისრაე-ლის ფუ-ლის ერ-იუელი		17. ესპანე-თის ფეხ-ბურთის გუნდი	
18. ფეხმ-იმე			19. მწვანი-ლი				20. პირვე-ლი ქალი		21. ქალაქი საქართველო-ში	
				22. მოსკო-ვის სატელევიზ-იო ანბა						
23. დაბალი და ფართო დიანა						24. მსოფ-ლიო კინოს ლეგენდა	25. ელექტრუ-ლი განმუხ-ტვა ცაში			
26. მარო-კოს დედაქალა-ქი										
				27. ალ-ბანეთის დედაქალა-ქი				28. ტიპე-ტური ხარი		
		29. მღვდ-ლის სამო-სი	30. რქე-დასრილი ხარი	31. ძველი საბერძნე-თი		32. ქალთა მფარველი ქალღმერთი რომ. მით.	33. ღრმა, ფოსო			
	34. კუნძუ-ლი ხმელ-თაშუა ზღვაში									
								35. თფში		
36. სკანდი-ნავიური თქმულება										
37. ღვთის-მეტყველება	38. ცქერა, ყურება				39. კანი ფრანხლის გარშემო					
40. ვისიმე ზუსტი მიბაძვა										



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ფორთოხალი; 2. კოლოფი; 3. ხარატი; 4. კლიტონი; 5. სვე; 6. თუ; 7. სორი; 8. ასფალტი; 9. ლუპა; 10. ნეტარება; 11. ტირი; 12. ნიბლია; 13. მორისონი; 14. იონი; 15. ბინოკლი; 16. ძე; 17. ვეზუვი; 18. სიმინდი; 19. იადგარი; 20. ნიქოზია; 21. ალა; 22. დარდი; 23. ფულური; 24. ბოლივია; 25. ბაგირი; 26. ალაფი; 27. სამიტი; 28. კიი; 29. სერი; 30. ლილი; 31. სარაგოსა; 32. შონ; 33. ცოლიკაური; 34. ლიტვა; 35. რაში; 36. სოლოლაკი; 37. სოფია; 38. ლოსონი.

სურათებზე: 1. ფრედერიკ დიფენტალი; 2. სოფი მარსო.

აქცია 15 ნოემბრიდან დაიწყო!

ჩვენ გრუქნით წიგნებს!

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია „პალიტრის“ კიდევ 1 გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის წიგნი-ბესტსელერი:

„ვიზუალური ლექსიკონი“

ან „დედამიწის ენციკლოპედია“

ან „ცხოველების ენციკლოპედია“

*უეცნათ ბუნა სამეზო
უნეესსალოური, ვიზუალური
ლექსიკონის დახარებით!*



მედია „პალიტრის“ გამოცემები:

დასახელება	1 ეგზ. ფასი	ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე	ფასი 1 წლით
კვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და საქმე	1.00	260	260.00
სიტყვა და საქმე (კატალოგი)	2.00	52	104.00
ყველა სიახლე	1.00	52	52.00
გზა	1.00	52	52.00
რეიტინგი	1.00	52	52.00
არსებალი	1.50	26	39.00
კარიზა	1.00	26	26.00
ოჯახის მკურნალი	1.00	26	26.00
პარუსელი	0.60	52	31.20
საბავშვო პარუსელი	1.00	52	52.00
ბომონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.60	312	187.20
ათიანგი	5.00	12	60.00
ლიტერატურული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

**2500 ფრადი ილუსტრაცია,
12 დეტალურად განხილული
კატეგორია,
608 გვერდი.**

დაგვიკავშირდით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

**☎ 38 26 73; 38 26 74;
www.elva.ge**

მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

★ ეს წიგნები მაღაზიებში 33 ლარი ღირს!



წიგნი

როგორც უნდა

ნაიხითხო


სანამ ცოცხალი ხარ!

წიგნი 2

ჯეჯ ლონლონი

„მარტინ ილანი“

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერთ
და სპეციალური სანიშნით




22-დან -
29 ნოემბრამდე!

მხოლოდ „კვირის პალიგრის“
მკითხველისთვის წიგნის
სპეციალური ფასი - 7 ლარი



შოთა ხესთაველი



აღეუსანდჲე დიუმა
სომი I




აღეუსანდჲე დიუმა
სომი II

და სხვა დიდი
წიგნები...
„წინაის ქსოფის“ ყოველ
მკითხველს უნდა ჰქონდეს!

ყურადღება! თუ თქვენ ვერ მოასწარიტ პირველი წიგნის - „შაგრენის გყავის“ შეძენა 7 ლარად, „პალიგრა მედია“
ამ სერიის მესამე წიგნთან ერთად ისევ შემოგთავაზებტ ბალზაკის „შაგრენის გყავს“ სპეციალურ ფასად!

„კვირის პალიგრის“ ხელმომწერებო, წიგნის შესაძენად დაგვიკავშირდით: **ბპლ: 38 26 73; 38 26 74**
კურიერი ყოველ წიგნს ადგილზე მოგართმევტ. **„პლვა.პი“**


ფოტოკუჩიონები



ტყის კენკრა

ტეაფილი

ავადმყოფობის დრო ან არის!



გუნების გუნენალი ძალა ახალ გერაფლუ ტყის კენკრაში

გრიკისა და გაცივების სიმპტომების სამკურნალოდ: მძალი ტემპერატურა, ტანში მტვრევა, შემცივნება თავისა და კუნთების ტკივილი, სურდო, ცხვირით სუნთქვის გაძნელება, ცემინება, ცრემლდენა

გამოიყენება 12 წლის ზემოთ:

1 პაკეტი 3-ჯერ დღეში (პაკეტი იხსნება ერთი ჭიქა ცხელ წყალში)
შეზღვევა: აცეტამინოფენი 325მგ, ფენილეფრინი 10მგ.

ფენირამინი 20მგ

კრეპარატის გამოყენების წინ გაუვანით ინსტრუქციას. გვირდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS
 ნოვარტისი, შვეიცარია
 გ. ტაბიძის ქ. №18;
 ტელ.: 98 27 30; 98 27 50